

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

ლიკა საჯაია

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

სადისერტაციო ნაშრომი
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ზარნაძე
სამართლის დოქტორი

თბილისი 2014

სტრუქტურა

აბრევიატურები.....	6
შესავალი.....	7
1. საავტორო უფლება როგორც „ინტელექტუალური საკუთრება“ და საავტორო სამართლით დაცვადი ნაწარმოები.....	13
1.1. საავტორო უფლებები, როგორც ინტელექტუალური საკუთრების შემადგენელი ნაწილი	14
1.1.1. ინტელექტუალური საკუთრების ცნება და ისტორიული განვითარება.17	
1.1.2. საავტორო სამართლის მონისტური და დუალისტური თეორიები	21
1.2. ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების ნაწარმოები	24
1.2.1. საერთაშორისო სამართლით დაცვადი ნაწარმოებები	25
1.2.2. საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის ძირითადი კრიტერიუმები	28
1.2.2.1 ორიგინალობა	29
1.2.2.2. ინდივიდუალიზმი და შემოქმედებითი საქმიანობა	32
2. საავტორო უფლებათა კლასიფიკაცია	42
2.1. ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები	44
2.1.1. ავტორის პირადი და ეკონომიკური ინტერესი	47
2.1.2. საავტორო უფლებების მოქმედება დროსა და სივრცეში	50
2.1.3. ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებათა სუბიექტი.....	52
2.1.3.1 ავტორის ქონებრივ უფლებათა მფლობელი	53
2.1.3.2. საავტორო პიროვნული უფლების მფლობელი	54
2.1.3.2.1. ავტორი, თანაავტორი.....	55
2.1.3.2.2. საავტორო უფლებათა სუბიექტის უფლებამონაცვლე	58
2.2 ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების კლასიფიკაცია.....	67
2.2.1. პოზიტიური და ნეგატიური უფლებები	68
2.2.2. უფლებები დაკავშირებული ავტორობის პატივისცემასა და ნაწარმოების ბედთან	70
2.2.3. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების კლასიფიკაცია მოქმედების ვადის მიხედვით	72
2.2.3.1. უვადო პირადი არაქონებრივი უფლებები	74

2.2.3.2. პირადი არაქონებრივი უფლებები შეზღუდული ავტორის სიცოცხლის და ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადით.....	77
3. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ადგილი სამოქალაქო არაქონებრივ უფლებათა სივრცეში.....	81
3.1. პირად არაქონებრივ უფლებათა ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები და კლასიფიკაცია	84
3.1.1 სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებები.....	87
3.1.2. პიროვნულ უფლებათა რეგულირების განსხვავებული ფარგლები და საკანონმდებლო გარანტიები	93
3.1.3. პირადი არაქონებრივი უფლებების კომერციული ღირებულება	98
3.2. განსხვავება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებსა და სამოქალაქო კოდექსის მუ-18 მუხლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებს შორის ...	102
3.2.1. განსხვავებული წარმოშობის საფუძველი.....	103
3.2.2. განსხვავებული სუბიექტები	104
3.2.3. განსხვავებული მოქმედების ვადები, უფლებათა გადაცემის წესი.....	106
4. ავტორობისა და სახელის უფლება	109
4.1. ავტორობა, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება	111
4.1.1. ავტორად აღიარების უფლება.....	113
4.1.2. ავტორობის პატივისცემის უფლება	114
4.2. სახელის უფლება, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება	115
4.2.1 ავტორის სახელის უფლება და სამოქალაქო კოდექსით დაცული სახელის უფლება.....	116
4.2.2. სახელის უფლება და ფსევდონიმი	120
4.3 საერთო და განმასხვავებელი ნიშნები სახელის უფლებასა და ავტორობის უფლებას შორის	125
5. ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება	129
5.1. ნაწარმოების ხელშეუხებლობის, რეპუტაციის დაცვისა და ნაწარმოებზე სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვის უფლება	130
5.1.1. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მიხედვით	134
5.1.2. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის მნიშვნელობა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისას.....	137

5.2. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა.....	141
5.2.1. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევით	142
5.2.2. ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევა ნაწარმოების არასათანადო გამოყენებით	148
5.2.3. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა ნაწარმოებისათვის სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვით	151
5.2.4. ნაწარმოების განადგურება, როგორც ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა.....	153
5.3. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების სამართლიანი ბალანსი სხვა უფლებებთან.....	160
5.3.1. ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ნაწარმოების თარგმნისა და გადამუშავებისას.....	161
5.3.2. სამართლიანი ბალანსი ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასა და საკუთრების უფლებას შორის.....	166
5.3.3. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასა და ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დადგენა.....	173
6. ნაწარმოების გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლება	182
6.1. ავტორის უფლება გადაწყვიტოს როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი	183
6.1.1. ნაწარმოების გასაჯაროების უფლების კავშირი ავტორის ქონებრივ უფლებებთან	186
6.1.2. ნაწარმოების გასაჯაროების უფლების სუბიექტი.....	187
6.1.3 ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელების ფარგლები ..	190
6.1.3 ნაწარმოების გასაჯაროების უფლება თანაავტორობით, ხელშეკრულებით შექმნილ და სამსახურებრივ ნაწარმოებზე	193
6.2 ნაწარმოების გამოხმობის უფლება	198
6.2.1 ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელების ფარგლები	198
6.2.2 ნაწარმოების ბრუნვიდან ამოღება და ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.....	200
6.2.3. ნაწარმოების გამოხმობის უფლების საკანონმდებლო შეზღუდვა.....	202
6.2.3.1 ნაწარმოების გამოხმობის მიზანი	202
6.2.3.2. სამსახურებრივი და აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოხმობის უფლება	205

დასკვნა.....	209
ბიბლიოგრაფია.....	219

აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

გვ.	გვერდი, (გვერდები)
იხ.	იხილე
მაგ.	მაგალითად
ჟურნ.	ჟურნალი
რედ.	რედაქტორი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
გ.	გომი
შეად.	შეადარე

უცხოურ ენებზე:

ALAI	Association Littéraire et Artistique Internationale
CDPA	Copyright, Design and Patent Act
ed.(eds).	Editor (Editors)
No.	Number
p.	Page
Para.	Paragraph
RIDA	Revue Internationale du Droit d'Auteur
TRLPI	Texto Refundido de la Ley de Propiedad Intelectual
UK	United Kingdom
UrhG	Urheberrechtsgesetz
USA	United States of America
VARA	Visual Artists Right's Act
Vol.	Volume
WIPO	World Intellectual Property Organization
TRIPS Agreement	Agreement on Trade Related Aspects of Intellectual Property Rights
Т.	Том
Ред.	Редактор

შესაგალი

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნის შედეგად წარმოიშობა. ინტელექტუალური საკუთრების არც ერთ სხვა ობიექტზე არ ვრცელდება პირადი არაქონებრივი უფლებები იმ მასშტაბით, როგორც ამ ნაწარმოებებზე. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა და განხორციელება ავტორს აძლევს საშუალებას აკონტროლოს თუ როგორ დაინახავს და შეაფასებს მას საზოგადოება, თავისი ნაწარმოებიდან გამომდინარე, განსაზღვროს ნაწარმოების გამოყენების საშუალებები და ფარგლები. საზოგადოებას კი აძლევს საშუალებას იხილოს ნაწარმოები შეუცვლელი სახით მას შემდეგაც, რაც აღარ არსებობენ ავტორი ან თუნდაც ქონებრივი უფლების მფლობელი პირები. საავტორო სამართლით დაცული ლიტერატურული, მხატვრული თუ მეცნიერული ნაწარმოებების საბოლოო ბენეფიციარი საზოგადოებაა.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის დროს უნდა დადგინდეს ინტერესთა დაბალანსების თანაზომიერი პრინციპები. აღნიშნული უფლებების არასათანადო დაცვამ შესაძლოა არა მხოლოდ ავტორის პერსონალური ინტერესების შელახვა, არამედ ნაწარმოების დამახინჯება და განადგურება გამოიწვიოს. ხოლო, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ზედმეტად მკაცრმა დაცვამ, შესაძლოა ხელი შეუშალოს საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოებების გამოყენებას საზოგადოების მიერ და შესაბამისად, შელახოს ადამიანის ძირითადი უფლება ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.

საავტორო უფლებების, ისევე როგორც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აუცილებლობას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია შემდეგი არგუმენტით ხსნის: აისახოს კანონმდებლობაში შემოქმედთა ეკონომიკური და მორალური უფლებებს მათ ქმნილებებთან დაკავშირებით და საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ საშუალება, დაუბრკოლებლად გაეცნონ მათ ნაწარმოებებს; სახელმწიფომ სამართლებრივი სისტემის შექმნის გზით ხელი შეუწყოს შემოქმედებას, მისი შედეგების გავრცელებასა და გამოყენებას, წაახალისოს კეთილსინდისიერი ვაჭრობა, რაც თავის წვლილს შეიტანს კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა საერთაშორისო დონეზე გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ასევე დაცულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.

საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი „უმნიშვნელოვანების დოკუმენტია „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ 1886 წლის ბერნის კონვენცია, რომლის მე-^{bis} მუხლის თანახმად, ავტორის

ქონებრივი უფლებებისგან დამოუკიდებლად და აღნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს ნაწარმოების ავტორად აღიარება და წინ აღუდგეს ამ ნაწარმოების ნებისმიერ ხელყოფას, დამახინჯებას, ან სხვაგვარ ცვლილებას, ასევე, ამ ნაწარმოების ნებისმიერ სხვა სახის შელახვას, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის პატივს ან რეპუტაციას.

დღეისათვის ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ყველა იმ 164 ქვენის კანონმდებლობითაა დაცული, რომელიც ბერნის კონვენციისაა მიერთებული.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა, ინტერნეტ სივრცის განვითარებამ მასობრივი გახადა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევები. ინფორმაციული საზოგადოების ეპოქაში ყოველდღიურად მიღიონობით საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოები იქმნება მედია საშუალებებში. ლიტერატურა და ხელოვნება ხშირად პოლიტიკური გამოხატვის ფორმა და ინფორმაციის გავრცელების ხერხია. ამ შემთხვევაში ერთმანეთთან წინააღმდეგობაშიც კი შეიძლება მოვიდეს ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება – აკონტროლოს ნაწარმოების გამოყენების ფარგლები და საშუალებები და სხვა პირთა უფლება გამოიყენონ ნაწარმოები ინფორმაციის გავრცელების ან კრიტიკის მიზნებისათვის. ტექნოლოგიურმა პროგრესმა, მედია ინდუსტრიისა და ინფორმაციული საზოგადოების განვითარებამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საავტორო სამართლი. საავტორო სამართლის უახლესი პრობლები აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპული საავტორო სამართლისთვისაც.

1995 წლის 16 მაისს საქართველო “ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ” 1886 წლის ბერნის კონვენციას შეუერთდა. საქართველოში 1997 წლიდან ამოქმედდა სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც IX წიგნი მიუძღვნა ინტელექტუალური საკუთრების სამართალს. 1999 წელს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”. კანონის მე-17 მუხლმა განამტკიცა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. კანონის რამდენიმე ნორმა, რომელიც ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს არეგულირებს, ხასიათდება ხარვეზით, ბუნდოვანებით და ტერმინოლოგიური უზუსტობებით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დანაწევრება რიგ შემთხვევაში ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ამით ის მნიშვნელოვნად განსხვავდება, როგორც ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენციის, ასევე ევროპული საავტორო სამართლისაგან.

საქართველოს საავტორო სამართალში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა ისეთ კონცეპტუალურ საკითხზე, როგორიცაა: ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეგანა ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, თუ ცვლილება აუცილებლად უნდა ლაბავდეს ავტორის პატივსა და რეპუტაციას. ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი არ არის დარღვეულირებული კანონმდებლობით. მაგ., კანონი არ შეიცავს ავტორის ზოგიერთი პირადი არაქონებრივი უფლების დროში მოქმედებასა და გადაცემის რეგულირების სპეციალურ ნორმებს, რისი აუცილებლობაც ამ

უფლებათა არსიდან გამომდინარეობს (მაგ. გასაჯაროების უფლება). კანონმდებლობით ასევე არ არის დარეგულირებული ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების მიზნით განპირობებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ის შეზღუდვები, რომლებიც აღიარებული ევროპულ საავტორო სამართალში.

საავტორო უფლებათა დაცვის კონკრეტული პრეცედენტები თანდათან წარმოიშვა საქართველოში და სასამართლოები უკვე იხილავენ საავტორო სამართლებრივ დავებს. თუმცა მათი რიცხვი მაინც მცირება. ავტორები იშვიათად მიმართავენ სასამართლოს უფლებათა დაცვის მიზნით, რაც განპირობებულია საავტორო უფლებათა შესახებ არასათადანო ინფორმირებით. ავტორის ზოგიერთი პირად არაქონებრივი უფლების დარღვევისათვის სასამართლოსთვის არასოდეს მიუმართავთ და შედეგად, სასამართლოსაც არ განუხორციელებია აღნიშნული უფლების მარეგულირებელი ნორმების განმარტება (მაგ. ნაწარმოების გამოხმობის, გასაჯაროების, სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლება).

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ინტელექტუალურ უფლებებს, ინტელექტუალურ საკუთრებასა და სამოქალაქო სამართლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებათა სისტემაში.

უფლებათა ეფექტური საკანონმდებლო რეგულირებისა და სწორი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისათვის ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები კომპლექსურად უნდა იყოს გაანალიზებული და შესწავლილი, სხვა პირად არაქონებრივ და ასევე ავტორის ქონებრივ უფლებებთან კავშირში, საერთო სამართლის ქვეყნებისა და კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონდებლობის, სამეცნიერო თეორიებისა და სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდობით;

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო უფლებებს წარმოადგენს, არამატერიალურ სიკეთეთა რიცხვს მიეკუთვნება და მათი რეგულირება ხდება, როგორც კანონით “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. თავისი შინაარსით, პიროვნებისაგან განუყოფლობითა და გადაუცემადობით ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ყველაზე მეტ სიახლოვეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებთან ავლენს. მიუხედავად ამ მსგავსებისა საავტორო უფლებათა სპეციფიურობიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის პირადი არაქონებრივი უფლებების მარეგულირებელი ნორმები გერგამოდგება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა დასაცავად. სხვა პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები იცავს ავტორის პიროვნულობას დაკავშირებულს მის ნაწარმოებთან. კვლევის მიზანია, დაადგინოს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებსა და სამოქალაქო სამართლით დაცულ არაქონებრივ უფლებებს შორის, რათა განისაზღვროს, რა შემთხვევებში და, კონკრეტულად, რომელ პირად არაქონებრივ უფლებასთან დაკავშირებით არის მიზანშეწონილი საავტორო უფლებების დაცვისათვის სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება.

საავტორო სამართალი ვერ მოიცავს ადამიანის გონიერივი შრომის ნებისმიერ შედეგს, რომელიც თავად ავტორს მიაჩნია ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებად. უნდა დადგინდეს საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი, რომელიც ერთის მხრივ არ იქნება ზედმეტად მყაცრი, რათა სამართლის წინაშე არ დადგეს გადაუჭრელი ამოცანა განსაზღვროს, რა არის “ნამდვილი შემოქმედება”, ხოლო მეორეს მხრივ, არ უნდა იყოს ზედმეტად ფართო, რათა საავტორო სამართალი არ გასცდეს ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებზე უფლებათა დაცვას.

საავტორო სამართლით დაცვადი ნაწარმოებები ჩართულია სამოქალაქო ბრუნვაში. საავტორო სამართლით დაცულ ნაწარმოებებზე ქონებრივი უფლებები შესაძლოა არა ავტორს, არამედ სხვა პირებს ეკუთვნოდეთ. ასევე ხშირად ნივთზე, რომელიც ამავე დროს ხელოვნების ნაწარმოებია, პირს აქვს სანივთო (ქონებრივი) უფლებები (მაგ., არქიტექტურული ნაწარმოები, ქანდაკება). ევროპული სამართლისათვის ცნობილია ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების საკანონმდებლო წესით შეზღუდვა, საავტორო უფლებასა და საკუთრების უფლებას შორის სამართლიანი ბალანსის დადგენისა მიზნით (მაგ., აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებსა და კომპიუტერულ პროგრამებთან, სახვითი, არქიტექტურის და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებთან დაკავშირებით). კვლევის მიზანია ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, გამოიკვლიოს წინააღმდეგობა და სამართლიანი ბალანსის დადგენის საშუალებები ერთი მხრივ, ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებსა და მეორე მხრივ, მესამე პირთა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაარსით. ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა ნაწილი იცავს ავტორის პიროვნულობას გამოხატულს ნაწარმოებში, ხოლო ნაწილი ავტორს აძლევს საშუალებას, აკონტროლოს ნაწარმოების გამოყენების საშუალება და ფარგლები (მაგ. ნაწარმოების გასაჯაროების, გამოხმობის და სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლება). ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა დანაწევრება, რიგ შემთხვევაში ხელოვნურ ხასიათს ატარებს და ართულებს უფლების მიმართ ერთიანი ხედვისა და კონცეფციის ჩამოყალიბებას (მაგ. სახელისა და ავტორობის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების შემთხვევაში). ხოლო რიგ შემთხვევაში, უფლების შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაწესდეს ცალკეულ პირად არაქონებრივ უფლებათა მოქმედების განსხვავებული ვადა და შეზღუდვის საფუძველი. კვლევა მიზნად ისახავს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა გაანალიზებას ერთმანეთთან ურთიერთკავშირისა და ცალკეულ უფლებათა შინაარსობრივი თავისებურების გათვალისწინებით.

კვლევის საფუძველზე, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ევროპულ სამართალთან პარმონიზაციის მიზნით, შემუშავებულია საკანონმდებლო ოკუმენდაციები საერთაშორისო სამართლის, საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის კანონდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის, ეროვნული კანონმდებლობის შესწავლის საფუძველზე.

წინამდებარე ნაშრომის შექმნის პროცესში გამოყენებულია როგორც ზოგად – სამეცნიერო, ასევე სპეციალური სამართლებრივი მეთოდები.

ზოგად–სამეცნიერო მეთოდებიდან აღსანიშნავია ისტორიული კვლევის მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გათვალისწინებით შესწავლილ იქნა საავტორო სამართლის აღმოცენების პირობები და ისტორიული განვითარების თავისებურებანი საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების რეგულირებაზე.

სპეციალური სამართლებრივი მეთოდებიდან აღსანიშნავია: დოგმატური და ნორმატიული მეთოდი. კვლევის პროცესში უპირატესად გამოყენებულ იქნა შედარებითი მეთოდი. განხორციელდა ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა შედარებითი ანალიზი საერთაშორისო სამართლის აღიარებულ პრინციპებთან, საერთო სამართლის ქვეყნების (ძირითადად ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის) და კონტინენტური ევროპის ქვეყნების (ძირითადად გერმანიისა და საფრანგეთის) საავტორო სამართლთან.

ნაშრომი, ასევე, ეფუძნება სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადების მეთოდს. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები შესწავლილია ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მაგალითზე. ნაშრომის ცალკეულ თავებში აღნიშნული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები ევროპული საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზეა განხილული.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი ეხება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ადგილს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სისტემაში. განხილულია საავტორო სამართლის მონისტური და დუალისტური კონცეფციები; საავტორო სამართლის დაცვის ობიექტები და მათი დაცვის კრიტერიუმები საერთაშორისო სამართლის, კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების, ასევე საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია საავტორო უფლებათა კლასიფიკაციის საფუძვლები- საავტორო უფლებების დაყოფა ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებად; საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ავტორის პირადი და ეკონომიკური ინტერესი, როგორც ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებათა კლასიფიკაციის საფუძველი; ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების სუბიექტები - საავტორო უფლების მფლობელი, ავტორი და მისი უფლებამონაცვლე. გაანალიზებულია ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა ურთიერთკავშირი და განმასხვავებელი ნიშნები ავტორის ქონებრივ უფლებებთან. ასევე ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების კლასიფიკაცია ნეგატიურ და პოზიტიურ უფლებებად, მოქმედების ვადის მიხედვით, და იმ ინტერესის გათვალისწინებით, რომელიც ავტორს გააჩნია კონკრეტული უფლების დაცვისა თუ განხორციელების მიმართ. აღნიშნული კლასიფიკაციის საფუძველზეა დაჯგუფებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ნაშრომის მომდევნო თავებში.

ნაშრომის მესამე თავი ეთმობა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების ადგილს სამოქალაქო სამართლით დაცულ არაქონებრივ

უფლებათა შორის. განხილულია პირად არაქონებრივ უფლებათა ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები და გაანალიზებულია მსგავსება და განსხვავება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებსა და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებს შორის, კერძოდ, წარმოშობის საფუძვლების, სუბიექტების, მოქმედების ვადების, უფლებათა დაცვისა და განხორციელების თვალსაზრისით.

ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, დაკავშირებული ავტორობისა და სახელის უფლების პატივისცემასთან. გაანალიზებულია განსხვავება ავტორობისა და სახელის უფლებას შორის. საქართველოს საავტორო სამართალი შედარებულია საავტორო სამართლის საერთაშორისო პრინციპებთან და კონტინენტური ევროპის საავტორო სამართალთან. ანალიზის საფუძველზე ხაზგასმულია “საავტორო და მომიჯავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის ნაკლოვანებები.

ნაშრომის მეხუთე თავი ეთმობა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებს, დაკავშირებულს ნაწარმოების აღქმასთან და მთლიანობის უფლების დარღვევასთან - ნაწარმოების ხელშეუხებლობის, რეპუტაციის პატივისცემისა და ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოების (წინასიტყვაობის, ბოლოსიტყვაობის, ილუსტრაციის) დართვის უფლება. ევროპული სამართლის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ხაზგასმულია საქართველოს საავტორო სამართლის ნაკლოვანება, რომელიც ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას ორ უფლებად ანაწევრებს და ორ აყალიბებს ერთიან ხედვას, ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევა დამოკიდებული არის თუ არა ავტორის პატივის დაცვაზე. ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ასევე განხილულია თუ რომელი ქმედება ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად და ხაზგასმულია “საავტორო და მომიჯავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის ტერმინოლოგიური უზუსტობები. ევროპული საავტორო სამართლის საფუძველზე, განხილულია ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის საფუძვლები და მისი ბალანსის დამყარების პრობლემა მესამე პირთა უფლებებთან და საზოგადოებრივ იტერესებთან.

ნაშრომის მეექვეს თავი ეხება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს დაკავშირებულს, ნაწარმოების ბედოან - ავტორის უფლება გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი და ნაწარმოების გამოხმობის უფლება. განხილულია ევროპული სამართლით აღიარებული ნაწარმოების გამოხმობის უფლების შეზღუდვის ის საფუძვლები, რომელსაც არ ითვალისწინებს საქართველოს საავტორო სამართალი. შემუშავებულია რეკომენდაციები აღნიშნული უფლების შეზღუდვის და უფლებათა ტერმინოლოგიური დახვეწის მიზნით.

1. საავტორო უფლება როგორც „ინტელექტუალური საკუთრება“ და საავტორო სამართლით დაცვადი ნაწარმოები

საავტორო უფლებები ინტელექტუალურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება. იგი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილ ნაწარმოებებზე წარმოიშობა.

საავტორო უფლებები დაცულია 1886 წლის „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციით და საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ერთმანეთისაგან მიჯნავს ავტორის ქონებრივსა და პირად არაქონებრივ უფლებებს. კანონის მე-17 მუხლი იცავს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს: ავტორიბის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობის, რეპუტაციის პატივისცემის, ნაწარმოების გამოხმობის, ნაწარმოებზე სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვისა და ავტორის უფლებას გადაწყვიტოს როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით რეგულირებულია ქონებრივი უფლებები ანუ ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება. კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დაომობის შემთხვევაშიც.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით, არ არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. ეს უფლებები იმდენადაა დაკავშირებული პიროვნებასთან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებების მსგავსად, შეუძლებელია მათი გადაცემა. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები პირად არაქონებრივ უფლებათა სისტემაში საკუთარ ადგილს იკავებს და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად, სამოქალაქო კოდექსითაც რეგულირდება.

საავტორო უფლებათა ადგილს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სისტემაში უფლებათა ობიექტები და სუბიექტი განაპირობებს. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ორ შტოდ იყოფა - საავტორო სამართალი და სამრეწველო საკუთრების სამართალი. ეს ორი შტო ერთმანეთისაგან უმთავრესად იმ ობიექტებით არის გამოიჯნული, რომლებიც შეადგენენ საავტორო ან სამრეწველო საკუთრების დაცვის საგანს. ინტელექტუალური საკუთრების არც ერთ სხვა ობიექტზე არ ვრცელდება პირადი არაქონებრივი უფლებები იმ მასშტაბით, როგორც ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე. საავტორო სამართლის წინაშე დგას ამოცანა დადგინდეს საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი, რომელიც, ერთი მხრივ, არ იქნება ზემდებად მკაცრი, რათა სამართლის წინაშე არ დადგეს გადაუჭრელი ამოცანა განსაზღვროს, რა არის “ნამდვილი შემოქმედება”, ხოლო მეორე

მხრივ, არ უნდა იყოს ზედმეტად ფართო, რათა საავტორო სამართალი არ გასცდეს ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებზე უფლებათა დაცვას.

ავტორის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები საავტორო უფლებათა ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია, თუმცა ამ უფლებათა შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა უფლებათა რეგულირებისა და დაცვის, დროსა და სივრცეში მოქმედებისა და სუბიექტების თვალსაზრისით.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების სრულფასოვანი ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ამ უფლებათა განხილვა არა მხოლოდ პირად არაქონებრივი უფლებათა სისტემაში, არამედ ინტელექტუალურ საკუთრებასთან და ავტორის ქონებრივ უფლებებთან ურთიერთკავშირში, უფლებათა ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით, რასაც ეძღვნება ნაშრომის პირველი თავი.

1.1. საავტორო უფლებები, როგორც ინტელექტუალური საკუთრების შემადგენელი ნაწილი

ინტელექტუალური საკუთრება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია და ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

სამოქალაქო კოდექსის მე4 წიგნი ეძღვნება ინტელექტუალურ საკუთრებას, თუმცა კოდექსი არ იცნობს ამ ცნების განმარტებას.

ინტელექტუალურ საკუთრებას, იურიდიულ ლიტერატურაში განმარტავენ, როგორც კერძო სამართლებრივ უფლებას, რომლის საგანიცაა ინტელექტუალური (გონიერივი) შემოქმედების შედეგად შექმნილი ან ეკონომიკურ ურთიერთობაში პირველად ჩართული ობიექტები¹.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები რომის სამართლის ნივთების ტრადიციული დაყოფის მიხედვით უსხეულო ნივთებს (res incorporales) მიეკუთვნება და სხეულებრივ ნივთებთან (res corporales) ერთად ქონების საერთო ცნებაშია მოქცეული. სხეულებრივ ნივთებს უსხეულო ნივთებისაგან ზუსტად გამოხატული ფიზიკური ფარგლები განასხვავებთ. მართალია, ინტელექტუალური ქმნილების ფარგლების დადგენა შესაძლებელია მათი მატერიალური მატარებლის ფარგლებიდან გამომდინარე, თუმცა, ინტელექტუალური საკუთრება ქმნილებაზე უფლებებია და არა თავად ნივთი, რომლითაც ქმნილებაა გამოხატული, ვინაიდან ნივთის გასხვისების შემთხვევაშიც ავტორს რჩება უფლებები ნაწარმოებზე. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომლითაც გამოხატულია ნაწარმოები.

ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები ინტელექტუალურ-შემოქმედებით უფლებებს განეკუთვნება და შესაბამისად,

¹ ძაბუკა შვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2006, 17.

ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს. ავტორის ქონებრივი უფლებები არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს მიეკუთვნება და იგი ლოგიკურ ადგილს პოლიტიკის ინტელექტუალური საკუთრების სისტემაში. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებიც საავტორო სამართლით რეგულირდება. საავტორო სამართალი ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად, ეს უფლებებიც ინტელექტუალურ საკუთრებასთან კავშირში უნდა იყოს განხილული, მიუხედავად მათი არაქონებრივი ხასიათისა.

საავტორო უფლებათა დაყოფას ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებად საფუძველი ჩაეყარა ინტელექტუალური საკუთრების საკანონდებლო ნორმებით დაცვასთან ერთად. ინტელექტუალურ საკუთრებად და საავტორო უფლებებად XX საუკუნემდე მხოლოდ ქონებრივი უფლებები ითვლებოდა. ინტელექტუალური ქმნილების საკუთრებად გამოცხადებას 1710 წელს ინგლისში დედოფალ ანას სტატუტით ჩაეყარა საფუძველი². 1789 წლის მასაჩუსეტის შტატის კანონის პრეამბულაში ხაზგასმული იყო, რომ არ არსებობს სხვა სახის საკუთრება, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შეიძლება იყოს ადამიანის კუთვნილება, ვიდრე მისი გონებით შექმნილი პროდუქტი³.

საფრანგეთში, 1791 წლის დეკრეტების მიხედვით, შემოქმედებითი ქმნილებები აღიარებული იქნა ინტელექტუალურ საკუთრებად. მეცნიერთა მიერ მოხდა ლეშაპელიეს ცნობილი სიტყვების გაზიარება საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, რომ ეს არის ყველაზე წმინდა, ყველაზე პიროვნული სხვა ტიპის საკუთრებათა შორის⁴. ამგვარად დაიწყო განვითარება ევროპაში ინტელექტუალური საკუთრების პროპრიეტარულმა თეორიამ⁵.

მეცნიერებაში მოგვიანებით, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა პოზიცია, რომ მხოლოდ პროპრიეტარულ თეორიას არ შეიძლება დაეყრდნოს ინტელექტუალური საკუთრების სამართალი და იგი საკუთრებით უფლებებთან ერთად პირად არაქონებრივ უფლებებსაც მოიცავს. ამ პოზიციას საფუძვლად დაედო იმანუელ კანტის თეორია, რომლის თანახმადაც, ავტორთა უფლებები პირადი ანუ პიროვნულობისაგან განუყრელი უფლებებია⁶.

ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერთაგან აღსანიშნავია იოზეფ კოლერი, რაღგან მან მატერიალური ქონებისა და არამატერიალური ობიექტებისაგან გამოყო პერსონალური უფლებები. კოლერმა უარყო ტერმინი „ქონება“ არამატერიალურ უფლებებთან კავშირში, რათა არ მომხდარიყო ამ ორი კატეგორიის აღრევა. კოლერი პატენტს მიაკუთვნებდა არამატერიალურ ობიექტებს, ხოლო საავტორო უფლებათა ნაწილს პირად არაქონებრივ უფლებებს. იგი

² Deazley, Rethinking Copyright, history, theory, language, Cornwall, Bodmin, 2006, 13.

³ დამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 113.

⁴ Lypszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 29.

⁵ ტერმინის ფუძეა ინგლისური სიტყვა property. ქართულად ქონება, საკუთრება. იხ. მაისურაძე/ნინიკაშვილი, თანამედროვე ლექსიკონი ინგლისურ-ქართული & ქართულ-ინგლისური, თბილისი, 2007, 275.

⁶ Roger, Immanuel Kant's Moral Theory, Cambridge, 2000, 117.

განასხვავებდა ავტორის ეკონომიკურ უფლებებს, როგორც გადაცემად, არამატერიალურ ობიექტში გამოხატულ უფლებებს და ავტორის პიროვნულ უფლებებს⁷.

ავტორის პიროვნული უფლებები ყველაზე ფართო მასშტაბით ლიტერატურულ, მხატვრულ და მეცნიერულ ნაწარმოებებზე გავრცელდა. საავტორო სამართლით დაცულ ობიექტებს შემოქმედებითობისა და ინდივიდუალიზმის მაღალი შემცველობა განასხვავებთ ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტებისაგან, მაგ. გამოგონება, დიზაინი, ნოუ-ჰაუ, სელექციური მიღწევა და ა.შ. ინტელექტუალური სამართლის სხვა ობიექტებზე, მაგალითად გამოგონებაზე, შესრულებაზე ავტორს მხოლოდ ერთი პირადი არაქონებრივი უფლება, სახელის უფლება გააჩნია. ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორებს კი კანონი ანიჭებს უფლებამოსილებათა ფართო საქმეზე, რომლებიც დაკავშირებულია არა მხოლოდ ავტორის სახელისა და რეპუტაციის დაცვასთან, არამედ ავტორს აძლევს შესაძლებლობას აკონტროლოს, როდის, რა ფორმით, რომელი ილუსტრაციისა თუ ნაწარმოებების დართვით და რა კონტექტში იხილავს საზოგადოება მის ნაწარმოებს.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნით. ისინი ვერ იარსებებს საავტორო სამართლის ობიექტის გარეშე და მათი მთავარი მიზანიც, ავტორის ქონებრივი უფლებების მსგავსად, ნაწარმოების “ბედის” კონტროლია. სწორედ ამიტომ, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები უნდა განვიხილოთ საავტორო სამართლის სხვა უფლებებთან, ინტელექტუალური საკუთრების ცნებასთან კავშირში.

საავტორო უფლებათა დაცვის ერთიანი სისტემის მიუხედავად, რამდენად შეიძლება პირადი არაქონებრივი უფლებები მივაკუთვნოთ ინტელექტუალურ საკუთრებას? საკუთრება, ქონებრივი უფლებაა და შესაბამისად, პირადი არაქონებრივი უფლებები, ანუ ის უფლებები, რომლებიც არ შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი, არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს საკუთრებით უფლებებს. საავტორო სამართალი კი ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შემადგენელი ნაწილია. თუკი ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს არ მივაკუთვნებთ ინტელექტუალურ საკუთრებას, მაშინ მათი რეგულირება ინტელექტუალური საკუთრების სამართლით საფუძველს არის მოკლებული. რა ტერმინი შეიძლება იყოს გამოყენებული, რომელიც თავის თავში მოიცავს, ინტელექტუალურ-შემოქმედებით, ქონებრივსა და არაქონებრივ უფლებებს? ევროპელ იურისტთა ნაწილს მისაღებ ტერმინად მიაჩნიათ ინტელექტუალური უფლებების და შემოქმედებითი უფლებების სამართალი⁸. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებენ ქართველი მეცნიერებიც და „ინტელექტუალური საკუთრების სამართალს“ ამჯობინებენ ტერმინს „ინტელექტუალური უფლებების სამართალი“, ვინაიდან ამ შემთხვევაში

⁷ Kohler, Das Autorrecht, eine zivilistische Abhandlung: Zugleich ein Beitrag zur Lehre vom Eigentum, vom Miteigentum, vom Rechtsgeschäft und vom Individualrecht, Harvard University, 1880, 142. ob. Beverley-Smith/ Ohly/ Lucas, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 129.

⁸ Sterling, Creators Right and the Bridge Between Author's Right and Copyright, IIC 03/1998, 302-308.

ქონებრივი უფლება – ინტელექტუალური საკუთრება თავის ადგილს ადვილად მონახავს და სისტემა ყოველმხრივ მწყობრი გახდება⁹. ქართველი იურისტი დავით ძამუკაშვილი მიიჩნევს, რომ “შემოქმედთა უფლებები”, ანუ “შემოქმედებითი უფლებები” სინონიმია ჯერ კიდევ ედმონ პიკარის მიერ შემოთავაზებული “ინტელექტუალური უფლებებისა”. ეს ტერმინი მოიცავს და ესადაგება არამარტო საავტორო უფლებებს, არამედ ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სხვა უფლებებსაც და საკანონმდებლო ტერმინად ყველაზე მეტად ხელსაყრელია. ინტელექტუალური შემოქმედება ერთ შემთხვევაში საავტორო, ხოლო მეორე შემთხვევაში კომერციული. შესაბამისად, როდესაც ქონებრივი უფლებების სამართალზე იქნება გაკეთებული აქცენტი, უნდა გამოვიყენოთ “ინტელექტუალური საკუთრების სამართალი”, ხოლო საერთო ტერმინად, როდესაც პირადი არაქონებრივ უფლებებთან ერთად, ქონებრივი უფლებები გვაქვს მხედველობაში ზუსტი იქნება “ინტელექტუალური უფლებების სამართალი”¹⁰.

1.1.1. ინტელექტუალური საკუთრების ცნება და ისტორიული განვითარება

ინტელექტუალური საკუთრების სისტემაში ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა ადგილისა და მნიშვნელობის საზღვრისათვის აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების ცნების განმარტება, სხვა სახის საკუთრებისაგან მისი განმასხვავებელი ნიშნების დადგენა და ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ისტორიული განვითარების მიმოხილვა, ინტელექტუალური საკუთრების ცნებასთან კავშირში.

ინტელექტუალური საკუთრების არსში გასარკვევად, მიზანშეწონილია საკუთრების ცნების, მისი ძირითადი ნიშნების განხილვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი საკუთრების შინაარსს შემდეგნაირად განმარტავს: მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

ინტელექტუალურ საკუთრებას სანივთო საკუთრებისაგან, პირველ რიგში, ობიექტი განასხვავებს. ინტელექტუალური საკუთრება სანივთო საკუთრებისაგან განსხვავებით, ხელოვნულად დადგენილი უფლებაა და არბუნებრივად წარმოჩენილი. მისი არსი და განვენილობა მხოლოდ შესაბამისი კანონის ნორმებიდან შეიძლება გაირკვეს, ხოლო ობიექტის თავისებურებების მიხედვით, საკანონმდებლო ნორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება მოცულობით, არსითა და ფარგლებით.¹¹

ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება“ საერთაშორისოდ აღიარებულ ტერმინად დამკვიდრდა 1967 წელს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის მიღების შემდეგ.

⁹ ძამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 246.

¹⁰ ძამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 246.

¹¹ ძამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 112.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის აუცილებლობას ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო) შემდეგი მიზეზებით ხსნის: მიეცეთ საკანონმდებლო გამოხატულება შემოქმედთა ეკონომიკურ და მორალურ უფლებებს მათ ქმნილებებთან დაკავშირებით და საზოგადოების წევრებს პქნონდეთ საშუალება ნაწარმოებებს დაუბრკოლებლად გაეცნონ; სამართლებრივი წესრიგის დამყარების გზით სახელმწიფომ ხელი შეუწყოს შემოქმედებას, მისი შედეგების გავრცელებასა და გამოყენებას; წაახალისოს კეთილსინდისიერი ვაჭრობა, რაც თავის წვლილს შეიტანს სოციალურსა და ეკონომიკურ განვითარებაში¹². სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლებები შედარებით გვიან იქნა აღიარებული ინტელექტუალური საკუთრების შემადგენელ ნაწილად.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების საკანონმდებლო წესით დაცვა კონტინენტურ ევროპაში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. საერთო სამართლის ქვეყნებში მე-20 საუკუნის მიწურულს აღიარეს ავტორის მორალური უფლებები, რასაც წინ უსწრებდა საერთაშორისო დონეზე ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. შემოქმედთა უფლებების განვითარებაზე პოზიტიური გავლენა იქნია „ინტელექტუალურ უფლებათა“ თეორიამ, რომელიც ბელგიელი ურისტს ეძმონ პიკარს ეკუთვნის. ამ თეორიით შემოტანილ იქნა სამართლურთიერთობათა ახალი კატეგორია, რომელსაც ინტელექტუალური უფლებები წარმოშობს.¹³

დღეისათვის ბერნის კონვენციას 164 ქვეყნა არის მიერთებული და ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებიც დაცულია ამ ქვეყნების კანონმდებლობით. მათ შორისაა კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებიც.¹⁴

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების აღიარებას ინტელექტუალური საკუთრების შემადგენელ ნაწილად, განსხვავებული სამართლებრივი თუ ფილოსოფიური საფუძველი პქნონდა კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების განსხვავებულმა ისტორიულმა განვითარებამ ასახვა ჰპოვა ინტელექტუალური საკუთრების სისტემაში ამ უფლებათა ადგილის განსაზღვრაზეც.

საავტორო სამართლი კონტინენტურ ევროპაში რომაული სამართლის კონცეფციის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომელიც ეფუძნებოდა ავტორის ინტელექტუალურ და შემოქმედებით პატივისცემასა და პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლას. კონტინენტური ევროპის საავტორო სამართლი ასევე დაეყრდნო კანტისა და პეგალის ფილოსოფიას, რომლის თანახმადაც, ავტორობა არის ავტორის თვითგამოხატვის, რეპუტაციისა და პიროვნულობის ასახვა. ხოლო ინგლისში საავტორო სამართლის ჩამოყალიბებას საფუძვლად ედო გამომცემელთა ინტერესი უკანონო ბეჭდვის წინააღმდებ¹⁵.

¹² Intellectual Property, Reading Materials, WIPO Publication No. 476 (E), WIPO, 1998, 3.

¹³ ძამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 112.

¹⁴ Colson/ Middleton, Modern Intellectual property Law, London, 2005, 387.

¹⁵ Colson/ Middleton, Modern Intellectual property Law, London, 2005, 387.

საერთო სამართლის ქვეყნებში, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინტელექტუალურ საკუთრებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ ქონებრივი უფლებები მიიჩნეოდა. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა არა ინტელექტუალური საკუთრების სამართლით, არამედ საერთო სამართლის საფუძველზე ხორციელდებოდა.¹⁶ ტერმინი საავტორო სამართლიც უცხოა ამ ქვეყნებისათვის. copyright¹⁷ სიტყვა-სიტყვითი თარგმანით ასლის გადაღების უფლებას გულისხმობს და არ მოიცავს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს. ინტელექტუალური საკუთრების ამგვარი გაგება აახლოებდა ინტელექტუალურ და სანივთო საკუთრებას და აადგილებდა საკუთრების ცნების ერთიანობის აღიარებას.

XX საუკუნის მიწურულს საერთო სამართლის ქვეყნებმა შეიცვალეს ტრადიციული დამოკიდებულება ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებებისადმი. ბერნის კონვენციისთან კანონმდებლობის შესაბამისობაში მოვანის მიზნით, იძულებულნი გახდნენ საავტორო სამართლის კანონმდებლობა შევვსოთ პირადი არაქონებრივი უფლებების დამცველი ნორმებით, რათა იზოლირებული არ აღმოჩენილიყვნენ საერთაშორისო თანამშრომლობისაგან.¹⁸

კანონები, რომელიც ავტორთა პირადი-არაქონებრივი უფლებების დაცვას შეეხებოდა ბრიტანეთსა და ავსტრალიაში 1988-2000 წლებში მიიღეს. ინგლისის კანონმდებლობაში 1988 წელს შევიდა ცვლილება, რომელიც ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს იცავდა. აშშ-ში 1995 წელს იქნა მიღებული სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორთა უფლებების დაცვის აქტი, რომელმაც მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე აღიარა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები. კანადაში მორალური უფლებების დაცვა 1991 წლიდან დაიწყო. 1998 წელს შემუშავდა ერთიანი კანონპროექტი, რომელიც პირად არაქონებრივ უფლებებს აღიარებდა, ხოლო 2005 წლიდან აღიარებული იქნა დამდგმელთა/რეჟისორთა პირადი არაქონებრივი უფლებებიც.¹⁹ საბოლოოდ, საერთო სამართლის ქვეყნები მაინც დარჩენენ ტრადიციული შეხედულების მიმდევრები, რომ ინტელექტუალური საკუთრება ქონებრივი უფლებებია და ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები შეზღუდული სახით გაავრცელეს, ძირითადად, მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე.

პირადი არაქონებრივი უფლებების განვითარებამ სხვაგვარი ისტორიული გზა განვლო კონტინენტური ევროპის ქვეყნებში და ინტელექტუალური საკუთრების სისტემაშიც მნიშვნელოვანი აღგილი დაიმკვიდრა.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები კონტინენტური ევროპის ქვეყნებში მორალური უფლების სახელითაა ცნობილი. მორალური

¹⁶ Toshiko Takenaka, Intellectual Property in Common Law and Civil Law, UK 2013, 132.

¹⁷ ქაისურაძე/ხუნიკა შვილი, თანამედროვე ლექსიკონი ინგლისურ-ქართული & ქართულ-ინგლისური, თბილისი, 2007, 72, 315.

¹⁸ Takenaka, Intellectual Property in Common Law and Civil Law, UK, 2013, 137.

¹⁹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 15.

უფლებების სამშობლოდ საფრანგეთია მიჩნეული. ტერმინი „მორალური უფლებებიც“ (droit moral) საფრანგეთში ჩამოყალიბდა, რის შემდეგაც იგი კონტინენტური ევროპის ქვეყნებმა გაიზიარეს.²⁰ „მორალური უფლება“ პირველად გაჩნდა 1957 წლის საავტორო უფლებათა დაცვის კანონში. XX საუკუნის მეორე ნახევრამდე საფრანგეთში საავტორო უფლებები რეგულირდებოდა 1791-1793 წელს მიღებული კანონებით, რომელიც ცნობდა ლიტერატურულ და სახელოვნებო (მხატვრულ) საკუთრებას. 1921 წელს მარსელ ფლაიზანგის შემუშავებული კანონპროექტი წარედგინა საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეას. კანონპროექტის მიხედვით, მორალური უფლებები უნდა ჩამატებულიყო 1791-1793 წლის საავტორო უფლებათა მარეგულირებელ კანონებში, ავტორს ეკონომიკურ უფლებებთან ერთად უნდა ჰქონდა უფლება ეკონტროლებინა ნაწარმოების გამოცემა და გამოქმო იმ სახით გამოცემული ნაწარმოები, რომლითაც ილახებოდა მისი რეპუტაცია.²¹

საფრანგეთის სასამართლოები მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდეც არ ერიდებოდნენ მორალური უფლებების დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ, კანონმდებლობაში არ არსებობდა სპეციალური ნორმები. ფრანგული სასამართლოები ეყრდობოდნენ რომის სამართლის საფუძვლებს, რომელთაც თავისი პრეტორიანული ფორმულა ჰქონდათ ჩამოყალიბებული ისეთი პრინციპების მიმართ, როგორიცაა პატიოსნება და სამართლიანობა.²²

საფრანგეთის შემდეგ პირველი ქვეყანა გერმანია იყო, სადაც 1966 წელს კანონით იქნა აღიარებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები. გერმანიაშიც, საფრანგეთის მსგავსად, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაზე საუბარი. 1928-1929 წლებში შეიკრიბა გერმანიასა და ავსტრიაში მეცნიერების სფეროში მოღვაწე ოცდათოთხმეტი იურისტი. შეკრების მიზანი იყო ავტორის პიროვნული ინტერესების და პირველ რიგში, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების საკანონმდებლო დაცვის გარანტიების განხილვა. ოცდათოთხმეტი წარმომადგენლიდან მხოლოდ ხუთმა დაუჭირა მხარი გერმანიის საავტორო სამართლით პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას. საბოლოოდ, საკითხი დადგებითად მხოლოდ 1966 წელს გადაწყდა.²³

მიუხედავად იმისა რომ, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები კონტინენტური ევროპის ყველა ქვეყნის საავტორო სამართლითაა დაცული, აღნიშნულ ქვეყნებში განსხვავებული პოზიციაა, მიეკუთვნება თუ არა ეს უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებას. შეხედულებათა განსხვავებას საფუძვლად უდევს ის ინტერესი, რომელსაც აკმაყოფილებს ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები - ინტელექტუალური, პიროვნული თუ ეკონომიკური. რას ემსახურება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების

²⁰Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 163.

²¹Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 16.

²²Chormecek/McCormack, World Intellectual Property Guidebook, Canada, 1991.. & 7c. 7-19.

²³Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 168.

დაცვა, ავტორის მხოლოდ პირადსა და ინტელექტუალურ, თუ ეკონომიკურ ინტერესებსაც? სწორედ ამ განსხვავებათა საფუძველზე ჩამოყალიბდა საავტორო სამართლის მონისტური და დუალისტური თეორიები.

1.1.2. საავტორო სამართლის მონისტური და დუალისტური თეორიები

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ინტელექტუალური საკუთრების სისტემაში მოქცევასთან ერთად, აქტუალური გახდა საკითხი, თუ რამდენად არის ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები „წმინდად“ პიროვნეული უფლებები. რას იცავს იგი, ავტორის მხოლოდ პირად თუ ეკონომიკურ ინტერესებაც?

საბჭოთა მეცნიერთა ნაწილს მიაჩნდა, რომ ავტორის არაქონებრივ უფლებებზე ტერმინების „პირადი უფლებები“ და „პირადი არაქონებრივი უფლებები“ გავრცელება არ არის მიზანშეწონილი. რასი მეცნიერი კაბატოვი ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს ორ ნაწილად ყოფს: პიროვნეული, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ავტორის პიროვნებასთან და განუყოფელია მისგან და მეორე, რომელსაც არა აქვს ამგვარი მჭიდრო კავშირი ავტორთან, მიზნად ისახავს ავტორის ქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას და შესაძლებელია, გადაეცეო მესამე პირებს.²⁴

საავტორო სამართლის მკვლევარი ადოლფ დიცი აღნიშნავს, რომ ევროპულ სამართალში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ემსახურება, თუ არა, ქონებრივი ინტერესების დაცვას. ევროპულ საავტორო სამართალში მორალური უფლებებს შორის განსხვავება და მათი დაცვის სხვადასხვა რეჟიმი სწორედ ამ ფაქტორით აიხსნება.²⁵

გერმანული სამართალი იზიარებს მიდგომას, რომლის თანახმადაც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორის ეკონომიკურ ინტერესებს იცავს და შესაბამისად, ავტორის ქონებრივ უფლებებთან ერთად, მათ სრულფასოვანი ადგილი უკავიათ ინტელექტუალური საკუთრების სისტემაში. უფლებათა ორმაგი დანიშნულების გამო, საავტორო უფლებებს პირად არაქონებრივ-ქონებრივ უფლებათა კომბინირებულ კატეგორიადაც მოიხსენიებენ.²⁶

იმ ინტერესების განსხვავებული ხედვის შედეგად, რომლის დაცვაც საავტორო სამართლის მიზანს წარმოადგენს, კონტინენტურ ევროპაში ჩამოყალიბდა საავტორო სამართლის მონისტური და დუალისტური თეორიები.

დუალისტური თეორია, პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს შორის მჭიდრო კავშირის აღიარებასთან ერთად, მათ მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან. ხოლო მონისტური თეორიის თანახმად, ავტორს გააჩნია ორად გაყოფილი, მაგრამ ერთიანი საავტორო უფლება, რომელიც

²⁴ Кабатов, Советское авторское Право на произведения изобразительного искусства, Москва, 1954, 7.

²⁵ Diets, Copyright Law in the European Community, The Netherland, 1978, 66.

²⁶ Lyszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 35.

ემსახურება ავტორის, როგორც პიროვნული ასევე ქონებრივი უფლებების დაცვას. მონისტური თეორიის თანახმად, ქონებრივი უფლებები ავტორის ინტელექტუალურ ინტერესებსაც იცავს, ხოლო პირადი არაქონებრივი უფლებები ფინანსურ ინტერესებსაც.²⁷ ამ მხრივ თვალსაჩინოა განსხვავება ფრანგულსა და გერმანულ საავტორო სამართალს შორის.

ფრანგულ სამართალში ავტორის ქონებრივი უფლებები განიხილება როგორც საკუთრების უფლება, ხოლო პირადი არაქონებრივი უფლებები მიეკუთვნება პიროვნულ უფლებათა რიცხვს.²⁸ სწორედ ამას უწოდებენ ფრანგულ სამართალში დამკვიდრებულ დუალისტურ კონცეფციას. დუალიზმის თეორიის თანახმად, ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები მკაცრადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან და მათი მიზანი განსხვავებული ინტერესების დაცვაა.²⁹

დუალისტური თეორიის მიმდევრები სვამენ კითხვას, თუ ავტორის რომელი უფლება უფრო მნიშვნელოვანია - ქონებრივი თუ პირადი არაქონებრივი? ფრანგ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საფრანგეთში მორალური უფლებები ყველა სხვა საავტორო უფლების წარმოშობის საფუძველია და ამ მიზეზით იგი ინტელექტუალური საცუთრების კოდექსის პირველივე მუხლშია განმტკიცებული ეკონომიკურ უფლებებამდე.³⁰ არაქონებრივი უფლებების წარმოშობა მართლაც უსწრებს წინ ქონებრივი უფლებების წარმოშობას, ვინაიდან ქონებრივი უფლებები მხოლოდ მას შემდეგ წარმოიშობა, რაც ავტორი განახორციელებს პირად არაქონებრივ უფლებას და გახდის ნაწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომს.

მონისტური თეორიის საუკეთესო ნიმუშია გერმანიის 1965 წლის კანონი საავტორო უფლებათა შესახებ.³¹ კანონის მე-11 პარაგრაფის თანახმად, საავტორო უფლება არის უფლება, რომელიც იცავს ორივე - ავტორის ეკონომიკურ და იდეალურ ინტერესებს. ულმერის ცნობილი მეტაფორის მიხედვით საავტორო უფლებები შეიძლება შევადაროთ ხის ერთიან ტანს ორი ფესვით - ერთი მიეკუთვნება ქონებას, ხოლო მეორე პიროვნულობის გამოხატულებას - და ტოტებით, რომელთაგან ზოგიერთი იკვებება ერთი ფესვით, ხოლო ზოგიერთი კი ორივე ფესვით.³²

გერმანულ საავტორო სამართალში დამკვიდრებული მონისტური თეორიის თანახმად, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება - დაიცვას ნაწარმოები დამახინჯებისაგან და ქონებრივი უფლება ნაწარმოების გამოყენებაზე. ორივე მათგანი იცავს ერთი მხრივ, ავტორის პირად და ინტელექტუალურ ინტერესს და მეორე მხრივ, ავტორის ინტერესს ნაშრომის კომერციულ გამოყენებაზე. მონისტური თეორიის თანახმად, დებულებები, რომლებიც განსაზღვრულია ავტორის კომერციული ინტერესების დასაცავად ასევე გამოიყენება ავტორის პირადი

²⁷ *Diets*, Copyright Law in the European Community, The Netherland, 1978, 67.

²⁸ *Nèrisson*, Le droit moral de l'auteur décédé en France et en Allemagne, Paris 2003, 23.

²⁹ *Adeney*, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 170.

³⁰ *Nèrisson*, Le droit moral de l'auteur décédé en France et en Allemagne, Paris 2003, 170.

³¹ Urheberrechtsgesetz, 9 September, 1965. ხელმისაწვდომია: <<http://transpatent.com/gesetze/urhg.html>> {14.01.2014}.

³² *Ulmer*, Urheber-und Verlagsrecht,3rd edn, Berlin, 1980,116.

ინტერესების დასაცავად და პირიქით, ნორმები რომლებიც იცავს კომერციულ ინტერესებს შესაძლოა, გამოყენებულ იქნას არაქონებრივი მიზნებისთვისაც.³³

გერმანელი მეცნიერებისათვის სადავოა პირადი არაქონებრივი უფლებები წმინდად პერსონალურ უფლებებისადმი მიკუთვნების საკითხი, არა მხოლოდ მასში ჩადებული ეკონომიკური ინტერესების, არამედ განხორციელების თავისებურების გამო: ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს არა მხოლოდ დაცვის, არამედ განხორციელების უფლებაც გააჩნია.³⁴ ამგვარ უფლებებს მიეცუთვნება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, დაუროოს ნაწარმოებს სხვა პირთა ნაწარმოები და აშ. ამ უფლებათა განხორციელებით ავტორი ხშირ შემთხვევაში ქონებრივ სარგებელს ნახულობს და შესაბამისად, ეს უფლებები ავტორის ეკონომიკური ინტერესების დაცვას ემსახურება.

ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები ერთიანდება ერთი ქოლგის ქვეშ, რომელსაც ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებები ეწოდება. მართებულია გერმანულ საავტორო სამართალში დამკვიდრებული მონისტური თეორია, რომლის თანახმად, ავტორის თითოეული პირადი არაქონებრივი უფლების უკან, როგორც პიროვნული, ასევე ეკონომიკური ინტერესი დგას. შესაბამისად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები არ არის „წმინდად“ არაქონებრივი უფლებები, იგი ეკონომიკური ინტერესის მატარებელიცა.

იურიდიულ ლიტერატურაში, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ მომავალში ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები ერთიან უფლებებად გაერთიანდება და დაცვის ერთიანი რეჟიმის ქვეშ მოექცევა.³⁵

საავტორო სამართლის მონისტური თუ დუალისტური თეორიების მიუხედავად, დაცვის სხვადახვა რეჟიმი და პირობებია დაწესებული ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების რეგულირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ეკონომიკური ინტერესის მატარებელიცაა, ეს უფლებები ვერ იქნება სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. შესაბამისად, მათზე ტერმინის, „ინტელექტუალური საკუთრების“ გავრცელება მიზანშეუწონელია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ინტელექტუალურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება და ინტელექტუალური საკუთრების სამართლით რეგულირდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „უმჯობესია „ინტელექტუალური საკუთრების სამართლის“ ნაცვლად გამოიყენებოდეს ტერმინი „ინტელექტუალური უფლებების სამართლი“, რათა საავტორო სამართლით

³³ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 221.

³⁴ Metzger, Rechtsgeschäfte über das Droit Moral im deutschen und Französischen Urheberrecht, Munchen, 2002, 20.

³⁵ Wilkof/Basheer, Overlapping Intellectual Property Right, Oxford, 2012, 10-36.

დაცულმა პირადმა არაქონებრივმა უფლებებმა ინტელექტუალური საკუთრების სამართლით რეგულირებულ უფლებებს შორის შესაბამისი ადგილი დაიკავოს.

12. ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების ნაწარმოები

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავტორისა, უნივერსიტეტისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

საავტორო სამართლით დაცული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოების შექმნით წარმოიშობა. საავტორო უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია, ნაწარმოები არსებობდეს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა.

საავტორო სამართლის ობიექტები განაპირობებს ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებების მჭიდრო კავშირს. ამავე დროს სწორედ ობიექტები განასხვავებს ავტორის პირად არაქონებივ უფლებებს სამოქალაქო კოდექსით დაცული სხვა არაქონებრივი უფლებებისაგან.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლსა და „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მე-2 მუხლში მოცემულია ვრცელი ჩამონათვალი თუ რომელი ნაწარმოები მიეკუთვნება ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებებს. ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად ჩნდება ხელოვნების ახალი დარგები და საავტორო სამართალი აფართოებს დაცული ნაწარმოებების არეალს. XX საუკუნის პირველი ნახევრიდან საერთაშორისო საავტორო სამართლით კინემატოგრაფიისა და ფოტოგრაფიის ნაწარმოებების დაცვა დაიწყო. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საავტორო სამართლით დაცვას დაექვემდებარა სატელევიზიო გადაცემები. XX საუკუნის მიწურულს საავტორო უფლებები გავრცელდა კომპიუტერულ პროგრამებზეც.

გონებრივი შრომის ყოველი შედეგი, რომელსაც თავად ავტორი მიიჩნევს ლიტერატურის, ხელოვნების ან მეცნიერების ნაწარმოებად რასაკირველია, არ წარმოშობს საავტორო უფლებებს. საავტორო სამართლის ნაწარმოების დაცვის ობიექტად ქცევისათვის აუცილებელია ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოები აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, კრიტერიუმებს. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენცია ადგენს საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის მინიმალურ კრიტერიუმს, ორიგინალობას. ნაწარმოების დაცვის დამატებითი კრიტერიუმები ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმად

ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობა სახელდება. კრიტერიუმის განმარტება სასამართლოს კომპეტენციაა. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა მწირია აღნიშნულთან დაკავშირებით, არსებობს მხოლოდ ორი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმის განმარტებას შეეხება.

ნაშრომის შემდეგ თავში განხილული იქნება კონტინენტური ევროპის ქვეყნებსა და საერთო სამართლის ე.წ „კოპირაიტის“ ქვეყნებში დამკავიდრებული ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმები, სასამართლოს მიერ ამ კრიტერიუმთა განმარტება და მათი შედარება საქართველოს კანონმდებლობასთან და სასამართლო პრაქტიკასთან.

12.1. საერთაშორისო სამართლით დაცვადი ნაწარმოებები

საერთაშორისო დონეზე საავტორო უფლებებს იცავს 1886 წლის 9 სექტემბრის „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია“. ³⁶ ბერნის კონვენციას დღეისათვის მიერთებულია 164 ქვეყანა.³⁷

XX საუკუნის დასაწყისიდან, ტექნიკური პროგრესის განვითარებასთან ერთად, დინამიკურად ვითარდება ინტელექტუალური სამართალიც, საჭირო ხდება საერთაშორისო ნორმების გადახედვა და ახალი პრინციპების შემუშავება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბერნის კონვენცია არაერთხელ იქნა გადასინჯული. დაცული ნაწარმოებების სიას ბერნის კონვენციის ბერლინის რედაქციაში, 1908 წელს, დაემატა კინემატოგრაფიის, არქიტექტურის, ფოტოგრაფიის და პანტომიმის ნაწარმოებები. ხოლო სტოკოლმის რედაქციაში (1967 წ.) სატელევიზიო გადაცემები შერწყმული და გათანაბრებული იქნა კინემატოგრაფიულ ნაწარმოებებთან. ბერნის კონვენციის ბოლო რედაქცია შემუშავებულ იქნა 1971 წელს (პარიზის რედაქცია) და იგი არ ეხება კომპიუტერულ პროგრამებს, როგორც საავტორო სამართლით დაცვის ობიექტებს. საერთაშორისო საავტორო სამართლით კომპიუტერული პროგრამების დაცვას ითვალისწინებს ვაჭრობის თანმხევებით ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებების შესახებ 1995 წლის ხელშეკრულება.³⁸ აღნიშნული ხელშეკრულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ავალებს მონაწილე სახელმწიფოებს დაიცვან კომპიუტერული პროგრამები საავტორო სამართლით როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები.

ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: ტერმინი „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოები“ მოიცავს ყველა ნაწარმოებს

³⁶ „ლიტერატურის, მეცნიერებისა და მხატვრული ნაწარმოების ავტორთა უფლებების საერთაშორისო ამერიკული კონვენცია“, მიღებულია 1946 წლის 22 ივნისს.

ხელმისაწვდომია: <http://www.wipo.int/edocs/trtdocs/en/iac/trt_iac.pdf> {14.01.2014}.

³⁷ ქვეყნების ჩამონათვალი იხ. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ინტერნეტ გვერდზე< http://www.wipo.int/treaties/en>ShowResults.jsp?lang=en&treaty_id=15> {14.01.2014}.

³⁸ Agreement of Trade –Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS), April 15, 1994.

ხელმისაწვდომია <http://www.wto.org/english/tratop_e/trips_e/t_agm0_e.htm> {14.01.2014}.

ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში, როგორი საშუალებით და ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული. კონვენციაში მოცემულია ვრცელი ჩამონათვალი თუ კონკრეტულად რომელი ნაშრომი იგულისხმება ამ ტერმინში: მაგ. წიგნი, ბროშურა, ნახატი, ფერწერა და აშ. აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამოწურავი, რადგან მასში გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა, მიმართვა, ქადაგება და სხვა ამგვარი ნაწარმოები, კინემატოგრაფიული და კონემატოგრაფიულის ანალოგიური საშუალებით შექმნილი ნაწარმოები; ფოტოგრაფიული და ფოტოგრაფიულის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოები.

სამრეწველო საკუთრების სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც პირდაპირ ასახელებს დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებს, საავტორო სამართლი ანალოგიურ კრიტერიუმებს გამოკვეთილად არ მოიხსენიებს. ამგვარი მიღვიმა შეინიშნება, როგორც საერთაშორისო საავტორო სამართლის, ისე ეროვნული სამართლის დონეზე.³⁹

ბერნის კონვენციის კომენტარის მიხედვით: ნაწარმოების ხარისხი და ლირებულება არის სუბიექტური შეფასების საგანი და ამდენად, მას არ ენიჭება მნიშვნელობა ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმის გარკვევისას. სასამართლომ არ უნდა დაადგინოს ნაწარმოების სახელოვნობო ლირებულება, თუ კულტურული მნიშვნელობა. ასევე არა აქვს მნიშვნელობა ნაწარმოების შექმნის მიზანს: შექმნილია იგი საგანმანათლებლო, გამოყენებითი თუ კომერციული მიზნებისათვის.⁴⁰ ხელოვნების ნაწარმოების გამოყენებითი ხასიათი ასევე არ ახდენს გავლენას ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმის განსაზღვრაზე.⁴¹

ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თარგმანი, ადაპტაცია, მუსიკალური არანჟირება და ლიტერატურული ან მხატვრული ნაწარმოების სხვაგვარი გადაკეთება დაცულია ისევე, როგორც ორიგინალური ნაწარმოები, ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებების შეულახავად. ამგვარად, ნაწარმოების დაცვის ერთადერთ კრიტერიუმად ბერნის კონვენციაში ორიგინალობა სახელდება.

ინტელექტუალური დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ ბერნის კონვენციის კომენტარში ორიგინალობა შემდეგნაირად არის განმარტებული: ორიგინალობა არასოდეს არ უნდა იყოს არეული სიახლეში. თუკი ორი მხატვარი ხატავს ერთსა და იმავე პეიზაჟს, ისინი ქმნიან დამოუკიდებელ ნაწარმოებებს. მეორე ნახატი არ იქნება ახალი, ვინაიდან მასზე გამოსახული საგნები უკვე არსებობს პირველ ნახატზე. თუმცა, მეორე ნახატი ორიგინალურია, ვინაიდან ის ასახავს მისი შემქმნელის პიროვნულობას. ორიგინალობის გარკვევა და დადგენა სასამართლოს კომპეტენციაა.⁴²

³⁹ ძაბუქაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართლი, თბილისი, 2000, 25.

⁴⁰ Bogsch, Guide to the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works (Paris Act, 1971), Geneva, 1978,13.

⁴¹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 173.

⁴² Bogsch, Guide to the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works (Paris Act, 1971), Geneva, 1978, 17.

ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, საავტორო სამართალი არ ვრცელდება ახალ ამბებზე ან ცნობებზე სხვადასხვა მოვლენების შესახებ, რომელებსაც უბრალო პრეს-ინფორმაციის ხასიათი აქვს. კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება განსაზღვროს დაცვა, რომელიც ენიჭება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ოურიდიული ხასიათის ოფიციალურ ტექსტებსა და ასეთი ტექსტების ოფიციალურ თარგმანებს. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ იზიარებს ბერნის კონვენციის პრინციპს და საავტორო უფლებებს არ ავრცელებს ინფორმაციაზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ. საავტორო უფლებები ასევე არ ვრცელდება ოფიციალურ დოკუმენტებზე, სახელმწიფო სიმბოლოებზე (მუხლი მე-8) და იდებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, ადმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში (მუხლი მე-5).

საავტორო სამართალი იცავს არა იდეას, არამედ გამოხატვის ფორმას. მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ მომავალში იდეა (სამეცნიერო შედეგი) ასევე იქნება მიკუთვნებული დაცულ ობიექტთა რიცხვს.⁴³ უცილებელია, სწორად განიმარტოს, თუ რა იგულისხმება იდეის ქვეშ. თანამედროვე მსოფლიოში „ბესტსელერად“ ხშირად სწორედ იდეა აქცევს ნაწარმოებს. სატელევიზიო გადაცემებში მითითებულია ხოლმე იდეის ავტორი, რომელიც სწორედ გადაცემის იდეისათვის იდებს შესაბამის ანაზღაურებას. საინტერესოა ზღვარის გავლება იდეასა და გამოხატვის ფორმას შორის. მაგალითად, ნაწარმოების პერსონაჟის სახელი ან სიუჟეტი იდეას მიეკუთვნება, თუ გამოხატვის ფორმას? შესაძლებელია დღეს ვინმემ „პარი პოტერი“, ამბავი ჯადოქარ ბიჭუნაზე პოემის სახით დაწეროს, გაიმეოროს ნაწარმოების სიუჟეტი და ეს არ ჩაითვალოს საავტორო უფლებათა დარღვევად? ამ შემთხვევაში საქმე ნაწარმოების გადამუშავებასთან გვექნება, რაც ავტორის არა მხოლოდ პირადი არაქონებრივი, არამედ ქონებრივი უფლებების დარღვევასაც წარმოადგენს. ხშირად ორიგინალობით ნაწარმოების იდეა უფრო ხასიათდება, ვიდრე გამოხატვის ფორმა. იდეა, გამოხატული მატერიალური ფორმით წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს. შესაბამისად, იდეა რომელიც ხორცშესხმულია სატელევიზიო გადაცემის, პერსონაჟის სახელის, სიუჟეტის გზით და აკმაყოფილებს ორიგინალობის კრიტერიუმს დაცული უნდა იყოს საავტორო სამართლით. აღსანიშნავია, რომ „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ“ ბერნის კონვენცია არ შეიცავს დათქმას, რომლის მიხედვითაც იდეა არ წარმოადგენს საავტორო სამართლით დაცულ ობიექტს, ან, რომლის მიხედვითაც წევ ქვეყნებს ენიჭებათ უფლებამოსილება განსაზღვრონ აღნიშნული საკითხი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრების თანახმად, ერთ სიტყვაში გამოხატული ლიტერატურული ნაწარმოების ორიგინალური სათაურიც უნდა იყო დაცული საავტორო სამართლით.⁴⁴ მაგალითად,

⁴³ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 202.

⁴⁴ Макагонова, О Некоторых Проблемах Законодательства по Авторскому праву, Москва, 1996, 56.

როდესაც ავტორი იგონებს ახალ სიტყვას, როგორიცაა ანდერსენის „ნამცეცა”.⁴⁵ ასევე ავტორმა შეიძლება არ მოიგონოს ახალი სიტყვა, მაგრამ სიტყვას შესძინოს სხვა მნიშვნელობა, მაგალითად, დოსტოევსკის „იდიოტი”. ნაწარმოების ეს სათაურიც უნდა იყოს დაცული, როგორც საავტორო უფლების ობიექტი.

1.2.2. საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის ძირითადი კრიტერიუმები

„ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ“ ბერნის კონვენცია წევრ ქვეყნებს თავისუფლებას ანიჭებს განსაზღვრონ, თუ რომელი მატერიალური ფორმით განმტკიცებული ნაწარმოებია საავტორო სამართლით დაცვადი. ბერნის კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას უნარჩუნდებათ უფლება დააწესონ, რომ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოები ან მათი რომელიმე გარკვეული კატეგორია არ ექვემდებარება დაცვას, თუ რომელიმე მატერიალური ფორმით ისინი არ არიან განმტკიცებული. ბერნის კონვენცია ადგენს მხოლოდ დაცვის მინიმალურ კრიტერიუმს ორიგინალობას. საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის დამატებითი კრიტერიუმები წევრი ქვეყნების კანონმდებლობით განისაზღვრება.

რომელი ნაწარმოები მიეკუთვნება ლიტერატურასა და ხელოვნებას? რა არის ხელოვნება და ლიტერატურა? ამ საკითხის შესწავლა იურიდიული მეცნიერების ფარგლებს სცილდება და ესთეტიკის საგანია. სამართლებრივად ვერ დადგინდება ნაწარმოების დაცვის ზუსტი და ამომწურავი კრიტერიუმი. იმისათვის, რომ საავტორო სამართლი არ გასცდეს ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერების ნაწარმოებთა დაცვას, სამართლის წინაშე დგას ამოცანა, გარკვეული ნიშნით შეაფასოს ნაწარმოების შექმნაში შეტანილი შემოქმედებით-ინტელექტუალური წვლილი და დაცვის მინიმალური კრიტერიუმი დააწესოს.

ნაწარმოების დაცვის განსხვავებული კრიტერიუმებია დადგენილი საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. სევე, სასამართლოების მიერ განსხვავებულად განიმარტება ბერნის კონვენციით აღიარებული კრიტერიუმი, ორიგინალობა.

საერთო სამართლის ქვეყნებში დაცვის მთავარი კრიტერიუმია ორიგინალობა: ნაწარმოები არ უნდა წარმოადგენდეს ასლს.⁴⁶ კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი უფრო მაღალი სტანდარტით განისაზღვრება: ნაწარმოები უნდა წარმოადგენდეს ავტორის ინდივიდუალობისა და პიროვნულობის გამოხატვას.⁴⁷

საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართლით დადგენილ ნაწარმოებთა დაცვის განსხვავებულ კრიტერიუმს

⁴⁵ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 204.

⁴⁶ Torremans, Copyright Law, USA, 2007, 54.

⁴⁷ Strömholt, International encyclopedia of comparative Law, Volume 14, part 2 of International encyclopedia of comparative Law:Copyright and Industrial property, 1990, 3-23.

მეცნიერთა ნაწილი აღნიშნულ ქვეყნებში საავტორო სამართლის წარმოშობის განსხვავებულ საფუძვლებს უკავშირებს. კონტინენტურ ევროპაში საავტორო სამართლი კანტისა და ჰებელის მოძღვრების საფუძველზე განვითარდა, ავტორობა წარმოადგენს შემოქმედის პიროვნულობის თვითგამოხატვის საშუალებას. შესაბამისად, ნაწარმოების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტია დაწესებული კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში. მაგ. ნაშრომი შემოქმედებითი წლილის გარეშე არ არის დაცული საფრანგეთისა და გერმანიის საავტორო სამართლით.⁴⁸

ნაშრომის შემდეგ თავში განხილული იქნება ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმები საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართლის მაგალითზე და მათი შედარება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ დაცვის კრიტერიუმებთან.

1.2.2.1 ორიგინალობა

ტერმინი „საავტორო სამართლი“ და „საავტორო უფლება“ (ფრანგულად *droit d'auteur*, გერმანულად *rheberrecht*) საერთო სამართლის ქვეყნებისათვის არ წარმოადგენს საკანონმდებლო ტერმინს. „copyright“, რომელსაც კონტინენტურ ევროპაში თარგმნიან, როგორც საავტორო უფლებას, სიტყვა-სიტყვითი თარგმანით ასლის გადაღების უფლებას გულისხმობს.⁴⁹ საერთო სამართლის ქვეყნების საავტორო სამართლის ცენტრში ასლის გადაღების უფლება დგას, დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი ნაწარმოები, რომელიც შეიძლება კოპირების საგანი იყოს და დაცვითუნარიანობის მთავარ კრიტერიუმადაც ორიგინალობა სახელდება.⁵⁰

საინტერესო თავად ამ სიტყვის ეტიმოლოგიური განმარტება. original ნიშნავს, როგორც ორიგინალურს ანუ სხვის არა მსგავსს, ასევე პირველადს, თავდაპირველს, ახალს.⁵¹ ხოლო originate ნიშნავს წარმოშობას, აღმოცენებას.⁵² ინგლისურნოვანი ქვეყნების კანონმდებლობაში სიტყვა „original“ ხაზს უსვამს არა ნაწარმოების ორიგინალობას, ლიტერატურული და სახელოვნობო ლირებულების გათვალისწინებით, არამედ ნაწარმოების დამოუკიდებელ წარმოშობას.

საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმს, ორიგინალობას სხვადასხვანაირად განმარტავენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის სასამართლოები. შედეგად, დაცვის კრიტერიუმმა, „ორიგინალობამ“ სხვადასხვა დატვირთვა შეიძინა სამივე ქვეყნაში.

ინგლისში მოქმედი „საავტორო სამართლის, დიზაინისა და საპატენტო აქტის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით,

⁴⁸ Colson/ Middleton, Modern Intellectual property Law, London, 2005, 389.

⁴⁹ მაისურაძე/ხონიქაშვილი, თანამედროვე ლექსიკონი ინგლისურ-ქართული & ქართულ-ინგლისური, თბილისი, 2007, 72, 315.

⁵⁰ Torremans, Copyright Law, USA, 2007, 52.

⁵¹ გვარჯალაძე/გვარჯალაძე, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1997, 627.

⁵² გვარჯალაძე/გვარჯალაძე, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1997, 628.

დაცულია ორიგინალური ლიტერატურული, დრამატული, მუსიკალური და ხელოვნების ნაწარმოები.⁵³

ინგლისის სასამართლოები მკაცრად მისდევენ საერთო სამართლის ტრადიციულ მიღების, რომლის მიხედვითაც დაცულია ყველა კოპირებადი ნაწარმოები. ჯერ კიდევ 1916 წელს გამოტანილ გადაწყვეტილებაში საქმეზე შ.პ.ს ლონდონის პრესის უნივერსიტეტი შ.პ.ს. უნივერიტეტის მასწავლებელთა ასოციაციის წინააღმდეგ, ლონდონის სასამართლომ აღნიშნა: კრიტერიუმი „ორიგინალური“ არ ნიშნავს, რომ ნაწარმოების გამოხატვის ფორმა უნდა იყოს ახალი და ორიგინალური, არამედ მხოლოდ იმას, რომ ნაწარმოები არ წარმოადგენდეს სხვა ნაწარმოების ასლს და შექმნილი იყოს ავტორის მიერ.⁵⁴

ინგლისის სასამართლოებმა დროთა განმავლობაში მეტი დატვირთვა შესძინება ირიგინალობის კრიტერიუმს, ვინაიდან არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, საავტორო უფლებით დაცვას ისეთი ავტორებიც ითხოვდნენ, რომელთა ნაშრომსაც არაფერი ჰქონდა საერთო ლიტერატურასა და ხელოვნებასთან. 1991 წ. საქმეზე ნოა შუბას წინააღმდეგ, ლიტერატურულ ნაწარმოებად არ იქნა აღიარებული შემდეგი ფრაზა: ავადმყოფი რომ გამოჯანმრთელდეს, მოვლისას მიჰყევით კლინიკურ პროცედურას. თუ გაჰყვებით სწორად შერჩეულ პროცედურას, მაშინ არ წარმოიშობა კირუსული ინფექციით დაავადების საშიშროება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფრაზა იყო წარმომავლობით ორიგინალური, მაგრამ არ იყო ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ხასიათის.⁵⁵

ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმის დადგენისას ინგლისის ე.წ. „ოფლის ღვრის“ (sweat of the brow) პრინციპს იყენებენ. კერძოდ, ადგენენ, რამდენად არის ნაწარმოებზე დახარჯული უნარი, შრომა და განსჯა.⁵⁶

საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმად ორიგინალობაა დადგენილი ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო სამართლის 1909 წლის აქტით.⁵⁷

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები არ იზიარებენ ინგლისური სამართლის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ნაწარმოები უნდა წარმოადგენდეს უნარის, შრომისა და განსჯის ნაყოფს. „ორიგინალობის“ განმარტებაში შემოქმედებითობის გარკვეული დონით არსებობის აუცილებლობაც შემოაქვთ. აღნიშნული პრინციპი იურიდიულ ლიტერატურაში „ორიგინალობის გაბრწყინებად“ (spark of originality) მოიხსენიება.⁵⁸ აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით სასამართლომ

⁵³ UK, Copyright, Designs and Patents Act, 1988, ხელმისაწვდომია:

<http://www.opsi.gov.uk/acts/acts1988/ukpga_19880048_en_1.htm> {14.01.2014}.

⁵⁴ Adusei, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 19.

⁵⁵ Bradgate/White, Legal Practice Course Guides Commercial law, Oxford, 2007, 431.

⁵⁶ Adusei, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 22.

⁵⁷ USA, Copyright Act, 4 March, 1909. ხელმისაწვდომია:

<http://en.wikisource.org/wiki/Copyright_Act_of_1909> {14.01.2014}.

⁵⁸ Adusei, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 22.

საავტორო სამართლით დაცულ ობიექტიდ არ მიიჩნია სატელეფონო ცნობარი და საქმეში ფეისტის გამომცემლობის კორპორაცია რურალის სატელეფონო მომსახურების კომპანიის წინააღმდეგ აღნიშნა: ნაწარმოები საავტორო სამართლით დაცვისათვის უნდა აკმაყოფილებდეს ორიგინალობის კრიტერიუმს - ნაშრომი უნდა იყოს შესრულებული დამოუკიდებლად ავტორის მიერ, არ უნდა წარმოადგენდეს სხვა ნაწარმოების ასლი და გააჩნდეს თუნდაც სულ მცირე შემოქმედებითობის ხარისხი.⁵⁹ თუმცა, სულ მცირე შემოქმედებითობის კრიტერიუმით ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ისეთი ბანალური ნაწარმოებებიც კი იყო დაცული, როგორიცაა ნამცხვრის ყუთზე გაკეთებული იარლიუ და პლასტილინით დამზადებული ყვავილები.⁶⁰

სასამართლო გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, ამერიკელ იურისტთა ნაწილმა ჩამოაყალიბა სამი მთავარი კრიტერიუმი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საავტორო სამართლით დაცვადი ნაწარმოები: გამოხატული უნდა იყოს ფიქსირებული ფორმით, უნდა იყოს ორიგინალური და აკმაყოფილებდეს შემოქმედებითობის მინიმალურ დონეს.⁶¹ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამი კრიტერიუმიდან უმთავრესი მაინც ნაწარმოების ორიგინალობაა, რადგან ის ადგენს “კოპირაიტის” საზღვრებს. იმ ნაწარმოების შემთხვევაშიც, რომელიც წარმოადგენს სხვა ნაშრომის ასლს და მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი არის ორიგინალური, კანონი ამ ნაწილს დაიცავს.⁶²

ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო სამართალი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის დაცვის დამატებით კრიტერიუმს აღგენს: საავტორო სამართლით ნაწარმოების მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ნაშრომის რა რაოდენობის ასლი დაამზადა ავტორმა. კანონდებლობაში არის ერთგარი მცდელობა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ხელოვნება და ხელოსნობა. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებზე უფლებათა აქტის მიხედვით, თუკი სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს გაკეთებული აქვს ერთზე მეტი ასლი, ასლები უნდა იყოს დანომრილი, მაგრამ არ უნდა იყოს 200 ასლზე მეტი.⁶³

ორიგინალობას განსაზღვრავს ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმად კანადის საავტორო სამართლის აქტის მე-5 მუხლიც.⁶⁴

კანადის სასამართლოები შუალედურ პოზიციას ანიჭებენ უპირატესობას, ამერიკული “ორიგინალობის ნაპერწყალსა” და ინგლისურ “ოფლის ლერის” პრინციპს შორის. კანადის საავტორო სამართლის

⁵⁹ Mazeh, Canadian Originality and The Tension Between the Commonwealth and the American Standards for Copyright Protection: The Myth of Tele-Direct, Jurn., Intellectual Property Journal, №562-98, 2003 (3,16), 362.

⁶⁰ Leaffer, Understanding Copyright Law, Fourth edition, LexisNexis Group, 2005, 60.

⁶¹ Fishman, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003, 8/2.

⁶² Subbian, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007, 63.

⁶³ USA. The Visual Artists Rights Act of 1990. ხელმისაწვდომია:

<<http://www.law.cornell.edu/uscode/text/17/106A>> {14.01.2014}.

⁶⁴ Canadian Copyright Act, 1985. ხელმისაწვდომია: <<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-42/FullText.html>> {14.01.2014}.

მიხედვით, არ არის აუცილებელი ნაწარმოები შემოქმედებითობის კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს, თუმცა ნაწარმოებზე დახარჯული უნარი, შრომა და განსჯა არ უნდა იყოს იმდენად ტრივიალური, რომ მხოლოდ მექანიკურ შრომად დახასიათდეს.⁶⁵

1954 წელს, საქმეზე, კანადის ადმირალთა კორპორაცია რედიფსიონის წინააღმდეგ, სასამართლომ ორიგინალობის კრიტერიუმი შემდეგნაირად განმარტა: ორიგინალობა ამ შემთხვევაში არ გულისხმობს ნაწარმოების შემოქმედებით ხარისხს. საავტორო უფლებათა აქტს იდეების ორიგინალობასთან კავშირი არა აქვს. კანონი ასევე არ მოითხოვს ლიტერატურული ნაწარმოები შესრულებული იყოს ორიგინალური ან ახალი ფორმით. ნაწარმოები არ უნდა წარმოადგენდეს სხვა ნაწარმოების ასლს და შექმნილი უნდა იყოს ავტორის მიერ.⁶⁶

კანადის საავტორო სამართლის აქტის მე-5 მუხლს შემდეგნაირად განმარტავენ იურიდიულ ლიტერატურაში: საჭირო არ არის შემოქმედებითი დირექტულება, მაგრამ გარკვეული ძალისხმევა უნდა იყოს დახარჯული საბოლოო შედეგის მისაღწევად.⁶⁷ გარკვეულ ძალისხმევაში ინტელექტუალური ძალისხმევა იგულისხმება. თუკი საჭირო იქნება მხოლოდ ფიზიკურ ძალისხმევითა და ტექნიკური საშუალებებით შედეგის მიღწევა, მაშინ შეიძლება საავტორო სამართლის დაცვას დაექვემდებაროს ოფიციალური დოკუმენტებისათვის გადაღებული ფოტოც, რომელზეც არანაირი ინტელექტუალური ძალისხმევა არ არის დახარჯული.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთო სამართლის ქვეყნების საავტორო სამართლი ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმად ორიგინალობას ასახელებს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და კანადის სასამართლოთა მიერ განსხვავებულად განიმარტება. დაცვითუნარიანობის უფრო მაღალი კრიტერიუმის დადგენილი კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართლაში, რასაც ნაშრომის მომდევნო თავში შევეხებით.

12.2.2. ინდივიდუალიზმი და შემოქმედებითი საქმიანობა

საავტორო უფლებებისადმი ორი კონცეპტუალურად განსხვავებული, საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის სამართლის მიდგომა ნათლად იჩენს თავს ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმის დადგენისას. ე.წ. „კოპირაიტის“ სისტემა საავტორო უფლებებს განიხილავს როგორც საკუთრების გარკვეულ ფორმას. სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში უპირატესობა მიენიჭა საფრანგეთში აღმოცენებულ იდეებსა და მიდგომებს, რომლებიც საავტორო უფლებებში, გარდა საკუთრების ფორმისა, ხედავენ ავტორის პიროვნულ გამოხატულებასაც, რაც ბუნებითი სამართლის ძალით მოითხოვდა ისეთივე დაცვას, როგორც ქონებრივი უფლებები.⁶⁸

⁶⁵ Adusei, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 23.

⁶⁶ Chromecek/McCormack, World Intellectual Property Guidebook, Canada, 1991, & 4c. 4-4.

⁶⁷ Chromecek/McCormack, World Intellectual Property Guidebook, Canada, 1991, & 4c -12.

⁶⁸ ვაძუნია/თაქოაქი შვილი, საერთაშორისო საავტორო სამართლი, თბილისი, 2005, 16.

ორიგინალობა, როგორც ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი არ გვხვდება ევროსაბჭოს დირექტივებში. დირექტივები განსაზღვრავს, რომ ნაშრომი უნდა იყოს ინტელექტუალური შრომის შედეგი.⁶⁹

საფრანგეთისა და გერმანიის კანონდებლობა არ აღიარებს ორიგინალობას, როგორც ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმს. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 112-1 მუხლის მიხედვით, დაცულია საავტორო უფლებები ყველა ინტელექტუალურ ნაწარმოებზე ჟანრის, გამოხატვის ფორმის, ხარისხისა თუ მიზნის მიუხედავად.⁷⁰

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მკაცრადაა გამიჯნული ინტელექტუალური და მექანიკური შრომის შედეგად შექმნილი ნაწარმოებები. ნაშრომი უნდა ასახავდეს ავტორის ხედვასა და იდეას, რათა დაცული იყოს საავტორო სამართლით. მაგ: კასეტაზე ჩაწერილი ჩიტის ჭიკჭიკი როგორი ორიგინალურიც არ უნდა იყოს, ვერ იქნება დაცვადი, რადგან არ ასახავს შემოქმედის პიროვნულობას.⁷¹

ფოტოგრაფიულ ნაშრომებში ნათლად ვლინდება განსხვავება შემოქმედებით და არაშემოქმედებით პროდუქტს შორის. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია: ფოტოსურათის ავტორად ჩაითვლება ის, ვინც მოიფირა ფოტოს ობიექტი, კუთხე, განათება, გადაღების დრო და არა ის ადამიანი, რომელმაც მხოლოდ დილაკს დააჭირა თითო.⁷²

ფოტოგრაფიული ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმის განსაზღვრისას აუცილებელია დადგინდეს მოახდინა თუ არა ავტორმა ობიექტური ზეგავლენა გარემოზე, ფოტოს გადაღების მიზნით (მაგ. განალაგა ნივთების კომპოზიციურად, ტექნიკური საშუალებით მიაღწია გარკვეულ ეფექტს, განათებას, შუქრდილებს). სურათზე ან ავტორის ორიგინალური ხედვა უნდა იგრძნობოდეს, ან მისი ქმედების კვალი.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო სამართლის ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში, საავტორო სამართლით დაცვადი ფოტონაწარმოები შემდეგნაირად განიმარტება: რეალური ობიექტების გამოსახულება, მიღებული შუქისადმი ან სხვა გამოსხივებისადმი მგრძნობიარე ზედაპირზე. ასეთი ნაწარმოები შეიძლება იყოს დაცული საავტორო სამართლის უფლებით, როგორც ხელოვნების ნაწარმოები თუ კომპოზიცია და შერჩეული ობიექტის გადასაღებად მოხელობის გზა ავლენს “ორიგინალობას”.⁷³

გერმანიის საავტორო სამართალში ნაწარმოების დაცვის მთავარი კრიტერიუმი პიროვნულობა და შემოქმედებითობაა. გერმანიის საავტორო სამართლის მეორე ნაწილის პირველი პარაგრაფის მეორე მუხლის

⁶⁹ Torremans, Holyoak and Torremans Intellectual Property Law, Fourth Edition, Oxford, 2005, 176.

⁷⁰ France, Code de la propriété intellectuelle, 3 juillet, 1992. ხელმისაწვდომია:

<http://www.lexinter.net/ENGLISH/intellectual_property_code.htm> {14.01.2014}.

⁷¹ Bonnet, Code de la Propriété Intellectuelle, 4th ed, Paris, 2004, 10.

⁷² Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 178.

⁷³ WIPO Glossary of Terms of the Law of Copyright and Neighbouring Rights, WIPO Publication No827 (EPR), Geneva, 1981, 23.

მიხედვით დაცულია მხოლოდ პიროვნული ინტელექტუალური შემოქმედება.⁷⁴

საავტორო სამართლის გერმანელი მკვლევარი ადოლფ დიცი აღნიშნული პრობლემის შესახებ წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ კონკრეტულ საქმეზე ევროპის ყველა ქვეყანა განსხვავებულ შედეგამდე მიღის. ზოგიერთი სასამართლო იმდენად ლიბერალურიც კი არის, რომ იქმნება საშიშროება, საავტორო უფლებათა დაცვა ისეთ ნაწარმოებზე გავრცელდეს, რომელსაც საერთო არაფერი აქვთ მუსიკას, ლიტერატურასა და ხელოვნებასთან.“⁷⁵

გერმანულ საავტორო სამართალში არის მცდელობა საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს ნაშრომის შემოქმედებით და არაშემოქმედებით ნაწარმოებებად დაყოფა. გერმანული კანონმდებლობა ინტელექტუალურ პროდუქტს ყოფს ნაშრომებად (werke(works) და ნაწარმოებებად, მიღწევებად (achievements (leistungen)). მაგალითად ფილმები იყოფა ორ კატეგორიად: ფილმ ნამუშევრებად და მიმდინარე სურათებად (running picture, laufbilder) ფილმების მსგავსად, ორ კატეგორიად იყოფა ფოტო ნამუშევრებიც, ესენია ფოტოგრაფიული ნაშრომები (Lichtbildwerke, photographic Work) და ფოტოები (Lichtbilder, Photographs).⁷⁶

ფილმი ნამუშევრები აკმაყოფილებს ინდივიდუალური შემოქმედების გარკვეულ კრიტერიუმებს. მხატვრული და გასართობი ფილმები, რომლებსაც აქვთ ინტელექტუალური და ემოციური დატვირთვა, ამის საუკეთესო მაგალითია. მეორე კატეგორია მიმდინარე სურათები არის ნებისმიერი პირის მიერ პირადი საჭიროებისათვის დამზადებული ვიდეო ჩანაწერი. ამ შემთხვევაში პიროვნული შემოქმედების კრიტერიუმი არ არის სავალებულო და ეს ნაწარმოებები არ არის დაცული საავტორო სამართლით. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოყვარულთა მიერ გადაღებული ვიდეოები, ჩანაწერები პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებზე არ აკმაყოფილებენ ფილმ ნამუშევრის მოთხოვნას. ავტორს სულ მცირე, შერჩეული უნდა ჰქოდეს ობიექტი, მანძილი, გადაღების ადგილი, დრო, გადაღების კუთხე. ნაშრომი უნდა იყოს პიროვნულობის გამოხატულება და უფრო მეტი, ვიდრე რეალობის ასახვა. შემოქმედებითი ხედვა შესაძლოა დამატებული იყოს სტუდიასა და ლაბორატორიაში.⁷⁷

გერმანულ საავტორო სამართალში შემოქმედებითობის დასადგენად ფართოდაა გავრცელებული ტერმინი „Kleine Munze“, რომელიც აუცილებელ ატრიბუტად თვლის ნაწარმოებში თუნდაც მცირე შემოქმედებით ხარისხს.⁷⁸

გერმანიის საავტორო სამართალი, ფრანგულ კანონმდებლობასთან შედარებით, ნაწარმოების დაცვითუნარიანობის უფრო უფრო მკაცრ

⁷⁴ Gesetz über Urheberrecht und verwandte Schutzrechte, 9 September, 1965, ხელმისაწვდომია: <<http://transpatent.com/gesetze/urhg.html>> {14.01.2014}.

⁷⁵ Diets, Copyright Law in the European Community, The Netherland, 1978, 34.

⁷⁶ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 228.

⁷⁷ Schrieker/Vogel, Urheberrecht: kommentar, 2nd edn, Munich, 1998, 123.

⁷⁸ Goldstein, International Copyright: Principles, Law and Practice, New-York, 2001,169.

მოთხოვნას აწესებს: ინტელექტუალური საქმიანობის შედეგის გარდა, ნაწარმოები უნდა იყოს შემოქმედება და ავტორის პიროვნულობის გამოხატულება. შემოქმედებითი ნაწარმოების არსეს კი, როგორც აღვნიშნეთ, კანონის ცალკე დებულებებით არეგულირებს. საფრანგეთის კანონმდებლობა დაცვას უქვემდებარებს ინტელექტუალურ ნაწარმოებს. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დაცულია მხოლოდ ავტორის პიროვნულობის გამოხატველი ნაწარმოები.

ამგვარად, თუკი საერთო სამართლის ქვეყნებში დაცვის მთავარი კრიტერიუმი ორიგინალობაა, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში ძირითად კრიტერიუმს ინდივიდუალობა და პიროვნულობის გამოხატვა წარმოადგენს.

საქართველოს საავტორო სამართლში დამკვიდრებული ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი ახლოსაა კონტინენტური ევროპის სამართლში დამკვიდრებულ პრინციპებთან. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, დაცულია ინტელექტუალურ - შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი, ობიექტური ფორმით გამოხატული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოები. ამავე მუხლის მიხედვით, ასეთი ნაწარმოები დაცულია საავტორო სამართლის მიერ, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულების, ავკარგიანობის, ჟანრის, მოცულობის, გამოხატვის ფორმის და საშუალებისა. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

საქართველოში ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმად „ორიგინალობა“ კანონით არ არის დასახელებული, კრიტერიუმად „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია დაწესებული. თუ რა სიმკაცრით იქნება განსჯილი ეს კრიტერიუმი, რომელიც უფრო მეტი პრეტენზიისაა, ვიდრე „ორიგინალობა“, დადგინდება სასამართლო პრაქტიკით, რომელიც ჯერ მწირია.⁷⁹

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმი უკელაზე ახლოს დგას გერმანულ საავტორო სამართლთან: იგი არ ცნობს საკანონდებლო დონეზე საერთო სამართლში განმტკიცებულ ორიგინალობის პრინციპს და, ფრანგული სამართლის მსგავსად, არ იცავს საავტორო უფლებას უკელა ინტელექტუალურ ნაწარმოებზე, არამედ დამატებით კრიტერიუმად შემოაქვს შემოქმედებითი საქმიანობა.

მიუხედავად აღნიშნული მსგავსებისა, ქართულსა და გერმანულ საავტორო სამართლში დამკვიდრებულ კრიტერიუმებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. გერმანული სამართლი დაცვის აუცილებელ კრიტერიუმად პიროვნულობას, ინდივიდუალიზმს ითვალისწინებს – დაცულია პიროვნული ინტელექტუალური შემოქმედება, ხოლო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის“ მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველოში სასამართლოთა მსჯელობის საგანი არ უნდა გახდეს,

⁷⁹ დამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 30.

გამოხატავს თუ არა, ნაწარმოები ინდივიდუალიზმს, არამედ უნდა განისაზღვროს, არის თუ არა დახარჯული მასზე ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა.

გერმანულ კანონმდებლობას, რომელთანაც ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმის განსაზღვრისას ყველაზე ახლოს დგას საქართველოს საავტორო სამართალი, გარდა კანონის ზოგადი ნორმისა, რომ დაცულია პიროვნული ინტელექტუალური შემოქმედება, გააჩნია კანონის სხვა დებულებებიც. ამ დებულებებით დაკონკრეტებული თუ რა იგულისხმება შემოქმედებითი ნაწარმოების ცნების ქვეშ. საქართველოს კანონმდებლობაში გერმანულის მსგავსად არ გვხვდება განსხვავება ნაშრომებსა და ნაწარმოებებს შორის.

ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმად შემოქმედებითი საქმიანობის განსაზღვრა, ხომ არ გულისხმობს, რომ ნაწარმოებს უნდა გააჩნდეს გარკვეული შემოქმედებითი, მხატვრული, ლიტერატურული დირექტულება? „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის კომენტარში აღნიშნულია: ინტელექტუალური ანუ გონებრივი შემოქმედების განსაზღვრისათვის საჭიროა დადგინდეს შემოქმედების შეფასების კრიტერიუმი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედება დაკავშირებულია კონკრეტული ავტორის პიროვნებაზე, ამდენად ის ყოველთვის ინდივიდუალურია. ნაწარმოები, შექმნილი ნებისმიერი ინდივიდუმის გონებრივი განსჯის შედეგად ყოველთვის ორიგინალურია. მაშასადამე, თუკი იკვეთება ნაწარმოების გარებრივი ან შინაარსობლივი ორიგინალობა (ინდივიდუალობა), მაშინ იგი შემოქმედების შედეგს წარმოადგენს, ანუ საავტორო უფლებით დაცვის საგანია.⁸⁰ კანონის კომენტარში სიტყვა ორიგინალობა და ინდივიდუალობა სინონიმების სახით არის გამოყენებული. ინდივიდუალიზმი და ორიგინალობა რამდენად არის ნაწარმოების დაცვითუნარიანობის ერთი და იგივე კრიტერიუმი, სადაც საკითხია. ნაწარმოების დაცვის საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის ქვეყნების კრიტერიუმებს შორის კი სწორედ ეს არის პრინციპული განსხვავება: ნაწარმოები უნდა იყოს ორიგინალური, არაკონკრეტული, თუ მას ჰქონდეს გარკვეული შემოქმედებითობის, ინდივიდულიზმის ნიშნები. ინდივიდუალობა ფრანგულ და გერმანულ სამართალში განმტკიცებულ პიროვნულობის გამოხატვასთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე ორიგინალობასთან, ანუ ნაწარმოების თავდაპირველ წარმოშობასთან. ქართული საავტორო სამართალი კონტინენტური ევროპის საავტორო სამართლის პრინციპებზე დგას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ შემოქმედებითობაში ინდივიდუალიზმი მოიაზრება ისე, როგორც მას გერმანული და ფრანგული სასამართლოები განმარტავენ.

საერთო სამართალში დამკვიდრებული ორიგინალობა ნაწარმოების დაცვის მინიმალური კრიტერიუმია, რომელიც შემოქმედების და ინდივიდულიზმის მინიმალურ ნიშნებს მოიცავს. ამ შემთხვევაში შემოქმედებას არ აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. იგი არ გულისხმობს შექმნას აბსოლუტური სიცარიელიდან და არ არის აუცილებელი, ავტორი

⁸⁰ ძაბუაშვილი/ შენგელია/გაბუნია/ ხრუბეგნაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 38.

თავისუფალი იყოს გარებანი გავლენისაგან. მთავარია ნაწარმოები განსხვავდებოდეს წინამორბედი ნაწარმოებებისაგან და არ წარმოადგენდეს მათ ასლსა და იმიტაციას.⁸¹

ამგვარად, კონტინენტური ევროპის ქვეყნებისა და საერთო სამართლის ქვეყნების საავტორო სამართლის ანალიზის თანახმად, ნაწარმოების დაცვის აუცილებელი კრიტერიუმებია ორიგინალობა და ინდივიდუალიზმი, მაქსიმალური სტანდარტი კი, შემოქმედებითობა, მაგრამ მხოლოდ გარკვეული დოზით, მსგავსად გერმანიის საავტორო სამართალში დამკვიდრებული პრინციპისა „Kleine Munze“. საქართველოს კანონი აუცილებელ კრიტერიუმად მაქსიმალურ სტანდარტს გვთავაზობს. კანონის მხოლოდ ერთ მუხლში განმტკიცებული დანაწესი, რომ დაცულია შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, ვერ უზრუნველყოფს დაცვის კრიტერიუმის ნათლად განსაზღვრასა და შედეგად, მის რეალიზებას პრაქტიკაში. კანონში ასევე არ არის განსაზღვრული, რომ აუცილებელია შემოქმედებითი საქმიანობის მხოლოდ მინიმალური ან გარკვეული ხარისხი. ნაწარმოების დაცვითუნარიანობის სამი ძირითადი კრიტერიუმი ორიგინალობა, ინდივიდუალიზმი და შემოქმედებითი საქმიანობა ერთ მიზანს ემსახურება: დაადგინოს წარმოადგენს თუ არა ნაშრომი ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოებს. კრიტერიუმები ზოგადი ხასიათისაა და განიმარტება სასამართლოს მიერ.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს: ადგენდეს დაცვის მინიმალურ სტანდარტს და სასამართლოების მიერ განიმარტებოდეს შემოქმედებითობის რა ხარისხია სავალდებულო ნაწარმოების საავტორო სამართლით დაცვისათვის. საქართველოში სასამართლო პრაქტიკა საქმად მწირია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ავტორები იშვიათად მიმართავენ სასამართლოს საავტორო უფლებების დაცვისათვის, რაც ერთი მხრივ, გამოწევეულია დაბალი სამართლებრივი კულტურით და მეორე მხრივ, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ საქართველოში მხოლოდ ორი სასამართლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომელიც ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმს შეეხება.

2003 წელს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც შეეხებოდა გამოსახულებას, შემდგარს წითელი ფონისა და ოეთრი ფერის ქართული ასოების „კოკა-კოლა“ კომბინაციით: მოქალაქე მ. მანჯგალაძემ უჩივლა კომპანია „კოკა-კოლას“ და მოითხოვა წითელ ფონზე სტილიზებურად გამოსახული ქართულ წარწერიანი - „კოკა-კოლა“ - ნახარის გამოყენების შეწყვეტა მისი, როგორც ამ ნახატის ავტორის ნებართვის გარეშე. უზენაესმა სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩევეს, რადგან დაადგინა, რომ ნახატი ორიგინალური არ არის და არ ექვემდებარება საავტორო სამართლით დაცვას.⁸² სასამართლომ

⁸¹ Lyszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999. 74.

⁸² ქურნ. „კომერსანტი“ №1, 2006, 27.

მხედველობაში მიიღო, რომ მოსარჩელე ნახატის შესრულებისას ცდილობდა სრულად შეგნარჩუნებინა სტილი და ესთეტიკური შთაბეჭდილება მანამდე არსებული ლათინური წარწერისა. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ ნაშრომი არ არის ორიგინალური წარმომავლობით.⁸³

საქართველოს კანონმდებლობაში ორიგინალობა არ არის ნაწარმოების დაცვის აღიარებული კრიტერიუმი. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს სასამართლოებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვრონ, წარმოადგენს თუ არა ნაწარმოები ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაცვის კრიტერიუმის დასადგენად სწორედ საერთო სამართლისათვის დამახასიათებელ წარმომავლობით ორიგინალობაზე მიუთითა და არა ნაწარმოების შესაქმნელად დახარჯულ შემოქმედებით შრომაზე. სასამართლო გადაწყვეტილებიდან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ნაწარმოები მიმსგავსებული რომ არ ყოფილიყო ლათინულ წარწერას, ანუ ყოფილიყო ორიგინალური, თავდაპირველი იგი დაცული იქნებოდა საავტორო სამართლის მიერ, მიუხედავად იმისა რამდენად დირებული იქნებოდა შემოქმედებითად, მის შესარულებლად საჭირო იყო თუ არა შემოქმედებითი ნიჭი და ძალისხმევა. აღნიშნულ საქმეს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შემდეგი შეფასება მიეცა: ერთი შეხედვით მარტივად გადასაწყვეტი საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა სწორედ იმიტომ, რომ არ არსებობს ობიექტური საზომი შემოქმედებითი წვლილის დადგენისა. თუმცა აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, მაინც ხედავენ შემოქმედებითი წვლილის რკვეის გარკვეულ მცდელობას, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში საავტორო შემოქმედებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ „მექანიკურ“, „ტექნიკურ-ხელოსნურ შემოქმედებასთან“ ვინაიდან ქართული ნახატის შემსრულებელმა მაქსიმალურად მიმსგავსებული ნახატი დახატა.⁸⁴

ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმის შესახებ მეორე გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიღო 2007 წლის 31 ივლისს. მოსარჩელე როლი შრადემ სარჩელი აღძრა შპს არტანუჯისა და ბუბა კუდავას წინააღმდეგ. მოპასუხებმა საქართველოს ისტორიის სასაკოლო სახელმძღვანელოებში ავტორის ნებართვის გარეშე მოახდინეს მისი 242 ფოტოს რეპროდუცირება, რომელზეც ასახული იყო საქართველოს ციხესიმაგრები და ეკლესიები. მოსარჩელე ითხოვდა მატერიალურ ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით, 24.200 ევროს (100 ევრო ერთი ფოტოსურათისათვის) და მორალური ზიანის ანაზღაურებას 100 000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ ცნო თრი ნიშნით: სადაცო ფოტოები არ

⁸³ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში დადებითი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ის მაქს პლანკის სახელობის ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ინსტიტუტმა 2005 წლის თავის პერიოდულ უზრნალში გამოაქვეყნა.

⁸⁴ ძაბუქა შვილი, ინტელექტუალური უფლებები, ობილისი, 2006, 31.

შეიძლება მივიჩნიოთ ფოტოგრაფიული ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებით შექმნილ ნაწარმოებებად და მათი ასეთად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, ისინი არ წარმოადგენენ საავტორო უფლებით დაცვად ობიექტებს, ვინაიდან მათზე ასახულია ისტორიული ფაქტები. აღნიშნული ფოტოების გამოკვლევის და შეფასების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო ფოტოებზე აღბეჭდილია უდავოდ მაღალი დირექტულების მქონე ხელოვნების ნაწარმოებები. თუმცა თავად ფოტოებს არ ახასიათებთ მაღალი დონის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი თვისება, რომლის შედეგადაც იქმნება ახალი, საავტორო სამართლით დაცვადი ნაწარმოებები.⁸⁵

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, გერმანიის საავტორო სამართლის მსგავსად, ფოტოგრაფიულ ნაშრომებს არ ყოფს ფოტონაწარმოებებად და ფოტოებად. ფოტო უნდა აქმაყოფილებდეს ნაწარმოების დაცვითუნარიანობის ზოგად კრიტერიუმს, რათა დაცული იყოს საავტორო სამართლით. იურიდიულ ლიტერატურაში ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმი ფოტონაწარმოებებთან დაკავშირებით შემდეგნაირად არის განმარტებული: ნაწარმოებისადმი საქართველოში წაყენებული კრიტერიუმი წარმოადგენს ისეთი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის საზომს, რომელიც კონკრეტულად მოცემული ადამიანის (ავტორის) მიერ შექმნილი ნაწარმოების რაიმე ობიექტური ფორმით გამოხატვით გვირგვინდება. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს „შემქმნელობითი შემოქმედების შედეგთან“ რომლის ნებისმიერი სახეც შემოქმედებითი ნაწარმოებია. მას უდავოდ ეკუთვნის „ფოტოგრაფიულ-შემქმნელობით-შემოქმედებითის“ ნაყოფიც-ფოტონაწარმოები.⁸⁶

საქმეზე „რალფ შნადე შპს „არტანუჯისა“ და ბუბა კუდავას წინააღმდეგ“ სასამართლომ დაცვის კრიტერიუმად მაღალი დონის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი თვისება დაასახელა და არა შემოქმედებითი საქმიანობის მინიმალური დონე, ინდივიდუალიზმი, ორიგინალობა, როგორც ეს მიღებულია საერთო სამართლისა თუ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. თუკი საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ამ გზით განვითარდა და საკანონმდებლო დანაწესი „შემოქმედებით-ინტელექტუალური საქმიანობა“ გარმარტა, როგორც მაღალი დონის შემოქმედებითი თვისება ძალიან ბევრი ინტელექტუალური ნაწარმოები აღმოჩნდება საავტორო სამართლის დაცვის ფარგლებს გარედ. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ გეერდი ვერ აუარა საყოველთაოდ აღიარებულ ორიგინალობისა და ინდივიდუალიზმის კრიტერიუმს და აღნიშნა, „ფოტოებს არ გააჩნია გარეგნული და შინაარსობლივი ორიგინალობა და მათი ინდივიდუალურობა იმდენად მცირეა, რომ იგი არ შეიძლება ფოტოგრაფიულ ნაწარმოებად მივიჩნიოთ.. . ფოტოგრაფიული ნაწარმოები საავტორო სამართლით დაცვადია მხოლოდ მაშინ, თუ ის

⁸⁵ გადაწყვეტილება № 2/1131-07. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. არ არის გამოქვეყნებული. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

⁸⁶ ძაბუქაშვილი, ფოტოგრაფიული გამოსახულების დაცვა საქართველოში, თბილისი, 2008, 12.

ორიგინალურია, ანუ, თუ მხოლოდ ფოტოაპარატის უმიზნო „დაჩხაკუნების“ შედეგს არ წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ფოტოზე ასახულია არსებითი ობიექტი ისე, რომ ნებისმიერ სხვა პირს შეუძლია ადვილად, ინტელექტუალური შემოქმედების გარეშე „დაჩხაკუნოს“ ფოტოაპარატი და იგივე სურათი მიიღოს, მაშინ ასეთი ფოტო საავტორო უფლებით დაცვას არ ექვემდებარება⁸⁷. აღნიშნული არგუმენტი სრულიად საკმარისი იქნებოდა სარჩელის დაუკმაყოფილებლობისათვის. სასამართლოს პირველი არგუმენტით მაღალი დონის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი თვისებით, ამგვარი აბსოლუტიზმით ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმის დადგენა გაუმართლებელია.

საინტერესო ამ საქმეზე „რალფ შნადე შპს „არტანუჯისა“ და ბუბა კუდავას წინააღმდეგ“ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოყვანილი მეორე არგუმენტიც, რომლის მიხედვითაც ფოტოები არ წარმოადგენს საავტორო უფლებით დაცვად ობიექტებს, ვინაიდან მათზე ასახულია ისტორიული ფაქტები. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხების მოსაზრება, რომ სადაც ფოტოებზე გამოსახული ისტორიული ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, წარწერები, ფრესკები და ა.შ. წარმოადგენს ისტორიულ ფაქტებს, ხოლო ფოტოები შესაბამისი ფაქტების ილუსტრაციას. საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეორდებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხულია ნაწარმოებში.

საკითხავია, რამდენად მიზანშეწონილია ამ მუხლის გავრცელება ფოტო ნაწარმოებზე, რომელიც დოკუმენტური კინოს მსგავსად რეალობას, არსებულ ფაქტებს ასახავს. ფოტო ნაწარმოების დაცვისათვის მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს, არა ის თუ რა არის მასზე გამოსახული, არამედ ის თუ როგორ დაინახა ავტორმა ფაქტი და როგორი მხატვრული ხერხით გამოსახა ის, რამდენად ჩააქსოვა თავისი ინდივიდუულური ხედვა.

ფოტო ნაწარმოები თუკი არ ასახავს წინასწარ „დადგმულ“ სცენას, ყოველთვის ან ფაქტს გამოსახავს, ან მოვლენას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით კი არ არის დადგენილი, რომ მხოლოდ „დადგმული“, წინასწარ ჩაფიქრებული კომპოზიციითა და მიზანსცენით შესრულებული ფოტოების დაცვაა შესაძლებელი.

ფოტოგრაფიული ნაწარმოების დაცვის საკითხს შეეხება 1993 წლის 29 ოქტომბრის ევროკავშირის საბჭოს დირექტივა № 93/98 „საავტორო უფლებებისა და მათთან დაკავშირებული მომიჯნავე უფლებების დაცვის სანგრძლივობის შესახებ“⁸⁸. აღნიშნული დირექტივის მე-6 მუხლი დაცვას უქმედებარებს ფოტონაწარმოებს, თუ ის არის საკუთრივ ავტორის

⁸⁷ გადაწყვეტილება № 2/1131-07. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. არ არის გამოქვეყნებული. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

⁸⁸ № 93/98 Directive on the Term of Protection of Copyright and Certain Related Right, 29 October, 1993.

ხელმისაწვდომია

<http://www.ebu.ch/departments/legal/pdf/leg_ref_ec_directive_copyright_duree_protection_291093.pdf>{1
7.012014}.

ინტელექტუალური ქმნილება, რომელშიც აირეკლება მისი პიროვნულობა. დირექტივა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებულ დაცვის კრიტერიუმს ანიჭებს უპირატესობას და აღნიშნული პრინციპი საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებაშიც არის გაზიარებული.

დირექტივაში მოცემული დანაწესი, რომ საავტორო სამართლით დაცულია მხოლოდ პიროვნულობის გამომსატველი ფოტო ნაწარმოებები, არ ნიშნავს სხვა ფოტო ნამუშევრების სამართლებრივი რეგულირების მიღმა დარჩენას. დირექტივის ამავე მუხლის ძალით ევროკავშირის ქვეყნებს მიცემული აქვთ უფლება დაიცვან ფოტოსურათები, რომლებიც ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებენ სხვა სპეციალური „sui generis“⁸⁹ უფლებით - იტალიის, ავსტრიის ან სკანდინავიის ქვეყნების მსგავსად. ხშირ შემთხვევაში ფოტოსურათი შეიძლება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონმდებლობის ნორმებით იყოს დაცული.⁹⁰

აღნიშნულიდან გამომდინარე, საავტორო სამართლით დაცული კრიტერიუმები უნდა გახდეს უფრო კონკრეტული, ვიდრე „შემოქმედებით-ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია“. უნდა დადგინდეს, რომ კანონი კონტინენტური სამართლის ქვეყნების მსგავსად, შემოქმედებითობის მხოლოდ მინიმალურ დონეს ითხოვს, რაც ინდივიდუალიზმს, პიროვნულობის გამოსატულებას გულისხმობს და არა შემოქმედების მაღალ ხარისხს. როგორც საერთო სამართლის, ასევე კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართალი დაცვის მინიმალურ კრიტერიუმებს ადგენს და შემდეგ სასამართლო პრაქტიკით ხდება ამ კრიტერიუმთა განმარტება და განზოგადება. საქართველოს საავტორო სამართალში კი ნაწარმოების დაცვის ყველაზე მაღალი სტანდარტია აღიარებული - „შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი“. სასამართლოები კი ამ ტერმინის განმარტებისას მაინც ვერ ცდებიან ორიგინალობისა და ინდივიდუალიზმის ჩარჩოებს. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის კომენტარში აღნიშნულია: შემოქმედება ყოველთვის ინდივიდუალურია, ხოლო ინდივიდის გონიერივი განსჯის შედეგი კი ორიგინალური.⁹¹ უმჯობესი იქნება ამ შემთხვევაში რაც შეიძლება ნათლად იყოს ჩამოყალიბებული კრიტერიუმი, და ფილოსოფიური მსჯელობიდან კი არ გამომდინარეობდეს, არამედ კანონის მიერ განისაზღვრებოდეს. ინდივიდუალიზმი ერთგვარი შუალედური კრიტერიუმია საერთო სამართალში დამკვიდრებულ ორიგინალობის კრიტერიუმსა და შემოქმედებით საქმიანობას შორის. იგი შემოქმედების მცირე დონეს მოითხოვს. საქართველოს საავტორო სამართალი, რომელიც კონტინენტური ევროპის საავტორო სამართლის პრინციპებს იზიარებს, აღნიშნული გზით უნდა განვითარდეს.

მიზანშეწონილია საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის კანონის მე-5 მუხლის 1 ნაწილი შემოქმედებითი საქმიანობის

⁸⁹ sui generis – ლათ. ფრაზა, რომელიც ნიშნავს „თავისთავად სწორს“. იხ. ქოლინი, ინგლისურ-ქართული იურიდიული განმარტებითი დექსიკონი, თბილისი, 2004, 555.

⁹⁰ ძაბუქაშვილი, ფოტოგრაფიული გამოსახულების დაცვა საქართველოში, თბილისი, 2008, 25.

⁹¹ ძაბუქაშვილი/ შენგელია/გაბუნია/ ხრუბეგნაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 38.

შედეგის ნაცვლად, აუცილებელ კრიტერიუმად უფრო ლოიალურ კრიტერიუმს, ინდივიდუალიზს ან ავტორის პიროვნულობის გამოხატვას ასახელებდეს.

2. საავტორო უფლებათა კლასიფიკაცია

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა. საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა. ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმს, მიიჩნევა საავტორო სამართალუროიერთობის ობიექტად და მის აგტორს წარმოებობა საავტორო უფლებები - ქონებრივი და პირადი არაქონებრივი.

საავტორო უფლებები ინტელექტუალურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც ერთი მხრივ, მსგავსია სამრეწველო საკუთრების სამართლით რეგულირებული უფლებებისა, მეორე მხრივ, კი მნიშვნელოვნად განსხვავდება მათგან, განსაკუთრებით პირად-არაქონებრივ უფლებებთან კავშირში. ინტელექტუალური საკუთრების სამართლით დაცული უფლებების წარმოშობასა და რეგულირების თავისებურებას ობიექტი განაპირობებს. სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე (მაგ. გამოგონება, სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშანი და აშ.) ავტორის ქონებრივი უფლებების შექმნისათვის აუცილებელია პატენტის ან შესაბამისი მოწმობის მიღება. პირადი არაქონებრივი უფლებებიდან აღნიშნულ ობიექტებზე მხოლოდ ავტორობისა და სახელის უფლება მოქმედებს. ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოების ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებათა ჩამონათვალი გაცილებით ვრცელია.

ავტორის როგორც ქონებრივი, ასევე პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა და განხორციელება ავტორს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს ნაწარმოების გამოყენების ფარგლები. პირადი არაქონებრივი უფლებების მეშვეობით, ავტორი ასევე აკონტროლებს, თუ როგორ დაინახავს და შეაფასებს საზოგადოება თავისი ნაწარმოებებიდან გამომდინარე. საავტორო უფლებებით არა მხოლოდ ავტორის ქონებრივი თუ არაქონებრივი ინტერესებია დაცული, არამედ საზოგადოების უფლებაც, იხილოს ნაწარმოები შეუცვლელი სახით. საავტორო უფლებათა ნაწილი, მოქმედებს ავტორისა და მემკვიდრეების გარდაცვალების შემდეგაც, მაგ. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება არსებობს, სანამ არსებობს თავად ნაწარმოები. ამ შემთხვევაში საავტორო უფლება კონკრეტული ერისა თუ კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ემსახურება. უფლებათა დიდი ნაწილი (მაგ. ქონებრივი უფლებები) კი, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ უქმდება ნაწარმოების თავისუფლად გამოყენების, ანუ კვლავ

საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით. შეიძლება ითქვას, რომ საავტორო უფლებები ნაწარმოებთან უფრო მჭიდრო კავშირშია ვიდრე ავტორთან. ნაწარმოები, საავტორო უფლების ობიექტი განსაზღვრავს საავტორო უფლების მოქმედების ფარგლებს. ნაწარმოები შემოქმედებითი, სახელმოვნობო ღირებულებიდან გამომდინარე, იქცევა კონკრეტული საზოგადოების, სახელმწიფოს თუ კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობად და შესაბამისად, ნაწარმოები განსაზღვრავს უფლების სუბიექტს.

საავტორო უფლებათა კლასიფიკაციის დროსაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ობიექტის თავისებურება. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-17 და მე-18 მუხლებით განსაზღვრავს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებზე საავტორო უფლებებს. ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ზოგიერთი სახის ნაწარმოებზე ავტორს დამატებითი უფლებები წარმოეშობათ. მაგ. კანონის მე-19 მუხლით დადგენილია უფლებები კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების ავტორებისათვის. კანონის მე-20 მუხლი განსაზღვრავს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორის დაშვებისა და თანმიდევნების უფლებას, რაც მხოლოდ ამ ტიპის ნაწარმოებთა ავტორებისათვის არის დამახასიათებელი. კანონის ცალკე მუხლებითაა რეგულირებული შედგენილი ნაწარმოების ავტორისა და გამომცემლის უფლებებიც. შესაბამისად, საავტორო უფლებათა კლასიფიკაცია შესაძლებელია ობიექტების მიხედვით, ვინაიდან საავტორო სამართლის ობიექტი განაპირობებს კონკრეტული საავტორო უფლების წარმოშობასა და მისი გავრცელების ფარგლებს.

საავტორო უფლებები, მიუხედავად იმისა, კონკრეტული ტიპის ნაწარმოების შექმნით არის წარმოშობილი თუ მიეკუთვნება ყველა სახის ნაწარმოების ავტორთა უფლებებს, იყოფა ორ კატეგორიად: პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებად.

ავტორის ქონებრივი უფლებები „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებად მოიხსენიება, ვინაიდან აღნიშნული უფლებები ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე კონტროლის საშუალებას აძლევს ქონებრივი უფლებების მფლობელს. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები დაკავშირებულია ავტორის პირად ინტერესებთან - სახელთან, რეპუტაციასთან, ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვასთან. საავტორო უფლებები, ქონებრივიც და პირადი არაქონებრივიც, ერთი და იგივე მიზანს ემსახურება - დაიცვას ავტორის ან საავტორო უფლების მფლობელის პირადი, ინტელექტუალური, თუ ქონებრივი ინტერესი, დაკავშირებული ნაწარმოებთან. საავტორო უფლებები ასევე იცავს საზოგადოების ინტერესს იხილოს და შეინარჩუნოს ნაწარმოები შეუცვლელი სახით და იცოდეს ნამდვილი ავტორის ვინაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში უნდა იყოს შესწავლილი, როგორც ერთიანი ინტელექტუალური უფლებები.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ერთი მხრივ, იმ ინტერესების მიხედვით, რომელიც

კონკრეტული უფლების უკან დგას და, მეორე მხრივ, მოქმედების გადისა თუ განხორციელების თავისებურებებით.

ნაშრომის შემდეგ თავში განხილული იქნება ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს შორის ძირითადი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები და ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა კლასიფიკაცია.

2.1. ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები

სააგტორო სამართალი ავტორის ქონებრივი უფლებების აღიარების შედეგად წარმოიშვა. სააგტორო უფლებების საკანონმდებლო წესით დაცვა XVIII საუკუნის დასაწყისში დაიწყო ევროპაში. 1710 წელს მიღებული დედოფალ ანას სტატუტით, რომელიც სააგტორო სამართლის სფეროში პირველ კანონად მიიჩნევა, ავტორის ქონებრივ უფლებათა წარმოშობა, დაცვა და განხორციელება დამოკიდებული იყო გამომცემელთა კომპანიაში ნაწარმოების რეგისტრაციის ფაქტზე.⁹² სტატუტით მინიჭებული უფლებები გამომდინარეობდა კომერციული მიზნების განხორციელების და არა ავტორთა შემოქმედებითი ღვაწლის დაცვის პრინციპიდან.⁹³

სააგტორო სამართალმა, ორიენტირებულმა მხოლოდ ქონებრივ უფლებებზე ვერ უზრუნველყო ავტორთა უფლებების სრულფასოვანი დაცვა.⁹⁴ ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით, პირად არაქონებრივი უფლებების საკანონდებლო დაცვის აუცილებლობაზე საუბარი არა იურისტებმა და პოლიტიკოსებმა, არამედ ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებმა დაიწყეს. საერთაშორისო სამართლით ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაც მათი ძალისხმევით განხორციელდა. პირველი ორგანიზაცია, რომელმაც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის შესახებ დაიწყო მსჯელობა იყო საერთაშორისო ლიტერატურული ასოციაცია, ALAI-ი. ორგანიზაცია 1878 წელს პარიზში, ვიქტორ პიუგოს თავმჯდომარეობით შექმნილ საერთაშორისო ლიტერატურულ კონგრესზე დაარსდა. 1884 წლის ALAI-ის კონგრესზე ბრიუსელში განიხილებოდა საკითხი, პქონდა თუ არა ხელოვნების ნიმუშის მესაკუთრეს უფლება გადაკეთებინა, ან გაენადგურებინა ნაწარმოები, ან გადაკეთებული ვერსია გაეხადა საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების საკანონდებლო წესით რეგულირების აუცილებლობა, მათი დაცვა ავტორის გარდაცვალების შემდეგ განიხილებოდა 1895, 1897, 1898 წლის კონგრესებზე. 1898 წელს ALAI-ს მიერ მიღებული დადგენილების მიხედვით, ეკონომიკური უფლებების მფლობელებს და მემკვიდრეებს არ უნდა პქონდათ ნაწარმოების მოდიფიცირების უფლება. 1899 წლის პარიზელბერგის კონგრესში მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ავტორს

⁹² Yang, Understanding and Profiting from Intellectual property Strategies across the borders, Great Britain, second edition, 2013. 98

⁹³ ძამუქაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი 2000, 15.

⁹⁴ Deazley/ Kretschmer/ Bently, Privilege and Property, Essays on the history of Copyright,Cambridge, 2010, 258.

უნდა მინიჭებოდა უფლება, მოქმედობა ნებისმიერ დროს მისი ავტორობის დასაბუთება და წინ აღდგომოდა ნაწარმოების, მათ შორის გასხვისებულის მოდიფიცირებას. 1900 წელს ALAI-მ დაიწყო მუშაობა საავტორო უფლებათა შესახებ კანონპროექტზე. კანონპროექტით გათვალისწინებული იყო ავტორის სამი პირადი არაქონებრივი უფლება: ავტორობის უფლება; ავტორის უფლება წინ აღუდგეს ნაწარმოების მოდიფიცირებას; ავტორის უფლება წინ აღუდგეს მოდიფიცირებული ნაწარმოების საჯარო გამოფენას. წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზანი იყო არა მხოლოდ ავტორის ინტერესების, არამედ წარსულის ძეგლთა შენახვა და ხელშეუხებლობა. კანონპროექტი არ იქნა მოწონებული და მიღებული საფრანგეთის ხელისუფლების მიერ.⁹⁵

საკანონმდებლო ორგანოს ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, ლიტერატორთა გაერთიანება აგრძელებდა ბრძოლას ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების საკანონმდებლო წესით დაცვისათვის. 1927 წელს ლუგანში ALAI-მ ბერნის კონვენციის წევრ ქვეყნებს მისცა რეკომენდაცია ეროვნულ კანონმდებლობაში გაუთვალისწინებინათ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა.⁹⁶

XX საუკუნის დასაწყისში, ALAI-სთან ერთად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას მოითხოვდნენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც. 1928 წელს, რომში, პრესის ასოციაციის საერთაშორისო კონგრესის ანგარიშში მოთხოვნილი იყო ეროვნულ კანონმდებლობაში შემდეგი პრინციპების დაცვა: ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე უფლებათა გადაცემის განხორციელება მხოლოდ ორიგინალური ფორმის შეუცვლელად, გადაკეთებული ნაწარმოების გამოფენისა და საჯარო ჩვენების უფლების განხორციელება მხოლოდ ავტორის თანხმობით.⁹⁷

საერთაშორისო ორგანიზაციათა, ლიტერატურის, ხელოვნების წარმომადგენელთა და ფილოსოფოსთა მოსაზრებების გაზიარების შემდეგ ავტორის პირადმა არაქონებრივმა უფლებებმა საერთაშორისო სამართალშიც პოვა ასახვა. 1886 წელს მიღებულმა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციამ მორალური უფლებების დაცვა 1928 წლის შესწორების შემდეგ დაადგინა.⁹⁸ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები აღიარებულია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-6 ბის მუხლით.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობითაც

⁹⁵ Guiseepina, Copyright, Contracts, Creators, New Media New Rules, Massachusetts, 2010, 97-98.

⁹⁶ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006. Adusei, Poku, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 97- 99.

⁹⁷ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006. Adusei, Poku, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 99.

⁹⁸ Kwall, The Soul of Creativity: Forging a Moral Rights Law for the United States, Stanford, California, 2010, 37.

განხორციელდა.⁹⁹ ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებად დაყოფა კონტინენტური ევროპის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საავტორო სამართალს ახასიათებს.¹⁰⁰

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს ავტორის ქონებრივსა და პირად არაქონებრივ უფლებებს. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-17 მუხლით დაცულია ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები: ავტორობის უფლება, სახელის უფლება, ავტორის უფლებას გადაწყვიტოს როდის, სად და ორ ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი; ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება; რეპუტაციის პატივისცემის უფლება; ავტორის უფლებას, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები; ნაწარმოების გამოხმობის უფლება. კანონის მე-18 მუხლის თანახმად კი, ავტორის ქონებრივ უფლებებს მიეკუთვნება: ნაწარმოების რეპროდუცირების, გავრცელების, იმპორტის, საჯარო ჩვენების, საჯარო შესრულების, საჯარო გადაცემის, თარგმნის, გადამუშავების და სხვაგვარი გამოყენების უფლება. განსხვავებით ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან კანონი არ იძლევა ქონებრივ უფლებათა ამოქმურავ ჩამონათვალს და ქონებრივ უფლებებს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებულ უფლებად განიხილავს.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მჭიდრო კავშირშია ქონებრივ უფლებებთან. ორივე კატეგორიის უფლებები ერთი და იმავე ობიექტის შექმნის შედეგად წარმოიშობა, რაც მათ შორის მჭიდრო კავშირის მიზეზია. ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებათა შორის მჭიდრო კავშირს შემდეგი ფაქტორები განაპირობებს: ავტორის ქონებრივი უფლებების განხორციელება პირდაპირაა დამოკიდებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ამოქმედებაზე. თუკი არ განხორციელდა ნაწარმოების გასაჯაროების უფლება - ავტორის უფლება, ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, შეუძლებელი იქნება ქონებრივი უფლებების ამოქმედება მაგ. ნაწარმოების რეპროდუცირების, საჯარო ჩვენების, თარგმნის და აშ. შესაბამისად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება - გადაწყვიტოს როდის, სად და ორ ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, ქონებრივი უფლებების განხორციელების წინაპირობაა.

ავტორის პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს შორის მჭიდრო კავშირს ასევე ასაბუთებს შემდეგი გარემოება: არაქონებრივი უფლების განხორციელებამ შესაძლოა ქონებრივი უფლების მოქმედების შეწყვეტა გამოიწვიოს. მაგ. ავტორის მიერ ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელება გამოიწვევს ნაწარმოების ბრუნვაში ჩართვის შეწყვეტას ან ბრუნვიდან ამოღებას და შესაბამისად, ქონებრივი უფლებების მფლობელი

⁹⁹ Stoke, Art an Copyright, Belgium, 2011, 69.

¹⁰⁰ ქართული უფლებების მიზანი საკუთრების სამართალი, თბილისი, 2000, 33.

ვედარ განახორციელებს ნაწარმოების გამოცემისა და რეპროდუცირების უფლებას. ასეთი საშიშროების წინაშე განსაკუთრებით გამომცემელი დგას, თუკი ავტორი ნაწარმოების გამოხმობას გადაწყვეტს. აღნიშნული შემთხვევა შეიძლება ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებათა შორის დაპირისპირებადაც განვიხილოთ, სადაც კანონის მიერ პირად არაქონებრივ უფლებებს აქვთ მინიჭებული უპირატესობა.

ავტორის პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს შორის მჭიდრო კავშირზე მეტყველებს შემდეგი ფაქტორიც: ავტორის არაქონებრივი უფლებების დარღვევისას, რიგ შემთხვევებში, შეუძლებელიც კი ხდება ქონებრივი უფლებების განხორციელება. მაგ. თუკი დაცული არ იქნება სახელისა და ავტორობის უფლება, ავტორი ვერ შეძლებს ნაწარმოების რეპროდუცირებისა და საჯარო გადაცემის მეშვეობით მიიღოს ქონებრივი სარგებელი, ვინაიდან ნაწარმოები სხვა პირის სახელით იქნება გამოცემული. პირადი არაქონებრივი უფლებების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაუცველობის შემთხვევაში ნაწარმოები განადგურების საფრთხის წინაშე დადგება და შესაბამისად, მასზე ქონებრივი უფლებების განხორციელება შეუძლებელი იქნება.

მიუხედავად ამ მჭიდრო კავშირისა, ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები ერთმანეთისაგან გასხვადება დროსა და სივრცეში მათი განხორციელების ფარგლების მიხედვით, რასაც დაწვრილებით შევეხებით ნაშრომის აღნიშნულ თავში.

2.1.1. ავტორის პირადი და ეკონომიკური ინტერესი

ავტორის ქონებრივი უფლებები მოიცავს ავტორის ექსპლუზიურ უფლებას საკუთარი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად მიიღოს მატერიალური სარგებელი. პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს აძლევს შესაძლებლობას, დაიცვას მისი პერსონალურობა, გამოხატული ნაწარმოებში და განახორციელოს კონტროლი საკუთარ ნაშრომზე.¹⁰¹ პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ავტორის მთავარი ინტერესი ნაწარმოების „ბედის“ კონტროლია. ავტორი ასოცირებულია თავის ქმნილებასთან და უფლებამოსილია ისარგებლოს თავისი შრომის ნაყოფით. ქონებრივი უფლებების განხორციელების შედეგად მიღწეული კონტროლი შეზღუდულია ავტორის ფინანსური ინტერესებით. პირადი არაქონებრივი უფლებებით ავტორს ასევე ეძლევა საშუალება აკონტროლოს თუ როგორ დაინახავს და შეაფახებს საზოგადოება, ნაწარმოებიდან გამომდინარე.¹⁰²

რამდენად მართებულია საავტორო უფლებების პირად არაქონებრივ და ქონებრივი უფლებებად დაყოფის ერთ-ერთ საფუძველად უფლებათა მიმართ ავტორის ეკონომიკური და პერსონალური ინტერესი იყოს მიჩნეული? უფლებათა ამ ნიშით კლასიფიკაციამ შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად წარმოქმნილი უფლებების

¹⁰¹ Adusei, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 13.

¹⁰² Leaffer, Understanding Copyright Law, Fourth edition, LexisNexis Group, 2005, 376.

დაყოფა პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებად პირობითი ხასიათისაა. ხშირ შემთხვევაში ძნელია ზღვარის გავლება ავტორის რომელი უფლება ემსახურება მისი პირადი და რომელი ქონებრივი ინტერესების დაცვას. პირადი არაქონებრივი უფლებებიდან ყველაზე მეტად გავრცელებული ავტორობისა და სახელის უფლებაც კი შეიძლება იყოს ეკონომიკური ინტერესის შემცველი. საზოგადოებისათვის ცნობილი ავტორის სახელი შეიცავს დამკვიდრებულ იმიჯს, რომელიც თავისთავად არის გარკვეული კომერციული ღირებულების მატარებელი და ხელს უწყობს ნაწარმოების გავრცელებას. ქონებრივი და პირადი ინტერესების საფუძველზე, საავტორო უფლებათა კლასიფიკაციის შესახებ, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: განა ავტორის ვინაობა და სახელიქონებრივი სარგებლის მოტანას არ ემსახურება? მაგრამ, მათი ბუნებიდან გამომდინარე არაქონებრივ გამოვლინებას უნიჭება პრიორიტეტი და ამიტომაც არაქონებრივ უფლებებად არის მონათლული.¹⁰³ ავტორობის უფლებასთან ერთად, ნაწარმოების გასაჯაროების უფლებაშიც ფიგურირებს კომერციული ინტერესები.¹⁰⁴

გერმანულ საავტორო სამართლში დამკვიდრებულია მონისტური თეორია, რომლის მიხედვითაც ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები ერთი და იმავე ავტორის პირადი, ინტელექტუალური და ეკონომიკური ინტერესის დაცვას ისახავს მიზნად.¹⁰⁵ შესაბამისად, ქონებრივი და პირადი ინტერესები, როგორც საავტორო უფლებათა კლასიფიკაციის საფუძველი არ განიხილება გერმანულ საავტორო სამართალში.

საავტორო სამართლის მონისტურ და დუალისტურ თეორიებს შევეხეთ ნაშრომის წინა თავში. ამ შემთხვევაში ქონებრივი და პირადი ინტერესი, როგორც საავტორო უფლებათა კლასიფიკაციის საფუძველი, კონკრეტულ უფლებათა განხორციელების მაგალითებზე იქნება განხილული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნაწარმოების თარგმანისა და ნაწარმოების გასაჯაროების უფლების შედარება: პირველი მათგანი ქონებრივი უფლებაა, ხოლო მეორე, არაქონებრივი. თარგმანის უფლება შესაძლოა ხელშეკრულების საგანი გახდეს და მემკვიდრეობით გადაეცეს, ხოლო ნაწარმოების გასაჯაროების უფლება, მიუხედავად იმისა, მოუტანს თუ არა ამ უფლების განხორციელება ავტორს მატერიალურ სარგებელს, არ შეიძლება გასხვისდეს ან სხვა ხერხით იყოს ჩართული სამოქალაქო ბრუნვაში. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების - ნაწარმოების გასაჯაროების განხორციელების მიზანია ნაწარმოები იხილოს ფართო აუდიტორიამ. თარგმანის ქონებრივი უფლების გამოყენება, მატერიალური სარგებლის მიღებასთან ერთად, ნაწარმოების ფართოდ გავრცელების მიზანსაც ისახავს. თუკი ავტორმა ეს ქონებრივი უფლება უსასაყიდლოდ გადასცა სხვა პირს, მაშინ მხოლოდ არაქონებრივი ინტერესი დარჩება თარგმანის უფლების განხორციელებას - რაც შეიძლება ფართო აუდიტორია გაეცნოს ნაწარმოებს.

¹⁰³ ძაბუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი 2006, 235.

¹⁰⁴ Lucas/Lucas, Traité de la propriété littéraire et artistique, Paris, 2001 para 378, 277.

¹⁰⁵ Lipszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 35.

ეკონომიკური ინტერესის გათვალისწინებით, ავტორის ქონებრივსა და პირად არაქონებრივ უფლებებს შორის იმდენად ფორმალურია განსხვავება, რომ ერთი და იგივე უფლება სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით, ქონებრივ ან პირად არაქონებრივ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება. მაგ. "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ავტორის ქონებრივ უფლებას მიეკუთვნება სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლება მოსთხოვოს ნაწარმოების მესაკუთრეს, მისცეს საშუალება განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება (დაშვების უფლება). ამავე მუხლის მიხედვით შესაძლებელია აღნიშნული უფლების გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა. ხოლო ესპანეთის ინტელექტუალური საკუთრების კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ავტორის პირად არაქონებრივ უფლებას მიეკუთვნება ნაწარმოებზე მისაწვდომობის უფლება, ანუ ავტორის უფლება მოითხოვოს სხვის მფლობელობაში არსებული ნაწარმოების დედანის ან ასლის დროებით გადაცემა ნაწარმოების გამოფენის მიზნით.¹⁰⁶ აღნიშნული უფლების არაქონებრივ უფლებად კლასიფიცირება გამართლებულია, ვინაიდან სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის დაშვების უფლება შინაარსით მსგავსია ნაწარმოების გასაჯაროების პირადი არაქონებრივი უფლებისა. გასაჯაროების უფლების გამოყენებით, ავტორი წყვეტს გახდოს თუ არა ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, ისევე, როგორც სახვითი ხელოვნების ნაწარმოებზე დაშვების უფლებით ავტორი ნაწარმოებს ხდის საჯაროდ ხელმისაწვდომს საზოგადოებისათვის. დაშვების უფლების განხორციელების მიზანი შესაძლოა არ იყოს ეკონომიკური სარგებლის მიღება. ავტორი ვერ გაყიდის სხვის საკუთრებაში არსებულ, მისთვის დროებით, რეპროდუცირების მიზნით გადაცემულ ნაწარმოებს. თუკი ავტორი დაშვების უფლებას უფასო გამოფენის მოსაწყობად გამოიყენებს, უფლების განხორციელების მიზანი მხოლოდ ავტორის რეჟუტაციისა და პრესტიჟის ამაღლება, ცნობადობის გაზრდა, ანუ არამატერიალური ინტერესის დაკმაყოფილება იქნება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საავტორო უფლებების კლასიფიკაციას პირად არაქონებრივ და ქონებრივი უფლებებად არ შეიძლება საფუძვლად დაედოს უფლებათა დაცვისა და განხორციელების მიმართ ავტორის პირადი და ეკონომიკური ინტერესი. ქონებრივი უფლებები, რომლებიც იცავს ავტორის კომერციულ ინტერესებს, ასევე გამოიყენება ავტორის პირადი ინტერესების დაცვისათვის და პირიქით, პირადი არაქონებრივი უფლებები შესაძლოა გამოყენებული იყოს აგრეთვე ნაწარმოებთან დაკავშირებული კომერციული მიზნების დასაცავად.¹⁰⁷

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები ხშირად ავტორის ერთსა და იმავე ინტერესებს იცავს, მათ შორის მრავალი განსხვავებაა უფლებათა განხორციელების, დაცვის, დროსა

¹⁰⁶ Texto Refundido de la Ley de Propiedad Intelectual (TRLPI) ხელმისაწვდომია: <http://www.mcu.es/propiedadInt/docs/RDLegislativo_1_1996.pdf> {14.01.2014}.

¹⁰⁷ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 221.

და სივრცეში მათი მოქმედების და სუბიექტების თვალსაზრისით, რაც ნაშრომის მომდევნო თავებში იქნება განხილული.

2.1.2. საავტორო უფლებების მოქმედება დროსა და სივრცეში

ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება დროსა და სივრცეში მათი მოქმედების ფარგლებში ვლინდება.

ქონებრივი უფლებების მოქმედება გარკვეული სივრცითაა შეზღუდული. ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენცია, ქონებრივ უფლებათა მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიცავს იმპერატიულ ნორმებს, რომელიც სავალდებულოა წევრი ქვეყნებისათვის. აღნიშნული კონვენციის ძალით, საავტორო უფლებები წარმოშობა და მოქმედებს ყოველგვარი ფორმალობების შესრულების გარეშე. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, დაცვა წარმოშობის ქვეყანაში რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. თუმცა თუ ავტორი არ არის იმ ნაწარმოების წარმოშობის ქვეყნის მოქალაქე, რომლისთვისაც მას კონვენციით ენიჭება დაცვა, ამ ქვეყანაში იგი სარგებლობს ისეთივე უფლებებით, როგორიც ამ ქვეყნის მოქალაქე ავტორები. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე ავტორთა ქონებრივი უფლებები ავტომატურად მოქმედებს ბერნის კონვენციის მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე.

ავტორის ქონებრივი უფლებების მოქმედება დროითაც არის განსაზღვრული. სწორედ ამით განსხვავდება იგი როგორც საკუთრების უფლების, ასევე ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან. საკუთრების უფლების მოქმედება დროით არ არის შეზღუდული, ისევე როგორც უვალოდ მოქმედებს პირადი არაქონებრივი უფლებები. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-7 მუხლი ავტორის ქონებრივი უფლებების მინიმალურ ვადას აწესებს - ავტორის სიცოცხლის მთელ პერიოდს და 50 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადაა 70 წელი ავტორის გარდაცვალებიდან. ნაწარმოები, რომელზეც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო პონორარის გადახდის გარეშე. ავტორის ქონებრივი უფლებების შეზღუდვა გარკვეული ვადით ადასტურებს, რომ საავტორო სამართლი იცავს არა მხოლოდ ავტორის, არამედ საზოგადოების ინტერესებს, დაუბრკოლებლად ისარგებლოს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებებით.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მოქმედებს შეუზღუდავად, სივრცის მიუხედავად. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მსგავსია სამოქალაქო კოდექსით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებებისა, რომელიც ადამიანის ძირითად უფლებებად მიიჩნევა და მათი დაცვა არ არის დამოკიდებული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობასა თუ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებაზე. იურიდიულ მეცნიერებაში ასევე გამოთქმულია შეხედულება, რომ ზოგიერთი პირადი

არაქონებრივი უფლების, მაგალითად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების განხორციელება დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე, ვინაიდან ქონებრივი უფლება, ნაწარმოების გადამუშავების უფლება ხელშეუხებლობის უფლებათა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ, ანუ მის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ.¹⁰⁸ შესაბამისად, ტერიტორიით აბსოლუტურად შეუზღუდავ პირად არაქონებრივ უფლებებს მიეკუთვნება ე.წ. ნებატიური, „წმინდად პიროვნული“ უფლებები. ბუნებრივია, ავტორის სახელი, ავტორობა და რეპუტაცია დაცული უნდა იყოს უფლება ნებისმიერ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ქვეყანა ბერნის კონვენციის წევრი.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მოქმედების ვადის მიხედვითაც განსხვავდება ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან. ლიტერატურის და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-6bis მუხლის მიხედვით, მორალური უფლებები ინარჩუნებს ძალას ავტორის გარდაცვალების შემდეგ, სულ მცირე, ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადის გასვლამდე და ხორციელდება იმ პირების ან დაწესებულებების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც მოითხოვება დაცვა. თუმცა იმ ქვეყნებს, რომელთა კანონმდებლობა, ამ აქტის რატიფიკაციის ან მასთან შეერთების მომენტში არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ უზრუნველყოფენ წინა პუნქტში ჩამოთვლილი ყველა უფლების დაცვას, შუმლიათ გაითვალისწინოს, რომ ზოგიერთი ეს უფლება შეწყდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არ არის დადგენილი მოქმედების ერთიანი ვადა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებისათვის. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, უვადო საავტორო უფლებებია: ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება. ავტორის უვადო პირადი არაქონებრივი უფლებები იცავს უფრო მეტს, ვიდრე ავტორის პიროვნულობა და ინტელექტუალური ინტერესია. ავტორისა და მემკვიდრეების გარდაცვალების შემდეგ აღნიშნულ უფლებათა დაცვა საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობის ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ვადის მიხედვით სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: უვადო უფლებები; უფლებები, რომელიც მოქმედებს ავტორის სიცოცხლის ვადით და ქონებრივი უფლებების ვადით შეზღუდული უფლებები. ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა განსხვავებას მოქმედების ვადების მიხედვით დაწესებული განვიხილავთ ნაშრომის მომდევნო ქვეთავში.

საავტორო უფლებების მოქმედების განსხვავებული ვადები განპირობებულია თავად უფლებათა შორის შინაარსობლივი განსხვავებით. საავტორო უფლებათა დაცვისათვის განსხვავებული ვადების დაწესება, ავტორის უფლებების ეფექტურ დაცვასთან ერთად, მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, კულტურისა და ხელოვნების

¹⁰⁸ აბგუაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 227.

პროგრესის ხელშეწყობას და საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას - შეუზღუდავად ისარგებლოს ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებებით.

2.1.3. ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებათა სუბიექტი

ავტორის პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს შორის განსხვავება ვლინდება უფლებათა სუბიექტების თვალსაზრისით. განსხვავებულ სუბიექტებს უფლებათა წარმოშობის განსხვავებული საფუძველი განაპირობებს, ავტორი ნაწარმოების შექმნით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს. ავტორმა ქონებრივი უფლებები შესაძლოა, გარიგებით გადასცეს მესამე პირებს.

საავტორო უფლებათა შეძენის ხუთი გზა არსებობს: ლიტერატურის, მეცნიერებისა და მხატვრული ნაწარმოების შექმნა, ავტორის მიერ უფლებათა გადაცემა ხელშეკრულებით, უფლებათა გადაცემა მემკვიდრეობით, უფლებათა შეძენა შრომითი ხელშეკრულებით სამსახურებრივ ნაწარმოებზე და უფლებათა შეძენა ნაწარმოების პირველად გამოცემით ან საჯარო გაცნობით საავტორო უფლებების ვადის გასვლის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს ერთი და იგივე ობიექტი აქვთ - ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოები, უფლებათა შორის განსხვავება ნათლად ვლინდება უფლებათა განსხვავებულ სუბიექტებში, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების შეძენა მხოლოდ პირველი საფუძვლით, ანუ ლიტერატურის, მეცნიერებისა და მხატვრული ნაწარმოების შექმნით არის შესაძლებელი. პირადი არაქონებრივი უფლების მფლობელს მხოლოდ ავტორი შეიძლება წარმოადგენდეს. ავტორის ქონებრივი უფლების მფლობელი კი, შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი, რომელსაც წვლილი არ შეუტანია ნაწარმოების შექმნაში.

საქართველოს საავტორო სამართლი იზიარებს კონტინენტური ევროპის სამართლის მიდგომას, რომლის მიხედვითაც ავტორი მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს. შესაბამისად, საავტორო უფლების სუბიექტები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს - ავტორები და საავტორო უფლებათა მფლობელები.

2.1.3.1 ავტორის ქონებრივ უფლებათა მფლობელი

ავტორი არის პირი, რომელსაც ნაწარმოებზე პირადი არაქონებრივი უფლებები გააჩნია, მიუხედავად იმისა, გადასცა თუ არა ქონებრივი უფლებები სხვა პირს, ვინაიდან „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს გვუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დაომობის შემთხვევაშიც. საქართველოს საავტორო სამართალი კონტინენტური ეკრანის სამართლის პრინციპებს იზიარებს, რომლის მიხედვითაც ავტორი მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს, რომელმაც შემოქმედებითი შრომა გასწია და თავისი პიროვნულობა ასახა ნაშრომში. ხოლო საავტორო უფლების მფლობელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ნაწარმოების შექმნაში წვლილი არ შეუტანია.

ავტორის ქონებრივი უფლებები სამოქალაქო ბრუნვის ობიექტია. მათი გადაცემა, გასხვისება შესაძლებელია და შესაბამისად, ამ უფლებათა მფლობელი შესაძლოა, იურიდიული პირი ან ის ფიზიკური პირი იყოს, რომელსაც არ გაუწევია ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა ნაწარმოების შესაქმნელად.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ ტერმინს „ავტორი“ და „განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელი“. კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ავტორი ფიზიკური პირია, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები. განსაკუთრებულ უფლებებად, კანონის მე-18 მუხლის თანახმად ქონებრივი უფლებები მიიჩნევა. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელია ის, ვისაც ნაწარმოებზე ქონებრივი უფლებები გააჩნია. კანონის მე-9 მუხლის თანახმად საავტორო უფლებათა ნიშანი: ლათინური ასო C წრეწირში ©, ნაწარმოებზე ქონებრივი უფლებების მფლობელს აღნიშნავს და არა ნაწარმოების ავტორს.

ავტორის ქონებრივ უფლებათა თავდაპირველი მფლობელი უმეტეს შემთხვევაში ავტორის, რომელიც ნაწარმოების შექმნით იძენს პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს. თუმცა ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც ნაწარმოების შექმნისთანავე ქონებრივი უფლებების მფლობელი არა ავტორი, არამედ სხვა პირია, მაგალითად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქონებრივი უფლებები დასაქმებულის ან შეაგეთის მიმღების მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებასთან (სამსახურებრივი ნაწარმოები), ეკუთვნის შესაბამისად დამსაქმებელს ან შემაგეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სამსახურებრივ ნაწარმოებზე ავტორის ქონებრივი უფლების სუბიექტი განაპირობებს ავტორისათვის პირადი არაქონებრივი უფლების - ნაწარმოების გამოხმობის უფლების შეზღუდვას. (კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 17(1)(b). ანალოგიური წესი მოქმედებს ხელშეკრულებით შექმნილ ნაწარმოებზეც).

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, შეკვეთის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე ქონებრივი საავტორო უფლებები ეკუთვნის შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ავტორის ქონებრივ უფლებათა გადაცემა შესაძლოა ავტორის ან მის მემკვიდრეთა ნებაზე არ იყოს დამოკიდებული. მაგალითად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, პირს, ორმელიც საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით პირველად გახდის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ნაწარმოებს, რომლის გამოცემა ან საჯარო გაცნობა ადრე არ მომხდარა, ამ ნაწარმოებზე წარმოეშობა ქონებრივი უფლებები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორის ქონებრივი უფლების მფლობელს ყოველთვის არ განსაზღვრავს თავად ავტორი. ქონებრივი უფლებები სამოქალაქო ბრუნვის ობიექტია და მისი მფლობელი შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

2.1.3.2. საავტორო პიროვნული უფლების მფლობელი

პირად არაქონებრივი უფლებები ნაწარმოებზე ყოველთვის ავტორს ეკუთვნის, ფიზიკურ პირს. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ავტორის მორალური უფლებები არ არის წმინდად უფლება, არამედ ფიქრების, არჩევანის, გრძნობების პერსონალური გამოხატულება.¹⁰⁹ შესაბამისად, ამ უფლების მფლობელი მხოლოდ ის პირი შეიძლება იყოს, რომელმაც საკუთარი ინდივიდუალიზმი და პიროვნულობა ასახა ნაწარმოებში.

ნაწარმოები შეიძლება შეიქმნას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-11 მუხლით არეგულირებს თანაავტორობას. აღნიშნული ნორმის მიზანია, ავტორთა მიერ უფლების განხორციელებამ ხელი არ შეუშალოს სხვა თანაავტორთა კანონიერი უფლებების დაცვასა და განხორციელებას.

ავტორმა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა შესაძლოა სიცოცხლეშივე მიანდოს სხვა პირს. ავტორის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებზე გადადის პირადი არაქონებრივი უფლებები დაცვის ან განხორციელების უფლებით. შესაბამისად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების შემთხვევაში, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს უფლებამონაცვლეობას.

¹⁰⁹ Adusei, Poku, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 13.

2.1.3.2.1. ავტორი, თანაავტორი

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორი ფიზიკური პირია, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები. კანონის აღნიშნული დანაწესით საქართველოს საავტორო სამართალი იზიარებს კონტინენტური ეკროპის საავტორო სამართალში დამკიდრებულ მიღებომას.¹¹⁰

საერთო სამართლის ქვეყნებში ავტორი შეიძლება იყოს იურიდიული პირი, „კოპირაიტის“ მფლობელი. ეს განსხვავება ყველაზე უფრო ნათლად ვლინდება, როდესაც საქმე ეხება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს. მაგ. გერმანიაში ავტორი აუცილებლად უნდა იყოს ფიზიკური პირი, რომელმაც შეასრულა ინტელექტუალური სამუშაო. შესაბამისად, გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, ავტორად არ ითვლება პროდუსერი, ვინაიდან მის მიერ გაწეული არ არის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა.¹¹¹

საფრანგეთის საავტორო სამართლის მიხედვით ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელმაც თავისი პიროვნულობა და ორიგინალობა ჩადო ნაწარმოებში, გარდა ამისა, საჭიროა ადამიანს გარკვეული დრო და ენერგიაც ჰქონდეს დახარჯული ნაშრომზე. ამიტომ ადამიანი, რომელმაც მხოლოდ იდეა გამოხატა, არ შეიძლება მივიჩნიოთ ავტორად.¹¹² ანალოგიურ მიღებომას იზიარებს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიც, სადაც მიჩნეულია, რომ ფილმის ავტორი აუცილებლად არის რეჟისორი და არა პროდიუსერი (მაგ. ბრაზილიის 1998 წლის 19 თებერვლის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა აქტის 26-ე მუხლი).¹¹³

საინტერესოდაა ავტორობის საკითხი გადაწყვეტილი სამხრეთ აფრიკის საავტორო სამართალში, სადაც ავტორობა უკავშირდება არა მხოლოდ ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას, არამედ ხელშეკრულების პირობებსაც და იმასაც, თუ ვინ ახორციელებს კონტროლს ნაწარმოების შექმნაზე. მაგ. ლიტერატურის, მუსიკალური და ხელოვნების ნაწარმოების ავტორად ითვლება პირი, რომელმაც პირველად შექმნა ნაწარმოები; ფოტოგრაფიული ნაწარმოების ავტორად ითვლება პირი, რომელიც პასუხისმგებელია ფოტოს კომპოზიციაზე; კინემატოგრაფიული ნაწარმოების ავტორად ითვლება პირი, რომელთანაც დადებულია შეთანხმება ფილმის გადაღებაზე, ხოლო კომპიუტერული ნაწარმოების ავტორად ითვლება პირი, რომელიც ახორციელებს კონტროლს კომპიუტერული პროგრამის შექმნაზე.¹¹⁴

¹¹⁰ Patterson/Lindberg, The Nature of Copyright, A Law of users rights, Athens, Georgia, 1991, 165-167.

¹¹¹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 230.

¹¹² Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 117.

¹¹³ Brazil, on Copyright and Neighboring Rights, 19 February, 1998. ხელმისაწვდომია: <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=514>> {14.01.2014}

¹¹⁴ Owen, Moral rights reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Netherland-Belgium, 1995, 133.

საავტორო სამართლით დაცვადი ნაწარმოები წარმოადგენს „გონების პროდუქტს“, ასეთი პროდუქტი კი მხოლოდ ინდივიდის გონებამ შეიძლება შექმნას. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუკი იურიდიული პირი შეიძლება განვიხილოთ ავტორად, მაშინ შესაძლებელია იმ მოწყობილობის ავტორობაზეც ვიმსჯელოთ, რომელიც ნაწარმოებს ქმნის.¹¹⁵ შესაბამისად, როგორც კომპიუტერი ვერ იქნება ავტორი მის მიერ თარგმნილ ნაწარმოებზე, ასევე იურიდიული პირიც ვერ იქნება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების მფლობელი. კომპიუტერული თარგმანის უკან ყოველთვის დგას ადამიანი, რომელმაც შექმნა პროგრამა, ისევე, როგორც იურიდიული პირის სახელით შექმნილი პროდუქტი ინდივიდების საქმიანობის შედეგად იქმნება.

კონტინენტური ევროპის საავტორო სამართლი დაფუძნებულია პრინციპზე, რომ ავტორობა ყოველი ინდივიდის მიერ გაწეულ შემოქმედებით წვლილამდე დაიყვანოს. აღნიშნულ პრინციპს იზიარებს საქართველოს კანონიც „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ რომლის მე-15 მუხლის თანახმად, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები (თანაავტორები) არიან: დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის.

საერთო სამართლის ქვეყნებში, ინგლისსა და ამერიკაში კი აუდიო ჩანაწერის ავტორად ითვლება პირი, რომელმაც მიიღო აუცილებელი ზომები ჩანაწერის გასაკეთებლად. იგივე წესი ვრცელდება ფილმებზეც. აქედან გამომდინარე ფილმის ავტორად ითვლებოდა პროდუსერი, ვინაიდან იგი იღებდა აუცილებელ ზომებს ფილმის შესაქმნელად.¹¹⁶

კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის საავტორო სამართლს შორის ეს მნიშვნელოვანი განსხვავება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებისადმი დამოკიდებულებითაა გამოწვეული: საერთო სამართლის ქვეყნები ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს მხოლოდ შეზღუდული სახით აღიარებენ. მაგ. ინგლისში ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა საერთო სამართლით, და არა საავტორო სამართლით ხორციელდება, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს მხოლოდ სახითი ხელოვნების ნაწარმოებზე აღიარებს.¹¹⁷ საერთო სამართლის ქვეყნებისათვის საავტორო უფლებები, უპირველეს ყოვლისა, ქონებრივი უფლებებია და შესაბამისად, იურიდიული პირიც შეიძლება იყოს მისი მფლობელი. ხოლო კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, პიროვნული უფლებებია, იგი განუყოფელია ფიზიკური პირისაგან. ამიტომ სამსახურებრივ ნაწარმოებზეც მიუხედავად იმისა რომ, ყველა ქონებრივი უფლება დამსაქმებელს ეპუთვნის

¹¹⁵ Subbian, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007, 164.

¹¹⁶ Torremans, Holyoak and Torremans Intellectual Property Law, Fourth Edition, Oxford, 2005, 110.

¹¹⁷ Kwall, The Soul of Creativity: Forging a Moral Rights Law for the United States, Stanford, California, 2010, 159-163.

იგი ვერ იქნება ავტორის პირადი არაქონებრივი (მორალური) უფლებების მფლობელი.¹¹⁸

“საავტორო და მომიჯნავე უფლებათა” შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი თანაავტორობას შეეხება. კანონის მიხედვით, საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც ერთობლივი შრომის შედეგად შექმნა ორმა ან მეტმა პირმა, ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს. 1999 წლამდე განხორციელებულ ცვლილებებამდე სამოქალაქო კოდექსიც აწესრიგებდა საავტორო უფლებებს. კოდექსის 1033 მუხლში აღნიშნული იყო, რომ თანაავტორობა ეკუთვნოდათ ორ ან მეტ პირს, ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე. კანონში “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” აღნიშნული მუხლი თითქმის უცვლელი სახით გადმოვიდა, მხოლოდ სიტყვა შემოქმედებითი იქნა ამოღებული. კანონში ცვლილებას უარყოფითად აფასებდნენ ქართველი იურისტებიც. კანონის კომენტარში აღნიშნულია, რომ ცვლილება მნიშვნელოვნად აუარესებს ნორმის შინაარსს. მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის ანალოგიურ კანონებში არ გვხვდება თანაავტორობის განმარტებაში, მხოლოდ ერთობლივი შრომა, რადგან ერთობლივი შრომა, თუ შემოქმედებითი არ არის, არ ჩაითვლება თანაავტორობად.¹¹⁹ 2005 წელს კვლავ შევიდა კანონში ცვლილება და სიტყვა შრომა ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობით შეიცვალა.

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს განუყოფელ და გაყოფად თანაავტორობას. განუყოფელი თანაავტორობის დროს ნაწარმოები ერთი განუყოფელი მთლიანობაა, საიდანაც შეუძლებელია ცალკეული ნაწილების გამოყოფა. ხოლო გაყოფადი თანაავტორობის დროს ნაწარმოები წარმოადგენს ერთ მთლიანობას, მაგრამ შესაძლებელია მისი დაყოფა ავტორების მიხედვით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, თანაავტორებს შემოქმედებითი და არა სხვა ტიპის მექანიკური ან ტექნიკური შრომა უნდა ჰქონდეთ გაწეული ნაწარმოების შესაქმნელად. არ არის აუცილებელი, რომ თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე ხარისხობრივად ან რაოდენობრივად თანაბარი წვლილი იყოს შეტანილი. მინიმალური მოთხოვნაა, პირმა მიიღოს მონაწილეობა ნაწარმოების შექმნაში ვიდრე ნაწარმოები დასრულდება. მაგალითად, კორექტურის გაკეთება, როდესაც წიგნი დასრულებულია, არ შეიძლება მივიჩნიოთ თანაავტორობად.¹²⁰

თანაავტორობის შემთხვევაში, კანონის ავტორებს გარკვეულწილად ეზღუდებათ კიდეც საავტორო უფლებები, მაგალითად, არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე (საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 11(2)). აღნიშნული შეზღუდვა ავტორის პირად არაქონებრივ, ნაწარმოების გასაჯაროების

¹¹⁸ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 231.

¹¹⁹ ძამუკა შეიღია/ შენგელია/გაბურია/ ხრუბეგია/ ჯორგენაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 67-68.

¹²⁰ Fishman, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003, 8/27.

უფლებასაც შეეხება, რაც დაწვრილებით იქნება განხილული ნაშრომის აღნიშნულ უფლებისადმი მიძღვნილ თავში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საავტორო სამართლის მიხედვით, ავტორი ყოველთვის ფიზიკური პირია. ავტორობისათვის არ არის საჭირო პირის ქმედუნარიანობა, ასაკი ან სხვა გარემოება. საჭიროა მხოლოდ ინტელექტუალური-შემოქმედებითი შრომის შედეგად ნაწარმოების შექმნა.

2.1.3.2.2. საავტორო უფლებათა სუბიქტის უფლებამონაცვლე

საავტორო უფლებათა სუბიქტის უფლებამონაცვლეობისა და წარმომადგენლობის საკითხი განსხვავებულად რეგულირდება ავტორის და ავტორის ქონებრივი უფლების მფლობელის შემთხვევაში.

ავტორის ქონებრივი უფლებები სამოქალაქო ბრუნვის საგანია. მათი მესაკუთრის უფლებამონაცვლეობა და წარმომადგენლობა სამოქალაქო სამართლის ნორმებით რეგულირდება, მსგავსად სხვა ქონებრივ უფლებათა მესაკუთრის უფლებამონაცვლეობისა.

საავტორო უფლებათა სუბიქტის უფლებამონაცვლეობისა და წარმომადგენლობის ინსტიტუტი მეტი სირთულით ხასიათდება, ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებთან კავშირში. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის თანახმად, უფლებამონაცვლის მიერ თითოეული პირადი არაქონებრივი უფლების შემთხვევაში, უფლების დაცვისა თუ განხორციელების განსხვავებული წესი და ფარგლები მოქმედებს.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები არ არის სამოქალაქო ბრუნვის საგანი. შესაბამისად, მათი ხელშეკრულებით გადაცემა დაუშვებელია. ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა სუბიქტს, პირად არაქონებრივ უფლებათა განსხვავებული შინაარსიდან გამომდინარე, გააჩნია უფლებათა დაცვის ან განხორციელების შესაძლებლობა. ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა ნაწილი ე.წ. „ნეგატიურ უფლებებს“ მიეკუთვნება, რომელთა არა განხორციელების, არამედ დაცვის უფლება გააჩნია ავტორსა და მის უფლებამონაცვლეს, მაგ. სახელისა და ავტორობის უფლება. პირად არაქონებრივ უფლებათა ნაწილი კი ე.წ. „პოზიტიურ უფლებათა“ რიცხვს მიეკუთვნება, მაგ. ავტორის უფლება დაურთოს ნაწარმოებს სხვა პირთა ნაწარმოები, გამოიხმოს ნაწარმოები. ავტორი ახდენს აღნიშნულ უფლებათა განხორციელებას.¹²¹ ნეგატიურ და პოზიტიურ უფლებათა შორის განსხვავება ვრცლად იქნება განხილული ნაშრომის მომდევნო თავში.

ავტორის უფლებამონაცვლე და წარმომადგენელი განსხვავებულად განისაზღვრება პოზიტიური და ნეგატიური უფლებების შემთხვევაში. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი ავტორს აძლევს შესაძლებლობას დანიშნოს საკუთარი უფლებამონაცვლე, რომელიც განხორციელებს ავტორის პირად არაქონებრივ, ნეგატიურ უფლებათა

¹²¹ Lypsyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 159.

დაცვას მის სიცოცხლეში. აღნიშნული უფლებები ავტორის მემკვიდრეებზეც გადადის დაცვის უფლებით. რაც შეეხება ავტორის პოზიტიურ უფლებებს, მათი მხოლოდ ნაწილი გადადის მემკვიდრეებზე განხორციელების უფლებით, ნაწილი კი წყვეტს არსებობას ავტორის გარდაცვალებასთან ერთად.

”საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 35-ე მუხლი არეგულირებს საავტორო უფლებათა გადაცემის საფუძვლებს და აწესრიგებს საავტორო უფლებათა სუბიექტის უფლებამონაცვლეობისა და მემკვიდრეობის საკითხებს. აღნიშნული მუხლი რამდენიმე ხარვეზით ხასიათდება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებთან მიმართებაში. 35-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საავტორო უფლება გადაიცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით ანდა ხელშეკრულებით. აღნიშნულ, ხორმაში არ არის დაზუსტებული გადაცემის ამგარი წესი შეეხება მხოლოდ ავტორის ქონებრივ, თუ პირად არაქონებრივ უფლებებსაც.

35 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები არეგულირებს ავტორის პირად არაქონებრივ, ნეგატიურ უფლებათა განხორციელებას მესამე პირების მიერ. ავტორს უფლება აქვს მიუთითოს პირი, რომელიც განახორციელებს ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას მის გარდაცვალებამდე. ამ შემთხვევაში კანონი არ აკონკრეტებს საუბარია მხოლოდ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირზეც. ავტორის გარდაცვალების შემდეგ პირად არაქონებრივ უფლებათა განხორციელებაში შესაძლოა, სუბიექტად შემოვიდეს იურიდიული პირი, კერძოდ თუ მემკვიდრეები არ არსებობენ ან არაჯეროვნად ახორციელებენ ნეგატიურ უფლებათა დაცვას, ამ უფლებების დაცვას აწარმოებს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისათვის“. შესაბამისად, ავტორის წარმომადგენელი ნეგატიურ უფლებათა დაცვისას, შესაძლოა იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების მემკვიდრეობით გადაცემას არეგულირებს 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად აღნიშნული უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. მემკვიდრეებს უფლება აქვთ, განახორციელონ ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებათა დაცვა. მათი ეს უფლებამოსილება ვადით არ იზღუდება. კანონის ხარვეზია, რომ ამ უფლებათა ჩამონათვალში არ გვხვდება რეპუტაციის პატივისცემის უფლება - კერძოდ, ავტორის უფლება დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისა ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია, (მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი) მითუმეტეს, რომ ეს უფლებაც 33-ე მუხლის თანახმად, უვადო საავტორო უფლებადაა მიჩნეული და მათი უვადოდ დაცვაც როგორც ავტორის, ასევე საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.

”საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლი ხარვეზით ხასიათდება პოზიტიურ პირად არაქონებრივ უფლებათა სუბიექტის უფლებამონაცვლის დადგენის თვალსაზრისითაც. 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუკი ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, მისი პირადი უფლებებიდან მემკვიდრეობით გადადის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა

ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). 35-ე მუხლში არაფერია ნათქვამი ავტორის პირად არაქონებრივ უფლებაზე გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი (მე-17 მუხლის პირველი პუნქტი „გ“ ქვეპუნქტი) და ნაწარმოების გამოხმობის უფლებაზე (მე-17 მუხლის პირველი პუნქტი „ზ“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, გაურკვევლია აღნიშნული პოზიტიური უფლებები სხვა ნაწარმოებზე დართვის უფლების მსგავსად გადადის მემკვიდრეობით თუ მათი მოქმედების გადა ამოიწურება ავტორის სიცოცხლით.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართლის მიხედვით, უფრო ფართოა იმ პირად არაქონებრივ უფლებათა წრე, რომელთა გადაცემაც შესაძლებელია მესამე პირებზე. 1928 წლის ბერნის კონვენციის რევიზიამდე, გერმანული კანონმდებლობა ითვალისწინებდა ეკონომიკურთან ერთად, მორალური უფლებების გადაცემასაც.¹²² გერმანიის დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, პირად არაქონებრივ უფლებათა მხოლოდ ნაწილს გადაცემაა შესაძლებელი. გერმანიის საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მიხედვით, ავტორი უფლებამოსილია პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელება დაავალოს სხვა პირებს და არა მემკვიდრეებს, გადასცეს მის აგენტებს ან ანდერმის აღმასრულებელს. ამ შემთხვევაში აგენტი მოქმედებს ავტორის სახელით. გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, ნაწარმოების უკან გამოთხოვის უფლებაც შეიძლება განხორციელდეს ავტორის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ავტორმა ამის შესახებ სურვილი სიცოცხლეშივე გამოხატა.¹²³

სპეციალური დებულებები არსებობს ესპანურ კანონმდებლობაში ნაწარმოების გასაჯაროების უფლებასთან დაკავშირებით. გასაჯაროების უფლება შეიძლება განხორციელდეს ანდერმში მოხსენიებული აღმასრულებლის, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ. მათ მიერ გალდებულებათა შეუსრულებლობის ან გარდაცვალების შემთხვევაში უფლება შეიძლება განხორციელდეს ავტორის მეუღლის მიერ, რომელიც ხელახლა არ დაქორწინებულა, აგრეთვე სხვა მემკვიდრეების ან ლეგატის მიერ.¹²⁴

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მემკვიდრეობით შესაძლოა ავტორის მხოლოდ ერთი პირადი არაქონებრივი უფლების გადაცემა - ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები. აღნიშნული უფლების მემკვიდრეობით გადაცემა გამართლებულია თავად უფლების შინაარსიდან გამომდინარე. სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლება ხშირად ქონებრივი უფლებების შემადგენელი ნაწილი ხდება ისევე,

¹²² Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 65.

¹²³ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 268.

¹²⁴ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 204.

როგორც ზოგიერთი სხვა პოზიტიური შინაარსის პირადი არაქონებრივი უფლება. მაგალითად, ნაწარმოების გამოხმობის უფლება გამოქვეყნების უფლების შემადგენელი ნაწილი ხდება, რომელიც სამსახურებრივი ნაწარმოების შემთხვევაში, დამსაქმებელს ეკუთვნის. იურიდიულ ლიტერატურაში ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ქონებრივი უფლებების მემკვიდრეობით გადაცემის თავისებურებად განიხილავენ რომ ქონებრივი უფლებების გადაცემას უნდა ახლდეს ზოგიერთი პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება თავად განსაკუთრებული უფლებების სრული სახით გამოყენება.¹²⁵ თუკი ავტორის მემკვიდრეებზე არ გადავა ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოებთა, ილუსტრაციის, წინასიტყვაობის, ბოლოსიტყვაობის დართვის ნებართვა, მაშინ შეუძლებელი გახდება მემკვიდრეთა მიერ ნაწარმოების რეპროდუციების, თარგმნის, გადამუშავების უფლების განხორციელება. ადსანიშნავია, რომ უფლების პირადი არაქონებრივი ხასიათიდან გამომდინარე, უპირატესობა მაინც ავტორის სურვილს ენიჭება, კერძოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადის აღნიშნული უფლება მემკვიდრეობით, თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული. უფლების გადაცემის აღნიშნული წესი ხაზს უსვამს, რომ მემკვიდრე არ შეიძლება გახდეს სრულუფლებიანი უფლებამონაცვლე. მან ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორისა და საზოგადოების ინტერესებისათვის უნდა დაიცვას და განახორციელოს.

სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლება მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლებების მოქმედების ვადით, ანუ 70 წლით ავტორის გარდაცვალებიდან. არსებობს მოსაზრება, რომ უმჯობესია ეს უფლება ნეგატიური ანუ დაცვის უფლების სახით მუდმივად გადაღიოდეს მემკვიდრეებზე. რადგან ავტორის უფლება, ნება დართოს მესამე პირებს დაურთონ ნაწარმოებს სხვა პირთა ნაწარმოები, წარმოადგენს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შემადგენელ უფლებას.¹²⁶ აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მართებულად შემდეგი არგუმენტის გამო: ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის გასვლის შემდეგ ქონებრივი უფლებები წავიტს არსებობას და ნებისმიერ პირს ეძლევა შესაძლებლობა, თავისუფლად გამოიყენოს ნაწარმოები, მოახდინოს მისი რეპროდუციება, თარგმა, გადამუშავება. ავტორის ქონებრივ უფლებათა რეალურად განხორციელებისათვის აუცილებელია, ამ პირებს პქონდეთ უფლება წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, ილუსტრაციები დაურთონ ნაწარმოებს. ამიტომაცაა დამკვირდებული მოსაზრება, რომ ნაწარმოების გამოყენება (ექსპლუატაცია) სრულფასოვნად ვერ მოხერხდება იმ შემთხვევაში, თუკი არ მოხდა გარკვეულ პირად-არაქონებრივ უფლებათა გადაცემა.¹²⁷ შესაბამისად, ამ უფლების გადაცემა პირველ რიგში ქონებრივი უფლებების განხორციელებას უწყობს ხელს და ქონებრივი უფლებების მფლობელის ინტერესებს იცავს.

¹²⁵ ძამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 238.

¹²⁶ ძამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი 2006, 236.

¹²⁷ Schriker, Die einwilligung des Urhebers in entstellende änderungen des werkes Frankfurt, 1985, 413.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ თუკი შესაძლებელია ნაწარმოების დართვის უფლების გადასვლა მემკვიდრეზე, მაშინ ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ავტორს უნდა შექმლოს გადასცეს ის განსაკუთრებული უფლებების შემქნენ პირს, იმ ვადით, რა ვადითაც გადაეცემა გასაკუთრებული უფლებები.¹²⁸ უფლების პირადი არაქონებრივი ხასიათიდან გამომდინარე, სხვა ნაწარმოების დართვის უფლება ვერ გახდება ხალშეკრულების საგანი და შესაბამისად, ვერ მოხდება მისი გადაცემა. თუკი ავტორი კონკრეტულ პირს დაავალებს, თავისი გემოვნებით დაურთოს ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა ნაწარმოებს ეს იქნება ხელშეკრულება რედაქტირებისა და მხატვრული გაფორმების შესახებ, და არა პირადი არაქონებრივი უფლების გადაცემა.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება, დაურთოს ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა) რეალურად განუხორციელებელია სამსახურებრივ ნაწარმოებებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში ავტორის უფლებამონაცვლედ მისი დამსაქმებელი გვევლინება. მაგალითად, მედიაში სამსახურებრივი ნაწარმოების განთავსებისას, უურნალისტი ვერ განახორციელებს აღნიშნულ უფლებას, ვინაიდან სხვა ნაწარმოებთა და ილუსტრაციების დართვა რედაქციის უფლებამოსილებას წარმოადგენს და ხშირ შემთხვევაში სპეციალური საშტატო ერთეულია განსაზღვრული აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად. იგივე შეიძლება ითქვას შედგენილი ნაწარმოების შემთხვევაშიც. საქართველოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, შედგენილი ნაწარმოების ავტორს (შემდგენელს) ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე, რაც მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შემდგენელმა უნდა დაიცვას შედგენილ ნაწარმოებში შესულ ნაწარმოებთა ავტორების საავტორო უფლება, თუმცა შედგენილი ნაწარმოების ენციკლოპედიების, კრებულების, ისევე როგორც გაზეთებისა და ჟურნალების შემთხვევაში, ვერ მოხდება თითოეული ნაწარმოების ავტორთან შეთანხმება, თუ რომელი ილუსტრაცია დაურთონ მის ნაწარმოებს და რომელი მასალა განათავსონ მის ნაწარმოებამდე ან შემდგომ. სწორედ ნაწარმოებების განლაგების შემოქმედებითად გადაწყვეტა წარმოადგენს გამომცემლისა და შედგენილი ნაწარმოების შემდგენლის ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომას. მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ენციკლოპედიის, პერიოდული და ერთმანეთის გამაგრძელებელი კრებულების შემთხვევაში, გამომცემლის უფლებების შინაარსი პირად არაქონებრივ უფლებებზე დაიყვანება.¹²⁹

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ზედმეტად მკაცრმა დაცვამ და ზოგიერთ პირად არაქონებრივ უფლებაზე უფლებამონაცვლეობის აკრძალვამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქონებრივ უფლებათა სრულფასოვან განხორციელებას. საერთო სამართლის ქვექნების იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ავტორის პირადი

¹²⁸ ძამუა შვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 236.

¹²⁹ ძამუა შვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 203.

არაქონებრივი უფლებები ერთგვარ წინააღმდეგობაშიც კი მოდის სხვა პირების კომერციულ და სამოქმედოებლო ინტერესებთან.¹³⁰ საავტორო სამართლის ობიექტები: ლიტერატურული, მხატვრული და მეცნიერული ნაწარმოებები თანამედროვე სამყაროში აქტიურადაა ჩართული სამოქალაქო ბრუნვაში და ხშირ შემთხვევაში უფრო მეტი ღირებულების მქონეც კი არის ვიდრე სხვა ნებისმიერი ნივთი თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით ვაჭრობის საერთაშორისო დონეზე მოსაწესრიგებლად მოქმედებს TRIPS ხელშეკრულება. TRIPS-ის ხელშეკრულებით არ არის რეგულირებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ სამრეწველო სამართალთან ბალანსის დადგენის მიზნით, მორალურ უფლებათა გადაცემა თუ არა, დათმობა მაინც უნდა იყოს შესაძლებელი. ამ არგუმენტის მომხრეები სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდობით აღნიშნავენ, რომ თვით ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი, სადაც მორალური უფლებების გადაუცემადობის პრინციპი მყარადაა დამკვიდრებული ამ უფლებათა ერთგვარი ადაპტირება მაინც ხდება კონტრაქტის შესაბამისად.¹³¹

საქართველოს საავტორო სამართალში კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის გავლენით, საყოველთაოდ იქნა აღიარებული, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების ხელშეკრულებით არა არის უფლებათა გადაცემა თუ არა, დათმობა მაინც უნდა იყოს შესაძლებელი. ამ არგუმენტის მომხრეები სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდობით აღნიშნავენ, რომ თვით ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი, სადაც მორალური უფლებების გადაუცემადობის პრინციპი მყარადაა დამკვიდრებული ამ უფლებათა ერთგვარი ადაპტირება მაინც ხდება კონტრაქტის შესაბამისად.¹³²

რამდენად შესაძლებელია უარის თქმა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების გახორციელებაზე და ამ გზით უფლებამონაცვლის დანიშვნა ხელშეკრულების საგანი რომ გახდეს? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავებული მიდგომაა კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნებში. საფრანგეთის ინტელექტუალური საკუთრების კოდექსის L 121 მუხლის მიხედვით, მორალური უფლებები გადაუცემადია და ამდენად ნებისმიერი კონტრაქტი უფლებათა გადაცემის შესახებ ბათილია.¹³³ მორალური უფლებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პერსონალურად და არავითარ შემთხვევაში კოლექტიურად. იმ შემთხვევაშიც, თუკი ნაწარმოები შექმნილია კოლექტიური შრომის შედეგად, მაგალითად აუდიოვიზუალური ნაწარმოები, თითოეულ ავტორს დამოუკიდებლად აქვს სპეციალური შეთანხმების გარეშე.¹³⁴ 1969 წელს მიღებულ სასამართლო

¹³⁰ Loughlan, Moral rights (a view from the town square), Media and Art, Law review. Vol.5.No 1. March, 2000, 13.

¹³¹ Quadvleig, Antoon, Copyright's orbit round private Commercial and Economic Law- The copyright System and the Place of the Users. II C 04/ 1998, Articles. 1995-2000 WILEY-VCh Verlag GmbH, D-69451, Weinheim, Germany, 2000, 317.

¹³² ძაბუკა შეიღი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი 2006, 235.

¹³³ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 207.

¹³⁴ Lauvaux, Eric, Moral rights and obstacles to the exploitation of musical works, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995,74.

გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ ავტორის მიერ მორალურ უფლებაზე უარის თქმა გარკვეულწილად, ასოცირდება ავტორის ღირსებაზე უარის თქმად. საფასურის სანაცვლოდ მორალურ უფლებაზე უარის თქმა არა მარტო უკანონო, არამედ ამორალურიც კი არის.¹³⁵

საფრანგეთის საავტორო სამართლის მიდგომა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების უფლებამონაცვლეობის დადგენის საკითხთან დაკავშირებით განმარტებულია 2003 წელს მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად, ავტორს არ შეუძლია მთლიანად ან წინასწარ დათმოს ნაწარმოებზე კონტროლის უფლება, რაც მოიცავს ნაწარმოების გავრცელების, გამოყენების, ადაპტაციის, შემცირების, გაფართოების და ნაწარმოებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შეტანის უფლებას. ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც აღნიშნული უფლების დათმობას ითვალისწინებს ბათილია.¹³⁶

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრებაც მორალური უფლებათა დათმობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ავტორის უფლება, დარჩეს ანონიმური, გარკვეულწილად სახელის უფლებაზე უარის თქმად განიხილება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია გამოამჯდავნოს საკუთარი ვინაობა.¹³⁷ აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ ავტორის უფლება, არ გაამხილოს ვინაობა, სახელის უფლების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, იგი სახელის უფლების გამოყენებად, და არა უფლების დათმობად უნდა განვიხილოთ.

საერთო სამართლის ქვეყნებს განსხვავებული მიდგომა აქვთ ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა დათმობის და ამ გზით საავტორო უფლებათა სუბიექტის უფლებამონაცვლის დადგენის საკითხთან დაკავშირებით. ამერიკის შერთებული შტატების სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა აქტიპირად-არაქონებრივ უფლებათაგან აღიარებს მხოლოდ ავტორობისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას. ამ უფლებათა გადაცემა დაუშვებელია, თუმცა უფლებები შეიძლება იყოს დათმობილი აუცილებლად წერილობითი ფორმით.¹³⁸

კანადის საავტორო უფლებათა აქტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით, მორალური უფლებების გადაცემა აკრძალულია, მაგრამ შესაძლებელია მათი დათმობა. ამავე მუხლის პირველი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის თანახმად, თუკი რომელიმე მორალურ უფლებაზე უარი საავტორო უფლების ლიცენზიით არის ნათქვამი, მაშინ ეს უფლებები შეიძლება გადაეცეს ნებისმიერ შესაკუთრეს ან ნაწარმოების მოსარგებლეს ლიცენზიით, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი გადაცემის აკრძალვა პირდაპირ

¹³⁵ Allain c Ste Caumont IGI Pais 3 ch 7 January 1969 60 RIDA. 166.

¹³⁶ Barbelivien Montagne et SNAC c Ste Agence Business, Cass 1 ch civ, 28 January 2003 (2003) 196 RIDA, 414.

¹³⁷ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 208.

¹³⁸ USA. The Visual Artists Rights Act of 1990. ხელმისაწვდომია:
<http://www.law.cornell.edu/uscode/text/17/106A> {15.01.2014}.

არ იყო განცხადებული უფლებაზე უარის თქმის დროს.¹³⁹ კანადის სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, იურისტები აღნიშნავენ რომ ხდება მორალური უფლებათა როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ დათმობა.¹⁴⁰

პირადი არაქონებრივი უფლებების გადაცემის პროცესუალური კანონის განხილვისას გერმანელი მეცნიერი ადოლფ დიცი აღნიშნავს: საერთო სამართლის ქვეყნების – დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს კანონდებლობის მიხედვით, დაშვებულია მორალურ უფლებებზე წერილობითი უარის თქმის შესაძლებლობა. მეორე მხრივ, არსებობს სხვა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა მაგალითად საფრანგეთი, რომლის სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც, მორალური უფლებების გადაცემა სრულიად დაუშვებელია. შესაბამისად, ავტორის მიერ ცალსახად გამოხატულ უარს აქვს მხოლოდ უფემერული შედეგი. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების მიტოვება (გადაცემა) შესაძლებელია დაწესდეს, თუ მოიძებნება ინტერესთა ბალანსის დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმები.¹⁴¹

საინტერესოა საავტორო სამართლის სუბიექტის ფლებამონაცვლეობის საკითხის განხილვა, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასთან კავშირში. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის თანახმად, სხვა ნეგატიურ უფლებათა მსგავსად, მემკვიდრეებზე გადადის დაცვის უფლებით. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, თავისი შინაარსით, არ შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ ნეგატიურ უფლებას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება მოიცავს, როგორც ავტორის უფლებას, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილების შეტანას, ასევე ავტორის უფლებას ნება დართოს მესამე პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც ნაწარმოებში, ასევე მის სახელწოდებასა და ავტორის სახელში. შესაბამისად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება პოზიტიურ და ნეგატიურ შინაარსსაც მოიცავს. მემკვიდრეობით გადადის დაცვის უფლება ანუ უფლების ნეგატიური ნაწილი. გაურკვეველია ავტორს რჩება თუ არა უფლება, მემკვიდრეობით გადასცეს ნაწარმოებში ცვლილების შეტანის უფლება ან სიცოცხლეშივე განსაზღვროს პირი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცვლილებებს შეიტანს ნაწარმოებში. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლში მოცემული ფორმულირებით ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ნაწარმოების ადაპტაციის, გადაკეთების უფლებასაც მოიცავს. ევროპული გამოცდილების და სასამართლო პრაქტიკის გაზიარებით, რის შესახებაც ქვემოთ უფრო კრიტიკული გეგენება საუბარი, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ნეგატიური უფლება უნდა იყოს, რომლის თანახმადაც, ავტორს აქვს უფლებისა, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან

¹³⁹ Canadian Copyright Act, 1985, ხელმისაწვდომია: <<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-42/FullText.html>> {15.01.2014}.

¹⁴⁰ Sanderson, Canada, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEML 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995, 61.

¹⁴¹ Diets, The Artist's right of integrity under copyright Law- A comparative approach, IIC 02/1994, 186.

სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. თუმცა ეს უფლება საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის მე-17-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითაა გათვალისწინებული და რეპუტაციის პატივისცემის უფლება პქვია. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ამგვარი დანაწევრება ხელოვნურ ხასიათს ატარებს. კანონის ხარვეზს წარმოადგენს, რომ რეპუტაციის პატივისცემის უფლების მემკვიდრეებზე დაცვის უფლებით გადაცემა არ არის რეგულირებული კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. ამ შემთხვევაში საინტერესოა პარალელის გავლება გერმანულ საავტორო სამართლთან, ვინაიდან ქართული სამართლი ყველაზე მეტ სიახლოვეს სწორედ გერმანულ საავტორო სამართლთან ავლენს. გერმანიის საავტორო სამართლის მიხედვით, უფლებამონაცვლე შეიძლება ჰყავდეს ნაწარმოების შეცვლის, გადაკეთების, და არა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას. გერმანული სამართლის მიხედვით, ნაწარმოების გადაკეთების უფლება შეიძლება გადაცემული იყოს სპეციალური შეთანხმების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ავტორი იძლევა თანხმობას ნაწარმოების ცალკეულ ცვლილებებზე ან მთლიანად ნაწარმოების გადაკეთებაზე.¹⁴² იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნაწარმოებში ცვლილებების შეტანა, მისი მოდიფიცირების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადადიოდეს მემკვიდრეობით, თუკი ავტორმა პირდაპირ განაცხადა ამის შესახებ და ასევე მიუთითა პირი, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს ცვლილება.¹⁴³

ნაწარმოების გადაკეთების უფლების გადაცემა ავტორის სიცოცხლეში ყველაზე ხშირად სამსახურებრივ ნაწარმოებებთან არის დაკავშირებული, მაგ. მედიაში ჟურნალისტური ნაწარმოები ექვემდებარება რედაქტირებასა და ცვლილებას გამოქვეყნებამდე. ამ შემთხვევაშიც იგი აუცილებლად უნდა ნახოს ავტორმა და გადაწყვიტოს გადაკეთებული სახით ნაწარმოების გასაჯაროება. თუკი ავტორი წინასწარ თანხმობას განაცხადებს ნაწარმოების მთლიან, ან ნაწილობრივ გადაკეთებაზე, საბოლოოდ, მაინც მისი გემოვნებით, თვალსაზრისით უნდა გადაწყვდეს, საჭიროა თუ არა ნაწარმოები გახდეს ხელმისაწვდომი ფართო აუდიტორიისათვის, რადგან თავისი არსით ავტორის უფლება გადაწყვიტოს, სად და რა ფორმით გახდოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი გადაცემას არ ექვემდებარება და არ შეიძლება ჰყავდეს უფლებამონაცვლე.

რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორმა გადასცა ნაწარმოების გადაკეთების უფლება, შემდეგ ადარ მოისურვა ნაწარმოების საბოლოო ვერსიის ნახვა, ნაწარმოები კი იმ ფორმით გადაკეთდა, რომ შეიძლახა ავტორის პატივი და რეპუტაცია? ექნება თუ არა ავტორს უფლება იდავოს რეპუტაციის უფლების დარღვევისათვის? მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა გამოთქვა თანხმობა ნაწარმოების გადაკეთებაზე და მას უნდა გაეცნობიერებინა რისკი, რომელიც შესაძლოა მოყოლოდა ნაწარმოების

¹⁴² Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 65.

¹⁴³ Marel/ Schaap, The Netherland, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Cannes. Netherland-Belgium. 1995, 119.

მისთვის არასასურველ გადაკეთებისა, მას მაინც აქვს უფლება იდავოს პირადი არაქონებრივი უფლების - რეპუტაციის უფლების დარღვევისათვის. ერთი უფლების გადაცემა არ წარმოადგენს მეორე უფლების დათმობის საფუძველს. იმ შემთხვევაშიც, როდესაც ავტორი იძლევა თარგმნისა და ნაწარმოების გადაკეთების უფლებას, იგი არ თმობს თავის პირად არაქონებრივ უფლებას, დაცული იყოს მისი რეპუტაციის პატივისცემის და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება. აღნიშნულ პრობლემას შეეხება სასამართლო გადაწყვეტილება საქმეზე *Frisby v BBC* (1996). საზოგადოებრივ მაუწყებელ BBC-ს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სცენარისტებთან, რომლის თანახმადაც ტელეკომპანიას შეეძლო სტრუქტურული ცვლილებები შეეჩინა სცენარში ავტორის თანხმობის გარეშე. მიუხედავად ხელშეკრულების ამგვარი პირობისა, მოსარჩევები შესძლო სასამართლო პროცესის მოგება, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაწარმოების გადაკეთებისას შეიცვალა სცენარის ძირითადი ხაზი, მისი მთავარი არსი და ამგვარად, დაირღვა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.¹⁴⁴

მიზანშეწონილია, კანონში ამომწურავად იყოს განსაზღვრული თითოეული პირადი არაქონებრივი უფლების დაცვისა თუ განხორციელების უფლებით გადაცემის საფუძვლები, რაც ავტორის წარმომადგენლობისა და უფლებამონაცვლეობის ინსტიტუტის ეფექტურად განხორციელებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საავტორო უფლებათა სუბიექტის უფლებამონაცვლეობისა და წარმომადგენლობის ინსტიტუტის დახვეწისა და ეფექტურად რეგულირებისათვის, მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმდებლობაში, კონტინენტური ეკროპის ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით განხორციელდეს ცვლილებები და მემკვიდრეობზე დაცვის უფლებით გადადიოდეს კველა ნეგატიური უფლება, ხოლო პოზიტიური უფლებები განხორციელების უფლებით გადადიოდეს მემკვიდრეობზე, თუკი ავტორის მიერ სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული. მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდეს გერმანული და ესპანური საავტორო სამართლის პოზიციას, რომლის თანახმადაც, გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლება მემკვიდრეობით გადადის, თუკი ავტორმა ამის შესახებ სიცოცხლეში გამოხატა სურვილი.

2.2 ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების კლასიფიკაცია

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები საფრანგეთში წარმოიშვა, სადაც აღნიშნულ უფლებებს მორალური უფლებები ეწოდა და ამგვარად მოიხსენიება დღესაც საფრანგეთის ინტელექტუალური საკუთრების კოდექსში.¹⁴⁵ ტერმინი მორალური უფლებები, ხაზს უსვამს იმ ინტერესს, რომელიც ავტორს აკავშირებს უფლების განხორციელებასთან. ავტორის მორალურ ინტერესს ასახელებს საავტორო უფლებათა დაცვის ერთ-ერთ მიზნად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაც, რომლის 27-ე

¹⁴⁴ Colson/ Middleton, Modern Intellectual property Law, London, 2005, 390.

¹⁴⁵ Goldstein, Copyright's Highway, Stanford, California, 2003,136.

მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს ის წარმოადგენს.¹⁴⁶ საქართველოს საავტორო სამართალში დამკავიდრებული ტერმინი „პირადი არაქონებრივი უფლებებიც“, ხაზს უსვამს უფლების მფლობელის არამატერიალურ ინტერესს უფლების მიმართ და უფლების მჭიდრო კავშირს პიროვნებასთან. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პირად არაქონებრივ უფლებათა სისტემაში და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსითაც რეგულირდება.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ინტელექტუალურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება და სხვა ინტელექტუალური უფლებების მსგავსად, ავტორს ანიჭებს უფლებას, აკონტროლოს მისი ქმნილების გამოყენების ფარგლები და იცავს ავტორის ინტერესს, დაკავშირებულს ნაწარმოების გამოყენებასთან. ამავე დროს, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით რეგულირებული პირადი არაქონებრივი უფლებების მსგავსად, იცავს პირის ინდივიდუალიზმსა და პიროვნულობას. აღნიშნული განსხვავებული ინტერესები სხვადასხვა დოზით აისხება ავტორის ცალკეულ პირად არაქონებრივ უფლებებში. შესაბამისად, ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა ნაწილი უფრო მეტ სიახლოვეს ავტორის ქონებრივ უფლებებთან ავლენს, მაგ., ნაწარმოების გასაჯაროების ან გამოხმობის უფლება. ხოლო უფლებათა ნაწილი მსგავსია სამოქალაქო კოდექსით აღიარებული პირადი არაქონებრივი უფლებებისა და მათი დაცვა ხდება როგორც საავტორო სამართლით, ასევე სამოქალაქო კოდექსით მაგ., სახელისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება.

„ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია“ პირად არაქონებრივ უფლებათა მხოლოდ მინიმუმს განსაზღვრავს - ავტორობისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ იცავს პირად არაქონებრივ უფლებათა ფართო საექს: ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობის, რეპუტაციის პატივისცემის, ნაწარმოობის გასაჯაროების, გამოხმობის და ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლებას.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც შინაარსის, ასევე განხორციელების, დაცვის საშუალებებისა და მოქმედების ვადის მიხედვით.

2.2.1. პოზიტიური და ნეგატიური უფლებები

მეცნიერებაში არსებულ თეორიებს შორის, რომელიც ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა კლასიფიკაციას შეეხება, მნიშვნელოვანია პირად

¹⁴⁶ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დექლარაცია. ხელმისაწვდომია: <<http://www.lexilogos.com/declaration/georgien.htm>> {15.01.2014}.

არაქონებრივ უფლებათა დაყოფა პოზიტიურ და ნეგატიურ უფლებებად. აღნიშნულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს უფლებათა შორის შინაარსობრივი განსხვავება, რაც უფლებათა მოქმედების ვადებსა და განხორციელების თავისებურებებს განაპირობებს.

პოზიტიური უფლებები, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა უფლების მფლობელის მიერ გადაწყვეტილების მიღება ან ინიციატივის გამოჩენა, მაგალითად, გამოფინოს, გადააკეთოს, ამოიღოს ბრუნვიდან ან გაანადგუროს ნაწარმოები.¹⁴⁷ საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ პოზიტიურ უფლებებად შეიძლება მივიჩნიოთ ავტორის უფლება გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახდოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი; ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები და ნაწარმოების გამოხმობის უფლება.

ნეგატიური ეწოდება უფლებებს, როდესაც ისინი წარმოშობენ მხოლოდ დაცვის უფლებას, რათა, ხელი შეემალოს და ადგილი არ ჰქონდეს ცალკეულ ქმედებების განხორციელებას არაუფლებამოსილი სუბიექტებისაგან.¹⁴⁸ საფრანგეთის საავტორო სამართალი ნეგატიურ უფლებებს აერთიანებს ერთი ტერმინის ქვეშ - უფლება პატივისცემაზე ანუ მესამე პირთა ვალდებულება, პატივი სცენა ავტორსა და მის ნაწარმოებს.¹⁴⁹

საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ნეგატიურ უფლებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება. ავტორობის, სახელისა და რეპუტაციის დაცვისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, ვინაიდან ავტორის ნეგატიურ უფლებათა დარღვევას ხშირ შემთხვევაში თან ახლავს ავტორის პატივისა და ღირსების შელახვა. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი იცავს ავტორის, როგორც შემოქმედის რეპუტაციას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მისი როგორც ფიზიკური პირის პატივსა და ღირსებას. ხშირად ამ უფლებებს შორის ხდვარის გავლება შეუძლებელიც კი არის.

პოზიტიური და ნეგატიური უფლებების განსხვავებული შინაარსი განაპირობებს მათი განსხვავებული ვადებით მოქმედებას. პოზიტიური უფლებების განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ ავტორს. შესაბამისად, აღნიშნული უფლებების მოქმედება შეზღუდულია გარკვეული ვადით, ავტორის სიცოცხლით ან ქონებრივი უფლებების ვადით. ნეგატიური უფლებები, ანუ დაცვის უფლება კი, მარადიული უფლებებია. უფრო ზუსტი იქნება, თუკი ვიტვით, რომ ნეგატიური უფლებები მოქმედებს იქამდე, ვიდრე არსებობს თავად ნაწარმოები. ავტორის პირად-არაქონებრივ უფლებების მუდმივობას იურიდიულ ლიტერატურაში შემდეგი არგუმენტით ხსნიან: ნაწარმოები მთელი მისი არსებობის მანილზე ავტორის პიროვნულობის

¹⁴⁷ Lyszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999,159.

¹⁴⁸ Lyszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999,159.

¹⁴⁹ France, Code de la propriété intellectuelle, 3 juillet, 1992. ხელმისაწვდომია:

<http://www.lexinter.net/ENGLISH/intellectual_property_code.htm> {14.01.2014}.

მანიფესტაციას წარმოადგენს.¹⁵⁰ ავტორის ინტელექტი განაგრძობს არსებობას მის ნაწარმოებში.¹⁵¹ ნეგატიური უფლებები ავტორისაგან იმდენად განუყოფელი უფლებებია, რომ არ შეიძლება იყოს ამოწურული და დაკარგული უფლებათა არ გამოყენების ან დროის გასვლის შედეგად.¹⁵² ნეგატიურ უფლებები მოქმედებს უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე სხვა ნებისმიერი პირადი არაქონებრივი უფლებები.

ნეგატიურ და პოზიტიურ უფლებათა შორის განსხვავება ვლინდება უფლებათა გადაცემისა და შეზღუდვის თვალსაზრისითაც. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, შესაძლებელია პოზიტიური უფლების გადაცემა: მაგ. ავტორის სურვილის შემთხვევაში ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლება, მემკვიდრეებზე გადადის განხორციელების უფლებით. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია პოზიტიურ უფლებათა შეზღუდვაც: მაგ. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ზღუდავს ნაწარმოების გამოხმობის უფლებას სამსახურებრივ ნაწარმოებზე. უფლების შეზღუდვა და მემკვიდრეებზე განხორციელების უფლებით გადაცემა დაუშეგებელია, ნეგატიურ უფლებათა შემთხვევაში.

ნეგატიურ უფლებებს იურიდიულ ლიტერატურაში „წმინდად პიროვნულ“ უფლებებს უწოდებენ.¹⁵³ პოზიტიურ უფლებებს კი, ქონებრივ უფლებებთან მათი მჭიდრო კავშირის გამო, ქონებრივი უფლებების შემადგენელ ნაწილადაც კი განიხილავენ.¹⁵⁴ ნეგატიური და პოზიტიური უფლებები ერთობლივად ქმნიან ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ოთულ სისტემას, რომლის სრულყოფილი ანალიზი მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით რეგულირებულ სხვა პირად არაქონებრივ უფლებებთან და ავტორის ქონებრივ უფლებებთან ერთობლიობაში არის შესაძლებელი.

2.2.2. უფლებები დაკავშირებული ავტორობის პატივისცემასა და ნაწარმოების ბედთან

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საფუძველია ავტორის მორალური ინტერესი, როგორც მისი მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომის შედეგი.¹⁵⁵ მორალური ინტერესი მოიცავს ავტორის ინტერესს დაკავშირებულს ნაწარმოების გამოყენებასთან და ავტორის პიროვნულობის დაცვასთან. პირადი არაქონებრივი უფლებების

¹⁵⁰ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, OXFORD University press 2006, USA, 169.

¹⁵¹ Caron, Abus de droit et d'auteur. Paris, 1998, 84.

¹⁵² Lucas/Lucas, Traité de la propriété littéraire et artistique, Paris, 2001, para 378, 161.

¹⁵³ Metzger, Rechtsgeschäfte über das Droit Moral im deutschen und Französischen Urheberrecht, München, 2002, 20.

¹⁵⁴ Lipszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 35.

¹⁵⁵ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლის თანახმად: ყველა ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურულიდა მხატვრული ნაშრომებისა, როგორც ავტორს იგი წარმოადგენს. იხ. <<http://www.lexilogos.com/declaration/georgien.htm>> {15.01.2014}.

დაცვასთან დაკავშირებული ავტორის ორი, განსხვავებული ინტერესი ასახვას პპოვებს „ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციაშიც“. კონვენციის მე-6^{bis} მუხლის თანახმად, დაცულია ავტორობისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება. ბერნის კონვენციით აღიარებული ავტორობის უფლება უკავშირდება ავტორის პიროვნულ ინტერესს, აღიარებულ იქნას ნაწარმოების შექმნაში გაწეული მისი შემოქმედებითი დავაწლი, ხოლო ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების მიზანია, თავად ნაწარმოების დაცვა ხელყოფისაგან.

ბერნის კონვენცია აღიარებს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა მხოლოდ იმ მინიმუმს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა წევრი ქვეყნებისათვის. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ავტორობისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასთან ერთად, იცავს ავტორის სხვა პირად არაქონებრივ უფლებებსაც: რეპუტაციის პატივისცემის, ნაწარმოების გასაჯაროების, გამოხმობის და სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლებას. ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა კლასიფიკაციას შესაძლებელია საფუძველად დაედოს ის ინტერესი, რომელიც ავტორს აკავშირებს კონკრეტული უფლების განხორციელებასთან. ამ ნიშნით ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები სამ კატეგორიად იყოფა.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები დაკავშირებული ავტორის ინტერესთან, იყოს იდენტიფიცირებული თავის შექმნილ ნაწარმოებთან და მოითხოვოს ავტორობის პატივისცემა. აღნიშნული კატეგორიის უფლებებია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქანცენტრებით გათვალისწინებული ავტორობისა და სახელის უფლება. ავტორობისა და სახელის უფლება, ევროპის არაერთი ქავენის საავტორო სამართლში, ერთ უფლებად განიხილება. საფრანგეთის კანონმდებლობაში აღნიშნული უფლება შემდეგნაირადად ფორმულირებული: ავტორს აქვს მისი სახელისა და ავტორობის პატივისცემის უფლება.¹⁵⁶ გერმანულად ამ უფლებას ეწოდება Anerennung der Urheberschaft, რაც ავტორად აღიარებას ნიშნავს და მოიცავს როგორც ავტორად აღიარებას, ასევე სახელის უფლებასაც. ავტორობისა და სახელის უფლებას ერთი ტერმინის ქვეშ აერთიანებენ საერთო სამართლის ქვეყნებიც. აღნიშნულ უფლებას ინგლისურენოვან ქვეყნებში უწოდებენ “Right of Paternity”.¹⁵⁷ ავტორობისა და სახელის უფლებები ნებატიურ, ანუ ე.წ. დაცვით უფლებებს მიეკუთვნება.

მეორე კატეგორიის უფლებებს მიეკუთვნება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, დაკავშირებული ნაწარმოების აღქმასთან და ხელშეუხებლობის დაცვასთან. აღნიშნული კატეგორიის პირადი არაქონებრივი უფლებების მეშვეობით, ავტორი იცავს ნაწარმოების ფიზიკური ერთიანობას, კრძალავს ნაწარმოების დამახინჯებას, გადაკეთებას, მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანას. ავტორი

¹⁵⁶ France, Code de la propriété intellectuelle, 3 juillet, 1992,

ხელმისაწვდომია: <http://www.lexinter.net/ENGLISH/intellectual_property_code.htm> {16.01.2014}.

¹⁵⁷ Goldstein, International Copyright: Principles, Law and Practice, New-York, 2001, 185.

აკონტროლებს, თუ რა სახით უნდა იხილოს საზოგადოებამ ნაწარმოები, კერძოდ, რომელი ილუსტრაციის, წინასიტყვაობის, ბოლოსიტყვაობის და ნაწარმოების დართვით. შესაბამისად, ამ კატეგორიის უფლებები იცავს ავტორის ინტერესს, დაკავშირებულს ნაწარმოების აღქმასა და მის დაცვასთან. სწორედ ამ ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“ და „გ“ ქვეპუნქტებით დაცული უფლებები: რეპუტაციის პატივისცემის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება და ავტორის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს დაურთონ ნაწარმოებს სხვა ნაწარმოებები. ამ სამი უფლებიდან მხოლოდ ნაწარმოების რეპუტაციის უფლება არის ნებატიური უფლება. ხოლო ნაწარმოების ხელშეუხებლობის და სხვა ნაწარმოებთა დაცვის უფლება პოზიტიურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება, ვინაიდან მათ განსახორციელებლად ავტორის ნების გამოვლენაა საჭირო.

მესამე კატეგორიის უფლებებს მიეკუთვნება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, დაკავშირებული ავტორის ინტერესთან - იხილოს თუ არა ნაწარმოები საზოგადოებამ. აღნიშნული კატეგორიის უფლებებს მიეკუთვნება ნაწარმოების გამოხმობისა და გასაჯაროების უფლება, ანუ ავტორის უფლება, გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი. („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით დაცული უფლებები). ნაწარმოების გამოხმობისა და გასაჯაროების უფლების განხორციელებით, ავტორი წყვეტს ნაწარმოები მხოლოდ პირად სივრცეში დატოვოს, თუ აჩვენოს საზოგადოებას.

მეორე და მესამე კატეგორიის უფლებები უკავშირდება ავტორის ინტერესს, გადაწყვიტოს ნაწარმოების ბედი. ხოლო ავტორობისა და სახელის უფლება ავტორის პიროვნულობის დაცვას ისახავს მიზნად - პატივი სცენ მის ავტორობასა და რეპუტაციას.

ნაშრომის მომდევნო თავებში ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ამ ნიშნით იქნება დაჯგუფებული და განხილული.

2.2.3. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების კლასიფიკაცია მოქმედების ვადის მიხედვით

„ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის“ ბერნის კონვენცია ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მინიმალურ ვადას განსაზღვრავს. კონვენციის მე-6^{bis} მუხლის თანახმად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ინარჩუნებს ძალას ავტორის გარდაცვალების შემდეგ, სულ მცირე, ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადის გასვლამდე და ხორციელდება იმ პირების ან დაწესებულებების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც მოითხოვება დაცვა. ბერნის კონვენციით პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა 1928 წლიდან, რომის რევიზიის შემდეგ ხორციელდება. 1948 წელს, ბერნის კონვენციის ბრიუსელის რევიზიას დაემატა 6^{bis} მუხლის მე-2

პარაგრაფი, რომლის თანახმადაც, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები დაცული უნდა ყოფილიყო ავტორის სიცოცხლის ვადით. შემდგომ, საერთო სამართლის ქვეყნების ინტერესის გათვალისწინებით, 1971 წელსპარიზის რევიზით დადგინდა მორალური უფლებების დაცვა, სულ მცირე, ქონებრივი უფლებების ამოწურვამდე.¹⁵⁸ ბერნის კონვენციის მე-6^{bis} მუხლით აღიარებულია, მხოლოდ ავტორობისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება. შესაბამისად, კონვენციით დადგენილი მინიმალური ვადაც მხოლოდ ამ უფლებებს შეეხება. ავტორის სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედების ვადები ეროვნული კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით სამი განსხვავებული თეორია არსებობს, რაც აისახება კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების საავტორო სამართალში. პირველი თეორიის მიხედვით, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მუდმივი უფლებებია. ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს უვალოდ იცავს იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებიც ფრანგული საავტორო სამართლის გავლენას განიცდიან.¹⁵⁹ მეორე თეორიის თანახმად, ავტორის პირადი არაქონებრივ უფლებები მოქმედებს ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადით, რაც ძირითადად დამახასიათებელია გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნების საავტორო სამართლისათვის.¹⁶⁰ გერმანიის

¹⁵⁸ Lyszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 266.

¹⁵⁹ Colombia, Law on Copyright, 28 January, 1982 Art. 30.

ob. <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=872>>; Costa Rica, Law on Copyright and Neighbouring Rights, February 2, 2000, Art.13. ob. <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=880>>; Dominican Republic Law on Copyright, 26 July, 2000, Art 18

ob.: <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=1191>;

Mexico, Federal Law on Copyright, April 30, 2003, Art 3.

ob.: <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=3094>>

Peru, Copyright Law, 23 April, 1996, Art (2)

ob.: <http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=3412>;

France, Code de la propriété intellectuelle, 3 juillet, 1992.

<http://www.lexinter.net/ENGLISH/intellectual_property_code.htm>; ასევე ქვეყნები, რომლებიც

ფრანგული სამართლის გავლენას განიცდიან, მაგ.: Algeria, Law on Copyright and Related Rights, 5 November, 2003, Art 22.

ob.: <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=1195>>;

Benin, law relating to Copyright and Related Rights, 5 April, 2006, Art 3.

ob. <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=7585>>;

Central African Republic, Decree No 85.006, 5 January, 1985, Art 22,

ob.: <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=7557>>

Senegal, Copyright Act, 24 January, 1986 Art 3 (a).

ob.: <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=5761>> {17.01.2014}

¹⁶⁰ (Urheberrechtsgesetz) Gesetz über Urheberrecht und verwandte Schutzrechte. 9 September, 1965, Art 64(1),

<<http://transpatent.com/gesetze/urhg.html>>

Guatemala, Law on Copyright and Related Rights, 21 July 1998, Art 19,

ob.: <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=2010>>

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის თანახმად ნაწარმოებზე ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები ერთდროულად წყვეტს არსებობას. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები დაცულია ავტორის სიცოცხლეში და 70 წელი ავტორის გარდაცვალების შემდეგ. ამგვარად, პირადი უფლებების თვალსაზრისით გერმანიის კანონმდებლობა განსხვავდება ფრანგულისაგან, სადაც ავტორის პირადი უფლებები დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას.¹⁶¹ მესამე თეორიის მიხედვით, პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედება წყდება ავტორის გარდაცვალებით, აღნიშნული მიღგომა გავრცელებულია ძირითადად საერთო სამართლის ქვეყნებში, სადაც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები რეგულირდება არა საავტორო სამართლით, არამედ დიფამაციის მარეგულირებელი ნორმებით. კანონი დიფამაციის შესახებ კრძალავს პირის უფლებების დაცვას გარდაცვალების შემდეგ.¹⁶² იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ უფლებამ სუბიექტის გარეშე არ შეიძლება გააგრძელოს არსებობა და გარდაცვალების შემდეგ, პიროვნების სიცოცხლესთან ერთად, წყდება ავტორობის დაცვის უფლებაც.¹⁶³

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არ ადგენს ერთიან მოქმედების ვადას პირადი არაქონებრივი უფლებებისათვის. საქართველოს საავტორო სამართლით დაცულია ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა ფართო სპექტრი: ავტორობის, სახელის, რეპუტაციის პატივისცემის, ნაწარმოების ხელშეუხებლობის, ნაწარმოების გასაჯაროების, გამოხმობის და ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლება. აღნიშნული უფლებები იყოფა პოზიტიურ და ნეგატიურ უფლებებად, რაც უფლებათა დაცვის ვადაზეც აისახება.

2.2.3.1. უგადო პირადი არაქონებრივი უფლებები

ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა სამშობლოში, საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი მორალური უფლებების მუდმივობის თეორიას. ფრანგი მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ მორალური უფლებების დაცვა ავტორის გარდაცვალების შემდეგ განუსაზღვრელი ვადით უნდა განხორციელებულიყო, ანუ დაცვის უფლება იქამდე ჰქონდა არსებობის

Luxembourg, Law on Copyright, Neighbouring Rights and Databases, 18 April, 2001, Art 9, second paragraph,

იხ.: <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=2932>>

Netherland, Copyright Act, 1912, Art 25 (c) second paraghaph,

იხ.: <<http://www.ivir.nl/legislation/nl/copyrightact.html>>

Norway, Copyright relating to Copyright in Literary, Schientific and Artistic works, 1 July, 1961, Art 48, იხ.: <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=3232>> {18.01.2014}

¹⁶¹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 265.

¹⁶² Lypszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 265.

¹⁶³ Vaver, Authors' moral rights in Canada, in IIC No 03/1983, 348.

საფუძველი, სანამ არსებობდა თავად ნაწარმოები. ამ იდეამ 1957 წელს პოვა ასახვა კანონმდებლობაში.¹⁶⁴

ავტორის მორალური უფლებების დაცვის მუდმივობის თეორიას მოწინააღმდეგებიც ჰყავდა ევროპელ იურისტთა შორის. გერმანელი იურისტი კიოლერი მიიჩნევდა, რომ საავტორო უფლებათა ვადა ავტორის გარდაცვალებასთან ერთად უნდა ამოწურულიყო. გირკე აღნიშნავდა, რომ ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა დაცვა უნდა განხორციელებულიყო არა უვადოდ, არამედ ავტორის გარდაცვალებიდან 30 წელი. გირკე თავის მოსაზრებას ასაბუთებდა როგორც პრაქტიკული, ასევე მეტაფიზიკური გარემოებებით. პირველ გარემოებაზე დაყრდნობით იგი მიიჩნევდა, რომ ავტორის, სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ ლირებულება არ გააჩნდა უფლებას. ხოლო მეორე გარემოებაზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ავტორის პერსონალურობა განაგრძობდა არსებობას მის ოჯახის წევრებს შორის. ამ უფლების აღსანიშნავად იგი იყენებდა ტერმინს persönlichkeitsgut, რაც სიტყვა-სიტყვითი თარგმანით კარგ პიროვნებას ნიშნავს.¹⁶⁵ შესაბამისად, გირკეს მოსაზრებით, მემკვიდრეებს პქრნდათ დაცვის დირსი ინტერესი და პირადი არაქონებრივი მოქმედების ვადა უნდა განსაზღვრულიყო ავტორის გარდაცვალებიდან 30 წლით.¹⁶⁶

საქართველოს საავტორო სამართლი, ავტორის პირად არაქონებრივ, ნეგატიურ უფლებებთან დაკავშირებით იზიარებს ფრანგული სამართლის მიდგომას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის უფლების, სახელის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ. აღნიშნული უფლებების მოქმედება არ იზღუდება სივრცითა და დროით. ბუნებრივია, სახელის, ავტორობის, ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვა შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერ ქვეყანაში, თუნდაც მოცემული ქვეყანა (სადაც მოითხოვება დაცვა) არ იყოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის ბერნის ხელშეკრულების მონაწილე. სივრცეში მოქმედების თვალსაზრისით, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მსგავსია სამოქალაქო კოდექსით აღიარებული პიროვნული უფლებებისა (პირის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია). ამიტომ, სახელის უფლებისა და ავტორობის დაცვა ნებისმიერ სახელმწიფოშია დაშვებული, წარმოშობის ქვეყანაში არსებული ნაწარმოების ან გამოგონების, ან სხვა ქმნილების საფუძველზე.¹⁶⁷ ავტორის პირადი არაქონებრივი, ნეგატიური უფლებები დროში მოქმედების თვალსაზრისით, განსხვავდება სამოქალაქო სამართლით დაცული სხვა არაქონებრივი უფლებებისაგან. ავტორობის, სახელის, ავტორის რეპუტაციისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ყველაზე უფრო

¹⁶⁴ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 59.

¹⁶⁵ Deutsch-Russische Wörterbuch, veb Verlag enzyklopädie Moskau – Leipzig, 1997, 64.

¹⁶⁶ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 61.

¹⁶⁷ ასევე შვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 227.

ხანგრძლივი, მარადიული უფლებებია. მათი მოქმედება არ ამოიწურება ავტორის ან იმ პირთა სიცოცხლის ვადით, რომელსაც აქვს ავტორის პიროვნული უფლებების დაცვის ღირსი ინტერესი, არამედ არსებობს მანამ, სანამ არსებობს თავად ნაწარმოები. საავტორო უფლებების უვადო მოქმედება ორი არგუმენტით შეიძლება იყოს გამართლებული: ერთი მხრივ, ავტორი განაგრძობს არსებობას თავის ნაწარმოებში და შესაბამისად, სანამ არსებობს ქმნილებაში გამოხატული შემოქმედი, მანამდე აქვს არსებობის უფლება საავტორო უფლებებს. ხოლო მეორე მხრივ, საავტორო უფლებების დაცვის მიზანი არ არის მხოლოდ ავტორის ინტერესების დაცვა. იგი იცავს ნაწარმოებს, როგორც კულტურულ-სახელოვნობო მექანიზრებას. შესაბამისად, ნაწარმოების არსებობის ვადით უხდა არსებობდეს უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს ნაწარმოების მოლიანობასა და ნაწარმოების ავტორის შესახებ სწორი ინფორმაციის არსებობას.

უვადო უფლებებს, მხოლოდ „წმინდად მორალურ“ უფლებებს მიაკუთვნებენ. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისათვის განსხვავებული რეჟიმი არსებობს სხვადასხვა ქვეყნებისათვის, მაგალითად, საერთო სამართლის ქვეყნებში ნაწარმოების გადამუშავება განიხილება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შემადგენელ ნაწილად. ამიტომ ერთმანეთისაგან განასხვავებენ მორალურ უფლებებს და აღნიშნავენ, რომ დროისა და სივრცის გარეშე მოქმედებს, მხოლოდ ავტორობისა და სახელის უფლება, ანუ „წმინდად მორალური უფლებები“.¹⁶⁸

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების უვადოდ მოქმედება სადაცოა, უფლების იმ განმარტების გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება მოიცავს ავტორის მიერ ქმედების განხორციელებასაც, კერძოდ ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანო ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში და ასევე, დაცვის უფლებასაც, კერძოდ, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას. აღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ერთდროულად შეიძლება პოზიტიურ და ნეგატიურ უფლებადაც იყოს მიჩნეული. უვადოდ მხოლოდ უფლების მეორე, დაცვის მხარე ხორციელდება. ხოლო უფლების პოზიტიური ნაწილი, რომლის განხორციელებასაც ავტორის ნების გამოვლენა სჭირდება, (ნებს დართოს სხვა პირებს შეიტანო ცვლილებები ნაწარმოებში, სახელწოდებასა და ავტორის სახელში) შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ავტორის სიცოცხლის ვადით, ვინაიდან ავტორის გარდა, სხვა ნებისმიერი პირის მიერ ამ უფლების განხორციელება, ავტორის ნების წინააღმდეგ წასვლა იქნება. არსებული ხარვეზის გამოსწორება, კანონის მიერ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების სწორი განმარტებით და უფლებისათვის მხოლოდ ნეგატიური შინაარსის დატოვებით იქნება შესაძლებელი, რაც ნაშრომის მომდევნო თავში, ნაწარმოების

¹⁶⁸ ქართული შვილი, ინტერესების უფლებები, თბილისი, 2006, 228.

ხელშეუხებლობის უფლების ანალიზისას დაწვრილებით იქნება განხილული.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების უვადოდ მოქმედება არა მხოლოდ ავტორისა და ნაწარმოების, არამედ საზოგადოების ინტერესების დაცვასაც ისახავს მიზნად. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმადსაავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ დაუშვებელია სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების გამოყენება იმავე უანრის ნაწარმოებისათვის, თუ ასეთმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ავტორთა აღრევა, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება. ასევე, აკრძალულია ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა ისეთი ფსევდონიმით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით, საზოგადოებისათვის აღრე ხელმისაწვდომი ნაწარმოების ავტორთან გაიგივება, რამაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

2.2.3.2. პირადი არაქონებრივი უფლებები შეზღუდული ავტორის სიცოცხლის და ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადით

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების შეზღუდვა ავტორის სიცოცხლის ვადით, დამახასიათებელია საერთო სამართლის ქვეყნებისათვის, სადაც აღნიშნული უფლებები არა საავტორო სამართლის, არამედ საერთო სამართლის ნორმებით რეგულირდება. ავტორის სახელის, ავტორობისა და რეპუტაციის უფლების დაცვისათვის გამოიყენება დიფამინაციის შესახებ აქტები, რომლის მიხედვითაც, პირადი არაქონებრივი უფლებები წყვეტს არსებობას სუბიექტის გარდაცვალებასთან ერთად.¹⁶⁹ შესაბამისად, საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობით, ავტორის ნეგატიური უფლებები მხოლოდ ავტორის სიცოცხლის ვადით არის დაცული, ისევე როგორც ნებისმიერი პირის პატივი, დირსება, საქმიანი რეპუტაცია და პირადი ცხოვრების საიდუმლოება.

იურიდიულ ლიტერატურაში ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ავტორის სიცოცხლის ვადით შემდეგი არგუმენტით არის დასაბუთებული: საავტორო უფლებებს ესაჭიროება სუბიექტი, რომელიც აღარ არსებობს ავტორის გარდაცვალების შემდეგ. საავტორო უფლება ავტორის სიცოცხლის შემდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება დაცვას, თუ მათი ხელყოფა, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება მიჩნეული იყოს ცოცხალი ნათესავების უფლების დარღვევად.¹⁷⁰

კონტინენტური ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, ძირითადად გერმანიისა და სკანდინავიის ქვეყნების საავტორო სამართლით ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედება შეზღუდულია

¹⁶⁹ *Rolph*, Reputation, Celebrity and Defamation Law, Burlington, 2008,130.

¹⁷⁰ *Beverley-Smith/ Ohly/ Lucas*, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005,127.

ავტორის ქონებრივი უფლებების ვადით.¹⁷¹ გერმანიაში პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა მე-19 საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო. 1837 წლის პრუსიის საავტორო უფლებათა შესახებ კანონის თანახმად, მორალური უფლების დაცვა ნაწარმოების შექმნიდან 10 წლის მანძილზე გრძელდებოდა. 1928 წლის ბერნის კონვენციის ომის ოევიზიის შედეგად დაცვის ხანგრძლივობად ავტორის გარდაცვალებიდან 30 წელი დადგინდა. 50 წელი იყო შემოთავაზებული კანონპროექტის ავტორების მიერ, რაც რაიხსტაგის მიერ არ იქნა გაზიარებული.¹⁷² ამჟამად მოქმედი გერმანიის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის თანახმად, ნაწარმოებზე ავტორის პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები ერთდროულად წყვეტს არსებობას. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები დაცულია ავტორის სიცოცხლეში და 70 წელი ავტორის გარდაცვალების შემდეგ.¹⁷³

საქართველოს საავტორო სამართალი, ავტორის პირად არაქონებრივ პოზიტიურ უფლებებთან მიმართებით იზიარებს გერმანიის საავტორო სამართლის მიღებობას. პოზიტიური უფლებები, ანუ უფლებები, რომელთა განსახორციელებლად სუბიექტის ნების გამოვლენაა საჭირო, შეზღუდულია გარკვეული დროით – ან ავტორის სიცოცხლის ან ქონებრივი უფლებების მოქმედების ვადით.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუქტის მიხედვით, პირად არაქონებრივ უფლებათა განსახორციელება ავტორის გარდაცვალების შემდეგ ხდება ამ კანონით დადგენილი წესით. კანონის მიერ დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე, მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში. კანონით გათვალისწინებულია ზოგადი წესიდან გამონაკლისი ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედებისათვის. მაგ. კანონის 33-ე მუხლის თანახმად, უვალო უფლებებს მიეკუთვნება ნეგატიური უფლებები: ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის დაცვის უფლება. აღნიშნული უფლებების განსახორციელებისა და დაცვის უფლება მემკვიდრეობით არ გადადის. მემკვიდრეებს უფლება აქვთ, განსახორციელონ აღნიშნულ პირად უფლებათა დაცვა. ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა მოქმედების ვადასთან დაკავშირებულ საგამონაკლისო წესს შეიცავს 35-ე მუხლის მე-4 პუქტიც, რომლის თანახმად: თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, მისი პირადი უფლებებიდან მეტავიდრეობით გადადის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა).

¹⁷¹ Germany Art 64(1), Guatemala Art 19, final paragraph: Luxembourg Art 9, second paragraph: Netherland Art 25 (c) second paraghaph, Norway Art 48.

¹⁷² Adeney, Elithabeth, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 61.

¹⁷³ (Urheberrechtsgesetz). 9 September, 1965. ხელმისაწვდომია :

<<http://transpatent.com/gesetze/urhg.html>>{16.01.2014}.

აღნიშნული უფლება მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

შესაბამისად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებიდან ქონებრივი უფლებების ვადით მოქმედებს ავტორის უფლება, დაურთოს ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა), თუმცა უფლებათა მოქმედების ვადის განსაზღვრისას, ავტორის სურვილს ენიჭება უპირატესობა, რომელსაც აღნიშნული უფლების მოქმედების ვადა შეუძლია ამოწუროს მისი სიცოცხლის ვადით.

კანონში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არ არის სპეციალური ნორმით დარეგულირებული მოქმედების ვადა შემდეგი პირადი არაქონებრივი უფლებებისათვის: ავტორის უფლება გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცხობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი და ნაწარმოების გამოხმობის უფლება. შესაბამისად, აღნიშნულ უფლებებზე უნდა გავრცელდეს კანონის 31-ე მუხლით განსაზღვრული საავტორო უფლებათა მოქმედების ზოგადი წესი - ავტორის სიცოცხლე და 70 წელი მისი გარდაცვალებიდან. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარში ნაწარმოების გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლების მოქმედების ვადა სხვაგვარად არის განმარტებული. კერძოდ, კანონის კომენტარში აღნიშნულია: მიუხედავად იმისა, რომ კანონი პირდაპირ არ აწესრიგებს გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლების ვადას, ამ უფლების გამოყენებისა და დაცვის უფლება მემკვიდრეებს არ ეკუთვნით, შესაბამისად, ეს უფლებები მოქმედებს ავტორის სიცოცხლის ვადით.¹⁷⁴ კანონის კომენტარში ასევე, მითითებულია, რომ გასაჯაროების უფლების მოქმედების ვადის განსაზღვრა ავტორის სიცოცხლით, წინააღმდეგობაში მოდის კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტთან, რომლის თანახმადაც, ნებისმიერ პირს აქვს უფლება გამოაქვეყნოს გამოუქვეყნებელი ნაწარმოები საავტორო უფლებათა ვადის გასვლის შემდეგ და მისთვის აწესებს იგივე ქონებრივ უფლებებს, მაგრამ ნაკლები ვადით.¹⁷⁵

ქართველ მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ მემკვიდრეობით უნდა გადავიდეს ნაწარმოების გასაჯაროების უფლება.¹⁷⁶

ნაწარმოების გასაჯაროების უფლების მოქმედების ვადა და გადაცემა განსხვავებული წესით რეგულირდება კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართალშიც. მაგ., იტალიაში ნაწარმოების გასაჯაროების უფლება შეიძლება განახორციელონ ავტორის მემკვიდრეებმა ან ლეგატებმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორის მიერ სპეციალურად არ არის გამოხატული სურვილი ნაწარმოები არ იხილოს საზოგადოებამ. მემკვიდრეთა შორის დავა უნდა გადაწყვდეს სასამართლოს მეშვეობით.¹⁷⁷

¹⁷⁴ ძამუა შვილი/ შენგელია/გაბუნია/ ხრუსტალი/ჯორგენაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 182.

¹⁷⁵ ძამუა შვილი/ შენგელია/გაბუნია/ ხრუსტალი/ჯორგენაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 182.

¹⁷⁶ ძამუა შვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი 2006, 238.

¹⁷⁷ Mondini, Italy, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawers MIDEM 1995, Cannes. Neterland-Belgium. 1995, 111.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არც ნაწარმოების გამოხმობის უფლების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით შეიცავს სპეციალურ წესს, რაც კანონის ხარვეზს წარმოადგენს. ნაწარმოების გამოხმობის უფლების მოქმედება საავტორო უფლებების მოქმედების ვადით, ანუ 70 წლით ავტორის გარდაცვალების შემდეგ არ შეესაბამება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების შინაარსს: თუკი ავტორმა გადაწყვიტა, მისი ნაწარმოები იხილოს საზოგადოებამ, მექვიდრეთა მიერ ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელება ავტორის გარდაცვალების შემდეგ, ავტორის სურვილის წინააღმდეგ წასვლა იქნება, რაც ეწინააღმდეგება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების არსს.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ნაწარმოების გამოხმობის უფლება ავტორს ეძლევა ნაწარმოების გამოქვენებისთანავე და მოქმედებს გონივრული ვადის ფარგლებში. ამ მიმართებით, დროის ფარგლები კანონით დადგენილი არ არის ხოლმე და არც საქართველოს საავტორო სამართალია გამონაკლისი.¹⁷⁸ როგორ უნდა გამოითვალის გონივრული ვადა? იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი უნდა დადგინდეს კონკრეტულად უკელა ნაწარმოებისათვის ცალ-ცალკე: მაგ., თუ ნაწარმოები უკე დიდი ხანია გავრცელებულია და მოსახლეობამ მოასწრო მისი გაცნობა, მაშინ ის ადარ უნდა ექვემდებარებოდეს გამოხმობას. ხოლო, როდესაც ნაწარმოები პირველად გამოჩნდა სავაჭრო ქსელში და ძნელად ვრცელდება – არ საღდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მაშინ ავტორს უფრო მეტი ვადა ექნება ნაწარმოების გამოხმობისათვის.¹⁷⁹ ნაწარმოების გამოხმობის უფლების მოქმედების ვადის ამგარი რეგულირება არ შეიძლება მიჩნეულ იყოს მართებულად, ვინაიდან ნაწარმოების გამოხმობის უფლება ავტორის ინტერესების დაცვას ემსახურება და შესაბამისად, იგი უნდა მოქმედებდეს, სულ მცირე, ავტორის სიცოცხლის ვადით. ავტორმა თავად უნდა განსაზღვროს, რა დროის შემდეგ არის გონივრული და მისთვის შედეგის მომტანი ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელება.

ნაწარმოების გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლების მოქმედების ვადა არა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თეორიების საფუძველზე უნდა რეგულირდებოდეს, არამედ კანონის მიერ განისაზღვრებოდეს, ისევე, როგორც სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების შემთხვევაში. ნაწარმოების გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლება პოზიტიურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. მათი ამოქმედებისათვის სუბიექტის მიერ ნების გამოვლენა არის საჭირო. ავტორი წარმოადგენს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა სუბიექტს და შესაბამისად, უფლებათა განხორციელებისას, მისი ნება უნდა იყოს გადამწყვეტი.

ნაწარმოების გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლებაზე ქონებრივი უფლებების ვადის მოქმედება ავტორის სურვილის გათვალისწინების გარეშე არ იქნება სამართლიანი. ავტორის სურვილით განისაზღვრება

¹⁷⁸ ძამუა შვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 228.

¹⁷⁹ ძამუა შვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 228.

ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლების მოქმედების ვადა. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული, მისი პირადი უფლებებიდან მემკვიდრეობით გადადის უფლება, ხება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). ანალოგიურად უნდა ენიჭებოდეს უპირატესობა ავტორის სურვილს სხვა პოზიტიური უფლებების განხორციელების შემთხვევაშიც. ნაწარმოების გასაჯაროების უფლების მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს ავტორის სიცოცხლით, თუკი ავტორმა სიცოცხლეშივე არ განსაზღვრა პირი, რომელსაც გადასცემს უფლებას გასახორციელებლად.

უმჯობესი იქნება, თუკი საქართველოს საავტორო სამართალი გაიზიარებს გერმანული საავტორო სამართლის მიდგომას, ნაწარმოების გასაჯაროების ვადასთან დაკავშირებით. გერმანიის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ავტორის მემკვიდრეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტის უფლება, თუკი ისინი დაამტკიცებენ, რომ გარდაცვალებამდე ავტორს სურდა უკან გამოეხმო ნაწარმოები, მაგრამ მას ხელი შეეშალა, ან მან ამგვარი სურვილი ანდერძით გამოხატა.¹⁸⁰

საქართველოს კანონმდებლობით დამკვიდრებული მიდგომა, მოქმედების სხვადასხვა ვადა დაწესდეს ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედებისადმი, გამართლებულია თავად ამ უფლებათა განსხვავებული შინაარსიდან გამომდინარე. კანონმდებლობის დახვეწისა და ავტორის ინტერესის სრულფასოვანი დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია, დაზუსტდეს ავტორის ზოგიერთი პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედების ვადა.

3. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების აღგილი სამოქალაქო არაქონებრივ უფლებათა სივრცეში

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები არამატერიალურ სიკეთეთა რიცხვს მიეკუთვნება. მათი რეგულირება ხდება როგორც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით, ასევე სამოქალაქო კოდექსით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაქონებრივი უფლებების დაცვაზე პირველივე მუხლით მიუთითებს, რომლის თანახმად, კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამკარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარში აღნიშნულია, რომ მონაწილეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზეა აგებული საოჯახო-პირადი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობანი, რომელთაც ხშირად არა აქვთ მატერიალური შინაარსი და გულისხმობს პიროვნების პატივისა და

¹⁸⁰ (Urheberrechtsgesetz). 9 September, 1965. ხელმისაწვდომია : <<http://transpatent.com/gesetze/urhg.html>>{16.01.2014}.

დირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის დაცვას.¹⁸¹

სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით, ბრუნვიდან არ არის ამოდებული. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, კოდექსი თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს და თანაბრად იცავს ქონებრივი და არაქონებრივი ღირებულების მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთეებს, რაც წარმოადგენს არა მხოლოდ ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების მოწესრიგების საფუძველს, არამედ ხელს უწყობს ინდივიდისათვის სამოქალაქო და ბუნებითი უფლებების დაცვას და საზოგადოებაში ადამიანის დირსეულად არსებობის ერთგვარი გარანტია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულია პირადი არაქონებრივი უფლებები: პატივი, დირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, საქმიანი რეპუტაცია და პირის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე. საქართველოს სსრკ-ის სამოქალაქო სამართლის კოდექსი ამ უფლებათაგან რამდენიმეს „პირადი არაქონებრივი უფლების“ სახელით განამტკიცებდა და ამავე სახელით გადმოვიდა იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლშიც. ქართულ თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გამოიყენება ტერმინი „პიროვნული უფლებები“.¹⁸² იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ტერმინი „პირადი არაქონებრივი უფლებები“ შეუსაბამოა აღნიშნულ უფლებებთან კავშირში და უმჯობესია ევროპული საკანონმდებლო პრაქტიკის გაზიარებით, სამოქალაქო კოდექსი ადგენდეს ტერმინს „პიროვნული უფლებები“.¹⁸³ უფლების პიროვნულ ხასიათზე არის ხაზგასმა ევროპულ კერძო სამართალშიც.¹⁸⁴ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული უფლებების დამახასიათებელ და განმასხვავებელ ნიშანსაც, სხვა უფლებებისგან შემდეგი ფაქტორი წარმოადგენს: აღნიშნული უფლებები იმდენად უკავშირდება ადამიანს, რომ მისი პიროვნულობის განმსაზღვრელი ხდება, ხშირ შემთხვევაში მისი თავისუფლად, საკუთარი სურვილისამებრ და სხვებისგან ჩაურევლად არსებობის საფუძველია. პიროვნულ უფლებებს, უწყობებენ უფლებებს საკუთარ პიროვნებაზე, რომელიც ვლინდება სამართლებრივი წესრიგის მიერ უზრუნველყოფილ ზოგად მოთხოვნაში, იყო პიროვნება.¹⁸⁵ უმჯობესია, სამოქალაქო კოდექსშიც აღნიშნული უფლებები ტერმინით, „პიროვნული უფლებები“ იყოს განმტკიცებული, ვინაიდან

¹⁸¹ ახვლედიანი/ზოიდე/ჭანტურია/ჯორბენაძე (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბილისი, 1999, 29.

¹⁸² იხ. მაგ. ნინო ქ, სსრკ-ის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 1999, 77, 79; ასევე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი 2003, 93.

¹⁸³ კერძებრივი, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 131-132

¹⁸⁴ მაგ. „Personlichkeitsrechte“, „personal rights“, „droit de la personnalite“

¹⁸⁵ Gierke, Deutsches Privatrecht, Band I, 1895, &81,702 ff., ციტირებულია: კერძებრივი, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 131.

ხაზგასმა „პიროვნულობაზე“ იქნება რაც უფლებათა ძირითად არსე და სხვა პირად უფლებათაგან მათ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს.

არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს ტერმინი „ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების“ მიმართ. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების სამშობლოში, საფრანგეთში აღნიშნულ უფლებებს მორალური უფლებების სახელით იცნობენ.¹⁸⁶ ტერმინი „მორალური უფლებები“ განმტკიცებულია საავტორო სამართლის სფეროში მოქმედ მთავარ საერთაშორისო აქტით 1886 წლის 9 სექტემბრის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციით.¹⁸⁷ ქართველ მეცნიერთა შორის არსებული მოსაზრების თანახმად, უფლებებს კარგად ესადაგება ტერმინი პირადი არაქონებრივი, რადგან პირადი ქართულ მეტყველებაში ნიშნავს მხოლოდ მოცემულ კუთვნილებას.¹⁸⁸ უფლების არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ხაზგასმა იყოს არა უფლებების მოცემული პირისათვის კუთვნილებაზე, არამედ უფლებათა შინაარსის პიროვნულ შინაარსზე და გამოიყენებოდეს ტერმინი - ავტორის პიროვნული უფლებები. სწორედ ავტორის პიროვნული უფლებების სახელითაა ცნობილი აღნიშნული უფლებები გერმანიის კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.¹⁸⁹

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მსგავსებას ავლენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებთან უფლების მუდმივი, გადაუცემადი და პიროვნებისაგან განუყოფელი შინაარსით. აღნიშნული უფლებები არ შეიძლება ჩართული იყოს სამოქალაქო ბრუნვაში.

მიუხედავად ამ მსგავსებისა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებსა და სამოქალაქო კოდექსით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებს შორის, რასაც ნაშრომის წარმოდგენილ თავში დაწვრილებით შევეხებით.

ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს, პირველ რიგში, წარმოშობის საფუძველი განასხვავებით სხვა პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან, და მათი რეგულირების მთელი რიგი თავისებურებებიც ამით არის განპირობებული. ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა მოსაპოვებლად ინტელექტუალურ-შემოქმედებითი დვაწლის გაღებაა საჭირო. ავტორს როგორც ქონებრივი, ასევე პირადი არაქონებრივი უფლებები, შემოქმედებითი ობიექტების შექმნით წარმოეშობა. არაქონებრივი უფლებების წარმოშობას შემოქმედებით პროცესში, სულიერი კომპონენტის არსებობით ხსნიან.¹⁹⁰ ავტორი თავის პიროვნულობას, სულიერებას დებს ნაწარმოებში და აქედან გამომდინარე წარმოეშობა მასზე პირადი არაქონებრივი უფლებები. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

¹⁸⁶ Code de la propriété intellectuelle, Chapitre Ier : Droits moraux (Articles L121-1 à L121-9)

ხელმისაწვდომია: <http://www.lexinter.net/ENGLISH/intellectual_property_code.htm> {16.01.2014}.

¹⁸⁷ ი. <http://www.wipo.int/treaties/en/ip/berne/trtdocs_wo001.html> {20.04.2013}.

¹⁸⁸ ქართველი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 197.

¹⁸⁹ (Urheberrechtsgesetz). 9 September, 1965. ხელმისაწვდომია:

<<http://transpatent.com/gesetze/urhg.html>> {20.04.2013}.

¹⁹⁰ ქართველი, ინტელექტუალური უფლებები. თბილისი 2006, 112.

ასახავს რწმენას, რომ ავტორი არსებობას აგრძელებს მის ნაწარმოებში, ამიტომ ავტორს აქვთ უფლება აკონტროლოს, როგორ შეაფასებს და დაინახავს საზოგადოება მის ნაწარმოებს და აქედან გამომდინარე, მის პიროვნულობას, გამოხატულს ნაწარმოებში. ავტორის უფლება, მიუთითოს სახელი ნაწარმოებზე ან აკრძალოს თავისი სახელის მითითება, გახადოს ნაწარმოები საჯაროდ ხელმისაწვდომი ან გამოიხმოს ნაწარმოები, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი ხელყოფისაგან, სწორედ პიროვნულობის დაცვას ითვალისწინებს. თუმცა, სამოქალაქო კოდექსით დაცული სხვა პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები იმ მჭიდრო კავშირს უსვამს ხაზს, რომელიც არსებობს ავტორსა დამის ნაწარმოებს შორის. შესაბამისად, იგი ავტორის პიროვნულობას მხოლოდ ნაწარმოებიდან გამომდინარე იცავს.

საავტორო უფლებათა სპეციფიურობიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის პირადი არაქონებრივი უფლებების მარეგულირებელი ნორმები ვერ გამოდგება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა დასაცავად. აღნიშნულ უფლებათა ეფექტური რეგულირებისა და დაცვისათვის, საჭიროა, ერთის მხრივ, განისაზღვროს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა ადგილი არაქონებრივ უფლებათა სისტემაში და, მეორეს მხრივ, მოხდეს მისი გამიჯვნა სხვა პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან.

3.1. პირად არაქონებრივ უფლებათა ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები და კლასიფიკაცია

პირადი არაქონებრივი უფლებები ადამიანის უფლებებათა დაცვის საერთაშორისო აქტებით დაცულ უფლებებს წარმოადგენს.¹⁹¹

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი, ”საქართველოს მოქალაქეობა და ადამიანის უფლებები” არაერთ მუხლს შეიცავს, რომელიც ადამიანის პირად არაქონებრივ უფლებათა დაცვას ეხება. პირადი არაქონებრივი უფლებები ერთმანეთისაგან განსხვავდება შინაარსის, რეგულირებისა და დაცვის მექანიზმების მიხედვით. არაქონებრივი უფლებები არა მარტო სამოქალაქო სამართლით, არამედ სამართლის სხვა დარგებითაც არის დაცული.¹⁹²

სამოქალაქო სამართლით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებების ზოგადი დამახასიათებელი ნიშნებია: უფლებათა არაქონებრივი ხასიათი და პიროვნებისაგან განუყოფლობა. სამოქალაქო კოდექსით დაცული პირადი

¹⁹¹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. 1948 წლის 10 დეკემბერი. მუხლები: მე-3, მე-12. იხ. <<http://www.lexilogos.com/declaration/georgien.htm>>; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის უკროპული კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხლები: მე-3, მე-8. იხ. <http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf> {16.01.2014}.

¹⁹² მაგ. სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე, 158-ე და 159-ე მუხლებით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 271 მუხლი ასევე იცავს პირის პერსონალურ მონაცემებს, როგორც მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემადგენელ ნაწილს. პირის დირსება და პატივი ასევე დაცულია საპროცესო კანონმდებლობითაც.

არაქონებრივი უფლებები ერთმანეთისაგან განსხვავდება შინაარსისა და დაცვის მექანიზმების თვალსაზრისით.

პირადი არაქონებრივი უფლებები დაცული იყო საბჭოთა კანონმდებლობითაც. რუს მეცნიერთა არაერთ შრომაში გვხვდება პირად არაქონებრივ უფლებათა ამომწურავი კლასიფიკაცია. მაგალითად, რუსი მეცნიერი ვალდიმერ რიასენცევი შემდეგნაირად ყოფს პირად არაქონებრივ უფლებებს: პირადად ადამიანისგან განუყოფელი: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პირადი ხელშეუხებლობა; უფლებები, რომელიც საზოგადოებაში, კოლექტივში ადამიანის ინდივიდუალიზაციისაკენ არის მიმართული (მაგალითად სახელი, ღირსება, პატივი და ა.შ); უფლებები, დაკავშირებული საოჯახო-საქორწინო სფეროსთან (მაგ. ოჯახის წევრის პატივი და ღირსება, მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და აშ); უფლებები, დაკავშირებული საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობასთან, მათ შორის შემოქმედებითი უფლებები (დასვენება, კულტურული მოთხოვნილება და აშ); უფლებები დაკავშირებული ქონებრივ ინტერესებთან (მაგალითად არაქონებრივი ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია ვალდებულებით სამართლებრივ გარიგებებთან).¹⁹³

ვლადიმერ სლესარევის კლასიფიკაციის მიხედვით პირადი არაქონებრივი უფლებები დაკავშირებულია პირად თავისუფლებასთან და ხელშეუხებლობასთან; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროსთან; პირის ინდივიდუალიზაციისკენ მიმართული.¹⁹⁴

ნიკოლაი ეგოროვი კლასიფიკაციისას უურადღებას ამახვილებს მხოლოდ სამოქალაქო და კონსტიტუციური სამართლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებზე. მისი კლასიფიკაციის მიხედვით, პირადი არაქონებრივი უფლებები იცავს: პიროვნების პიროვნებობის გამოხატულებას (ღირსება, სახელი, პატივი, პირადი გამოსახულება); პირად თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას (საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების და ურთიერთობის საიდულმოება, პირადი დოკუმენტაციის საიდუმლოება).¹⁹⁵

ოკტიაბრ კრასავჩიკოვი პირად არაქონებრივ უფლებებს ორ ჯგუფად ყოფს: უფლებებს, რომლებიც განსაზღვრავენ პირის ფიზიკურ არსებობას (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, გარშემომყოფთა კეთილგანწყობა, პირადი ხელშეუხებლობა) და პირის სოციალურ არსებობას (სახელი, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრება გადაადგილების თავისუფლება).¹⁹⁶

რუსი მეცნიერი ტატიანა ფადეევა პირად არაქონებრივ უფლებებს შემდეგ კატეგორიებად ყოფს: პირის ინდივიდუალიზაციისკენ მიმართული (სახელი, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია); ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვისაკენ მიმართული (საცხოვრებლის თავისუფლად

¹⁹³ Рясенцев, Немущественный интерес в советском гражданском праве, Москва, 1939, 26-27.

¹⁹⁴ Слесарев, Обект и результат гражданского правонарушения, Томск, 1980, 128.

¹⁹⁵ Сергеев, Гражданское право, том I, Вельба, 2009, 416.

¹⁹⁶ Илларионова, Гражданское право, Москва, 1998, 174-185.

არჩევა); შინაგანი სამყაროს ხელშეუხებლობის დაცვისაკენ მიმართული (პირადი და საოჯახო საიდუმლოება).¹⁹⁷

საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული პირად არაქონებრივ უფლებებზე რუს მეცნიერს მარინა მალევინას. მისი კლასიფიკაციის მიხედვით, პირადი არაქონებრივი უფლებები რამდენიმე კატეგორიად იყოფა: უფლებები დაკავშირებული პირის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან (სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა, უფლება ჯანსაღ გარემოზე); უფლებები, მიმართული საზოგადოებაში პირის ინდივიდუალიზაციისაკენ (სახელის, გამოსახულებისა და ხმის უფლება, პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია); უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს პირის ავტონომიურობას (პირადი ცხოვრების საიდუმლოება: სამედიცინო, ნოტარიალური, საადვოკატო საიდუმლოება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა: პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა, საცხოვრებლის ხელშეუხებლობა); უფლებები დაკავშირებული ინტელექტუალურ საქმიანობასთან (ლიტერატურისა და მეცნიერების ნაწარმოების ავტორის, გამომგონებლის, სამრეწველო ნიმუშის, სასარგებლო მოდელის, სელექციური მიღწევების, ტოპოგრარული ინტეგრალური სქემების ავტორთა და შემსრულებელთა არაქონებრივი უფლებები).¹⁹⁸

სამოქალაქო სამართალი არაქონებრივ უფლებათა მხოლოდ ნაწილს არეგულირებს და ამ უფლებათა შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებასაც ითვალისწინებს. მორალური ზიანის მოთხოვნის უფლება, ქონებრივი უფლებაა, რომელიც პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით შეიძლება წარმოიშვას. მგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სამართალში პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები გადაჯაჭვულია ერთმანეთზე.

სამოქალაქო კოდექსის მე-18-ე მუხლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებს სხვა უფლებებისაგან, პირველ რიგში, მათი წარმოშობის საფუძველი განასხვავებს. პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა არ არის დაკავშირებული რაიმე იურიდიული ფაქტის დადგომასთან. პირი დაბადებიდან არის პირადი არაქონებრივი უფლებების მფლობელი, რომლის არა განხორციელების, არამედ დაცვის უფლება გააჩნია. იურიდიულ დიტერატურაში აღნიშნულია, რომ ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს არა უფლებამოსილი პირის მოქმედებას, არამედ სხვა პირთა მიერ, მოქმედებისაგან თავის შეკავებას.¹⁹⁹ რუსი მეცნიერი ნიკოლაი ეგოროვი მიიჩნევს, რომ პირის ქცევა არის ამ უფლებათა ობიექტი.²⁰⁰ აღნიშნული არგუმენტის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელობა არა აქვს პირი საზოგადოების თვალში ღირსებულად იქცევა, თუ უდირსად, აქვს თუ არა ინტერესი, დაიცვას თავის ღირსება და პატივი, იგი მაინც არის აღნიშნულ უფლებათა მფლობელი. პიროვნული უფლებების მიზანია, ადამიანის პიროვნების

¹⁹⁷ Сергеев, Гражданское право, том I, Вельба, 2009, 382.

¹⁹⁸ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 21-22.

¹⁹⁹ Анисимов, Гражданско-правовая защита чести, достоинства и деловой репутации, Москва, 2001, 23.

²⁰⁰ Анисимов, Гражданско-правовая защита чести, достоинства и деловой репутации, Москва, 2001, 21.

სფეროში არაკანონიერი ჩარევის აღკვეთა.²⁰¹ ანალოგიურად, ავტორიც არის პირადი არაქონებრივი უფლებების მფლობელი, მიუხედავად შექმნილი ნაწარმოები მხატვრული დირებულებისა.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები არაქონებრივ უფლებათა ცალკე კატეგორიად უნდა იყოს მიჩნეული, თუმცა იგი ყველაზე მეტ სიახლოვეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ პიროვნულ უფლებებთან ავლენს.

3.1.1 სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებები

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონთან ერთად, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სამოქალაქო კოდექსის მე-17 და მე-18 მუხლები, რომლებიც იცავს ადამიანის პიროვნულ უფლებებს.

სამოქალაქო კოდექსის მე-17 და მე-18 მუხლის თანახმად, დაცულია ფიზიკური პირის სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს. ავტორის სახელის უფლება ასევე, დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლით, როგორც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება. იურისტთა ნაწილი სახელის უფლებას პიროვნების ინდივიდუალიზაციის საშუალებად განიხილავს.²⁰² სახელის უფლებას ზოგადი პიროვნული უფლებების ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნევენ.²⁰³ ბოლო პერიოდის კვლევებში გაჩნდა აზრი, რომ სახელის უფლება არამატერიალურ ქონებრივ უფლებებს განეკუთვნება, განსაკუთრებით კი კომერციული ურთიერთობების სფეროში.²⁰⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, სახელის უფლება მოიცავს სახელსა და გვარს, არეგულირებს სახელის შეცვლის საფუძველსა და დასაშვებობას. ხოლო მე-18 მუხლის პირველი ნაწილი შეეხება სახელის ტარების უფლებას. სახელის უფლება სახელის ტარების უფლებას მოიცავს. შესაბამისად, უსაფუძვლოა მათი გაყოფა და ცალ-ცალკე მუხლით რეგულირება.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, სახელთან ერთად, იცავს პირის პატივსა და ლირსებას. ჯერ კიდევ საბჭოური კანონმდებლობა ცნობდაპატივისა და ლირსების სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას. საბჭოთა საქართველოს წლის სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლით, მოქალაქეს ან ორგანიზაციის უფლება ჰქონდა სასამართლოს საშუალებით მოეთხოვა მისი პატივისა და ლირსების შემდახავი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებული მათ სინამდვილეს ვერ დაამტკიცებდა.²⁰⁵ 1997 წელს მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო

²⁰¹ კერძესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 131-132.

²⁰² კობახიძე, სამოქალაქოსამართლი. I ზოგადი ნაწილი. თბილისი 2001, 344.

²⁰³ ახვლედიანი/ზოიძე/ჭანტურია/ჯორბერიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაზი, თბილისი, 1999, 52.

²⁰⁴ ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, 168.

²⁰⁵ ჩიკვა შვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართლში, თბილისი, 1998, 121.

კოდექსმა განამტკიცა საბჭოთა კანონმდებლობისთვის უცნობი, საქმიანი რეპუტაციის დაცვა.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პატივს ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას შემდეგნაირად განმარტავენ: “პატივი – ეს არის პიროვნების სოციალური და სულიერი თვისებების საზოგადოებრივი შეფასება, ღირსება კი – საკუთარი თვისებების, შესაძლებლობების და მსოფლმხედველობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შინაგანი შეფასება. საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს თვისებებისა და შეფასებების კრებულს, რომლის მატარებელი პიროვნება ასოცირდება თავისი კონტრაგენტების, კლიენტების, მომხმარებლების, თაყვანისმცემლების (შოუ ბიზნესში) ამომრჩევლების თვალში და პერსონიფიცირდება ამ სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონალთა შორის.²⁰⁶

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, როგორც პატივი, ასევე ღირსება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ნამდვილ ფაქტებს. პატივი პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ, ღირსების ქვეშ კი იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თავად პიროვნების მიერ.²⁰⁷ ანალოგიურადაა განმარტებული პატივი და ღირსება რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. პატივი ადამიანის ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, მისი სოციალური ღირებულება და მნიშვნელობა. ხოლო ღირსება საკუთარი თვისებების, შესაძლებლობების შინაგანი თვითშეფასება.²⁰⁸ ღირსება ასევე განიმარტება, როგორც ადამიანისობიექტური საზოგადოებრივი ღირებულება, ხოლო პატივი, როგორც ადამიანის ღირსების ასახვა სხვა პირთა წარმოდგენაში, ღირსების სუბიექტური შეფასება.²⁰⁹

პატივი და ღირსება შეფასებითი კატეგორიაა. უფლების მფლობელი პირი კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს, შელახულია თუ არა მისი პიროვნული უფლებები. სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა - შეილახა თუ არა კონკრეტული პირის პატივი და ღირსება, მხოლოდ კონკრეტული ინდივიდის პიროვნული თავისებურების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. მოსამართლის მიერ სარჩელის დაგმაყოფილებაზე უარის თქმას შესაძლოა, საფუძვლად ედოს სიტყვების შინაარსობრივი ახსნა-განმარტება. მაგალითად ფრაზა, რომელიც მოსარჩელებ ღირსების შემდახავ გამონათქვამად მიიღო სწორი შინაარსობლივი განმარტებით არ შეიცავს შეურაცხმუფელ შინაარსს. ამ თვალსაზრისით, პირად არაქონებრივ უფლებათა შესწავლისას, საინტერესო საქმე აქვს განხილული რუს მეცნიერს მარინა მალევინას: მოქალაქე ა-ზ

²⁰⁶ ჩიკვა შვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში. თბილისი 1998, 122.

²⁰⁷ ახვლედიანი/ზოიძე/ჭანტურია/ჯორბეგნაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაზი, თბილისი, 1999, 60.

²⁰⁸ Романович, Зашита Чести и Достоинства гражданина(гражданско-правовые средства), Минск Беларусь, 1976, 7.

²⁰⁹ Суховерхий, Личные неимущественные права граждан в советском гражданском праве, Москва, 2001.

მიმართა სასამართლოს გაზეთ „საბჭოთა რუსეთისა“ და კ-ს წინააღმდეგ პატივისა და დირსების დაცვის მიზნით. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ შეილახა მისი პატივი და დირსება, ვინაიდან გაზეთის ფურცლებზე შესარჩევი კომისიის მუშაობის აღწერისას იგი მოხსენიებული იყო როგორც ვინმე A (ჴექტო A). სასამართლომ მოიშველია რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც შემდეგი განმარტება იყო მოცემული: ვინმე - არავინ სხვა, თუ არა (ჴექტო – არ რომელი მივიჩნიოთ მოსარჩელის პატივისა და დირსების ხელყოფად.²¹⁰

სამოქალაქო კოდექსით დაცულ პიროვნულ უფლებათაგან, მხოლოდ დირსება არის აბსოლუტურად შეუზღუდავი უფლება. იგი შეიძლება არა მხოლოდ ცალკეულ პიროვნულ უფლებად, არამედ სხვა უფლებათა საფუძვლად იყოს მიჩნეული. ზოგადი პიროვნული უფლება თავის თავში აერთიანებს თითოეულ უფლებას, რომელიც ადამიანის დირსებიდან და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარეობს.²¹¹ სახელმწიფოს ვალდებულებისა, შექმნას სამართლებრივი სისტემა, რომელიც დაიცავს ადამიანის დირსებას.

პატივისა და დირსების ცნებას იურიდიულ მეცნიერებაში მოცემულ განმარტებებზე გაცილებით ფართო მნიშვნელობა აქვს უოველდლიურ ცხოვრებაში. იგი ცდება პიროვნულობის, კონკრეტული პირისადმი კუთვნილებას. მაგალითად, არსებობს ცნება, როგორიცაა „ოჯახის დირსება“, „გვარის დირსება“. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მხოლოდ კონკრეტულ ინდივიდს, პირს გააჩნია პირადი არაქონებრივი უფლებები. ოჯახისა და გვარის დირსების დაცვის თვალსაზრისით, საინტერესოა დაიაურების საქმე, რომელსაც 2010 წელს, მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში გასულ სიუჟეტსა და გაზეთ „ახალ ვერსიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში დაიაურების რამდენიმე ოჯახს ბრალდებოდა ნათესავი ბავშვების ტრეფიინგი. სატელევიზიო სიუჟეტსა და საგაზეთო მასალაში ასევე, აღნიშნული იყო, რომ მსგავსი შემთხვევები ხშირია მთიან სოფლებში. საქმე სასამართლომ არ მისულა, თუმცა მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. არათუ დაიაურების გვარი, არამედ მთელი სოფელი გამოთქამდა პროტესტს და მიიჩნევდა, რომ სოფლის დირსება იყო შეღასული. შესაბამისად, ადამიანს დირსება და პატივი გააჩნია როგორც ინდივიდს, ოჯახის წევრს, როგორც გვარის წარმომადგენელს. ხელოვნების, მეცნიერებისა და ლიტერატურის ნაწარმოების ავტორს, ამასთან ერთად, გააჩნია პატივი და რეპუტაცია, როგორც შემოქმედს, მისი შექმნილი ნაწარმოებიდან გამომდინარე. ავტორის, როგორც შემოქმედის რეპუტაცია სამოქალაქო კოდექსთან ერთად, დაცულია საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით, ასევე დაცულია პირადი საიდუმლოება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. სოციოლოგიურ და

²¹⁰ მალინა, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 119.

²¹¹ შეად. კუბლა შვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, 93.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული განმარტების თანახმად, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ინფორმაცია, რომელიც არ შეეხება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებას და გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის, ან მისი ვინმესთვის განდობა საერთოდ არ შეადგენს პირის ინტერესს.²¹² პირადი ცხოვრების უფლება უზრუნველყოფს ადამიანის კერძო სფეროს დაცვას, მასში სხვა პირების ჩარევისაგან. შეუძლებელია, პირადი ცხოვრების კონცეფციის ამომწურავად განსაზღვრა. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არასოდეს განუსაზღვრავს ამომწურავად პირადი ცხოვრების კონცეფცია. საქმეზე კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. the United Kingdom) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავად განსაზღვრას. პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პირის უფლებას, დაამყაროს და ჰქონდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მესამე მხარის, მათ შორის სახელმწიფოს, ჩარევის გარეშე.²¹³ საქმეზე ნიმიცი გერმანიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო: სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა ძალზე შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრიო“, რომელშიც ინდივიდი შეიძლება, მის მიერ არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას“.²¹⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, ასევე დაცულია პირადი ხელშეუხებლობის უფლება. სამოქალაქო კოდექსში არ არის მოცემული პირადი ხელშეუხებლობის ცნების განმარტება, ხოლო რაც შეეხება პირად ხელშეუხებლობას, ეს ცნება სამოქალაქო კოდექსში არ არის განმარტებული და, განსხვავებით პირადი ცხოვრების საიდუმლოებიდან არც ტერმინიდან იკვეთება ნათლად უფლების არსი. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამოსავალ პრინციპად შეიძლება მიჩნეულ იქნას საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი, რომელიც ადამიანის პირად ხელშეუხებლობაში გულისხმობს, როგორც თავისუფლების ხელშეუვალობას, ასევე თავისუფლების აღკვეთის და მისი სხვაგვარად შეზღუდვის დაუშვებლობას. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში მოცემული პირადი ხელშეუხებლობა მოიცავს

²¹² ახვლედიანი/ზოიძე/ჭავაძე/ჯორგენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაზი, თბილისი, 1999, 64.

²¹³ CASE OF COSTELLO-ROBERTS v. THE UNITED KINGDOM, (Application no. 13134/87) 25 March 1993 იხ. <[http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57804#{"itemid": "001-57804"}>](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57804#{) {16.01.2014}.

²¹⁴ კორელია, სტატიები პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 7, № 1, 2004, 7.

კონსტიტუციის ნორმით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვის დაუშვებლობას.²¹⁵

საჭიროა უფრო ნათლად განისაზღვროს, თუ რას მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული პირადი ხელშეუხებლობის უფლება - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, თუ თავისუფლების ხელშეუვალობას? სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პირის უფლებებს, დაკავშირებულს მის ინდივიდუალიზმთან და პიროვნულ ავტონომიურობაში ჩაურევლობასთან და არა ფიზიკურ ხელშეუხებლობასთან. ადნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სამოქალაქო კოდექსში ტერმინი პირადი ხელშეუხებლობის ნაცვლად შეიცვალოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობით, რაც თავის თავში მოიცავს პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, ინდივიდის ცხოვრების წარმართვის ავტონომიური სფეროს აღიარებას.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკანონდებლო დაცვაში დიდი როლი ითამაშა ამერიკელი მეცნიერების იურისტების უორენისა და ბრანდეისის მიერ 1890 წელს გამოქვეყნებულმა სტატიამ ”პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა”, რომლის თანახმადაც უფლება პირად ცხოვრებაზე (privacy) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პიროვნულ უფლებად უნდა ყოფილიყო მიწნეული.²¹⁶ სასამართლო პრაქტიკის განვითარებასთან ერთად ფართოვდებოდა პირადი ცხოვრების უფლების ცნებაც. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ”პირადი ცხოვრება” უილიამპროსერი ადნიშნავდა: მართალია, პირადი ცხოვრების უფლება წარმოადგენს უფლებას ინდივიდუალიზმის, პერსონალურობის დაურღვევლობის შესახებ, თუმცა იკვეთება უფლების ქონებრივი ატრიბუტებიც.²¹⁷ პირადი ცხოვრების საიდუმლოება ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალური აქტითაა დაცული, რასაც ნაშრომის მომდევნო თავში შევეხებით.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაცულია პირის კიდევ ერთი პირადი არაქონებრივი უფლება - პირის უფლება საკუთარი გამოსახულების გამოქვეყნებაზე. გამოსახულების გამოქვეყნებისას პირის თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ არის საჭირო, თუკი ფოტოგადაღება, (ვიდეოგადაღება და ა.შ) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასაწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისთვის მიიღო საზღაური. გამოსახულების ქვეშ იგულისხმება ინდივიდის გამოსახულება ფოტოზე, კონფიდენციალური, ვიდეოფილმში, ანუ სადაც შესაძლებელია მისი გარეგნული იქრით შეცნობა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის

²¹⁵ ჩიკაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, 136.

²¹⁶ Warren/Brandies, The right to privacy, Harvard Law review, vol. IV, December 15, 1890. No.5. ხელმისაწვდომია:

<http://groups.csail.mit.edu/mac/classes/6.805/articles/privacy_brand_warr2.html> {16.01.2014}.

²¹⁷ Prosser, Privacy (1960) 48 CalifLrev383, 401 იხ. Beverley-Smith, / Ohly/ Lucas-Schloetter, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005,52.

მიხედვით, დაცულია პირის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე იმ შემთხვევაშიც, თუკი გამოსახულება გამოხატულია ხელოვნების ნაწარმოებში, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მხატვრის მიერ შექმნილი ნახატი, კარიკატურა, შარუ, კომპიუტერული გრაფიკით შექმნილი გამოსახულება. მაგ. 1931 წელს განხილულ საქმეზე ტოლი შპს ჯ.ს. ფლაი და სონსის წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა გოლფის მოთამაშის კარიკატურის გამოყენებას შოკოლადის მწარმოებელი ფირმის მიერ, ინგლისის სასამართლომ მიიჩნია, რომ პირის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე კარიკატურის შემთხვევაშიც უნდა იყოს დაცული თუკი შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება.²¹⁸

სამოქალაქო კოდექსით არ არის დარეგულირებული, შესაძლებელია თუ არა, პირმა გამოიხმოს თანხმობა საკუთარი გამოსახულების გამოქვეყნებაზე. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ერთი მოსაზრების თანახმად, საკუთარი გამოსახულების გამოყენებაზე თანხმობა არ შეიძლება იყოს გამოხმობილი ან ანულირებული.²¹⁹ მეორე პოზიციის თანახმად, თვალ უფლების არსიდან გამომდინარე, თანხმობა ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება იყოს უკან გამოთხოვილი.²²⁰ შესაძლებელია პარალელის გავლება გამოსახულების გამოქვეყნებაზე ნებართვის გამოხმობასა და ავტორის არაქონებრივ უფლებას - ნაწარმოების გამოხმობის უფლებას შორის. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ავტორის პირად არაქონებრივ უფლებას მიეკუთვნება ნაწარმოების გამოხმობის უფლება: ავტორს აქვთ უფლება ნებისმიერ დროს, სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარჯებით ამოიდოს გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, ადრე დამზადებული ნაწარმოების ასლები. საკუთარი გამოსახულების თანხმობის გამოთხოვის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არ არის განმტკიცებული. შესაბამისად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საავტორო სამართლით დაცულ ნაწარმოებზე პირადი არაქონებრივი უფლებები, რიგ შემთხვევებში, უფრო მაღალი სტანდარტითაა დაცული ვიდრე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული, პირადი არაქონებრივი უფლებები.

საკუთარ გამოსახულებაზე პირის უფლების ობიექტია ინდივიდის თავისუფლება და არა მხატვრული ტილო ან ფოტოსურათი თუ კინოდენტი, როგორც ფიზიკური საგანი.²²¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, პირს უფლება საკუთარი ხმის გამოყენებაზეც უნდა გააჩნდეს და არა მხოლოდ გარებნული იერით შეცნობის საშუალებებზე. ხშირ შემთხვევაში, პირის პროფესიონალ გამომდინარე, ხმა უფრო მეტი დირექტულების მატარებელიც კი არის ვიდრე პიროვნების გამოსახულება და იგი მეტად გამოხატავს

²¹⁸ Tolley v. J.S. Fry & Sons Ltd. (1931) A.C.333(H.L.) ხელმისაწვდომია:

<<http://caselawyer.blogspot.com/2013/06/tolley-v-js-fry-sons-ltd-1931-ac-333.html>> {16.01.2014}:

²¹⁹ Суховерхий, Личные неимущественные права граждан в советском гражданском праве, Москва, 2001, 13.

²²⁰ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 130.

²²¹ ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი 1997, 67.

პიროვნულობას. მაგ. მულტიპლიკაციურ ფილმში ”აბა დამაცადე” მთავარ გმირს, მგელს ახმოვანებდა მსახიობი ანატოლი პაპანოვი. მსახიობის გარდაცვალების შემდეგ, მისი ხმა სინთეზატორით დაამუშავეს კომპიუტერში და ამგვარად გამოიყენეს მულტფილმის შემდეგ სერიებში. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილის ხათესავები იღებდნენ პონორარას ამგვარი გამოყენებისათვის.²²² საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მომიჯნავე უფლებებით დაცულია შესრულება, ანუ დაცულია შემსრულებლის უფლება არა მის ხმაზე, არამედ მის ”შემოქმედებით პროდუქტზე“. ამგვარად, სამართლებრივი რეგულირების გარეშე რჩება ადამიანის უფლება საკუთარ ხმაზე, თუკი მისი ხმა არ გამოხატავს მხატვრულსა და მუსიკალურ შესრულებას.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო სასამართლო წესით ადამიანის უფლების დაცვა მისი ხმის უნებართვო გამოყენებაზე. 1905 საფრანგეთის სასამართლომ საქმეზე, ბრილიატ სავარინი ამიეს წინააღმდეგ დაადგინა, რომ ადამიანს სახელსა და მსგავსებასთან ერთად, შეუძლია დაიცვას საკუთარი ხმაც დაიცვას უნებართვო გამოყენებისაგან.²²³ 1989 წელს, ჰამბურგის საპელაციო სასამართლომ საქმეზე, რომელიც ეხებოდა ცნობილი კომიკოსის პეინს ერარდის გარდაცვალების შემდეგ, მისიხმის გამოყენებას სარეკლამო რგოლში, დაადგინა, რომ ხმის უნებართვო გამოყენება სხვა პირის სახელისა და პორტრეტის უნებართვო გამოყენების ანალოგიურად უნდა იკრძალებოდეს როგორც პიროვნული უფლების ხელყოფა.²²⁴

მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმდებლობაშიც იყოს გაიზიარებული ევროპული სამართლის გამოცდილება და, სამოქალაქო კოდექსით გამოსახულებაზე უფლებასთან ერთად, დაცული იყოს პირის უფლება საკუთარ ხმაზეც. პირის ხმაც და გამოსახულებაც მისი პიროვნულობის, პირადი ცხოვრების, ინდივიდუალიზმის შემადგენელი ნაწილია და კანონით უნდა იყოს დაცული, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება.

3.12. პიროვნულ უფლებათა რეგულირების განსხვავებული ფარგლები და საკანონმდებლო გარანტიები

კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლის ქვეყნების საავტორო სამართალი განსხვავებულად არეგულირებს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს, რის შესახებაც ნაშრომის წინა თავში გვქონდა საუბარი. ასევე განსხვავებულად რეგულირდება სხვადასხვა სამართლებრივ ოჯახებს მიკუთვნებულ ქვეყნებში პიროვნული უფლებებიც. განსხვავებულია ამ უფლებათა რეგულირების ფარგლები და საკანონმდებლო გარანტიები.

²²² Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 131.

²²³ Trib. Com. De la Seine, December 20, 1905, 5, 1907, 2.113.

²²⁴ Beverley-Smith/ Ohly/ Lucas-Schloetter, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 119.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, პირად არაქონებრივ უფლებათა დაცვა კონსტიტუციით არის გარანტირებული.²²⁵ საქართველოს კანონმდებლობაც იზიარებს ამ მიღმომას და პერსონალურ უფლებათა დაცვას საქართველოს კონსტიტუციით განამტკიცებს.²²⁶ საერთო სამართლის ქვეყნებში, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის გამოიყენება სპეციალური აქტები, მაგ., გაერთიანებული სამეფოს 1996 წლის აქტი დიფამაციის შესახებ.²²⁷ ამერიკის შეერთებული შტატების 1974 წლის ფედერალური აქტი პირადი ცხოვრების შესახებ.²²⁸

პიროვნული უფლებების სამართლებრივი დაცვის ორი გზა არსებობს: ზოგადი პიროვნული უფლების აღიარება და ცალკეული პიროვნული უფლებების მოწესრიგება. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს ზოგად პიროვნულ უფლებას. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი უშუალოდ ცალკეულ პიროვნულ უფლებებს არეგულირებს.²²⁹ ცალკეულ პიროვნულ უფლებათა რეგულირების ნებატიური მხარე შემდეგში მდგომარეობს: კანონმდებლობაში შეუძლებელია ამომწურავად განისაზღვროს ის უფლებები, რომელიც ადამიანის პიროვნულობის საფუძველს წარმოადგენს და მისი ღირსების დაცვიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, შესაძლოა, კერძო სამართლით დაცულ უფლებებს შორის, არ აღმოჩნდეს უფლება ადამიანის ხმაზე (ამ ხარვეზით სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ხასიათდება), პიროვნების თავისუფალი განვითარების ან სხვა მნიშვნელოვანი უფლებები.

ზოგადი პიროვნული უფლების დაცვა დამახასიათებელის, როგორც საერთო სამართლის, ასევე კონტინენტური ეკროპის სამართლის ქვეყნებისათვის. ამერიკულ სამართალში დამკვიდრებული პირადი ცხოვრების სამართალი (Law of privacy) ამის საუკეთესო მაგალითია.²³⁰ შეეიცარის სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს პიროვნულობის დაცვას მასში უნებართვო შექრისაგან. ავსტრიული სამართალიც აღიარებს ზოგად პიროვნულ უფლებას. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლს სასამართლო იყენებს ან ანალოგით, შესაბამის საკანონმდებლო მოწესრიგებასთან ურთიერთკავშირში, ან

²²⁵ მაგ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მირითადი კანონით დაცულია ადამიანის ღირსება (მუხლი 1) პირადი ხელშეუხებლობა (მუხლი 2) და პირადი ცხოვრების მიმოწერის საიდუმლოება (მუხლი 10). იხ. გონაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი 2006, 64-67; ესპანეთის სამეფო კონსტიტუციის მიხედვით დაცულია პირის ღირსება (მუხლი 10), პირადი და ოჯახური საიდუმლოება (მუხლი 18). იხ. გონაშვილი საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი 2006 165, 168.

²²⁶ საქართველოს კონსტიტუცია. მუხლები: მე-17, მე-20, იხ.

<https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&lang=ge> {16.01.2014}.

²²⁷ UK, Defamation Act 1996. იხ. <<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/31/contents>> {16.01.2014}.

²²⁸ USA, The Privacy Act of 1974, იხ. <<http://www.justice.gov/opcl/privstat.htm>> {16.01.2014}.

²²⁹ კერძებლივ, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 136.

²³⁰ Warren/Brandies, The right to privacy, Harvard Law review, vol. IV, December 15, 1890. No.5.

ხელმისაწვდომია:

<http://groups.csail.mit.edu/mac/classes/6.805/articles/privacy/Privacy_brand_warr2.html> {16.01.2014}.

შესაბამისი სპეციალური ნორმის არასებობისას, როგორც უშუალოდ მომწერიაგებელ ნორმას.²³¹

გერმანიაში პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ეფუძნება სუბიექტური უფლებების კონცეფციას, რომელიც საფუძველს იღებს ემანუელ კანტისა და სავინის ფილოსოფიიდან.²³² გერმანიის ძირითადი კანონით აღიარებულია ადამიანის პიროვნული უფლებების დაცვა.²³³ ამასთანავე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იცავს პირის სახელს, როგორც პირად არაქონებრივ უფლებას.²³⁴ 1950 წლიდან გერმანიის სასამართლოში ჩნდება საქმეები, რომლის მიხედვითაც დაცულია უნებართვო გამოყენებისაგან ადამიანის პორტრეტი, სახელი თუ საჯარო იმიჯი.²³⁵

პიროვნელი უფლებები, ავტორის მორალური უფლებების მსგავსად, მკაცრადაა დაცული ფრანგულ სამართალშიც. ფრანგული სამართალი იცავს ცალკეულ პიროვნელ უფლებებს. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნელი უფლებებია: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომელიც ფრანგულ სამართალში ცნობილია, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემა (droit au respect de la vie privée), ასევე უფლება სახელზე და გამოსახულებაზე. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ყველას აქვს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის თანახმად, პირს აქვს ზიანის შემთხვევაში კომპენსაციის მიღების მოთხოვნა.²³⁶

პირადი არაქონებრივი უფლებების გერმანულსა და ფრანგულ სამართალში დამკვიდრებული განსხვავებული რეგულირება აისახება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებზეც. ოუკი გერმანიის საავტორო სამართალმა პერსონალური უფლებები დატვირთა ეკონომიკური ინტერესებითაც, საფრანგეთის სასამართლოებმა ჩამოაყალიბეს მკაცრად პიროვნული და განსაკუთრებული, ეკონომიკური უფლებები.²³⁷ პირადი არაქონებრივი უფლებები საფრანგეთში მორალური უფლებების სახელითაა ცნობილი. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საავტორო სამართლით დაცული მორალური უფლებები გაცილებით ფართოა თავისი მასშტაბებით, ვიდრე საერთო სამართლით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ვინაიდან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მხოლოდ ერთ-ერთი უფლებაა, რომელიც მორალური უფლებების ქოლგის ქვეშ ერთიანდება ისეთ უფლებებთან ერთად, როგორიცაა: უფლება

კერძოდ, პრიმი სამართლის უზოგვენი ხელშემუშავები, თბილისი 2009, 139.

²³² Rule, Buffalo Intellectual Property law Journal, University at Buffalo School of law, 2006, 84.

233 օկ. Ելություն 225.

²³⁴ გერმანიის სამოქადაგო კოდექსი. იხ. <http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p0043> {16.01.2014}

²³⁵ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 100.

²³⁶ Կայունացագործ կամովառական քուղավիր, ուժ.

<http://www.napoleonsseries.org/research/government/c_code.html> {16.01.2014}.

²³⁷ Beverley-Smith/ Ohly/ Lucas-Schloetter, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005.11.

იდენტურობაზე, მსგავიხაზე, პროფესილურ ცხოვრებაზე, ცოლ-ქმრულ ცხოვრებაზე, მოგზაურობაზე, პობზე, ჯანმრთელობაზე და აშ.²³⁸

პირადი არაქონებრივი უფლებები ფრანგული სამართლის მიხედვით, განუყოფელი უფლებებია და მათი დაცვის ინტერესი პირად სფეროს მიეკუთვნება. მორალური უფლებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი ან სხვა პირის ინტერესების დასაცავად, ვინაიდან მხოლოდ თავად პიროვნებას აქვს ამ უფლებების დაცვის დირსი ინტერესი. იგი იმდენად განუყოფელია თავად პიროვნებისაგან, რომ არ შეიძლება მათი გადაცემა და ბოლომდე ვერასოდეს იქნება დათმობილი.²³⁹

საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორც უკკე აღვნიშნეთ, პირად არაქონებრივ უფლებათა დასაცავად სპეციალური აქტებია მიღებული. სწორედ ამ აქტებით ხდება ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაც. საავტორო სამართლით ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებზე არის აღიარებული, სხვა ნაწარმოებთა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები საერთო სამართლით რეგულირდება.²⁴⁰

საერთო სამართლის ქვეყნებში, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით აღსანიშნავია აქტები დიფამაციისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ. დიფამაცია იმ სამართლდარღვევას ეწოდება, რომელიც პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას შელახავს. ტერმინი ლათინური *¶a r m o ¶m o d i s a a - diffarmatio*, მისგან ¶არმოდგება ინგლისური *defame*, რაც ნიშნავს შეცხვენას, სახელის გატეხვას.²⁴¹ საერთო სამართლის ქვეყნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გაერთიანებული სამეფოს 1996 წლის კანონი დიფამაციის შესახებ.²⁴² ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსტიტუციის პირველი შესწორებით რეგულირდება დიფამაცია და ასევე ყველა შტატს აქვს დიფამაციის აქტი.²⁴³

საერთო სამართლის ქვეყნებში - დიფამაცია იყოფა ორ ნაწილად: *libel da Slander*. *Libel* ეწოდება ცილისწამებას გამოხატულს მატერიალიზებულ ფორმაში: მაგ. წერილობით ან ფირზე აღბეჭდილი. ხოლო შლანდერ ეწოდება სიტყვიერ ცილისწამებას, გამოხატულს არამატერიალიზებულ ფორმაში. იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ წერილობით ცილისწამებას პირისათვის მეტი ზიანი მიაყენება შეუძლია, სიტყვიერი ცილისწამების მტკიცების დროს უფრო მაღალი სტანდარტი მოითხოვება.²⁴⁴

²³⁸ *Lindon*, La creation pretorienne en matière de droits de la personnalité: Et son incidence sur la notion de famille (Manuel Dalloz de droit usuel), Dallooz, 1974, 46- 61.

²³⁹ *Beverley-Smith/ Ohly/ Lucas-Schloetter*, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005,191.

²⁴⁰ აშშ-ში სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებები რეგულირებილია აქტით „სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორთა უფლებების შესახებ“, იხ. <<http://www.law.cornell.edu/uscode/text/17/106A>> {16.01.2014}.

²⁴¹ გვარჯალაძე/გვარჯალაძე, ინგლისურ-ქართული დექსიკონი, 1997, 130.

²⁴² UK, Defamation Act 1996.იხ.<<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/31/contents>> {16.01.2014}

²⁴³ *Labunski*, Libel and the first Amendment, New Jersey, 2009, 33

²⁴⁴ *Armstrong/ Blakeney/ Watterson*, Media law in Australia, Second edition, Oxford University press, New York, 1988, 28.

საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობიდან, ასევე, აღსანიშნავია სპეციალური აქტები, რომლებიც იცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.²⁴⁵ ე.წ. „პრაივაციის“ სამართლებრივი ცნება ამერიკული სამართლის პირმშობ. Privacy-ს დაცვის საგანია განმარტოების უფლება ანუ right to be alone.²⁴⁶ ანგლო-ამერიკულ სამართლში პირადი ცხოვრების უფლებას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი და მისი დაცვა საკმაოდ მაღალ საფეხურზეა აყვანილი, რაც მრავალრიცხოვანი სასამართლო პრაქტიკიდანაც ვლინება.²⁴⁷

პირველი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც „პრაივაცის“ შექმნებოდა, 1881 წელს იქნა მიღებული მიჩიგანის უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე დე მეი რობერტსის წინააღმდეგ. სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება მოსარჩელისათვის, რომელიც მის მშობიარობას თანხმობის გარეშე აკვირდებოდა. სასამართლოს ერთსულოვანი აზრის წარმოდგენისას მოსამართლე მარსტონმა განაცხადა: მოსარჩელეს კანონიერი უფლება აქვს, საკუთარ სახლში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა მოითხოვოს. მესამე პირებს კი კანონი ავალდებულებს ამ უფლების დაცვას და მისი დარღვევისაგან თავის შეკავებას.²⁴⁸ ერთი წლის შემდეგ, მოსამართლე ტომას ქულიმ ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ უფლება „დარჩე მარტო“ წარმოადგენს სამოქალაქო დელიქტის ნაწილს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში უდიდესი როლი ითამაშა 1873 წელს გამოქვეყნებულმა სერ ჯეიმსის და ფიცჯეიმს სტეფანის ფილოსოფიურმა ნაშრომმა პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელობაზე.²⁴⁹

პირადი ცხოვრების უფლების მეცნიერულ განალიზებასა და საკანონმდებლო სფეროში გარდატეხა მოახდინა 1890 წელს, პარვარდის იურისტების, სამუელ უორენისა და ლუის ბრანდეისის სტატიამ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“. სტატიის ავტორები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის აქტუალობას მედია საშუალებათა განვითარებას მიაწერდნენ, ვინაიდან მედია საშუალებებისა და ფოტო ხელოვნების გამოყენებით ინგენიურად ხდება უკანონო შეჭრა ადამიანთა პირად ცხოვრებაში და მათი პირადი ინფორმაციის გამოქვეყნება. ავტორები აღნიშნავდნენ, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ადამიანის მარტო დარჩენის უფლებაა, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დირსება და დაისაჯოს ისინი, ვინც უთანხმოებაში მოვლენ პირის განუყოფელ უფლებასთან, დატქბეს ცხოვრებით. სტატიის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ სიცოცხლის უფლებების მასშტაბიც გაიზარდა და სიცოცხლის უფლება გულისხმობს – სიცოცხლის დირსეულად გატარების, მათ შორის მარტო დარჩენის უფლებას. შესაბამისად, დაცული უნდა იყოს პიროვნება არასასურველი

²⁴⁵ მაგ. USA, The Privacy Act of 1974, იბ. <<http://www.justice.gov/opcl/privstat.htm>> {16.01.2014}.

²⁴⁶ Stephen, Liberty, Equality, Fraternity, Cambridge, 1873, 39.

²⁴⁷ ჭანმურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, 200.

²⁴⁸ (De May v. Roberts, 9 N.W. 146 (Mich 1881) იბ.

<<https://www.quimbee.com/cases/de-may-v-roberts>> {16.01.2014}.

²⁴⁹ Stephen, Liberty, Equality, Fraternity, Cambridge, 1873, 40.

საჯარობისაგან.²⁵⁰ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ადამიანის ბუნებით უფლებადაც განიხილავენ, ვინაიდან, ინდივიდის უფლება, თავად გადაწყვიტოს, თუ რამდენად ეცოდინება საზოგადოებას მისი პირადი ცხოვრების შესახებ, ბუნებითი უფლებაა.²⁵¹

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც სამოქალაქო სამართლით დაცული პიროვნული უფლებები, ასევე ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები სხვა დატვირთვას იძენს, ვიდრე მხოლოდ პიროვნული ინტერესების დაცვაა. აღნიშნული უფლებები ეკონომიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლადაც გამოიყენება, რასაც ნაშრომის მომდევნო თავში განვიხილავთ.

3.1.3. პირადი არაქონებრივი უფლებების კომერციული დირებულება

სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებები და ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები არამატერიალური, არაქონებრივი სასიათისაა. შესაბამისად, არ შეიძლება ზუსტად განისაზღვროს მათი ეკომერიკური ღირებულება. აღნიშნული უფლებები არ შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის და ხელშეკრულების საგანი. პირად არაქონებრივ უფლებათა რეალიზაციის შედეგად, პირი ვერ მიიღებს მატერიალურ სარგებელს. მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთ შემთხვევაში, პირადი არაქონებრივი უფლებები მფლობელისათვის გარკვეული მატერიალური სარგებლის მომტანია. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფლებები ხელშეკრულების დადების წინაპირობა და შემადგენელი ნაწილი ხდება. მაგ. ფრენშაიზინგის ხელშეკრულებისას მყიდველი ოუცილებლად ითვალისწინებს კომპანიის საქმიან რეპუტაციას. შედეგად, საქმიანი რეპუტაცია ფრენშაიზის გამცემისთვის ერთგვარი მატერიალური სარგებლის მომტანია. ანალოგიური შეიძლება ითქვას ავტორის სახელზეც. ავტორის ბაზარზე დამკვიდრებული სახელი და რეპუტაცია, ხშირ შემთხვევაში, მისი ნაშრომის გავრცელების და შესაბამისად, ავტორისათვის მატერიალური სარგებლის მიღების წინაპირობაა. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია, პერსონალურობის გარკვეული ატრიბუტები საბაზო დირებულების მქონე გახდეს.²⁵²

სარეკლამო ბიზნესში პირმა შესაძლებელია ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს მატერიალური სარგებელი საკუთარი ხმის, იმიჯის გამოყენებით, მედია საშუალებისათვის ფოტოს ან საკუთარი პირადი ცხოვრების დეტალების ამსახველი ინფორმაციის მიყიდვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში სვამენ კითხვას - პერსონალურ უფლებებათაგან, სულ მცირე რამდენიმე უფლება ხომ არ გახდა ქონებრივი შინაარსის მატარებელი? პირადი არაქონებრივი უფლებები მიეკუთვნება

²⁵⁰ Reed, The FCC'S Indecent Proposal: Copyright Implications of the Proposed "Record and Retention" Rule, Buffalo Intellectual Property law Journal, University at Buffalo School of law, 2006,6.

²⁵¹ Godkin, The Rights of Citizen to his Own Reputation, Scribner's Magazine IV, 1890, 56-60.

²⁵² Beverley-Smith/ Ohly/ Lucas, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 154.

უფლებებს, რომელთა დარღვევაც უნდა აეკრძალოს მესამე პირებს, თუ ასევე გულისხმობს პირის უპირატესობას საკუთარი პიროვნულობის კომერციულ ექსპლუატაციაზე²⁵³ ხშირ შემთხვევაში, პირის პიროვნული უფლებების დარღვევით უფლების დამრღვევი ქონებრივ სარგებელს ნახულობს, მაგ. პლაგიატის შემთხვევაში, ნაწარმოების გამოცემისას ან ცნობილი პირის ფოტოსურათის უნებართვო დაბეჭდვისას. კომერციული მიზნებისათვის ფოტოსურათის უნებართვო გამოყენება, ფოტოზე აღბეჭდილ პირს აიძულებს, საკუთარი ნების გარეშე ემსახუროს სხვის ეკონომიკურ საჭიროებებს. ადამიანი ხდება სხვისი კომერციის ნაწილი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ.²⁵⁴

უკანასკნელი პერიოდის ევროპულ სასამართლო გადაწყვეტილებებში გაჩნდა პიროვნული ეკონომიკური ინტერესებით უფლებების ხაზგასმა დატვირთვაზე. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ, 2000 წელს განიხილა საქმე, რომელიც შეეხებოდა მარლენ დიტრიხის, მისი სახელისა და გამოსახულების უნებართვო გამოყენებას. მარლენ დიტრიხის ქალიშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და ერთ-ერთი პროდუსერისაგან მოითხოვა მარლენ დიტრიხის სახელის უნებართვო გამოყენების შეწყვეტა. პროდუსერი ავრცელებდა სხვადასხვა სახის პროდუქციას მარლენ დიტრიხის სახელისა და გამოსახულების გამოყენებით, ასევე ერთ-ერთ საწარმოს მისცა უფლება, ავტომობილის სახელწოდებად გამოეყენებინათ „მარლენი“. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ შეიძლახა პიროვნული უფლების ორივე ასპექტი, როგორც იდეალური, ასევე ეკონომიკური. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ადამიანის სახელსა და პიროვნულობის ასპექტებს გააჩნიათ ეკონომიკური დირექტულება, რაც ცალკეულ პიროვნებათა მიღწევების შედეგია. ამ შედეგების უნებართვო გამოყენება კი ლახავს პირის როგორც იდეალურ, ასევე მატერიალურ ინტერესებს. პიროვნული უფლებები აბსოლუტური ხასიათისაა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სხვა პირს ნება დართოს, ან აუკრძალოს მისი პიროვნულობის განმსაზღვრელი ატრიბუტების კომერციული გამოყენება. სასამართლო გადაწყვეტილებაში ასევე აღინიშნა, რომ პერსონალური უფლებების ეკონომიკური ასპექტები აგრძელებენ სიცოცხლეს პირის გარდაცვალების შემდეგაც. მექანიზრებებს მიეცათ უფლება, დაეცვათ მარლენის სახელი და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები უნებართვო კომერციული გამოყენებისაგან და გაეცათ ლიცენზია ამგვარ გამოყენებაზე.²⁵⁵ აღნიშნულ გადაწყვეტილებას იურისტების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. იურისტთა ერთი ნაწილი მიესალმებოდა პერსონალურობის უფლების ამგვარ თანმიმდევრულ განვითარებას.²⁵⁶ მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ სასამართლოს არ უნდა

²⁵³ Beverley-Smith/ Ohly/ Lucas, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 154.

²⁵⁴ Bloustein, Privacy as an Aspect of Human Dignity: An Answer to Dean Prosser, New York, 1964,988.

²⁵⁵ Beverley-Smith/ Ohly/ Lucas, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005,105.

²⁵⁶ Götting, Die Vererblichkeit der vermögenswerten Bestandteile des Persönlichkeitsrechts- ein Meilenstein in der Rechtsprechung des BGB, NJW, 2001, 221.

დაეშვა პიროვნული უფლების დეგრადირება, მათი გადაქცევა გასაყიდ საქონლად.²⁵⁷

ეკონომიკური ინტერესებით პირადი არაქონებრივი უფლებების დატვირთვაზე გერმანიის საავტორო სამართალშიც არის ხაზგასმა. იურიდიულ ლიტერატურაში ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს განიხილავენ უფლებათა ნაზავად, რომელიც თანაბრად იცავს ორივეს-ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ინტერესებს.²⁵⁸ საავტორო სამართალით დაცული ინტელექტუალური შემოქმედებიდან წარმოშობილ უფლებები, რომელიც შეიცავს პიროვნულობის ელემეტებს და, ამავე დროს, ქონებრივი შინაარსის მაგარებელია, საუკეთესო მოდელია იმისა, თუ ერთმა უფლებამ როგორ შეიძლება ერთდროულად დაიცვას როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური ინტერესები.²⁵⁹

საერთო სამართლის ქავენებში სწორედ პიროვნულობის ასპექტების კომერციული დატვირთვის შედეგად აღმოცენდა უფლება საჯაროობაზე (right of publicity).

უფლება საჯაროობაზე იცავს უწებართვო კომერციული გამოყენებისაგან ინდივიდის სახელს, მსგავსებას და სხვა პიროვნულ, ამოსაცნობ ასპექტებს. უფლება საჯაროობაზე ეკონომიკური უფლებაა, რომელიც პირს აძლევს ექსკლუზიურ უფლებას, გამოიყენოს მისი პიროვნულობის განმსაზღვრელი ნიშნები და გადასცეს მათი გამოყენების უფლება მესამე პირს, ლიცენზიის მეშვეობით.²⁶⁰ ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადამიანის უფლება მისი იდენტიფიკაციის საშუალებათა უნებართვო გამოყენებაზე არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას (right of privacy) არამედ უფლებას საჯაროობაზე (right of publicity) მიეკუთვნება.²⁶¹ უფლება საჯაროობაზე ამერიკული სამართლის პირმშოა. იგი არ არის დაცული ფედერალური კანონით, რეგულირებულია ცალკეული შტატების სამართლებრივი აქტებით. უფლება საჯაროობაზე დაცულია, ძირითადად, იმ შტატებში, სადაც გასართობი ინდუსტრია განვითარებული, მაგ. ნიუ-იორკი, კალიფორნია, ტენისი. ზოგიერთ შტატში მისი დაცვა ხდება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმავეთი ხორმებით, მაგ. ნიუ ჯერსი, პენსილვანია.²⁶²

საჯაროობის უფლების აღწერისას, იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენებულია ტერმინი "marketable reputation", რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც საბაზრო რეპუტაცია და მოიცავს პირის იდენტურობის განმსაზღვრელ საშუალებებს, რომელთაც ეკონომიკური ღირებულება

²⁵⁷ Ob. Schach, case-note, IZ 2000, 1060; Peifer, 'Eigenheit oder Eigentum-Was Schützt das Persönlichkeitsrecht?' GRUR 2002, 495.

²⁵⁸ Lipszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 35.

²⁵⁹ Beverley-Smith/ Ohly/ Lucas, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 159.

²⁶⁰ Beverley-Smith/ Ohly/ Lucas, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 65.

²⁶¹ Reed, The FCC'S Indecent Proposal: Copyright Implications of the Proposed "Record and Retention" Rule, Buffalo Intellectual Property law Journal, University at Buffalo School of law, 2006, 6.

²⁶² Bouchoux, Intellectual property, The Law of Trademark, Copyright, Patent and Trade secrets, third edition, USA, 2009, 468-472.

გააჩნიათ. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საერთო სამართლის ქვეყნების იურისტების თვალთახედვიდან შეიძლება გასაკვირიც იყოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნორმების იგნორირება პიროვნული უფლებების დაცვისას, მაშინ, როდესაც არაკეთილსინდიერი კონკურენციის აღმკვეთი ნორმებით ხდება კონკურენტების, მომხმარებელთა უფლებების, მაგრამ არა ცნობილი პირების სახელისა და იმიჯის დაცვა.²⁶³

საჯაროობაზე უფლებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ნიუ-იორკის სამხრეთ რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება მუპამედ ალის საქმესთან დაკავშირებით: ორგანიზაცია ფლეიბერლმა გამოსცა ბუკლეტები აფრო ამერიკელი მოკრივის კარიკატურებით. მოკრივე რინგის კუთხეში იჯდა სკამზე. კარიკატურას ჰქონდა წარწერა - საოცარი კაცი, საუკეთესო. მიუხედავად იმისა, რომ მითითებული არ იყო მოკრივის სახელი და გვარი, კარიკატურაზე იოლი ამოსაცნობი იყო მუპამედ ალი. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ დაწვის ძვლები, ფართო ცხვირი, ღრმად ჩამჯდარი ყავისფერი თვალები დამახასიათებელ დიმილთან და მოკლედ შეჭრილ შავ თმასთან ერთად, შესაძლებელს ხდის ამოვიცნოთ ნახატში ალი, ჩვენი დროის უდიდესი სპორტსმენი. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და საერთო სამართლით დადგენილ საჯაროობაზე უფლების დარღვევის შესახებ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო მიუთითებს უსაფუძვლო გამდიდრებაზეც და აღნიშნავს, რომ ზიანი მიადგა ალის “საბაზრო რეპუტაციას”, ვინაიდან სახეზეა უსაფუძვლო გამდიდრება ალის პრესტიჟის ქურდობით. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სიტყვა პრესტიჟის გამოსახატად იყენებს ტერმინს good will, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია როგორ ფირმის საქმიანი რეპუტაცია.²⁶⁴

1954 წელს პროფესორმა მელვინ ნიმერმა დაწერა სტატია უფლება საჯაროობაზე, რომელშიც განიხილავდა საჯაროობის უფლების ჩამოყალიბებასა და მის არსე. სტატიაში ავტორი ერთმანეთისაგან განსხვავებდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და უფლებას საჯაროობაზე. აღნიშნავდა, რომ თანამედროვე სამყაროსთვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არ აღმოჩნდა საკმარისი პირის იდენტურობის კომერციული ღირებულების დაცვისათვის. სტატიის ავტორი საჯაროობის უფლებასა და ინტელექტურ სამართლებრივ უფლებებს შორის ავლებდა პარალელს და აღნიშნავდა: ადამიანის გამოსახულება, ხმა ე.წ საჯარო ღირებულებას იძენს მას შემდეგ, რაც პირი საამისოდ დახარჯავს დროს, ძალისხმევას, უნარს და, ხშირ შემთხვევებში ფულსაც კი. ისევე, როგორც ავტორს აქვს უფლება გაასაჯაროოს თავისი ინტელექტუალური შრომის შედეგი, სწორედ ამგარად აქვს პირს უფლება საჯარო გახადოს საკუთარი გამოსახულება, ხმა, მსგავსება, იდენტურობა. ამგარად, ავტორი საჯაროობის უფლებას ყველაზე მეტად სწორედ ინტელექტუალური

²⁶³ Beverley-Smith/ Ohly/ Lucas, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 950.

²⁶⁴ Reed, The FCC'S Indecent Proposal: Copyright Implications of the Proposed “Record and Retention” Rule, Buffalo Intellectual Property law Journal, University at Buffalo School of law, 2006, 7.

საკუთრების უფლებას უკავშირებდა.²⁶⁵ ამგვარი შედარება არ არის საფუძველს მოკლებული. სავტორო უფლებებსა და პიროვნულ უფლებებს შორის არაერთი პარალელის გავლებაა შესაძლებელი. ადამიანის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე ყველაზე ახლოს დგას ნაწარმოების გასაჯაროების უფლებასთან. საერთო სამართლით დაცული უფლება საჯაროობაზე მსგავსია ავტორის ქონებრივ უფლებისა, გაავრცელოს ნაწარმოები და მიიღოს ეკონომიკური სარგებელი.

მიუხედავად ამ მსგავსებისა, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ისევე როგორც სამოქალაქო კოდექსით აღიარებული პიროვნული უფლებები, არაქონებრივი შინაარსის, ადამიანისაგან განუყოფელი და მისი პიროვნულობის განმსაზღვრელი უფლებებია. დაუშვებელია მათი აღიარება და გადაქცევა ქონებრივ უფლებებად. უფლებათა შორის მკაფიო ზღვარი უნდა იყოს გავლებული, როგორც კანონმდებლობაში, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებებში.

3.2. განსხვავება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებსა და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებს შორის

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებს საკუთარი აღგილი აქვს პირად არაქონებრივ უფლებათა სისტემაში. აღნიშნულ უფლებათა დასაცავად ასევე გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლები, რომლითაც პირადი არაქონებრივი უფლებებია დაცული.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით, დაცულია ავტორის სახელის უფლება. ხოლო სამოქალაქო კოდექსის მე-17 და მე-18 მუხლებით, დაცულია სახელი, როგორც პირის პირადი არაქონებრივი უფლება. სამოქალაქო კოდექსით აღიარებულია პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია როგორც არამატერიალური არაქონებრივი სიკეთე. ხოლო ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები იცავს ავტორის რეპუტაციას დაკავშირებულს მის ნაწარმოებთან. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი კრძალავს პირადი ცხოვრების გასაჯაროებას პირის ნებართვის გარეშე, ხოლო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებას წარმოადგნეს გასაჯაროების უფლება, რომლითაც აკრძალულია ავტორის ქმნილების გასაჯაროება ავტორის ნების წინააღმდეგ. მიუხედავად ამ სიახლოვისა, საავტორო სამართლით რეგულირებული პიროვნული უფლებები და სამოქალაქო სამართლით დაცული პიროვნული უფლებები ხასიათდება რამდენიმე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნით. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლები ყოველთვის ვერ გამოდგება იმ პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საავტორო სამართლით. მიზანშეწონილია, ამ უფლებათა შორის განსხვავების დადგენა. ნაშრომის შემდეგ თავში განვიხილავთ ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებსა და

²⁶⁵ Nimmer, The right of publicity, 19 law and Contemporary problems, 1954, 204.

სამოქალაქო კოდექსით დაცულ პიროვნულ უფლებებს შორის პირითად განმასხვავებელ ნიშნებს.

3.2.1. განსხვავებული წარმოშობის საფუძველი

სამოქალაქო კოდექსით დაცულ პიროვნულ უფლებებსა და ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს წარმოშობის განსხვავებული საფუძვლები გააჩნიათ. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები წარმოიშობა ადამიანის დაბადებით, ხოლო ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ნაწარმოების შექმნით.

ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს სამოქალაქო კოდექსის მე-18, მე-19 მუხლებით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით, უფლებების წარმოშობის მატერიალური საფუძველი გააჩნიათ. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები წარმოიშობა მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის შექმნის შედეგად. ასეთ ობიექტებს კი მიკუთვნება ადამიანის ინტელექტუალური ძალის სტატუსის ის შედეგები, რომლებიც მატერიალიზებულია, ან აქვთ გამოხატული ფიქსირებული ფორმა. საავტორო სამართლის მიხედვით, მაგ., ავტომობილის იდეა, ურმის იდეა და გონებაში გაელვებული აზრი, არ შეიძლება მიკუთვნებულ იქნას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს. თუმცა ე.წ. ზეპირი ნაწარმოებები, წარმოთქმული სიტყვა, საჯარო ლექცია შეიძლება განხილულ იქნას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებად.²⁶⁶ სამოქალაქო კოდექსით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებს არ გააჩნიათ მატერიალური საფუძველი. ერთადერთი გამონაკლისია ადამიანის უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, რომელიც დატანილია ვიდეო ან ფოტო ფირზე ან სხვა სახის მატერიალურ მატარებელზე.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი უფლებები წარმოიშობა კანონით, პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ხოლო სამოქალაქო კოდექსით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებები მაგ. სახელის უფლება, პატივი, ღირსება რომლებიც წარმოიშობა ბუნებრივად, ადამიანის განსაკუთრებული უფლება გერმანულ სამართლში დამკვიდრებული მიღვომის თანახმად ჩანასახსაც გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ამ უფლებიდან გამომდინარე, მოთხოვნები მას დაბადებიდან ანუ უფლებაუნარიანობის მინიჭებიდან წარმოეშობა.²⁶⁷ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, პიროვნული უფლებების დაცვა არ არის დაკავშირებული უფლებაუნარიანობის შეწყებასთან, ვინაიდან ადამიანს პიროვნული უფლებები დაცულია გარდაცვალების შემდეგაც.²⁶⁸ აღნიშნული თვალსაზრისით, სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებები მსგავსია ავტორის პიროვნული

²⁶⁶ Близнеу, Государственное регулирование интеллектуальной собственности в Российской Федерации, теоретико-правовое и сравнительное исследование, Москва, 2002, 88.

²⁶⁷ Анисимов, Гражданско-правовая защита чести, достоинства и деловой репутации, Москва, 2001, 25.

²⁶⁸ Larenz./Wolf, At des Bürgerlichen Rechts, 2004, 8RdNr.45; Palandt/Sprau, BGB, 2008, 88.

²⁶⁹ კერძოდ, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 136.

უფლებებისა, ვინაიდან სახელის, ავტორობისა და და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვაც არ არის დამოკიდებული ავტორის უფლებაუნარიანობის შეწყვეტასთან. თუმცა წარმოშობის საფუძვლის თვალსაზრისით, ამ უფლებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. სხვა პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები არ არის თანდაყოლილი. აღნიშნული უფლებები პირს გააჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ შექმნა ნაწარმოები.²⁷⁰

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებები ადამიანის ძირითად უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება. მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები არ წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებებს, ვინაიდან ისინი მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილს ეკუთვნის.²⁷¹ თუმცა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა საერთაშორისო დონეზე, გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რომლის 27(2) მუხლის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს იგი წარმოადგენს.²⁷² იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები მიეკუთვნება ადამიანის ძირითად, მაგრამ არა თანდაყოლილ უფლებებს. მაგ. დიეგო ესპინ კანოვა განასხვავებს ადამიანის ძირითად და თანდაყოლილ უფლებებს. მისი კლასიფიკაციის მიხედვით, არსებობს ადამიანის ძირითადი უფლებები, რომელთა შესაძენად არა დაბადება, არამედ დამატებითი ფაქტორების არსებობაა საჭირო. აღნიშნული უფლებები ადამიანის ძირითადი უფლებებია, მაგრამ არ შეიძლება დავახასიათოთ თანდაყოლილ უფლებებად. სწორედ ასეთ უფლებებს მიეკუთვნება ავტორის მორალური უფლებები.²⁷³

3.2.2. განსხვავებული სუბიექტები

ავტორის პირადი არაქონებრივი და სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებებიც იცავს ინდივიდთან იმგვარად დაკავშირებულ პირად უფლებებს, რომელიც არ შეიძლება სხვა პირებს გადაეცეთ. ორივე კატეგორიის უფლებები მიმართულია ინდივიდუალიზმის გამოვლენისა და განვითარებისაკენ. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დაცულ პიროვნულ უფლებებსა და ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს შორის ამ ნიშნით ერთგვარი ზღვარი უნდა გაიკლოს პირადსა და შემოქმედებით ინდივიდუალიზმს შორის, რაც საშუალებას მოგვცემს, ლოგიკური ახსნა მოვუძებოთ ამ უფლებათა განსხვავებული სუბიექტების არსებობას.

²⁷⁰ Lipszy, Copyright and Neighbouring Rights, Unesco publishing, France, 1999, 160.

²⁷¹ Drahos, The Universality of IP Rights: origins and development, Intellectual Property and Human Rights. A Panel Discussion of Human Rights, WIPO publication No. 762(E) 1999, 13-41.

²⁷² ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. 1948 წლის 10 დეკემბერი. მუხლები: მე-3, მე-12. იხ. <<http://www.lexilogos.com/declaration/georgien.htm>> {16.01.2014}.

²⁷³ Canovas, Las Facultades del derecho moral de los autores y artistas. Madrid, Civitas, 1991, 30.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სხვა პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები იცავს ავტორის პიროვნულობას, დაკავშირებულს მის ნაწარმოებთან.²⁷⁴

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებისა და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული პიროვნული უფლებების წარმოშობის განსხვავებული საფუძველი განაპირობებს აღნიშნულ უფლებათა სუბიექტებს შორის განსხვავებასაც. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ვინაიდან ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ნაწარმოების შექმნის შედეგად წარმოიშობა იგი უფრო მჭიდროდა დაკავშირებული ნაწარმოებთან, ვიდრე ავტორთან, ინტელექტუალურ-საკუთრებითი პირადი არაქონებრივი უფლებები ჯერ ნაწარმოებს ეკუთვნის და მხოლოდ შემდეგ ერწყმის შემქმნელს.²⁷⁵

საქართველოს საავტორო სამართალი მისდევს კონტინენტური ევროპის სამართლის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ავტორი (საქართველოს “კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” მუხლი (4.ა)). ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად წარმოიშობა. ამგვარი შრომა კი მხოლოდ ინდივიდებმა შეიძლება გასწიონ და არა იურიდიულმა პირებმა. სამოქალაქო კოდექსის კომენტარების მიხედვით, პატივის, ღირსების საქმიანი რეპუტაციის შეღახვის ქვეშ იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას მათ მიერ კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ.²⁷⁶ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი შეიძლება ეხებოდეს საწარმოს ღირსებას, პატივსა და საქმიან რეპუტაციას, როდესაც ფასდება საწარმოს არა მხოლოდ ცალკეული თანამშრომლების მოღვაწეობა, არამედ მთელი კოლექტივის ქცევა.”²⁷⁷ აღნიშნული მოსაზრება წინააღმდეგობაში მოღის, ამავე ლიტერატურის მიხედვით პატივისა და ღირსების განმარტებასთან, რომლის თანახმადაც, პატივი – ეს არის პიროვნების სოციალური და სულიერი თვისებების საზოგადოებრივი შეფასება, ღირსება კი – საკუთარი თვისებების, შესაძლებლობების და მსოფლმხედველობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შინაგანი შეფასება.²⁷⁸ იურისტთა ნაწილს შესაძლებლად მიაჩნია პიროვნული უფლებების გავრცელება იურიდიულ პირებზეც, თუ ეს ეწინააღმდეგება კონკრეტული უფლების არსეს. ამის მაგალითად ისინი ღირსებას, როგორც ადამიანისგან განუყოფელ უფლებას ასახელებენ.²⁷⁹ ასევე დაუშვებელია იურიდიულ პირზე პატივის გავრცელებაც, რომ არაფერი ვთქვათ, პირადი ცხოვრების საიდუმლოებაზე, რომელიც თვისი

²⁷⁴ Lipszyc, Copyright and Neighbouring Rights, Unesco publishing, France, 1999, 158.

²⁷⁵ ქართველი ინტელექტუალური უფლებები, თბილისი 2006, 194.

²⁷⁶ ახლოებიანი/ზოიდეჭანტურია/ჯორბერძენი (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაზი, თბილისი, 1999, 60.

²⁷⁷ ჩიკვა შვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, 136.

²⁷⁸ ჩიკვა შვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი 1998, 122.

²⁷⁹ კერასელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 132.

არსით მხოლოდ ადამიანს შეიძლება გააჩნდეს. ასევე არამართებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, საწარმოს ღირსებად ან პატივად შეიძლება მიჩნეული იყოს კოლექტივის ქცევა, ვინაიდან თითოეული ადამიანი ინდივიდუალურად ახდენს თვითშეფასებას და საკუთარი ღირსების აღქმას. ღირსების შელახვის შედეგია ნეგატიური განცდები. განცდები კი მხოლოდ ფიზიკურ პირს გააჩნია. რაც შეეხება პატივს ანუ საზოგადოების მიერ პირის შეფასებას, ამ უფლებას იურიდიულ პირთან მიმართებაში საქმიანი რეპუტაციის ცნება მოიცავს, რომელიც შეფასებების კრებულს წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით რეგულირებული უფლებებიდან მხოლოდსაქმიანი რეპუტაცია შეიძლება გააჩნდეს იურიდიულ პირს. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია პირადი არაქონებრივი უფლებებიდან, თავისი არსით ყველაზე ახლოს დგას ქონებრივი შინაარსის მატარებელ უფლებებთან. კომერციული იურიდიულ პირების შემთხვევაში საქმიანი რეპუტაციის შელახვა პირდაპირ გავლენას მოახდენს იურიდიული პირის შემოსავალზე. არაკომერციული იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვაც გამოწვევს პირის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას, ვინაიდან, საქმიანი რეპუტაციის შელახვას გავლენა ექნება დონორებთან არაკომერციული იურიდიული პირების ურთიერთობაზე. შესაბამისად, როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული იურიდიული პირების შემთხვევაში მათი პირადი არაქონებრივი უფლება, საქმიანი რეპუტაცია, მჭიდროდაა დაკავშირებული ქონებრივ ინტერესებთან. პიროვნული უფლებები- ღირსება და პატივი კი დაკავშირებულია პირის ინდივიდუალიზმის განვითარებასთან, მის სულიერ მდგომარეობასთან და საზოგადოების მიერ მის პიროვნულობის აღქმასთან. შესაბამისად, ეს უფლებები მხოლოდ ფიზიკურ პირს შეიძლება ეპუთვნოდეს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორის პირად არაქონებრივ და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებათა სუბიექტებს ორი ძირითადი ნიშანი განასხვავებთ: პირველი - ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების სუბიექტი მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს, ხოლო სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით რეგულირებული პირად არაქონებრივ უფლებათაგან ერთი, კერძოდ საქმიანი რეპუტაცია შეიძლება იურიდიული პირის უფლებას წარმოადგენდეს. მეორე-ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების სუბიექტი მხოლოდ შემოქმედი შეიძლება იყოს, რომელმაც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა გასწია ნაწარმოების შესაქმნელად. ხოლო, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებები გააჩნია ნებისმიერ პირს დაბადებიდან.

3.2.3. განსხვავებული მოქმედების გადები, უფლებათა გადაცემის წესი

ავტორის პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებს შორის ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებაა უფლებათა მოქმედების გადების, განხორციელებისა და გადაცემის თვალსაზრისით.

სამოქალაქო კოდექსით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებები მოქმედებს პირის სიცოცხლის ვადით. სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, გარანტირებულია პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ. კერძოდ, მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია დაიცვას იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ სამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. ამავე მუხლის თანახმად, სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედების ვადები განსხვავებულია პოზიტიური და ნეგატიური უფლებების შემთხვევაში. პოზიტიური უფლებები, მაგ. ნაწარმოებზე სხვა ავტორთა ნაწარმოებების (ილუსტრაციის, წინასიტყვაობის, ბოლოსიტყვაობის, კომენტარის, განმარტების და სხვა) დართვის უფლება მემკიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით არა დაცვის, არამედ განხორციელების უფლებით („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 35(4)). საავტორო სამართალი ასევე აღიარებს უვადო საავტორო უფლებების არსებობას. უვადო საავტორო უფლებებია: ნაწარმოების სახელის, ავტორობის, ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება. უვადო საავტორო უფლებების არსებობას პირადი არაქონებრივი უფლებების ნაწარმოებთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს. საავტორო უფლებების უვადოდ დაცვა ავტორისა და მემკიდრეების გარდა, საზოგადოების ინტერესის დაცვას ემსახურება. შესაბამისად, ავტორის სახელი და რეპუტაცია იმ შემთხვევაშიც არის დაცული, როდესაც აღარ არსებობს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრული პირი, რომელსაც ექნება გარდაცვლილის სამოქალაქო კოდექსით დაცული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ღირსი ინტერესი.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არ არეგულირებს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნის საკითხს. ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლი, რომლის თანახმადაც, მორალური კომპენსაციის მოთხოვნა, პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვისათვის, პირის გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ავტორის პირად არაქონებრივ და სამოქალაქო კოდექსით დაცულ პიროვნულ უფლებებს შორის უფლებათა განხორციელების, დაცვისა და გადაცემის თვალსაზრისით ვლინდება.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული უფლებები გადაუცემადი უფლებებია. მათი არა განხორციელების, არამედ დაცვის უფლება გააჩნია უფლების სუბიექტს. სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებები არ შეიძლება იყოს დათმობილი. იურიდიულ

ლიტერატურაში ეჭვებეჭ აყენებენ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების გადაუცემადობის საკითხს, ვინაიდან კონტინენტური ევროპის საავტორო სამართლისაგან განსხვავებით საერთო სამართლის მიხედვით პრაქტიკულად ყველა ექვემდებარება მიტოვებას.²⁸⁰

საავტორო უფლებები, სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებებისაგან განსხვავებით, მემკვიდრეებზე შეიძლება გადავიდეს არა მხოლოდ დაცვის, არამედ განხორციელების უფლებითაც. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კი თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული მისი პირადი უფლებებიდან მემკვიდრეობით გადადის უფლება ნება დართოს სხვა პირებს დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ავტორს უფლება აქვს მიუთიოთს პირი, რომელსაც ის ნიშნავს ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებების დამცველად. ეს პირი თავის მოვალეობას ასრულებს ავტორის გარდაცვალებამდე. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი არ შეიცავს ამგვარ დანაწესს, თუმცა შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში მესამე პირების მიერ პიროვნული უფლებების დაცვა მოხდება წარმომადგენლობის მარეულირებელი უფლებების შესაბამისად.

ავტორის პირადი არაქონებრივ უფლებებსა და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ პიროვნულ უფლებებს შორის ურთიერთკავშირისა და განსხვავების დადგენისას, აქტუალური საკითხი, თუ რამდენად შეიძლება ნაწარმოები ერთდროულად იყოს დაცული, როგორც პირადი ცხოვრება, და როგორც საავტორო უფლების ობიექტი? პირადი ხასიათის დოკუმენტებს, რომელიც პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად განიხილება მიეკუთვნება წერილები, დღიურები, ჩანაწერები, ჩანიშვნები, გრაფიკული და სხვა ტიპის ჩანაწერები, მათ შორის კომპიუტერში. თუკი ჩანაწერები აკმაყოფილებს საავტორო სამართლით დადგენილ დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებს, მაშინ როგორ უნდა მოხდეს მათი დაცვა, როგორც საავტორო ობიექტების, თუ როგორც პირადი ცხოვრების დეტალების? იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, თუკი პირადი ხასიათის დოკუმენტები პასუხობენ ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმს და წარმოადგენენ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, მაშინ სამართლიანი იქნება ისინი მიეკუთვნებოდნენ საავტორო სამართლის ობიექტებს და მათი დაცვაც უნდა მოხდეს საავტორო სამართლის ნორმებით. მაგალითად, ბელინსკის წერილები, გოგოლის მიმართ იქცა არა წერილებად, არამედ პოლიტიკურ პროკლამაციებად.²⁸¹ თუკი წერილები იძენს შემოქმედებით, ლიტერატურულ დირექტულებას იზრდება მისი მნიშვნელობა და იგი უკვე აღარ წარმოადგენს მხოლოდ ავტორის

²⁸⁰ ძაბუკა შვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი 2006, 194.

²⁸¹ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 171.

კუთხით მისი დაცვა საავტორო სამართლის ნორმებით უნდა მოხდეს. მასზე უვადო პირადი არაქონებრივი უფლებები წარმოიშობა, ვინაიდან მათი დაცვის ინტერესი გააჩნიათ არა კონკრეტულ პირსა და მის მემკვიდრეებს, არამედ საზოგადოებას.

უფლებები აღნიშნულიდან, გამომდინარე, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები დამოუკიდებელ ადგილს იკავებს პირად არაქონებრივ უფლებათა სისტემაში, მიუხედავად მათი მსგავსებისა, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით რეგულირებულ პიროვნულ უფლებებთან.

4. ავტორობისა და სახელის უფლება

ავტორობის უფლება ლიტერატურულ, მხატვრულ და მეცნიერულ ნაწარმოებებზე აღიარებულია 1886 წლის 9 სექტემბრის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-6^{bis} მუხლით.²⁸² ბერნის კონვენცია პირად არაქონებრივი უფლებათა მხოლოდ იმ მინიმუმს გვთავაზობს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა წევრი ქვეყნებისათვის. ამ უფლებათა შორისაა ავტორად აღიარების უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასთან ერთად.

ბერნის კონვენცია სახელის უფლებას ცალკე უფლებად არ გამოყოფს და მას ავტორად აღიარების უფლების კომპონენტად განიხილავს. ავტორად აღიარებისა და სახელის უფლება, ბერნის კონვენციის მსგავსად, ერთი უფლების ქვეშაა გაერთიანებული კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართალშიც. საფრანგეთის კანონმდებლობაში აღნიშნული უფლება შემდეგნაირადად ფორმულირებული: ავტორს აქვს მისი სახელისა და ავტორობის პატივისცემის უფლება.²⁸³ გერმანულად ამ უფლებას ეწოდება Anerennung der Urheberschaft, რაც ავტორად აღიარებას ნიშნავს და მოიცავს როგორც ავტორად აღიარებას, ასევე სახელის უფლებასაც.²⁸⁴

ავტორობისა და სახელის უფლებას ერთი ტერმინის ქვეშ აერთიანებენ საერთო სამართლის ქვეყნებიც. აღნიშნულ უფლებას ინგლისურენოვან ქვეყნებში უწოდებენ “Right of Paternity”.²⁸⁵ ტერმინს საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა პატერ, მამა. ამ ტერმინის განზოგადებისას იურისტები მიუთითებენ, რომ როგორც მშობელ მამას აქვს პირადი (არაქონებრივი) უფლებები საკუთარი შვილისადმი, ისე ავტორს აქვს პირადი (არაქონებრივი) უფლებები მის მიერ „შობილი“ ნაწარმოებისადმი.²⁸⁶

²⁸² “ლიტერატურის, მეცნიერებისა და მხატვრული ნაწარმოების ავტორთა უფლებების საერთაშორისო ამერიკული კონვენცია”, მიღებულია 1946 წლის 22 ივნისს.

ხელმისაწვდომია: <http://www.wipo.int/treaties/en/ip/berne/trtdocs_wo001.html> {16.01.2014}.

²⁸³ Code de la propriété intellectuelle Art. L 121-1, ხელმისაწვდომია:

<<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=5563>> {16.01.2014}.

²⁸⁴ (Urheberrechtsgesetz). 9 September, 1965 &13 ხელმისაწვდომია: <http://www.gesetze-im-internet.de/urhg/>{16.01.2014}.

²⁸⁵ Colson/ Middleton, Modern Intellectual property Law, London, 2005, 456-457.

²⁸⁶ ქაჯაა შვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 200.

საერთო სამართლის ქვეყნების, კერძოდ ინგლისის 1988 წლის საავტორო სამართლის, დიზაინისა და საპატენტო აქტისა და ავტორულის 1968 წლის საავტორო უფლებათა აქტის კომენტირებისას, საერთო სამართლის იურისტები ავტორად აღიარების უფლების შინაარსს შემდეგნაირად განმარტავენ: ავტორობის უფლება, მათ შორის ავტორის უფლება ნაწარმოებზე მიეთითოს ნამდვილი ავტორის სახელი, მას შემდეგ, რაც ეს ნაწარმოები გადაკეთდა და აღიარების უფლება ავტორის ხელში.²⁸⁷ კანადის 1985 წლის საავტორო უფლებათა დაცვის აქტის 14.1(1) და 28.2 მუხლების მიხედვით, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასთან ერთად ავტორს აქვს უფლება ასოცირებული იუს ნაწარმოებთან როგორც ავტორი სახელით, ფსევდონიმით ან დარჩეს ანონიმად.²⁸⁸ საქართველოს საავტორო სამართალი არ იზიარებს ბერნის კონვენციისა და ევროპული სამართლის მიღების და ავტორობისა და სახელის უფლების ერთი უფლების ქვეშ არ აერთიანებს. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების” შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი, რომელიც შეეხება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს, ცალ-ცალკე უფლებად გამოყოფს ავტორობისა და სახელის უფლებას.²⁸⁹ კანონი მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორს აქვს უფლება აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება). მიუხედავად იმისა, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა კანონის შესახებ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სახელის უფლება ავტორობის უფლების შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ცალკე უფლებადა გამოყოფილი სახელის უფლება. სახელის უფლება მოიცავს ფსევდონიმის მითითების მოთხოვნას ნაწარმოების ეგზემპლარზე ან/და ამ ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე, აგრეთვე, უარის თქმას არამარტო ფსევდონიმის, არამედ ნებისმიერი სახელის აღნიშვნაზე.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების” შესახებ კანონის კომენტარში აღნიშნულია, რომ ავტორობისა და სახელის უფლება ერთად უნდა იქნეს განხილული, რადგან, სწორედ ავტორობის უფლება წარმოშობს სახელის უფლებას, რაც ნათელია მე-17 მუხლის პირველი პუნქტიდან.²⁹⁰

ნაშრომის წარმოდგენილ თავში განხილული იქნება ავტორობისა და სახელის უფლებებთან დაკავშირებული შემდეგი პრობლემური საკითხები: რამდენად მართებულია “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”

²⁸⁷ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, an international and comparative analysis, Oxford, USA, 2006, 328.

²⁸⁸ Copyright Act of Canada. ხელმისაწვდომია: <<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-42/page-1.html>>{16.01.2014}.

²⁸⁹ საქართველოს კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”, 1999 წ. 22 ივნისი. ხელმისაწვდომია:

<https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=16198&lang=ge> {16.01.2014}.

²⁹⁰ ამუქაშვილი/შენგელია/გაბუნია/ხრუბერალი/ჯორბეგაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 112.

საქართველოს კანონის მიღება და ამ ორი უფლების ცალ-ცალკე გამოყოფა; რა არის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები ამ ორ უფლებას შორის და როგორია ამ უფლებათა დაცვის მექანიზმები; რა განსხვავებაა ავტორის სახელის უფლებასა და სამოქალაქო კოდექსის მე-17, მე-18 მუხლებით დაცულ სახელის უფლებას შორის. ვინაიდან საქართველოს საავტორო სამართალი ვითარდება ევროპულ საავტორო სამართალთან ჰარმონიზაციის კუთხით, სახელისა და ავტორობის უფლება ნაშრომის წარმოდგენილ თავში განხილული იქნება ევროპული სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე.

4.1. ავტორობა, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება

ავტორობის უფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს შორის. როგორც აღვნიშნეთ, იგი ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა იმ მინიმუმს მიეკუთვნება, რომლის დაცვასაც ბერნის კონვენცია მოითხოვს წევრი ქვეყნებისაგან.

ავტორობის უფლების, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა საერთაშორისო დოქტერი, გარანტირებულია 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რომლის 27.2. მუხლის მიხედვით: ყველა ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორსაც იგი წარმოადგენს.²⁹¹

1966 წლის 16 დეკემბრის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლშიც მითითებულია, რომ ადამიანს უფლება აქვს ისარგებლოს მორალური და მატერიალური უფლებების დაცვით, მისი ავტორობით შექმნილი ნაწარმოების კვლავ წარმოების შემთხვევაში.²⁹²

ავტორობის უფლება, აგრეთვე, დაცულია 1946 წლის 22 ივნისის ავტორთა უფლებების საერთაშორისო ამერიკული კონვენციით, რომლის მიხედვითაც, საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოების ავტორს, თავისი საავტორო უფლებების განკარგვის, გასხვისების ან სხვაგარად დათმობის შემდეგაც უნარჩუნდება უფლება იყოს ნაწარმოების ავტორი.²⁹³

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებაა აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და

²⁹¹ “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია”, მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს. ხელმისაწვდომია: <<http://www.un.org/en/documents/udhr/>> {16.01.2014}.

²⁹² “ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი” მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს. ხელმისაწვდომია:

<<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CESCR.aspx>> {17.01.2014}.

²⁹³ ლიტერატურის, მეცნიერების და მხატვრული ნაწარმოებების ავტორთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ამერიკული კონვენცია. მიღებულია 1946 წლის 22 ივნისს. ხელმისაწვდომია: <http://www.wipo.int/edocs/trtdocs/en/iac/tri_iac.pdf> {17.01.2014}.

მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით (ავტორობის უფლება). ავტორობის უფლება, როგორც კხედავთ, საქართველოს კანონში “საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ” ორ ნაწილადაა გაყოფილი: აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარების აღნიშვნა. იურიდიულ მეცნიერებაში ავტორობის უფლებას სამ შემადგენელ ნაწილადაც ყოფენ: უფლება მოითხოვოს ავტორად აღიარება, აუკრძალოს მესამე პირებს მისი სახელის გამოყენება სხვის ნაწარმოებზე და აკრძალოს საკუთარ ნაწარმოებზე სხვისი ავტორობის მითითება.²⁹⁴

რამდენად მართებულია “საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ” საქართველოს კანონში ფორმულირებული ტერმინი “ავტორობის უფლება”? იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ტერმინი “ავტორობის უფლება” იურიდიულ სიზუსტეს არის მოკლებული, ვინაიდან ავტორად გახდომა უფლება არ არის, არამედ ფაქტია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მეცნიერებაში არსებობს, მოსაზრება, რომ კანონში ავტორობის უფლება უმჯობესია შეიცვალოს ტერმინით „ავტორობის დაცვის უფლება“.²⁹⁵

ავტორობის უფლება ნებატიურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი დაცვის და არა განხორციელების უფლება გააჩნია უფლების სუბიექტს. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, ავტორობის უფლება მუდმივ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. ავტორობის უფლება გადაუცემად უფლებას წარმოადგენს, იგი არ შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის საგანი. შესაბამისად, ავტორობის უფლება მუდმივ და გადაუცემად პირად არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს.

²⁹⁴ Subbian, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007, 164.

²⁹⁵ ქართული უფლებების მიმდევრული უფლებები, თბილისი, 2006, 201-202.

4.1.1. ავტორად აღიარების უფლება

ავტორობის უფლება ავტორობის აღიარების უფლებადაც ცნობილი დიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-6^{bis} მუხლშიც.²⁹⁶

“საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლში აღნიშნულია, რომ ავტორს აქვს უფლება, მოითხოვოს აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით. მაშასადამე, სახელის უფლების აღნიშვნა ავტორობის დაცვის უფლების მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და ავტორობის უფლება უფრო ფართო ცნებაა. ავტორობის უფლება მოიცავს უფლებას, ავტორმა დაიცვას საკუთარი სახელი, როდესაც იგი გამოტოვებულია ან სხვისი სახელი და ფსევდონიმია აღნიშნული მისი სახელის ნაცვლად; აირჩიოს სპეციალური ხერხი და საშუალება საკუთარი სახელის აღნიშვნისათვის, მაგ., მხოლოდ ინიციალები ან სხვა დამატებითი აღნიშვნა; გამოიყენოს ფსევდონიმი დარჩეს ანონიმურად და გაამჟღავნოს საკუთარი სახელი. ხოლო მეორე მხრივ, ეს არის უფლება, დაიცვას თავისი ავტორობა, როდესაც იგი დარღვეულია.²⁹⁷

იყოს იდენტიფიცირებული საკუთარ ნაწარმოებთან – ეს არის ავტორის უფლება და არა მოვალეობა. შესაბამისად, ავტორი თავისუფალია არჩევანში გამოიყენოს სახელი, ინიციალები, ფსევდონიმი, თუ დარჩეს ანონიმად. ავტორი, იმ შემთხვევაშიც, თუ სხვა პირს გადასცემს თავისი ნაწარმოების გამოცემის უფლებას, ინარჩუნებს უფლებას არ გაამჟღავნოს საკუთარი ვინაობა. ასეთ შემთხვევაში გამომცემელი იცავს მის უფლებებს. ხოლო თუკი გამომცემელი უნებართვოდ გაამჟღავნებს ავტორის ვინაობას, იგი ამით ავტორის ავტორობისა და სახელის უფლებას დაარღვევს.

ავტორობის უფლება დაცვითი ხასიათის, ანუ კ.წ. ხეგატიურ უფლებათა ჯგუფს მიეკუთვნება. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების მსგავსად, ავტორის უფლება შეიძლება დაცული იქნეს სხვა პირების, კერძოდ, მემკვიდრეების ან კანონით უფლებამოსილი პირების, მაგალითად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ. ავტორმა ხეგატიური უფლებები, მათ შორის ავტორობის დაცვის უფლება შესაძლებელია, სიცოცხლეშივე მიანდოს სხვა პირს. (საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ 35-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები).

შესაძლებელია თუ არა ავტორობის უფლება გახდეს ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი? ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები და მათ შორის ავტორობის უფლება გადაუცემადი უფლებებია და შესაბამისად, იგი არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში ავტორად აღიარება მხოლოდ

²⁹⁶ “ლიტერატურის, მეცნიერებისა და მხატვრული ნაწარმოების ავტორთა უფლებების საერთაშორისო ამერიკული კონვენცია”, მიღებულია 1946 წლის 22 ივნისს.

სელმისაწვდომია: <http://www.wipo.int/treaties/en/ip/berne/trtdocs_wo001.html>{17.01.2014}

²⁹⁷ Lyszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 171.

კანონის ძალით ხდება. ავტორს შეუძლია უარის თქმა მხოლოდ ავტორის სახელის უფლების მითითების უფლების გამოყენებაზე. საერთო სამართლის ქვეყნებში კი, ავტორობა კონტრაქტზეა დამოკიდებული და ხშირად გამოცემელთან დადგებული ხელშეკრულებით წესრიგდება.²⁹⁸

4.12. ავტორობის პატივისცემის უფლება

ავტორობის უფლება უფრო ფართო ცნებაა ვიდრე, მხოლოდ ავტორად აღიარება და სახელის აღნიშვნის მოთხოვნის უფლება. ავტორობის უფლება მოიცავს ავტორობის პატივისცემის უფლებასაც.

ავტორობის უფლებას იურიდიულ ლიტერატურაში შემდეგნაირად განმარტავენ: ავტორს აქვს უფლება პატივი სცენ მის უნარსა და კვალიფიკაციას. ავტორობის უფლება მოიცავს უფლებას, სახელის გარდა აღნიშნული იყოს ავტორის ტიტული, აკადემიური წოდება, ასევე მისი უფლება, აღნიშნული იყოს როგორც ავტორი და არა როგორც სხვა მონაწილე ნაწარმოების შექმნაში, აღნიშნული იყოს, როგორც ერთადერთი ავტორი და არა თანაავტორი.²⁹⁹

ავტორობის პატივისცემასთან დაკავშირებით, საინტერესოა საფრანგეთის კანონმდებლობა, რომელიც შეიცავს სპეციალურ დებულებას გამოცემლებისათვის, რათა მათ პატივი სცენ ავტორის მორალურ უფლებებს, მათ შორის ავტორის უფლებას ნაწარმოების მიკუთვნებაზე.³⁰⁰

ავტორობისა და სახელის უფლებას გააჩნია, როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური გაგება. სახელის უფლება ირდვევა როგორც ავტორის სახელის არ აღნიშვნით, ასევე სახელის არასწორი მიკუთვნებითაც. სახელის არასწორი მიკუთვნებისას, სახელის უფლების დარღვევასთან ერთად ადგილი აქვს ავტორობის დაცვის უფლების დარღვევასაც. სასამართლო იცნობს ასეთ საქმეებს, როდესაც მაგალითად, ცნობილი პოეტი ჯორჯ ბაირონი, ასევე ცნობილი მწერალი მარკ ტვენი აპროტესტებდნენ იმ ნაწარმოებების მათვის მიკუთვნებას, რომელიც არ შეუქმნიათ.³⁰¹

ავტორის სახელის უნებართვო, არასწორი გამოყენება შესაძლოა მისი პატივისა და რეპუტაციისათვის უფრო მეტი ზიანის მომტანი იყოს, ვიდრე მისი სახელის არ მითითება. სახელის არასწორად მითითებას განიხილავენ ასევე, როგორც ავტორის პრესტიჟის უპირატესობის უზურპაციას, მაგ., ცნობილი მხატვრის სახელის აღნიშვნა ფერწერულ ტილოზე.³⁰²

²⁹⁸ Dworkin, The Moral Rights and English Copyright Law, in IIC NO04/1981, 481.

²⁹⁹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 180.

³⁰⁰ Code de la propriété intellectuelle. Art. 1 132-11. ხელმისაწვდომია:

<<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=5563>> {17.01.2014}.

³⁰¹ o.b. Lord Byron v. Johnson [1816] 2 Mer.29; 35E.R.851. International Encyclopedia of Comparative Law, Volume 11, Part 1, 1983, 59.Aix.Samuel L. Clemens vs. Belford, Clarce & Company, ხელმისაწვდომია: <<http://www.twainquotes.com/CourtDecision.html>> {17.01.2014}.

³⁰² Lyszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999,172.

ავტორობის არასწორი მიკუთვნების შემთხვევაში, საერთო სამართლის ქვეყნები იყენებენ, ასევე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მარეგულირებელ ნორმებს. ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში ავტორის რეპუტაციის გამოყენება ხდება წიგნის გავრცელების და ეკონომიკური მოგების მოღვაწის მიზნით და ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს იმ თანხის მისთვის გადაცემა, რაც უფლების დამრღვევმა გამოიყენა მისი სახელისა და რეპუტაციის უნებართვო სარგებლობით.³⁰³

სახელისა და ავტორობის უფლებაც აბსოლუტური უფლებებია და ნებისმიერი პირი ვალდებულია, პატივი სცეს როგორც ავტორის სახელს, ასევე მის ავტორობას. ავტორობის უფლება გადაჯაჭვულია, როგორც სახელის უფლებასთან ასევე სხვა პიროვნულ უფლებებთან. ავტორობის უფლებისა და ადამიანის სხვა პიროვნულ უფლებებს შორის ურთიერთკავშირს არაერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში გაესვა ხაზი. მაგალითად, ავტორობის უფლების განმარტებისას კვიბეკის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: უფლება, რომ ნაწარმოები ფრთხილად იქნეს მიკუთვნებული ვინმეზე, გაქს უფლებას, პატივი ვცეო ადამიანის სახელს და ისეთ მორალურ ღირებულებებს, როგორიც შემოქმედის პატივი და ღირსებაა.³⁰⁴

4.2. სახელის უფლება როგორც პირადი არაქონებრივი უფლება

სახელის უფლება რეგულირებულია “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით, რომლის თანახმადაც, ავტორს უფლება აქვს მიუთითოს ფსევდონიმი სახელის ნაცვლად და მოითხოვოს ასეთი მითითება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, აგრეთვე უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე (სახელის უფლება).

სახელის უფლება, ავტორობის უფლებასთან ერთად, ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა შორის უმნიშვნელოვანების უფლებაა. იგიუნარჩუნდება ავტორს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სხვა საავტორო უფლება არ გააჩნია.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლი შეიცავს დანაწესს იმ ნაწარმოებთა შესახებ, რომლებზეც არ ვრცელდება საავტორო უფლებები. თუმცა ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, პიმინი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები) ვრცელდება მხოლოდ სახელის უფლება, კერძოდ, აღნიშნულ ნაწარმოებთა სხვისი სახელით გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია ავტორის სახელის უფლების დაცვა. უფრო მართვებული იქნებოდა ამ შემთხვევაში არა მხოლოდ სახელის უფლების, არამედ ავტორობის

³⁰³ Jeremy Ph., Introduction to Intellectual Property Law, Butterworth, London 1986 and R.G. Howell, The Common Law appropriation of Personality Tort, 1986, 2 I.P.J.149. 151.

³⁰⁴ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 232.

უფლების დაცვაც ხორციელდებოდეს, ვინაიდან დროში, გერბის პიმნის და სხვა ოფიციალური სომბოლოების ავტორებს აქვთ არა მხოლოდ სახელის აღნიშვნის, არამედ ავტორობის პატივისცემის დაცვის უფლებაც.

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში გავრცელებული შეხედულების თანახმად, სახელის უფლება პირადი და აბსოლუტური უფლებაა.³⁰⁵ “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, სახელის უფლება მუდმივ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება.

სახელის უფლებას საავტორო სამართალთან ერთად იცავს სამოქალაქო სამართალიც როგორც პირის პირად არაქონებრივ უფლებას. სახელის უფლება დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 და მე-18 მუხლებით. აღნიშნული მუხლები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორის სახელის უფლების დასაცავად.

4.2.1 ავტორის სახელის უფლება და სამოქალაქო კოდექსით დაცული სახელის უფლება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლი განამტკიცებს სახელის უფლების დაცვას. მე-17 მუხლში აღმიანის სახელი და გვარი იგულისხმება. არსებობს დავა იმის შესახებაც, მიეკუთვნება თუ არა სახელი პირის არაქონებრივ სიკეთეთა რიცხვს და უნდა იყოს თუ არა იგი დაცული სამოქალაქო სამართლით. სახელი სოციალური უგულებელყოფისაგან დაცვის ერთგვარი საშუალებაცაა.³⁰⁶

სახელი როგორც დაცვის ობიექტი, გამოიყენება საჯარო სამართალშიც, თუმცა სამოქალაქო სამართლი იცავს სახელს, როგორც პიროვნულობის განუყოფელ ელემენტს. სახელს ყოველი უფლებაუნარიანი აღმიანი ატარებს, სამოქალაქო, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ურთიერთობაში, თავისი ინდივიდუალურობის (იდენტურობის) აღსანიშნავად.³⁰⁷

სამოქალაქო სახელი შეიძლება იურიდიული პირის სახელსაც ემთხვეოდეს. მაგალითად “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, როდესაც პირი ინდივიდუალურ მეწარმეს ატარებს რეგისტრაციაში, საფირმო სახელწოდებად იყენებს თავის სახელსა და გვარს.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში სახელის უფლების კომერციულ დირექტულებაზეც მიუთითებენ, განსაკუთრებით კი კომერციული ურთიერთობების სფეროში. ამგვარად, არსებობს სახელის უფლების დიფერენცირების მცდელობა. კერძოდ, ერთ შემთხვევაში სახელის უფლება არის წმინდა პირადი არაქონებრივი უფლება, ხოლო სხვა შემთხვევაში,

³⁰⁵ ახვლედიანი/ზოდეჭანებურია/ჯორბეგნაძე (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაზი, თბილისი, 1999, 52.

³⁰⁶ ახვლედიანი/ზოდეჭანებურია/ჯორბეგნაძე (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაზი, თბილისი, 1999, 52.

³⁰⁷ ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 196.

როდესაც იგი საქმიან ურთიერთობაში გამოიყენება, არამატერიალური ქონებრივი უფლება.³⁰⁸

სახელის უფლების კომერციალიზაციაზე მიანიშნებს შემდეგი ფაქტიც: საკუთარი სახელის გამოყენების უფლებას პირი ხშირ შემთხვევაში ანაზღაურების სანაცვლოდ უთმობს სხვა პირებს საქონლის აღნიშვნისათვის ან პროდუქციის გავრცელებისათვის. მაგალითად, ცნობილი ავტომატის, “კალაშნიკოვის” გამომგონებელმა ბარნაულის ალკოჰოლური სასმელების კომპანიას ანაზღაურების სანაცვლოდ, დართო ნება, მისი სახელი გამოეყენებინა არყის პროდუქციის ახალ სახეობაზე.³⁰⁹

მიუხედავად რიგ შემთხვევებში სახელის უფლების კომერციული ღირებულებისა, სახელის უფლება პირად არაქონებრივ უფლებას მიეკუთვნება. იგი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში სხვა პირად არაქონებრივ უფლებებთან ერთად არის მოქცეული.

მე-17 მუხლით დაცული სახელის უფლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ფიზიკურ პირს შეეხება. მე-18 მუხლში არ არის ხაზგასმა სახელის ტარების უფლება შეეხება მხოლოდ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირებსაც. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში სახელის ცნებას გაცილებით ფართო მნიშვნელობა გააჩნია. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის განხილვისას იურისტები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი სიტყვა ან აღნიშნა, რომელიც განასხვავებს ერთ პირს მეორისაგან, მათ შორის გვარი, ნათლობის სახელი და ფსევდონიმი, დაცულია სამოქალაქო კოდექსით. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ დაცვა ვრცელდება ვიზუალურ აღნიშნებზეც, მაგალითად, სამხედრო გერბზე.³¹⁰ გერმანულ იურიდიულ დიტერატურაში მითითებულია, რომ სახელის უფლება ეხება ფიზიკურ და ასევე იურიდიულ პირს, მაგალითად, კომპანიას, პოლიტიკურ პარტიას, პროფესიულ ასოციაციას და ქალაქს.³¹¹ ამგვარად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-12 პარაგრაფი იცავს არა მხოლოდ პერსონალურ სახელებს, არამედ განმასხვავებელ ნიშნებს, რომლებიც გამოიყენება ბიზნესში და შეეხება საქონელსა და მომსახურებას. უკანასკნელ წლებში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-12 პარაგრაფი ასევე გავრცელდა პირთა და საწარმოთა სახელების რეგისტრაციაზე ინტერნეტ დომეინის სახელებად.³¹² სასამართლოს მიერ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-12 პარაგრაფი გავრცელდა ქალაქის სახელზეც: გერმანიის რკინიგზამ ქალაქის სახელი დაარქვა ერთ-ერთ ადგილობრივ რკინიგზის სადგურს. სასამართლო

³⁰⁸ ჭაბურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 199.

³⁰⁹ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 117.

³¹⁰ Beverley-Smith/ Ohly/ Lucas-Schloetter, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 109.

³¹¹ Klipper, Schutz des Namens, 546 et sec. ციტირებულია: Beverley-Smith/ Ohly/ Lucas-Schloetter, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 109.

³¹² Klipper, Schutz des Namens, 546 et sec. ციტირებულია: Beverley-Smith/ Ohly/ Lucas-Schloetter, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 109.

გადაწყვეტილების თანახმად, დაირღვა გერმანიის სამოქალაქო სამართლის მე-12 პარაგრაფის მიხედვით დაცული სახელის უფლება.³¹³

სახელი როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, უფლება აქვს, ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ავტორის სახელის უფლების დასაცავად შეიძლება იყოს გამოყენებული.

საერთო სამართლის ქვეყნებში, სადაც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები საავტორო უფლებათა დაცვის სპეციალური აქტებით არ არის მოწესრიგებული, ავტორის სახელის უფლების დასაცავად საერთო სამართლის ნორმებს გამოიყენებენ. საერთო სამართლის თანახმად ნებისმიერ პირს, მათ შორის ხელოვნების, ლიტერატურის თუ მეცნიერების ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელს, უფლება აქვს აუკრძალოს სხვას თვისი სახელის გამოყენება.³¹⁴

რამდენად მართებულია საქართველოს საავტორო სამართლის მიდგომა და სახელის უფლების რეგულირება ცალკე სამოქალაქო კოდექსითა და ცალკე საავტორო სამართლის ნორმებით? ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად მართებულია საქართველოს საავტორო სამართალში დამკვიდრებული მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა, გაძლიერდეს სახელის უფლების დაცვა და სრულიად არ იკრძალება საავტორო სამართლის ნორმებთან ერთად, ან მის პარალელურად, სამოქალაქო სამართლის სხვა შესაბამისი ნორმების გამოყენება.³¹⁵

საავტორო სამართლით დაცულ სახელის უფლებასა და სამოქალაქო კოდექსის მე-17, მე-18 მუხლებით დაცულ სახელის უფლებას შორის არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება. უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი უფლების შეძენის საფუძვლებია. სამოქალაქო სახელის შეძენის საფუძვლებს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს. მათ განეკუთვნება: დაბადება, დაქორწინება და სახელის შეცვლა ნებაყოფლობით. დაბადებით სახელის მოპოვება ყველაზე უფრო ხშირ საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1194-ე მუხლის თანახმად, ბავშვის სახელს მშობლები ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ. შვილის გვარი მშობლების გვარის მიხედვით განისაზღვრება. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი მშობლების შეთანხმებით (1995-ე მუხლი). სახელის შეძენის მეორე მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს დაქორწინება. სახელის შეძენის ერთ-ერთი საფუძველია ასევე, სახელის

³¹³ Klipper, Schutz des Namens, 546 et seq. ციტირებულია: Beverley-Smith/ Ohly/ Lucas-Schloetter, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 109.

³¹⁴ Beverley-Smith/ Ohly/ Lucas-Schloetter, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 109. 300-317.

³¹⁵ ქავეა შვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი 2003, 53.

ნებაყოფლობით შეცვლა. სახელის შეცვლა შეიძლება განაპირობოს არაერთმა მიზეზმა, მაგალითად, გვარის, არაკეთილხმოვანება მოქალაქეობის შეცვლა და სხვა.³¹⁶ სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი შემოიფარგლება მხოლოდ დადგენილ წესზე მითითებით, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სახელის შეცვლის საკითხები. სახელის შეცვლის საფუძვლიანობა თუკი სახელის შეცვლის საფუძველი პირდაპირ კანონიდან არ გამომდინარეობს, დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს - იუსტიციის სამინისტროს მიერ.³¹⁷ სახელის შეცვლის უფლება აქვთ როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი პირებს. არასრულწლოვანები ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ მშობლების ან მეურვის თანხმობით.³¹⁸

საავტორო სამართალში სახელის უფლების მოპოვება ნაწარმოების შექმნით ხდება. ისევე, როგორც სხვა საავტორო უფლებათა მოსაპოვებლად, არც სახელის უფლების შესაძენადაა საჭირო ნაწარმოების რეგისტრაცია ან სხვა ტიპის ფორმალობათა შესრულება. ავტორი, მიუხედავად მისი ასაკისა და ქმედუნარიანობისა თავად განსაზღვრავს სახელით, ფსევდონიმით, თუ ანონიმურად გამოაქვეყნოს ნაწარმოები. “საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა.

საავტორო სამართლით დაცულ სახელის უფლებასა და სამოქალაქო კოდექსის მე-17, მე-18 მუხლებით დაცულ სახელის უფლებას შორის მეორე მნიშვნელოვანი განსხვავებაა უფლების სუბიექტები. თუკი პირველ შემთხვევაში სუბიექტი არის ფიზიკური პირი, რომელიც სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად, რეგისტრაციის წესით იძენს სახელს, მეორე შემთხვევაში სუბიექტი არის ავტორი და იგი ყოველგვარი ფორმალობების გარეშე, მხოლოდ ნაწარმოების შექმნით მოიპოვებს სახელის უფლებას.

არკვეულწილად, განსხვავებულია აღნიშნულ უფლებათა შინაარსიც. თუკი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლი მოიცავს ფიზიკური პირის სახელსა და გვარს, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის მე-17 მუხლი მოიცავს ავტორის უფლებას, გამოიყენოს სახელი, ფსევდონიმი ან ნაწარმოები გამოაქვეყნოს ანონიმურად. შესაბამისად, საავტორო სამართლით დაცული სახელის უფლება, ასევე მოიცავს უფლებას, პირმა უარი თქვას საკუთარი სახელის გამოყენებაზე.

სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულ სახელის უფლებასა და საავტორო სამართლით დაცულ სახელის უფლებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა დაცვის თვალსაზრისითაც. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ პირს აქვს სახელის დაცვის

³¹⁶ ჭაბურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 204.

³¹⁷ ახლოედიანი/ზოდე/ჭაბურია/ჯორბეგაძე (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბილისი, 1999, 55.

³¹⁸ ახლოედიანი/ზოდე/ჭაბურია/ჯორბეგაძე (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბილისი, 1999, 55.

უფლება, ვისაც მის ტარებას შეეცილებიან. ხოლო სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, პირის პირადი უფლებების, მათ შორის, სახელის ტარების უფლების დაცვა გარდაცვალების შემდეგ შეიძლება განახორციელოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონით განმტკიცებული ავტორის სახელის უფლება კი, ავტორის სიცოცხლეშივე შეიძლება დაიცვას სხვა პირმა. კანონის 35 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ავტორს უფლება აქვს, მიუთითოს პირი, რომელსაც ის ნიშნავს ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცველად. ეს პირი თავის მოვალეობას ასრულებს ავტორის გარდაცვალებამდე. ხოლო “საავტორო ან მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე გამომცემელი ითვლება ავტორის წარმომადგენლად და მას აქვს უფლება, დაიცვას ავტორის უფლებები. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც ქონებრივი ასევე პირადი არაქონებრივი უფლებები, და მათ შორის, ავტორის სახელის უფლებაც.

4.2.2. სახელის უფლება და ფსევდონიმი

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, სახელი, უფლება მოიცავს ფსევდონიმის ტარების უფლებას და ასევე, ავტორის უფლებას, არ მიუთითოს თავის სახელი და დარჩეს ანონიმად.

სახელის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი დაცვა ევროპულ საავტორო სამართალში გაცილებით ადრე განხორციელდა ვიდრე ავტორის სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების. მაგ., გერმანიაში 1870 წელს მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, აუცილებელი იყო სახელის აღნიშვნა ლიტერატურული ნაწარმოების ციტირებისას ან მუსიკალური ნაწარმოებიდან ნაწყვეტის გამოყენებისას. უფლების დაცვას ჰქონდა ორი მიზანი: აერიდებინა თავიდან საზოგადოების შეცდომაში შექვენა და დაეცვა ავტორთა უფლებები.³¹⁹ მოგვიანებით, 1876 წელს სახვითი ხელოფნების ნაწარმოებებზეც გავრცელდა იგივე საკანონმდებლო დაცვა.³²⁰

საერთო სამართლის ქვეყნებში საავტორო სამართლის სპეციალური აქტებით არ არის დაცული ავტორის სახელის უფლება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ავტორის სახელის უფლება არასათანადო დონეზეა დაცული. ავტორის სახელის უფლების დაცვა ინგლისში XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. 1816 წელს საქმეზე, ლორდი ბაირონი ჯონსინის წინააღმდეგ

³¹⁹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 50.

³²⁰ Gezetz betreffend das Urheberrecht an Werken der Bildenden Künste. 9.01.1876§6. Line 4 ob. <http://de.wikisource.org/wiki/Gesetz,_betreffend_das_Urheberrecht_an_Werken_der_bildenden_K%C3%BCnste> {17.01.2014}.

სასამართლომ აკრძალა ლორდი ბაირონის სახელის გამოყენება იმ ლექსებზე, რომელიც მას არ შეუქმნია.³²¹ ინგლისში, ისევე როგორც საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში, სახელის უფლების დაცვა ხორციელდება დიფამაციისა და დელიქტური სამართლის იმ ნორმების მეშვეობით, რომელსაც ინგლისურენოვან ქვეყნებში ეწოდება passing-off. passing-off არის საერთო სამართლის დელიქტი, რომელიც ინგლისურ-ქართულ იურიდიულ ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული: შარლატანობა, გასაყიდი საქონლის გასასაღებლად მის პატრონად სხვა პირის დასახელება და ამ პირის რეპუტაციის გამოყენება³²² passing-off ძირითადად გამოიყენება სასაქონლო ნიშნებზე უფლების დასაცავად. იგი იცავს სასაქონლო ნიშნის მფლობელის გუდვილს, რეპუტაციას ხელყოფისაგან და ასევე კრძალავს მისი სახელით იმ საქონლით ვაჭრობას ან მომსახურების გაწევას, რომელიც მას არ ეკუთვნის. passing-off-ის პრინციპები გამოიყენება მაშინ, როდესაც ხდება შეუთანხმებელი გამოყენება პირის ბიზნესის, პროდუქტის ან პერსონალური ატრიბუტების დამახასიათებელი თავისებურებების, რაც იწვევს, საზოგადოებაში აღრევას, აშკარა ასოცირებას მოსარჩელისა და მოპასუხის, და საბოლოოდ, პირის გუდვილის შეღახვას.³²³

სახელის უფლების დაცვა ზოგიერთ შემთხვევაში არა ავტორის, არამედ საზოგადოების ინტერესების დაცვისთვისაც ხდება. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო საქმე, რომელიც შეეხებოდა მწერალ სტეფან კინგის სახელის გამოყენებას ფილმის სათაურში. კინო კომპანიამ, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა მწერალ სტეფან კინგთან, გადაიღო ფილმი სათაურით “სტეფან კინგის კაცი, რომელიც გაზონს კრეჭს”. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ფილმის ამგარი სათაური მომხმარებელს შეიყვანდა შეცდომაში, რომ სტეფან კინგს რაიმე კავშირი ჰქონდა ფილმთან ან იწონებდა მას. სასამართლომ აღნიშნა, რომ კინოკომპანიას მხოლოდ ასეთი მითითების უფლება ჰქონდა – ფილმი დაფუძნებულია სტეფან კინგის ნაწარმოებზე.³²⁴

საავტორო სამართლით დაცული სახელის უფლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ფსევდონიმი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ფსევდონიმთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ცალკე არ აწესრიგებს. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნება, რომ ფსევდონიმს საავტორო სამართლის ნორმები აწესრიგებს და, ამგარად, იგი არ რჩება სამართლებრივი რეგულირების სფეროს მიღმა.³²⁵ თუმცა მხოლოდ საავტორო სამართლით ფსევდონიმის რეგულირება, არ არის საკმარისი ფსევდონიმის უფლების სრულფასოვნად დაცვისათვის. კერძო,

³²¹ Lord Byron v. Johnson (1816) 2 Mer.29; 35E.R.851. იხ. International Encyclopedia of Comparative Law, Volume 11, Part 1, 1983, 59.

³²² ქოლინი, ინგლისურ-ქართულ იურიდიული განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2004, 410.

³²³ Jeremy/Firth, Introduction to Intellectual Property Law, New-York, 2005, 149-151.

³²⁴ Nemschoff, United States of America, A rose by any other Name the US. and Moral Rights, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEA 1995, Cannes, Netherland-Belgium, 1995, 169.

³²⁵ ჯანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 196.

საქართველოს კანონი ”საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” განამტკიცებს მხოლოდ ავტორისა და შემსრულებლის უფლებას ფსევდონიმზე. ფსევდონიმით კი, არა მხოლოდ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სარგებლობენ. ფსევდონიმი შეიძლება გააჩნდეს მაგალითად, ცნობილ სპორტსმენს თავისი საქმიანობიდან გამომდინარე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, სახელის უფლება სახელსა და გვარს მოიცავს, ანუ ამ შემთხვევაში ეს ნორმები არ შეიძლება გავრცელდეს ფსევდონიმზე. ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში, რომელიც პირად არაქონებრივ უფლებათა შორის სახელის უფლებასაც იცავს, არ არის დაკონკრეტებული სახელის ტარების ქვეშ მხოლოდ სახელი და გვარი იგულისხმება, თუ ფსევდონიმიც ფსევდონიმიც სახელია ოდონდ გამოგონილი. სამოქალაქო კოდექსის კომენტარში განმარტებულია, რომ ფსევდონიმი ნიშნავს გამოგონილი და არა სხვისი სახელით სარგებლობას.³²⁶ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში აღნიშნულია, რომ პირს მაშინ აქვს დაცვის უფლება, თუკი მისი ინტერესები იღავის მისი სახელით უნებართვო სარგებლობით. ფსევდონიმის მითვისებამ კი შესაძლოა, უფრო მეტად შელახოს პირის ინტერესი, ვიდრე სახელისა და გვარის უნებართვო მითვისებამ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ფსევდონიმი ლიტერატურული, მეცნიერული, მხატვრული ნაწარმოების ავტორის, და ასევე, შემსრულებლის დაცულია კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, ხოლო სხვა შემთხვევებში მის დასაცავად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

სამოქალაქო კოდექსით დაცულ სახელის უფლებისაგან განსხვავებით, ფსევდონიმის მოსაპოვებლად არ არის საჭირო რეგისტრაცია ან სხვა ფორმალობის შესრულება. ამ უფლების განხორციელება შეუძლია თავად ავტორს, ამასთან, მას უფლება აქვს სხვა პირს მოსთხოვოს ფსევდონიმის მითითება, მისი სამოქალაქო სახელის ნაცვლად.

იურიდიულ ლიტერატურაში განიხილება ფსევდონიმის მოპოვების სხვადასხვა ხერხები: ერთჯერადი გამოყენებით, ხანგრძლივი გამოყენებით, რეგისტრაციის გზით. საბჭოთა მეცნიერების მიერ შემოთავაზებული იყო მოსაზრება, რომ ამგვარი რეგისტრაცია დაწყებულიყო.³²⁷ იდეა ვერ განხორციელდა და იგი მისაღები ვერც ქართული საავტორო სამართლისათვის იქნება, ვინაიდან, ჩვენი ქვეყანა ბერნის კონვენციის წევრი ქვეყანაა და შესაბამისად, საავტორო უფლებებით სარგებლობა და მათი გამოყენება არ არის დაკავშირებული რაიმე ფორმალობის შესრულება.³²⁸

მართალია, ფსევდონიმის გამოყენება არ არის დაკავშირებული ფორმალობებთან, თუმცა მის არჩევასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეზღუდვები: მაგალითად, შვეიცარიის 1992 წლის 9 ოქტომბრის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ფედერალური კანონის“ 50-ე

³²⁶ ახლოედიანი/ზოიდეჭანგურია/ჯორგენაძე (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაზე, თბილისი, 1999, 52.

³²⁷ Ромоновская. Личные неимущественные права граждан СССР, Автореф. Дис., канд. Юрид. наук.

ციტირებულია: Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 209.

³²⁸ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია, მუხლი 5(2) იხ. <http://www.wipo.int/treaties/en/ip/berne/trtdocs_wo001.html>{17.01.2014}.

მუხლის თანახმად, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები არ შეიძლება გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ფსევდონიმით ან ხელმოწერით, თუკი მისი ავტორი იოლად შეიძლება აღრეული იყოს ადრე გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორთან.³²⁹

ფსევდონიმის არჩევასთან დაკავშირებული საკანონმდებლო შეზღუდვა შემდეგი მიზეზითაა განპირობებული: ფსევდონიმის უკან ყოველთვის დგას უკვე შექმნილი რეპუტაცია, რომელიც მორალურთან ერთად, გარკვეული კომერციული ღირებულების მატარებელიცაა. შესაბამისად, ავტორს, ცხადია, უფლება აქვს აუკრძალოს სხვა პირებს მისი ფსევდონომის გამოყენება. ფსევდონიმის “მითვისებასთან” დაკავშირებით, სასამართლოს მიმართა ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა მარკ ტვენმა, როდესაც მისი ფსევდონიმით სხვა ლიტერატორმაც დაიწყო ნაწარმოებების გამოცემა. შაქმეზე სამუელ კლემენტი ბელფორდის, კრალკი და კომპანიის წინააღმდეგ რომელიც 1882 წელს განიხილა აშშ-ს ილინოისის სასამართლომ მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ოცწლიანი მოდგაწეობის შედეგად ფსევდონიმი მარკ ტვენი ავტორის სავაჭრო ნიშნადაც კი იქცა. შესაბამისად, სხვა პირის მიერ წერილების, “სკეტჩების”, წიგნების ან სხვა ლიტერატორული ნაწარმოებების აღნიშნული ფსევდონიმით ბეჭდვა მისი ქონებით უნდართვო სარგებლობის ტოლფასია. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ფსევდონიმი არ არის უფრო მეტად დაცული, ვიდრე პირის სამოქალაქო ან ნათლობის სახელი და მისი გამოყენება ვერავის აუკრძალება, ხოლო ნორმები სავაჭრო ნიშნების შესახებ, არ ვრცელდება ლიტერატურულ საკუთრებაზე.³³⁰ ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი საუცუნის შემდეგ საკითხი რადიკალურად განსხვავებულად რეგულირდება საერთო სამართლის ქვეყნებშიც. მაგ., სამხრეთ უელსის უმაღლესმა სასამართლო დააკმაყოფილა ერთ-ერთი გაზეთის ყოფილი უურნალისტის მოთხოვნა აღნიშნული გაზეთის სხვა უურნალისტს შეეწყვიტა მისი ფსევდონიმით სტატიების გამოქვეყნება. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ უურნალისტმა მოასწრო ამ ფსევდონიმით საქმიანი რეპუტაციის შეძენა. აქედან გამომდინარე, თუ ამ ფსევდონიმით სხვა პირი განაგრძობდა საქმიანობას, ის არამართლზომიერად ისარგებლებდა ფსევდონიმით დამკვიდრებული რეპუტაციით.³³¹

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, აკრძალულია ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა ისეთი ფსევდონიმით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ადრე ხელმისაწვდომი ნაწარმოების ავტორთან გაიგივება, რამაც შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

³²⁹ Switzerland, Copyright and Neighbouring Rights, 9, October, 1992. ხელმისაწვდომია: <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=5223>> {17.01.2014}.

³³⁰ Samuel L. Clemens vs. Belford, Clarke & Company, ი.ხ.

<<http://www.twainquotes.com/CourtDecision.html>> {17.01.2014}.

³³¹ ქართული და ინგლისური საკუთრების სამართლი, თბილისი 2003, 53.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში არსებობს სხვა ტიპის შეზღუდვებიც, მაგალითად, რუსეთის სავტორო სამართლის მიხედვით, ფსევდონიმი არ უნდა არჩევნოდეს მორალის ნორმებს, არ უნდა ჰქონდეს შეურაცხმუფელი ხასიათი და არ უნდა იწვევდეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორს შეიძლება უარი ეთქვას მისი ფსევდონიმის დაცვაზე. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, ამგვარი ფსევდონიმის გამოყენება სამოქალაქო უფლებით ბოროტად სარგებლობაა.³³²

ფსევდონიმით შეიძლება რამდენიმე პირი ეწეოდეს ლიტერატურულ და სახელოვნობო საქმიანობას. მაგალითად, ფსევდონიმით კოზმა პრუტკოვი ნაწარმოებებს გამოსცემდნენ მმები ჟემზუნიკოვები და პოეტი ტოლსტიო. აქვე საინტერესოა განვიხილოთ არა კონკრეტული ფსევდონიმის არამედ ლიტერატურული ჯგუფის სახელი, რომელშიც გაერთიანებული არიან ხელოვანები და ლიტერატორები, მაგალითად, ცნობილ ქართველ პოეტთა გაერთიანება ”ცისფერყანწელები”. სავტორო სამართლის მიხედვით, ”ცისფერყანწელები” არ შეიძლება განხილული იყოს როგორც ფსევდონიმი, ვინაიდან იგი კონკრეტულ ფიზიკურ პირს არ ეკუთვნის, თუმცა უდავოა, რომ გაერთიანების სახელი დაცვას საჭიროებს. ფსევდონიმის დაცვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, არ მოხდეს ავტორთა აღრევა. ამავე მიზანს შეიძლება ეხმიანებოდეს ლიტერატურული, მხატვრული გაერთიანების სახელის დაცვა. ლიტერატურული გაერთიანების სახელი სამრეწველო საკუთრების სამართლით დაცულ კოლექტიურ ნიშანთან ავლენს მსგავსებას, რომლითაც მეწარმეები ერთიანდებიან და საერთო სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან. თუმცა, ლიტერატურული გაერთიანების სახელის დაცვა ვერ მოხდება ამ ნორმებით, ვინაიდან ადგილი არა აქვს სამეწარმეო საქმიანობას. ლიტერატურული გაერთიანების სახელის დაცვისათვის შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის გამოყენება. თუმცა, უმჯობესი იქნება კანონი “სავტორო და მომიჯნავე უფლებების” შესახებ ითვალისწინებდეს შესაბამის ნორმას.

სახელის უფლების ყველაზე ხშირ დარღვევას წარმოადგენს პლაგიატი. ნაწარმოების მითვისებისა და სხვისი სახელით გამოქვეყნების შემთხვევაში ირღვევა, როგორც ავტორობის, ასევე, სახელის უფლებაც. სახელის უფლების დარღვევას წარმოადგენს სახელის არასწორი მიკუთვნებაც, რაც სახელის უფლების პოზიტიური და ნეგატიური შინაარსიდან გამომდინარეობს.

სახელის უფლება მოიცავს ავტორის უფლებასაც, არ მიუთითოს ნაწარმოებზე საკუთარი სახელი, აქედან გამომდინარე, სახელის უფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს ავტორის ვინაობის გამხელა, თავად ავტორის თანხმობის გარეშე. არსებობს მოსაზრება, რომ ფსევდონიმის ქვეშ მოღვაწე ავტორის სახელი შეიძლება გამჭვიდვეს ცილისმწამებლურ ან შეურაცხმუფელ სტატიასთან მიმართებაში მხოლოდ სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევაში რედაქცია, ვალდებულია, არ გაამხილოს ავტორის

³³² Соловьев, Авторское Право, Москва, 2001, 23.

ფსევდონიმი.³³³ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ფსევდონიმის გამხელის შესაძლებლობას, მათ შორის, არც ცილისწამებასთან დაკავშირებით. ”სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად არ შეიძლება პირის იძულება, გამხილოს ანონიმური წყარო. რაც შეეხება ფსევდონიმის გამხელის ვალდებულებას, ამის შესახებ სპეციალური დანაწესი არ არსებობს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ცილისწამებისას ავტორის ვინაობის გამხელის აუცილებლობა არც დადგება, რადგან “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, მედიაში ცილისწამებისას საქმეების განხილვისას მოპასუხეა მედია საშუალების მესაკუთრე.

სახელის უფლების დაცვის საშუალებები ერთი და იგივეა სამოქალაქო სახელის დარღვევისა და საავტორო სამართლით დაცული პირადი არაქონებრივი უფლების სახელის უფლების დარღვევისათვის. მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე. უფლების დარღვევის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნა შეიძლება ქონებრივი ხასიათისა იყოს: მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. “საავტორო და მომიჯნავე უფლებების” შესახებ საქართველოს კანონის 59-ე მუხლში, ასევე, მითითებულია, თუ რა შეიძლება პირმა მოითხოვოს საავტორო უფლებათა დარღვევისათვის. აღნიშნული საშუალებები, ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელის დაცვის უფლების დარღვევის შემთხვევაშიც, კერძოდ: უფლების აღიარება; უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს; ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით; ზიანის ანაზღაურების ნაცვლად, იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო მისი უფლებების დარღვევის შედეგად; ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად, კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო; უფლების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

4.3 საერთო და განმასხვავებელი ნიშნები სახელის უფლებასა და ავტორობის უფლებას შორის

ავტორობისა და სახელის უფლებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი უფლების ქვეშაა გაერთიანებული კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართალში. საერთო სამართლის ქვეყნები ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს მხოლოდ სახითი ხელოვნების ნაწარმოებებზე ცნობენ და ამ ორ უფლებას ერთი ტერმინის ქვეშ აერთიანებენ- Right of Attribution - ნაწარმოების მიკუთვნების უფლება.³³⁴ საერთო სამართლის

³³³ Соловьев, Авторское Право, Москва, 2001, 22.

³³⁴ Sainsbury, Moral Rights and their Application in Australia, Marrickville, 2003, 47, 97-99.

ქვეყნების იურისტების განმარტების მიხედვით, აღნიშნული უფლება იცავს ავტორის ინტერესს, ნაწარმოების შესახებ არსებობდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია. იგი მოიცავს შემდეგ უფლებებს: ნაწარმოების ავტორობა; ავტორის უფლება აკრძალოს თავისი სახელის გამოყენება ნებისმიერი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებზე, რომელიც მას არ შეუქმნია; აკრძალოს თავისი სახელის მითითება მის მიერ შექმნილ იმ ნაწარმოებზე, რომლიც არის მოდიფიცირებული, შეცვლილი, ხელყოფილი, თუ ამით ილახება ავტორის პატივი და რეპუტაცია.³³⁵

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ავტორობის უფლება გულისხმობს ავტორად აღიარებასა და ასეთი აღიარების აღნიშვნას ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სახელის მითითების მოთხოვნის უფლების ჩათვლით. ხოლო სახელის უფლება ფსევდომინის აღნიშვნასა და სახელის გამოყენებაზე უარის თქმას ითვალისწინებს. (მე-17 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი) მე-17 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სახელის უფლება ავტორობის უფლების შემადგენელი ნაწილია. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ავტორობისა და სახელის უფლების ერთმანეთისაგან დაშორიშორება თეორიულადაც კი ხელოვნურ ხასიათს ატარებს. თუ სახელის უფლება გამოსაცალკევებული იყო, მაშინ ავტორის სამოქალაქო სახელის მითითებაც უნდა შესულიყო ამ უფლების ფარგლებში.³³⁶

მიუხედავად იმისა, რომ, მე-17 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელის უფლება ავტორობის უფლების შემადგენელ ნაწილად განიხილება, შესაძლებელია სახელის უფლება მაშინ იყოს დარღვეული, როდესაც სადაც არ არის ავტორობა და პირიქით ავტორობის უფლება დაირთვეს, მაშინ, როდესაც სახელი სწორადაა მითითებული. მაგალითად, შესაძლოა ავტორობა სადაც არ იყოს, მაგრამ სახელის აღნიშვნის გარკვეული წესის გამოყენებაზე ვერ თანხმდებიან ნაწარმოებზე ქონებრივი უფლების მფლობელი ან მისი მესაკუთრე და ავტორი. სწორედ აღნიშნულ საკითხს შეეხება სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც 1969 წელს მიიღო მიუნაცენის სასამართლომ. მოსაზრებელე იყო არქიტექტორი, რომელმაც მუნიციპალური ბიბლიოთეკისათვის ააშენა შენობა. მისი მოთხოვნა იყო, რომ შენობაზე 35 სმ 70 სმ, ყოფილიყო სტენდი მისი სახელის აღნიშვნით. ქალაქის მუნიციპალიტეტი ამ მოთხოვნას არ აღიარებდა შემდეგი არგუმენტით: ერთი მხრივ, შენობა არ აკმაყოფილებდა ხელოვნების ნიმუშის იმ კრიტერიუმებს, რომელზეც აუცილებელი იქნებოდა ავტორის ვინაობის მითითება და მეორე მხრივ, ინდუსტრიულ პრაქტიკაში არ იყო მიღებული არქიტექტორის სახელის აღნიშვნა შენობაზე. პირველი არგუმენტი სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული, რადგან სასამართლომ მის კომპეტენციად არ მიიჩნია დაედგინა საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოების სახელოვნობო/შემოქმედებითი ღირებულება. მეორე არგუმენტიან

³³⁵ Leaffer, Understanding Copyright Law, Fourth edition, LexisNexis Group, 2005, 382.

³³⁶ ქართული უფლებების კუთხით, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 201.

დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საინდუსტრიო პრაქტიკით ვერ შეიზღუდებოდა სავტორო უფლება აღნიშნულიყო ნაწარმოებზე ავტორის სახელი. ეს უფლება შეიძლება მხოლოდ შეიზღუდოს და დათმობილ იქნას კონტრაქტის საფუძველზე. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ ავტორის უფლება განსაზღვროს მისი სახელის გამოხატვის ფორმა, არ არის შეუზღუდავი. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მუნიციპალიტეტის ინტერესიც, რომ შესაძლებელი იყო ავტორის სახელი დაფიქსირებულიყო, უფრო თანამედროვე და ნაკლებად თვალში საცემი სახით, იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო ავტორის სახელის უფლება და არ შედასტულიყო მუნიციპალიტეტის ინტერესიც.³³⁷ შესაბამისად, სახელის უფლება კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს, ავტორის უფლებას, მხოლოდ სახელის გამოხატვის ფორმის არჩევაზე. ავტორმა შეიძლება ნაწარმოებზე მიუთითოს სახელი და გვარი სრულად, მხოლოდ სახელი ან ინიციალები. თუმცა თუკი მხოლოდ ინიციალებია მითითებული, ამ შემთხვევაში აღნიშნავნ, რომ ეს ნაწარმოები ანონიმურ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება.³³⁸

რას მოიცავს ავტორობის უფლება სახელის უფლების გარდა, და რა შემთხვევაში შეიძლება დარღვეული იყოს ავტორობის უფლება, როდესაც სახელი სწორადაა მითითებული? სწორედ ამ კითხვაზე არის გაცემული პასუხი კანადის სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხება ავტორობის უფლების პატივისცემას. 2003 წელს კანადის სასამართლომ განიხალა საქმე დოლმაგი ერსკინის წინააღმდეგ. მოსარჩევე იყო უნივერსიტეტის ლექტორი, რომელმაც მოამზადა თავისი სტუდენტებისათვის პრაქტიკული სწავლების სახელმძღვანელო და გამოსცა წიგნად. გამომცემელმა წიგნის ავტორის ნაცვლად მიუთითა, რომ წიგნი მომზადებული იყო დოლმაგის მიერ. სასამართლომ მიიჩნია, რომ სიტყვები „მომზადებულია მიერ“ და „ავტორია“ არ არის თანაბარი მნიშვნელობისა. ფრაზა, რომ ნაშრომი მომზადებულია ამა და ამ პიროვნების მიერ, არ მოიცავს მის ავტორობას და შესაძლოა, იგი მისი დვაწლის დაკნინებასაც ნიშნავდეს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დამცირებულ იქნა ავტორის მიერ შეტანილი წვლილი ნაწარმოებში და მოპასუხეს დააკისრა 3000 დოლარის გადახდა მოსარჩევის სასარგებლოდ.³³⁹ ამ შემთხვევაში სახელის უფლება არ დარღვეულა და არც პლაგიატს ჰქონია ადგილი. ნაწარმოებზე სწორედ იყო აღნიშნული იმ ადამიანის სახელი, ვინც შექმნა ნაწარმოები, თუმცა დაკნინებული იყო მისი როგორც ავტორის წვლილი.

ავტორობისა და სახელის უფლებას შორის განსხვავებას ამგვარად გამოხატავს გერმანელი მეცნიერი ადოლფ დიცი: ავტორობის უფლების, ავტორის კვალიფიკაციის პატივისცემას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორი რჩება ანონიმად ან სარგებლობს ფსევდონიმით და მაინც

³³⁷ Namensnennungsrecht des Architekten, (OLG Munich, 1969) GRUR 146_Signum auf Werkexemplaren. ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 50.

³³⁸ Соловьев, Авторское Право, Москва, 2001, 21.

³³⁹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 323.

ინარჩუნებს ავტორობის პატივისცემის უფლებას.³⁴⁰ ამ შემთხვევაში ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, ავტორი ოჩება ანონიმად, მაგრამ იყენებს სახელის უფლებას, ვინაიდან დარჩე ანონიმად, ესეც სახელის უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. ავტორობის უფლება უფრო ფართოა თავისი მასშტაბებით და მოიცავს ავტორის წვლილის, კვალიფიკაციის, ტიტულების ზუსტ აღნიშვნასა და ავტორის სურვილისამებრ მითითებას.

ავტორობის უფლება, პირველ რიგში, ავტორობის პატივისცემის უფლებას მოიცავს. ეს უფლება არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე ტიპის შეზღუდვას. რაც შეეხება სახელის აღნიშვნის უფლებას, იგი შეიძლება გარკვეული ტიპის შეზღუდვას დაექვემდებაროს, მაგალითად, როგორც ზემოთ აღნიშნულ მიუნხენის სასამართლოს გადაწყვეტილებაში, როდესაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და აღნიშნა, რომ სახელი უნდა დაფიქსირებულიყო თანამედროვე და ნაკლებად თვალში საცემი სახით. საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს სახელის უფლების შეზღუდვას. ამერიკის შეერთებული შტატების სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორთა აქტის მიხედვით, (ნაწილი 106 (c)(3) ეს უფლება არ ვრცელდება სახვითი ხელოვნების იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოდგენილია კომერციული მედიის მიერ მაგალითად, კინოსა და ჟურნალებში.³⁴¹ კომერციულ მედიასთან დაკავშირებით და, კერძოდ, რეკლამასთან დაკავშირებით, ეს შეზღუდვა შემდეგი ფაქტორით არის განპირობებული: ყოველი რეკლამის გაშვებისას რომ დაფიქსირდეს რეკლამის დამამზადებლის სახელი, ეს თავად რეკლამის დამამზადებელი პირისა თუ კომპანიის რეკლამადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში სახელის აღნიშვნის უფლება ეწინააღმდეგება სხვა პირის (ამ შემთხვევაში იმ მედია საშუალების) კომერციულ ინტერესებს. სახელის აღნიშვნის ფორმა, პერიოდულობა და საშუალება შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების საგანი, თუკი პროდუქციის გამოყენება ხდება ხდება კომერციული მიზნით. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მიზანშეწონილია, სახელის მითითების შესახებ ხელშეკრულებაში სპეციალურად იქნეს აღნიშნული. თუ ეს პირობა შესრულდება, მაშინ მხარეებს აღარ უქნებათ უფლება სხვაგვარად მოითხოვონ ავტორის სახელის აღნიშვნა.³⁴²

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორობის უფლება მოიცავს სახელის უფლებას და მათი გამიჯვნა ქართული კანონმდებლობით ხელოვნური ელფერის მატარებელია. მართებული იქნებოდა საქართველოს საავტორო სამართალი ითვალისწინებდეს ბერნის კონვენციისა და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების მიღომას და სახელის უფლების დაცვა ავტორობის უფლებასთან ერთად უნდა ხდებოდეს, ვინაიდან, საავტორო სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტი, ავტორი იცავს არა სამოქალაქო სახელს, არამედ როგორც შემოქმედის სახელს,

³⁴⁰ Diets, Das Droit Moral des urheber im neuen Französischen und Deutsch Urheberrecht, Munich, 1968, 117.

³⁴¹ Leaffer, Understanding Copyright Law, Fourth edition, LexisNexis Group, 2005, 382.

³⁴² ძაბუქაშვილი/შენგელია/გაბუნია / ხრუბეგალი/ჯორგეგაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 113.

როგორც თავისი ავტორობის შემადგენელ ელემენტს. მიზანშეწონილია საფრანგეთის ინტელექტუალური საკუთრების კოდექსის მსგავსად, ეს ორი უფლება ერთი ტერმინის „ავტორობის პატივისცემის უფლებაში“ ერთიანდებოდეს, ვინაიდან ავტორობის უფლების დაცვა სწორედ ავტორობის პატივისცემით ხორციელდება.

საქართველოს კანონი ”საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ მე-8 მუხლი შეიცავს დანაწესს იმ უფლებათა შესახებ, რომელზეც არ ვრცელდება საავტორო უფლებები. თუმცა ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, პიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები) ვრცელდება მხოლოდ სახელის უფლება, კერძოდ აღნიშნულ ნაწარმოებთა სხვის სახელით გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ავტორის სახელის უფლების დაცვა. მიზანშეწონილია, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ სახელის უფლების, არამედ ავტორობის უფლების დაცვაც ხორციელდებოდეს, ვინაიდან, დროშის, გერბის, პიმნის და სხვა ოფიციალური სიმბოლოების ავტორებს აქვთ არა მხოლოდ სახელის აღნიშნის, არამედ ავტორობის პატივისცემის დაცვის უფლებაც.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ იცავს ავტორის უფლებას, მიუთითოს ფსევდონიმი სახელის ნაცვლად ნაწარმოების ყოველი გამოყენებისას. (მუხლი 17.1.ა) თუმცა აღნიშნული უფლება ეხება მხოლოდ ფიზიკურ პირებს და არა ლიტერატურულ გაერთიანებათა სახელმწოდებას, მაგ., ცისფერყანწელები. ფსევდონიმის დაცვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია არ მოხდეს ავტორთა აღრევა. ამავე მიზანს შეიძლება ეხმიანებოდეს ლიტერატურული, მხატვრული გაერთიანების სახელის დაცვა. ლიტერატურული გაერთიანების სახელის დაცვისათვის შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე აპელირება, მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების უფლების დაცვა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის პრეროგატივად და იქ უნდა პოულობდეს ასახვას.

5. ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება

1886 წლის 9 სექტემბრის „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის“ ბერნის კონვენცია მე-6^{bis} მუხლით, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა რიცხვს მიაკუთვნებს და მონაწილე ქვეყნებისაგან მოითხოვს აღნიშნული უფლების დაცვას. საქართველოს კანონიც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-17 მუხლით იცავს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, რეპუტაციის პატივისცემის უფლებასთან ერთად.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, საავტორო უფლებებს შორის, უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. იგი იცავს ხელყოფისაგან ნაწარმოებს, რომელიც ავტორის პიროვნულობის გამოხატულებას წარმოადგენს. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, საავტორო

უფლებებს შორის, ავტორის ინდივიდუალობის დაცვისაკენ მიმართულ ყველაზე მნიშვნელოვან უფლებასაც უწოდებენ.³⁴³

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, ავტორის პირადი არაქონებრივი ინტერესების დაცვასთან ერთად, მიმართულია საზოგადოების ინტერესების დაცვისაკენ. საზოგადოების წევრებს უნდა პქონდეთ შესაძლებლობა იხილონ ნაწარმოები იმ სახით, რა სახითაც იგი ავტორმა შექმნა. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, ავტორის სხვა პირად არაქონებრივ უფლებებთან ერთად, იურიდიული მექანიზმსაც უწოდებენ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიზნებისათვის, მაგალითად, კულტურული ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის.³⁴⁴

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური განხორციელებისა და დაცვისათვის აუცილებელია, „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციასა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულ ტერმინთა სწორი განმარტება. ვინაიდან, საქართველოს საავტორო სამართალი ვითარდება ევროპულ სამართალთან პარმონიზაციის გზით, მიზანშეწონილია, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა როგორც ევროპული, ასევე საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

ნაშრომის ქვემოთ წარმოდგენილ თავში განხილული იქნება შემდეგი საკითხები: ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების განმარტება; ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა. კერძოდ, ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, თუ ცვლილება აუცილებლად უნდა ხელყოფდეს ავტორის პატივსა და რეპუტაციას; რა შემთხვევაში შეიძლება შეიღახოს ავტორის რეპუტაციის პატივისცემის უფლება და რა შეიძლება მივიჩნიოთ ავტორის მიერ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ბოროტად გამოყენებად; ექვემდებარება თუ არა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება შეზღუდვებს და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისას, რომელ უფლებებთანაა ყვალაზე პრობლემატური სამართლიანი ბალანსის დადგენა.

5.1. ნაწარმოების ხელშეუხებლობის, რეპუტაციის დაცვისა და ნაწარმოებზე სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვის უფლება

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები იცავს ავტორის პირად და ინტელექტუალურ ინტერესს, დაკავშირებულს ნაწარმოებთან. პირად არაქონებრივ უფლებათა ნაწილი ავტორს აძლევს საშუალებას, დაიცვას ნაწარმოების ფიზიკური ერთიანობა, აკრძალოს ნაწარმოების დამახინჯება, გადაკეთება, მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, აკონტროლოს, თუ რა

³⁴³ Sterling, Creators Right and the Bridge Between Author's Right and Copyright, IIC 03/1998, 306.

³⁴⁴ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006,169.

სახით იხილავს საზოგადოება მის ნაწარმოებს, კერძოდ, რომელი ილუსტრაციის, წინასიტყვაობის, ბოლოსიტყვაობის და ნაწარმოების დართვით. სწორედ ამ ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დაცული უფლებები: რეპუტაციის პატივისცემის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება და ავტორის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები. აღნიშნული უფლებები იცავს ავტორის ინტერესს, დაკავშირებულს ნაწარმოების აღქმასა და მის დაცვასთან.

„ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მე-6^{bis} მუხლში ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას განმარტებულია, როგორც ავტორის უფლება შედავებაზე, გარკვეულ ცვლილებებსა და სხვა დამრღვევ ქმედებებთან დაკავშირებით. კერძოდ, ავტორს უფლება აქვს, წინ აღუდგეს ნაწარმოების ნებისმიერ გაუკულმართებას, დამახინჯებას, ან სხვაგვარ ცვლილებას, ასევე ამ ნაწარმოების ნებისმიერ სხვა შელახვას, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ავტორის დირსებას ან რეპუტაციას.

„ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციასთან ერთად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება საერთაშორისო დონეზე დაცულია 1846 წლის ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების საერთაშორისო ამერიკული კონვენციით, რომლის მე-11 მუხლის თანახმად, ავტორს აქვს უფლება, დაიცვას ნაწარმოები ნებისმიერი მოდიფიცირების ან გამოყენებისაგან, რომელსაც შეუძლია შელახოს ავტორის რეპუტაცია.³⁴⁵ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება დაცულია როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე საერთო სამართლის ქვეყნების საავტორო სამართლით. საერთო სამართლის ქვეყნები, რომლებიც სკამპიკურად არიან განწყობილი ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების საავტორო სამართლით დაცვის მიმართ, ნაწარმოებზე ავტორის ხელშეუხებლობის უფლებას შეზღუდული სახით, თუმცა მაინც ადიარებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფედერალური კანონით ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება მხოლოდ 1991 წელს იქნა დაცული სახითი ხელოვნების ნაწარმოებებზე.³⁴⁶ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური კანონის მიღებამდე სახითი ხელოვნების ნაწარმოებებზე ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდებოდა ზოგიერთი შტატის კანონმდებლობის მიხედვით, მაგ., ნიუ-იორკის, კალიფორნიის, მასაჩუსეტის და ლუიზიანას შტატების კანონმდებლობით. კალიფორნიის შტატის კანონის მიხედვით, აკრძალული იყო ნაწარმოების ფიზიკური ხელყოფა და დამახინჯება. ავტორს შეძლო

³⁴⁵ „ლიტერატურის, მეცნიერებისა და მხატვრული ნაწარმოების ავტორთა უფლებების საერთაშორისო ამერიკული კონვენცია“, მიღებულია 1946 წლის 22 ივნისს.

ხელმისაწვდომია: <<http://www.oas.org/juridico/english/sigs/b-28.html>> {17.01.2014}.

³⁴⁶ USA. The Visual Artists Rights Act of 1990. ხელმისაწვდომია:

<<http://www.law.cornell.edu/uscode/text/17/106A>> {17.01.2014}.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დათმობა მხოლოდ წერილობითი ფორმით. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება დაცული იყო ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. ნიუ იორკის შტატის კანონმდებლობის მიხედვით, აკრძალული იყო გადაკეთებული, შეცვლილი ნაწარმოების საჯარო გამოფენა და რეპროდუცირება, თუკი ამგარი გამოფენა ხელყოფდა ავტორის რეპუტაციას.³⁴⁷

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების განხილვა უკროპულმა სასამართლოებმა მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყეს. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, ისევე როგორც სხვა საავტორო უფლებები, პირველ რიგში ლიტერატურულ ნაწარმოებებზე გავრცელდა. აღნიშნული უფლება ყველაზე ხშირად ირღვეოდა გამომცემელთა ხელში. 1804 წელს საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ რედაქტორის მიერ ავტორის თანხმობის გარეშე სარედაქციო ცვლილებების შეტანა და ნაწარმოების მოდიფიცირება წარმოადგენს ლიტერატურულ საკუთრებაზე საავტორო უფლების დარღვევას.³⁴⁸ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვასთან ერთად, აუცილებელი გახდა ერთმანეთისაგან მყაცრად გამიჯნულიყო ავტორის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები. ავტორს მიეცა უფლება სასამართლოსთვის მიემართა გამომცემლის ან იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც გადასცა ეკონომიკური უფლებები, თუკი აღნიშნული პირები ნაწარმოების გადაკეთებას მოინდომებდნენ ავტორის ნებართვის გარეშე.³⁴⁹

საერთო სამართლის ქვეყნებში ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა მოგვიანებით XX საუკუნის მიწურულიდან განხორციელდა. თავდაპირველად სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში დაიწყო მსჯელობა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის აუცილებლობაზე და მხოლოდ მოგვიანებით განხორციელდა კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები. მე-19 საუკუნის ბოლოს, 1880-1881 წლებში კანადაში ბარისტერმა მიგნაუტმა გამოაქვეყნა სტატიების სერია, რომელშიც ხაზს უსვამდა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის აუცილებლობას. მიგნაუტი მიიჩნევდა, რომ არავის უნდა პქონოდა უფლება, ცვლილება შეეტანა ნაწარმოებში, მის სათაურში, გამომცემლებს არ უნდა პქონოდათ უფლება, დაემახინჯებინათ ნაწარმოები.³⁵⁰ 1911 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე, მოღანი ლესეს წინააღმდეგ კანადის უზნაესმა სასამართლომ აღნიშნა: არავის და მათ შორის, არც გამომცემელს აქვს უფლება აუკრძალოს ავტორს ცვლილებები შეიტანოს საკუთარ ნაწარმოებში. სხვა საავტორო უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორი ინარჩუნებს უფლებას თავისი გონების ნაყოფის ხელშეუხებლობაზე. ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიზღუდოს

³⁴⁷ Leaffer, Understanding Copyright Law, Fourth edition, LexisNexis Group, 2005, 379.

³⁴⁸ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 56.

³⁴⁹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 54.

³⁵⁰ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 292.

აღნიშნული უფლება. ხელშეკრულების ინტერპრეტირება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით.³⁵¹ კანადაში ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა საავტორო სამართალზე ადრე განხორციელდა სამართლის სხვა დარგებით, მაგ., 1928 წელს, მაშინ, როდესაც კანადაში სამოქალაქო სამართლით ჯერ კიდევ არ იყო დაცული ავტორის მორალური უფლებები, სისხლის სამართლით დასჯადი იყო დრამატულ ან მუსიკალურ ნაწარმოებში ცვლილების შეტანა და მისი მოდიფიცირებული სახით წარდგენა საზოგადოებისათვის.³⁵²

იურიდიულ დიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ავტორის პირად არაქონებრივთან ერთად, მის ეკონომიკურ ინტერესებსაც იცავს. გერმანელი მეცნიერი აღოღვე დიცის აზრით, უფლება, აკრძალოს ნაწარმოებში ცვლილებების შეტანა და მისი დამახინჯება, ემსახურება ერთი მხრივ, ავტორის პირად ინტერესს – დატოვოს ნაწარმოები შეუცვლელი და მეორეს მხრივ მის ფინანსურ ინტერესს – აკრძალოს მისი ნაშრომის გამოყენება ცვლილებებით, დამახინჯებით და დაზიანებით.³⁵³

იურიდიულ დიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა ერთგარ წინააღმდეგობაშიც კი მოდის ნაწარმოების გადამუშავების ქონებრივ უფლებასთან. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა აფერხებს ხელოვნების პროგრესს, ვინაიდან მორალური უფლებების ძალით, ავტორი მოიპოვებს უფლებას, აკრძალოლოს არა მხოლოდ ნაწარმოების გამოყენება, არამედ მისი მნიშვნელობის, კონტექსტის გაგებაც, რაც ხელს უშლის სხვა ხელოვანთა მიერ ნაწარმოების საფუძველზე ახალი ნაწარმოების შექმნას კონტექსტისა და მნიშვნელობის შეცვლით.³⁵⁴ აღნიშნული არგუმენტის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები არათუ ხელს უშლის, არამედ პირიქით, იცავს კიდეც საზოგადოების კულტურულ ინტერესებს, ვინაიდან ახალი ნაწარმოების შექმნა არ უნდა ხდებოდეს არსებული ნაწარმოების დამახინჯების და ავტორის რეპუტაციის შედახვის საფუძველზე. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების მიზანია არა მხოლოდ ავტორის, არამედ საზოგადოების ინტერესების დაცვა. იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არსებობენ ავტორი და მისი მემკვიდრეები, კანონი იცავს ნაწარმოებზე ხელშეუხებლობის უფლებას, რათა საზოგადოებამ შეძლოს იხილოს ნაწარმოები შეუცვლელი სახით.

³⁵¹ Morang v Lesueur 1911. ხელმისაწვდომია: Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 292.

³⁵² Leaffer, Understanding Copyright Law, Fourth edition, LexisNexis Group, 2005, 294.

³⁵³ Dietz, Copyright Law in the European community, Netherland, 1978, 67.

³⁵⁴ Loughlan, Moral rights (a view from the town square), Media and Art, Law review. Vol.5.No 1. March, 2000,11.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების „შესახებ“ საქართველოს კანონისმე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი განამტკიცებს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას ანუ ავტორის უფლებას, ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელშოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას. მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით ასევე, დაცულია ავტორის რეპუტაციის უფლება, ანუ უფლება დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. კანონის მე-17 მუხლში ფორმულირებული ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება იცავს ნაწარმოებს ავტორის ნებართვის გარეშე მოდიფიცირებისაგან, შესაბამისად, ისინი მხოლოდ ერთად უნდა იყოს შესწავლილი. კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, ასევე, დაცულია ავტორის უფლება ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოების სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასთან კავშირში უნდა იყოს შესწავლილი, ვინაიდან ნაწარმოების სრულფასოვანი აღქმა მხოლოდ მის შემადგენელ ნაწილებთან, იმ სივრცესთან ერთიანობაში ხდება, რომელშიც ნაწარმოები არსებობს ობიექტური ფორმით.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის, რეპუტაციის პატივისცემისა და ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლება დაკავშირებულია ნაწარმოების აღქმასთან და ხელშეუხებლობის დაცვასთან. შესაბამისად, სამივე უფლება ერთმანეთთან ურთიერთკავშირში იქნება განხილული ნაშრომის ქვემოთ წარმოდგენილ თავში.

5.1.1. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მიხედვით

1886 წლის 9 სექტემბრის „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის“ ბერნის კონვენციის მე-6^{bis} მუხლი განამტკიცებს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას: ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად, და აღნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი, ავტორს აქვს უფლება, მოითხოვოს ნაწარმოების ავტორად აღიარება და წინ აღუდგეს ამ ნაწარმოების ნებისმიერ გაუცემართებას, დამახინჯებას ან სხვაგვარ ცვლილებას, ასევე, ამ ნაწარმოების ნებისმიერ სხვა შელახვას, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას.

ბერნის კონვენციის ოფიციალურ ქართულ თარგმანში სიტყვა distortion თარგმნილია, როგორც ნებისმიერი გაუცემართება, ხოლო mutilation როგორც დამახინჯება. კონვენციის ნორმების განმარტებისას სასურველია გამოვიყენოთ ინგლეშტულური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სააგრორო და მომიჯნავე უფლებათა ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, რომლილ მიხედვით: distortion–ნიშნავს ნაწარმოების ნამდვილი

მნიშვნელობის ან გამოხატვის ფორმის დამახინჯებას.³⁵⁵ მიუნკენის საპელაციო სასამართლომ, 1986 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში შემდეგნაირად განმარტა ტერმინი „distortion“: ნაწარმოების არსობრივი თავისებურების დამახინჯება ან ფალსიფიცირება. მაგალითად, სცენარის შემთხვევაში, ატმოსფეროს ან სიუჟეტის შეცვლა, ვერბალურ და მუსიკალურ ნაწარმოებებში, ნაწარმოების ძირითადი არსის შეცვლა, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში მისი ნაწილის შეცვლა ან ნაწარმოებზე ახალი ნახატის დამატება.³⁵⁶ ამგვარად, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ტერმინების განმარტებითი ლექსიკონისა და ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „distortion“ ნიშნავს ნაწარმოების ნამდვილი მნიშვნელობის (ძირითადი არსისა) და ფორმის დამახინჯებას.

ბერნის კონვენციის ქართულ ვარიანტში *mutilation* ნათარგმნია, როგორც დამახინჯება. თუმცა ამ ტერმინს უფრო კონკრეტული მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე, ზოგადად, ნაწარმოების დამახინჯებას ნიშნავს. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ტერმინების განმარტებით ლექსიკონში „mutilation“ განმარტებულია როგორც: ნაწარმოების ნებისმიერი ცვლილება მისი ნაწილის წაშლით ან განადგურებით.³⁵⁷ ნუ, ამ შემთხვევაში ნაწარმოების ფიზიკური ერთიანობის სახეცვლილებას, დამახინჯებას კრძალავს კონვენცია, და არა, ზოგადად დამახინჯებას, როგორც ეს კონვენციის ქართულ თარგმანშია მოცემული.

„other modification“ ქართულად თარგმნილია, როგორც სხვა ცვლილება. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ტერმინების განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ტერმინი განმარტებულია როგორც, ნაწარმოების ნებისმიერი ცვლილება.³⁵⁸ მიზანშეწონილია ქართულ თარგმანშიც იყოს ხაზგასმული, რომ ნებისმიერი სახის ცვლილებაზეა საუბარი.

ბერნის კონვენციის ოფიციალურ თარგმანში ასევე არაზუსტადაა თარგმნილი პირის პატივი. ნაცვლად ბერნის კონვენციის ორიგინალისა, რომელიც იცავს ავტორს პატივის შემლახველი მოქმედებისაგან, ქართულ თარგმანში პატივი ლირსებითაა შეცვლილი. honor ნათარგმნია, როგორც ლირსება. Honor ნიშნავს პატივს, ხოლო ლირსება აღინიშნება ინგლისური სიტყვით Dignity. მაგ., In honour ითარგმნება პატივისცემის ნიშნად, ხოლო Military honours ნიშნავს სამხედრო პატივს.³⁵⁹ ლირსება კი აღინიშნება

³⁵⁵ Distortion of work- the deformation of the true meaning or form of expression of a work. ob. WIPO Glossary of Terms of the law of Copyright and Neighbouring Rights, WIPO Publication No. 827(EFR), 1981, 82.

³⁵⁶ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 242.

³⁵⁷ Mutilation of a work – any changes made in a work by deleting or destroying a part or it. ob. WIPO Glossary of Terms of the law of Copyright and Neighbouring Rights, WIPO Publication No. 827(EFR), 1981, 162.

³⁵⁸ Modification of a work-any alteration of a work.ix. WIPO Glossary of Terms of the law of Copyright and Neighbouring Rights, WIPO Publication No. 827(EFR), 1981, 209.

³⁵⁹ გვარჯალაძე/გვარჯალაძე, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, 1997, 437.

სიტყვით Dignity. მაგ. To stand (up) on ones dignity ნიშნავს თავის დირსეულად დაჭერას.³⁶⁰ ანალოგიურად განიმარტება აღნიშნული სიტყვები ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში, რომლის მიხედვითაც, Dignity ნიშნავს **достоинство** ცუვство, собственного достоинства,³⁶¹ ხოლო honour განიმარტება როგორც – честь, хорошая репутация, добroe имя.³⁶²

პატივისა და დირსებას შორის განსხვავების დადგენა და მათი გამიჯვნა აუცილებელია იურიდიული მეცნიერებისთვის. მაგ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პირის, როგორც პატივს, ასევე დირსებას. კანონის კომენტარში კი განმარტებულია: პატივი პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ, დირსების ქვეშ კი იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თავად პიროვნების მიერ.³⁶³ ამ მნიშვნელოვანი განსხვავების გათვალისწინებით, უნდა გასწორდეს თარგმანში დაშვებული შეცდომა და განისაზღვროს, რომ ბერნის კონვენციით დაცულია ნაწარმოების ნებისმიერი ისეთი შელახვა, რომელიც ხელყოფს ავტორის პატივს (საზოგადოებრივ შეფასებას) და არა დირსებას (თვითშეფასებას).

„ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის დღეისათვის მიერთებულია 164 ქვეყანა.³⁶⁴ თითოეულ ამ ქვეყანას საკანონმდებლო ძალით აქვს დაცული აღნიშნული უფლება, რაც ინგლისურენოვან ქვეყნებში გამოხატულია ტერმინით right of integrity. საქართველოს კანონმდებლობაში აღნიშნულ უფლებას ეწოდება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.³⁶⁵ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამ უფლებას, შინაარსიდან გამომდინარე, უფრო სრულად ესადაგება ტერმინი “ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება” ვიდრე “ნაწარმოების მთლიანობის უფლება”, რომელიც კონვენციის ტექსტში გამოყენებული, ინგლისური ტერმინის right of integrity სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის პირდაპირი თარგმანია.³⁶⁶ აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების ერთიანობის/მთლიანობის დარღვევა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ხელშეუხებლობა, ვინაიდან უფლების ძალით დაცულია არა მხოლოდ ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევა და მასში ცვლილების შეტანა, არამედ ნაწარმოების იმგვარად გამოყენება,

³⁶⁰ იქვე გვ. 250.

³⁶¹ Mioller, Англо-Русский Словарь. Москва 1992, 202.

³⁶² იქვე გვ. 343.

³⁶³ ავღლედიანი/ზოდე/ჭანტურია/ჯორბენაძე (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაზი, თბილისი, 1999, 60.

³⁶⁴ ქვეყნების ჩამონათვალი იხ. ინტელექტუალური საკუთრების მხოლოდიმო თრგანიზაციის ინტერნეტ საიტზე:

<http://www.wipo.int/treaties/en>ShowResults.jsp?lang=en&treaty_id=15> {17.01.2014}.

³⁶⁵ საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 17(1)(დ).

³⁶⁶ ძალაშია შვილი, ინტელექტუალური საკუთრება, თბილისი, 2006, 205.

რომელიც მისი ძირითადი არსისა და სულის მთლიანობის დარღვევას გამოიწვევს. 1886 წელს მიღებულ საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი მთავარ საერთაშორისო აქტს, „ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენციის “მე-6^{bis} მუხლს, რომელიც შექმნა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, მოგვიანებით, მხოლოდ 1948 წელს, ბრიუსელის რევიზიის შემდეგ დაემატა ისეთი სიტყვები, როგორიცაა სხვა უფლების შემლახველი ქმედება - other derogatory action. ამგვარად, კონვენციამ გააფართოვა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ცნება და ამომწურავად არ განსაზღვრა, თუ რომელი უფლების შემლახავი ქმედება ხელყოფს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას.

ბერნის კონვენციის ბრიუსელის რევიზიის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, 1949 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში, საქმეზე შოსტაკოვიჩი კორპორაცია თვენთიზ ფოქს ფილმის წინააღმდეგ, აღნიშნულია, რომ: ნაწარმოების მთლიანობის უფლება ირღვევა არა მხოლოდ მასზე განხორციელებული ცვლილებით, არამედ მისი არასათანადო გამოყენებითაც. რუსი კომპიზიტორი შოსტაკოვიჩი ასახივრებდა მისი ნაწარმოების გამოყენებას ამერიკულ ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტურ ფილმში, ვინაიდან ფილმის პოლიტიკური პოზიცია ეწინააღმდეგებოდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს. შოსტაკოვიჩის სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში დარღვეული იყო ფილმის იდეური მთლიანობა.³⁶⁷

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ იზიარებს ბერნის კონვენციის ძირითად პრინციპებს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა და, მათ შორის, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის თვალსაზრისით. უფლებათა ეფექტური დაცვისა და სასამართლო პრაქტიკის სწორად განვითარებისათვის, აუცილებელია საერთაშორისო საავტორო სამართლით აღიარებულ ტერმინთა სწორი თარგმნა, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ტერმინთა განმარტებაზე და ეკროპულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

5.1.2. პატივის, ლირსებისა და საქმიანი რეპუტაციის მნიშვნელობა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისას

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევით უშალოდ ნაწარმოებზე ხდება ზემოქმედება და შესაბამისად, ილახება ავტორის ინტერესი, დაკავშირებული მის ნაშრომთან. ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევამ შესაძლოა, ავტორის პატივისა და რეპუტაციის ხელყოფაც გამოიწვიოს. იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ავტორის შემოქმედებასთან დაკავშირებულ, და პიროვნულ რეპუტაციას.³⁶⁸

³⁶⁷ Shostakovich v Twentieth Fox Film. Corp. 196 Misc. 67(1948) n.b. Loughlan, Patricia, Moral rights (a view from the town square), Media and Art, Law review. Vol.5.No 1. March, 2000, 5.

³⁶⁸ Vaver, Authors' moral rights in Canada, in IIC No 03/1983, 14.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით რეპუტაციის პატივისცემის უფლება ყოველთვის დაკავშირებულია არა მხოლოდ ავტორის შემოქმედებასთან, არამედ კონკრეტულ ნაწარმოებთან. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, ავტორს უფლება აქვს დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, დირსება ან საქმიანი რეპუტაცია. (რეპუტაციის პატივისცემის უფლება). იმ შემთხვევაში, თუკი ილახება მწერლის რეპუტაცია არა კონკრეტულ ნაწარმოებთან, არამედ მთელ მის შემოქმედებასთან დაკავშირებით, მწერალმა უნდა დაიცვას რეპუტაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18-ე მუხლით, რომლითაც დაცულია ნებისმიერი პირის პატივი, დირსება და საქმიანი რეპუტაცია. მაგ., თუკი ავტორს ცილს დასწამებენ, რომ მთელი მისი შემოქმედება არის პლაგიატი, მან საკუთარი უფლებების დასაცავად სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი უნდა გამოიყენოს, ვინაიდან რეპუტაციის შელახვა არ უკავშირდება კონკრეტული ნაწარმოების დამახინჯებას.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევის დადგენისას, პრობლემატურია შემდეგი საკითხი: ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, თუ ცვლილება აუცილებლად უნდა ლახავდეს ავტორის პატივსა და რეპუტაციას? აღნიშნული საკითხის კვლევისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ ინტერესზე, რომელიც ავტორს გააჩნია საკუთარ ნაშრომთან. კონცეფტუალური განსხვავებაა ნაწარმოებთან დაკავშირებულ ავტორის პირადსა და ინტელექტუალურ ინტერესებს შორის. პირადი ინტერესი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პრესტიჟისა და რეპუტაციის ინტერესი. ხოლო ინტელექტუალური ინტერესია ავტორის ინტერესი დაკავშირებული ნაწარმოების ბერთან. გერმანიის საავტორო სამართალში ყველაზე მკაფიოდად ხაზგასმული ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორის ორი განსხვავებული ინტერესი. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ გერმანიის კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, ავტორს გააჩნია ნაწარმოების მიმართ ინტელექტუალური და პირადი ინტერესი.³⁶⁹ გერმანელ იურისტთა განმარტებით, ინტელექტუალური ინტერესი (geistige) წარმოადგენს ინტერესს, დაკავშირებულს ობიექტთან (objektbezogen) ანუ ნაშრომთან და მის გამოყენებასთან. იგი შეიძლება ხელყოფილი იყოს მაშინაც, როდესაც არ ილახება ავტორის პირადი ინტერესი, მაგ., ნაწარმოების განადგურებით არ ილახება ავტორის რეპუტაცია, მაგრამ ირღვევა მისი ინტელექტუალური ინტერესი.³⁷⁰ ამგარად, გერმანიის საავტორო სამართალი იცავს ნაწარმოების ხელშეუხებლობას, თუკი ამით ილახება ავტორის პირადი ან ინტელექტუალურ ინტერესი.

³⁶⁹ (Urheberrechtsgesetz). 9 September, 1965. ხელმისაწვდომია:

<<http://transpatent.com/gesetze/urhg.html>> [16.01.2014].

³⁷⁰ Ulmer, Urheber- und Verlagsrecht, 3rd edn, Berlin, 1980. ციტირებულია: Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 223.

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნაწარმოები უნდა იყოს დაცული ნებისმიერი ცვლილებისაგან იმ შემთხვევაშიც, თუკი ამ ცვლილებით არათუ კნინდება, არამედ იმატებს ნაწარმოების ღირებულება.³⁷¹

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება კონტინენტური ევროპის ყველა ქვეყნის საავტორო სამართლითაა დაცული, თუმცა არ არსებობს ერთიანი მიდგომა, თუ ავტორის რომელი ინტერესის შელახვის შემთხვევაში მიიჩნევა უფლება დარღვეულად. აღნიშნული ნიშნით ბერნის კონვენციის წევრი ქვეყნები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა უნდა ლახავდეს ავტორის პიროვნულ ან ინტელექტუალურ ინტერესებს;³⁷² ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა დამოკიდებულია ავტორის პატივისა და რეპუტაციის შელახვაზე;³⁷³ ნაწარმოების ხელშეუხებლობა დაცულია მიუხედავად იმისა, დარღვეულია თუ არა ავტორის პატივი და რეპუტაცია.³⁷⁴

საფრანგეთის საავტორო სამართლში ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება აბსოლუტური დაცვით სარგებლობს და ნაწარმოების ნებისმიერი მოდიფიცირება მიიჩნევა აღნიშნული უფლების დარღვევად. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის განხილვისას, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება დროთა განმავლობაში განიცდიდა ტრანსფორმირებას. მაგალითად, თუკი 1900 წლის სასამართლო გადაწყვეტილებაში ყურადღების გამახვილება ხდება ავტორის რეპუტაციაზე,³⁷⁵ სამი ათეული წლის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებში ფრანგული სასამართლოები შემდეგნაირად განმარტავენ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას: განუყოფელი, პიროვნული უფლება, რომელიც ეკუთვნის შემოქმედს და იცავს როგორც ნაწარმოების მთლიანობას ნებისმიერი ჩარევისაგან, რომელიც ხელყოფს ავტორის პატივსა და სახელს, ასევე კრძალავს ნაწარმოების ნებისმიერი სახით ბოროტად გამოყენებას და

³⁷¹ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 215.

³⁷² მაგ., (Urheberrechtsgesetz). 9 September, 1965. ხელმისაწვდომია:

<<http://transpatent.com/gesetze/urhg.html>> [16.01.2014]

³⁷³ მაგ., დანიის საავტორო სამართლის კანონი, მუხლი 3. ის.

<http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=191420> [16.01.2014]; იტალიის 1941 წლის 22

აპრილის კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ, მუხლი მე-120 ის.

<http://portal.unesco.org/culture/en/files/30289/11419173013it_copyright_2003_en.pdf/it_copyright_2003_en.pdf> [16.01.2014]; , ლუქსენბურგი 2001 წლის 18 აპრილის კანონი „საავტორო, მომიჯნავე უფლებების და მონაცმეთა ბაზის დაცვის შესახებ“ მუხლი მე-9 ის.

<<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=2932>> [16.01.2014];

³⁷⁴ მაგ., საფრანგეთის ინტელექტუალური საკუთრების კოდექსი, მუხლი 121. ის.,

<<http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006069414>> [16.01.2014];

ბელგიის 1994 წლის 30 ივნისის კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი მე-8 ის. <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=403>> [16.01.2014].

³⁷⁵ Agnés dit A Sorel c Fayard frères, Trib civ Seine, 16 December 1899, D 1900.2. 152 ი. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 223.

შემოქმედებითი ნაფიქრის დეფორმაციას.³⁷⁶ საფრანგეთის სასამართლო გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება აბსოლუტური უფლებაა, რომელიც იცავს ნაწარმოებს ნებისმიერი გადაკეთების, მოდიფიცირების, კორექტირებისა ან დამატებისაგან, რომელიც ახდენს ავტორის აზრების დენატურალიზებას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მცირე მასშტაბისაა ნაწარმოებში განხორციელებული ცვლილება.³⁷⁷ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XXI საუკუნეში ფრანგულმა სასამართლოებმა კიდევ უფრო გააფართოვეს ნაწარმოების ხელშეუხებლობის ცნება და 2006 წლის 5 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ნებისმიერი მოდიფიცირება, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, რომელიც განხორციელდა ინტელექტუალურ ნაშრომზე, არღვევს ავტორის უფლებას ნაწარმოების ხელშეუხებლობაზე.³⁷⁸

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის ჩამოყალიბებული მკაფიო პოზიცია, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად მხოლოდ ნაწარმოების იმგვარი ცვლილება მიიჩნევა, რომელიც ავტორის რეპუტაციას ან სხვა ინტერესს შელახავს თუ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება სარგებლობს აბსოლუტური დაცვით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ნაწარმოების მთლიანობას ორი დამოუკიდებელი უფლებით იცავს: ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებით. მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად: ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებაა, ნება დართოს სხვა პირებს შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება). ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კი, ავტორს უფლება აქვს, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება). შესაბამისად, კანონის მე-17 მუხლის თანახმად, ავტორს უფლება აქვს წინ აღუდგეს ნაწარმოებში ცვლილების შეტანას და არაა ვალდებული ამტკიცოს, რომ ეს ცვლილება მის პატივს, რეპუტაციის ან სხვა ინტერესებს შელახავს („დ“ ქვეპუნქტი), ხოლო მას შემდეგ, რაც უკვე მოხდება ნაწარმოების დამახინჯება ან მისი ხელყოფა, ავტორს დაცვის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოეშობა, თუ დაამტკიცებს, რომ აღნიშნული ცვლილებით მისი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შეილახა („ე“ ქვეპუნქტი). კანონის მე-17 მუხლის

³⁷⁶ Cappiello c Métais, Dupuy, Leprince et la Société du Chocolat Poulain, Paris, 20 March 1928, Gaz Pal 1928.1.786 ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 57.

³⁷⁷ Dlle Chasles c Dlle Soutzo, Trib civ Seine, 17 February 1926, Gaz 1926.1. 797. ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 57.

³⁷⁸ Revue internationale du Droit D'auteur (RIDA) January 2007, 358.

სხვადასხვა პუნქტებში („დ“ და „ე“ ქვეპუნქტში) აღნიშნული ტერმინები: ნაწარმოებში ცვლილების შეტანა, მისი დამახინჯება და მისი ხელყოფა, ერთი და იმავე მნიშვნელობისაა. ნაწარმოების დამახინჯება და მისი ხელყოფა თავისთავად ნიშნავს, რომ ნაწარმოებში ცვლილებაა შეტანილი. ხოლო თუკი ნაწარმოებში ცვლილებაა შეტანილი და იგი დამახინჯებულია, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ნაწარმოები ხელყოფილია. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია მოსაზრება, რომ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში კანონმდებლი ნაწარმოებზე განხორციელებულ სხვადასხვა ობიექტურ ქმედებაზე საუბრობს. მით უფრო გაუგებარია, ცვლილების შეტანისას, რატომ აქვს აგზორს უფლება წინ აღუდგეს ამ ცვლილების შეტანის მიუხედავად იმისა, ქმედება ხელყოფს თუ არა მის პატივსა და დირსებას და ნაწარმოების დამახინჯების დროს, რატომ არის ვალდებული ამტკიცოს პატივის, დირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ კანონში შემოტანილი იქნა ტერმინოლოგიური და არსობრივი სხვაობა, მაშინ, როდესაც ნაწარმოების ხელშეუხებლობის (მთლიანობის) და რეპუტაციის პატივისცემის უფლება ერთი და იგივე არსობრივი ფარგლების მქონე უფლების აღმნიშვნელი ორი ალტერნატიული ტერმინია.³⁷⁹ აღნიშნულ უფლებებს შორის განსხვავება მხოლოდ შემდეგ ში მდგომარეობს: ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება იცავს ავტორის ინტერესს ნაშრომის მთლიანობაზე, ქმედების განხორციელებამდე, ანუ ცვლილების შეტანამდე, ხოლო რეპუტაციის პატივისცემის უფლება, მას შემდეგ, რაც უკვე განხორციელდა ცვლილება.

მჯობესია, ეს ორი უფლება გაერთიანდეს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ქვეშ და საქართველოს კანონში ”საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომა: ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვა დამოკიდებულია ავტორის პატივის, რეპუტაციის ან სხვა ინტერესების დარღვევაზე, თუ დაცვა ხდება ამ უფლებების დარღვევისაგან დამოუკიდებლად. ვინაიდან ავტორს ნაწარმოებთან პიროვნული და ინტელექტუალური ინტერესი აკავშირებს, მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმა გაიზიაროს გერმანიის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის პოზიცია და ნაწარმოები დაცული იყოს ყოველგვარი ხელყოფისაგან, რომელიც ლახავს ავტორის პიროვნულსა და ინტელექტუალურ ინტერესს, დაკავშირებულს ნაშრომთან.

5.2. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად მიიჩნევა, როგორც ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევა, ასევე ნაწარმოების წარდგენა იმ სახითა და იმ კონტექსტში, რომელიც ლახავს ავტორის პირადსა და ინტელექტუალურ ინტერესს, დაკავშირებულს ნაწარმოებთან.³⁸⁰

³⁷⁹ ძაბუკა შვილი, ინტელექტუალური საკუთრება. თბილისი, 2006, 207.

³⁸⁰ Ulmer, Urheber- und Verlagsrecht, 3rd edn, Berlin, 1980. იხ. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 223.

ავტორის პრეროგატივაა გადაწყვიტოს, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევით, შეიღახა, თუ არა მისი პიროვნული და ინტელექტუალური ინტერესები დაკავშირებული ნაწარმოებთან. სასამართლოს კომპეტენციად დაადგინოს: ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოდის თუ არა წინააღმდეგობაში სხვა პირის უფლებებთან ან საზოგადოების ინტერესებთან, ვინაიდან ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, ავტორის სხვა პირად არაქონებრივ უფლებებთან ერთად, იურიდიული მქანიზმსაც უწოდებენ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიზნებისათვის, მაგალითად კულტურული ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის.³⁸¹

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება შეიძლება დაირღვეს ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევით: ნაწარმოებში ცვლილების შეტანით ან განადგურებით; ნაწარმოების არასათანადო გამოყენებით, ანუ ნაწარმოების ძირითადი არსის დარღვევით და ნაწარმოებზე სხვა ავტორის ნაწარმოებთა დართვით.

ნაშრომის შემდეგ თავში ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემატიკა განხილული იქნება ევროპული და საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

5.2.1. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევით

ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის გავრცელებულ სახეს წარმოადგენს. ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევა უნდა იყოს ობიექტურად აღქმადი, რათა მიჩნეულ იქნეს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.

ნაწარმოებში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანა არ ჩაითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევად. მაგალითად, პუნქტუაციური შეცდომების გასწორება. გამონაკლისი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც მწერლისათვის სასვენი ნიშნების გამოყენების განსხვავებული მანერა, წერის სტილს წარმოადგენს. ცნობილი ფაქტია, რომ პორტუგალიელი ნობელის პრემიის ლაურეატები, მწერალი ქოზე სამარაგო უსაშველოდ გრძელ წინადაღებებს წერდა და პუნქტუაციის ნიშნებს წესების გარეშე იყენებდა.³⁸² გრიგოლ რობაქიძე ორწერტილს ან დეფისს იყენებდა იქ, სადაც მძიმე იყო მოსალოდნელი და ეს მისი წერის მანერად იყო მიჩნეული.³⁸³ ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია პუნქტუაციური ცვლილებებიც ჩაითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.

³⁸¹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 169.

³⁸² იხ. http://www.nobelprize.org/nobel_prizes/literature/laureates/1998/saramago-bio.html

³⁸³ გრიგოლ რობაქიძე, გველის პერანგი, თბილისი 1989.

ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევის ნათელი მაგალითია ნაწარმოების სათაურის შეცვლა. სათაური ნაწარმოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეყნების თანახმად, არა მხოლოდ ნაწარმოებში, არამედ მის სათაურში (სახელწოდებაში) ცვლილების შეტანაც ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად და ავტორს შეუძლია მოითხოვოს როგორც დარღვეული უფლების აღდგენა, ასევე მორალური კომპენსაციაც. მაგ., 1994 წელს მწერალმა ლიმონოვმა სასამართლოს მიმართა ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით, ვინაიდან გამომცემელმა წიგნის სათაური, „ჯალათი“ ავტორთან ნებართვის გარეშე შეცვალა და წიგნი გამოსცა სათაურით, ”ერთი სადისტის ისტორია“. სასამართლომ გამომცემელს დააკისრა ავტორისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება 20 მილიონი რუბლის ოდენობით, საავტორო უფლებების დარღვევისათვის.³⁸⁴

ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში, დამდგმელი რეჟისორის, სცენარისტის, კომპოზიტორის უფლება ნაწარმოების ხელშეუხებლობაზე შეიძლება დაირღვეს მისი სარეკლამო ჭრით. მაგ. იტალიელმა კინო რეჟისორმა ფედერიკო ფელიმ სასამართლოს მიმართა ტელეკომპანიის წინააღმდეგ, ვინაიდან მიიჩნია, რომ მის ნაწარმოებზე ხელშეუხებლობის უფლება ირღვეოდა ფილმის სარეკლამო ჭრებით.³⁸⁵ ფილმის სარეკლამო ჭრით გაწყვეტის შემთხვევაში, ცვლილება არ ხდება თავად აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, თუმცა მაყურებელს ნაწარმოების იმ სახით აღქმაში ეშლება ხელი, რა სახითაც ავტორმა შექმნა. ამ შემთხვევაში, საჭიროა ბალანსი დადგინდეს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებსა და ტელეკომპანიის ქონებრივ უფლებებს შორის. ნაწარმოების ეთერში გადაცემის ქონებრივი უფლების გასხვისების შემთხვევაში ავტორს უნდა ჰქონდეს გონივრული მოლოდინი, რომ მისი ფილმი გაწყვეტილი იქნება სარეკლამო ჭრით, თუკი ამ აკრძალვის შესახებ საეციალური ნორმა არ არსებობდა ხელშეკრულებაში.

აუდიოვიზუალური ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევასთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა საფრანგეთის სასამართლოს მიერ 1988 წელს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე მაღანდი ქინქის წინააღმდეგ. ფილმის ავტორი მიიჩნევდა, რომ სატელევიზიო ჩვენების დროს, ტელეარხის ლოგო არღვევდა უფლებას ნაწარმოების ხელშეუხებლობაზე. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ფილმის მსვლელობისას ეკრანზე ლოგოს ჩვენებით, არ ირღვეოდა გამოსახულება, ფერი, ხმა, სცენარის სტრუქტურა.³⁸⁶

შედარებით პრობლემატურია აუდიოვიზუალური ნაწარმოების მიმდინარეობისას, ე.წ. მულტიკლიკაციური რეკლამების, სამგანზომილებიანი

³⁸⁴ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 219.

³⁸⁵ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 219.

³⁸⁶ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 185.

გამოსახულების გაშვება ეკრანზე. მედიაში გავრცელებულია საახალწლო თუ სხვა სადღესასწაულო სამგანზომილებიანი მილოცვები, მოძრავი გამოსახულებით. მსგავსი ტიპის გამოსახულება იწვევს მაყურელის ყურადღების გადატანას, იმ ემოციის თუნდაც დროებით დაკარგვას, რომელიც ფილმის ყურებისას გეუფლება (მაგ. საშინელებათა უანრის ფილმის მსვლელობისას ეკრანზე ფერადი, მხიარული საახალწლო მოლოცვის გამოსახვისას). საავტორო სამართალი იცავს გამოხატვის ფორმას და აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე გამოსახულების დამატებით, სწორედ ნაწარმოების გამოხატვის ფორმაში ხდება უხეში ჩარევა. შესაბამისად, ირლევა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.

ფრანგული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევად მიიჩნევა შემდეგი ქმედებები: როდესაც ქალი თამაშობს მამაკაცის როლს ავტორის ნებართვის გარეშე;³⁸⁷ ზეპირი ნაწარმოების, მაგალითად, საჯარო ლექციის წერილობითი სახით გამოცემისას;³⁸⁸ დეკორატიული ბაღისთვის ფოტოს გადაღება და მისი გამოყენება სარეკლამო მიზნებისათვის; მხატვრული ნაწარმოების ბიოგრაფიულის სტატუსით გამოცემა;³⁸⁹ ავტორის თანხმობის გარეშე მისი მუსიკალური ნაწარმოების გამოყენება ტექტის გარეშე კარაოკესათვის;³⁹⁰ შავ-თერო ფილმის გაფერადება;³⁹¹ ფილმის სახელწოდების გამოყენება სარეკლამო სლოგანად (საქმე ეხებოდა საფოსტო სამსახურის რეკლამას. ამ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ფილმის სათაურის გამოყენება სლოგანად არღვევდა ფილმის, როგორც სულს, ასევე დირებულებას);³⁹² გამოცემლის მიერ წიგნის ახალი რედაქციის დაბჭდვა, როდესაც არ მიეცა ავტორს ნაწარმოების გადაეკეთების შესაძლებლობა;³⁹³ ფოტონაწარმოებიდან ნაწილის ამოჭრა და გამოქვეყნება (საქმე შეეხებოდა

³⁸⁷ TGI Paris 3e ch Oct 15, 1992, 155 Revue Int'l du Droit d'Auteur (1993), cited in T Cotter, 'Pragmatism, Economics and the Droit Moral' (1997) 76 North Carolina Law Review 1, fn 62.

³⁸⁸ Sté La Règle Jue et Lèvy c Salzedo, CA Paris, 1 ch, 24 November 1992 (1993) 155 RIDA 191 (lectures of Roland Barthes) ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 187.

³⁸⁹ Editions de la Seine c Chancel, CA Paris, 14 ch, 5 September 1997 (1998) 176 RIDA 416 ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 187.

³⁹⁰ Editions Zagora c SDRM, CA Paris, 4 ch, 29 May 2002 (2002) 194 RIDA 325 ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 187.

³⁹¹ Sté Turner Entertainment c Herities Huston, CA Versailles, Ch civ réunies, 19 December 1994 (1995) 164 RIDA 398 ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 187.

³⁹² Laloux Sté Chronopost, CA Versailles, 1ch, 19 March, 1998 (1998) 177 RIDA 270. ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 188.

³⁹³ StéEdita etSté Le Comptoir du livre c Fondin et Remise CA Paris, 4 ch, 21 November 1994, (1995) 164 RIDA 374 ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 188.

მარია კალასის ფოტოს);³⁹⁴ ნაწარმოების ჩვენება პოლიტიკური მნიშვნელობითა და დანიშნულებით, მაშინ, როდესაც ავტორს სურდა სიუჟეტი წარმოედგინა, როგორც ხუმრობა და ფარსი.³⁹⁵

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევისას არ არის აუცილებელი უფლების დამრღვევს ბოროტი განზრახვა ამოძრავებდეს. ნაწარმოებში ცვლილების შეტანის მიზანი შესაძლოა ნაწარმოების გაუმჯობესებაც იყოს, თუმცა ავტორის ნებართვის გარეშე ნაწარმოების ნებისმიერი პოზიტიური სახით ცვლილებაც მიიჩნევა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად. ამის ნათელი მაგალითია შავთორი ფილმის გაფერადება. მაგ., საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე, პუსტონი ლა კინგის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა ჯონ პუსტონის ფილმის, „ასფალტის ჯუნგლების“ გაფერადებას, აღნიშნა: მიუხედავად იმისა რომ ფილმზე ქონებრივი უფლებები ჰქონდა კონკრეტური „მეტრო გოლდენ მაიერს“, ავტორის მორალური უფლებები, კერძოდ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება დაირღვა შავთორი ფილმის გაფერადებით.³⁹⁶

საინტერესო, რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ფილმს, რომლის ავტორი და ავტორის მემკვიდრეებიც აღარ არსებობენ და რომლის გადაღების დროსაც ფერადი კინო არ არსებობდა. მსგავს შემთხვევაში უნდა იყოს თუ არა შესაძლებელი, შავთორი ფილმის გაფერადება? ფილმზე მხოლოდ იმ ობიექტური ქმედებების განხორციელება არ უნდა ჩაითვალოს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, რომელიც აუცილებელია ნაწარმოების შენარჩუნებისათვის, მაგ., ფირის აღდგენა. ცნობილი ფაქტია, რომ ჩარლი ჩაპლინმა ხმოვან ფილმს კინემატოგრაფიის დაღუპვა უწოდა და თავად დარჩა მუნჯი კინოს ერთგული, მიუხედავად ტექნიკური პროგრესისად.³⁹⁷ შესაბამისად, შეუძლებელია, გამოვიცნოთ ფილმის რეჟისორის სურვილი, ენდომებოდა თუ არა მას ფერადი ფილმის გადაღება ტექნიკურად შესაძლებელის რომ ყოფილიყო. შესაძლებელია თუ არა მივიჩნიოთ, რომ შავთორი ფილმის გაფერადების შემთხვევაში, ადგილი აქვს ფილმის გადამუშავებას? გადამუშავების შედეგად იქმნება საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოები, ავტორს წარმოექმნება საავტორო უფლებები გადამუშავებულ ნაწარმოებზე, რაც ნიშნავს, რომ გადამუშავებაში ჩადებული უნდა იყოს ინტელექტუალურ შემოქმედებითი შრომა. მხოლოდ ტექნიკური სამუშაოს შესრულება არ შეიძლება მივიჩნიოთ ნაწარმოების გადამუშავებად. ამგვარად, შავთორი ფილმის გაფერადება ავტორის ნებართვის გარეშე წარმოადგენს არა ნაწარმოების გადამუშავებას, არამედ მასზე

³⁹⁴ Sté Arkadia c Leloil, CA Versailles, 1 ch, 5 November 1998 (1999) 180 RIDA 367 ი. მ. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 188.

³⁹⁵ Zorine et VAAP c La Lucernaire et SACD, TGI Paris, 27 November 1985 (1986) 129 RIDA 166 ი. მ. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 188.

³⁹⁶ Subbian, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007, 198.

³⁹⁷ ი. მ. <<http://www.charliechaplin.com/en/biography/articles/6-Modern-Times>> {17.01.2014}.

ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას. კინაიდან „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება უვადო უფლებათა რიცხვს მიუკუთვნება, შავ-ოეთრი ფილმის გაფერადება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას წარმოადგენს მიუხედავად იმისა, არსებობენ თუ არა ნაწარმოების ავტორი და მემკვიდრეები.

ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევით, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის დადგენისას, პრობლემატურია საკითხი, თუ როდის ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება დარღვეულად - როდესაც დამახინჯებულ, შეცვლილ ნაწარმოებს იხილავს საზოგადოება, თუ ნაწარმოებში ცვლილების შეტანა წარმოადგენს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას მიუხედავად იმისა, მოდიფიცირებული ნაწარმოები გახდა თუ არა ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციისა“ და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევა არ უკავშირდება ნაწარმოების გასაჯაროებას. მსგავსი მოთხოვნა არც ევროპულ კანონმდებლობაში გვხვდება. თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილებებში ამ საკითხზეც არის გამახვილებული უურადღება. ამ მხრივ საინტერესოა საქმე, ბუფე ფერსინ პარიზის წინააღმდეგ, რომელიც საფრანგეთის სასამართლომ განიხილა 1962 წელს. მაცივრის მესაკუთრემ შეცვალა მხატვრის მიერ შესრულებული ნახატი მაცივარზე. სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, თუკი ნაწარმოები ხელმისაწვდომი გახდებოდა ფართო საზოგადოებისათვის.³⁹⁸ სასამართლო გადაწყვეტილება არაერთგვაროვნად შეფასდა იურიდიულ ლიტერატურაში. იურისტთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ირღვევა კერძო მფლობელობაში იმ შემთხვევაშიც, კი, როდესაც სახელშეცვლილი ნაწარმოები, თუნდაც მხოლოდ მისი მესაკუთრისთვისაა ხელმისაწვდომი.³⁹⁹ ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა დამოკიდებულია გამოფენის მიზანზეც და ადგილზეც. მაგალითად, თუკი ნაწარმოები გამოიფინა საჯარო ადგილას, პრიორიტეტი ავტორის ინტერესია და მიიჩნევა, რომ დაირღვა ნაწარმოების ხელშეუხებლობა. ხოლო თუკი გამოფენა კერძო საკუთრებაში განხორციელდა და ნაწარმოები ფართო საზოგადოებისათვის არ გახდა ხელმისაწვდომი, უპირატესი მესაკუთრის ინტერესების დაცვაა.⁴⁰⁰ აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის არაქონებრივი უფლებები დამოკიდებულია ქონებრივი უფლებებისაგან. ნაწარმოების გამოფენა კი ქონებრივი უფლებაა. ავტორს იმ შემთხვევაშიც აქვს უფლება დაიცვას პირადი არაქონებრივი უფლებები, როდესაც

³⁹⁸ Cour de cassation decision in Buffet c Fersing CA Paris, 30 May 1962, D 1962, 570. n.b. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 188.

³⁹⁹ Gautier, Propriété littéraire et artistique, 4th edn. Presses Unitaires de France. 2010, 233.

⁴⁰⁰ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 220.

ნაწარმოები არავის უნახავს თავად ავტორის მეტს. სადაცო ტერმინიც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. რამდენი ადამიანი ითვლება საზოგადოებად? როდის ითვლება, რომ ნაწარმოები საჯარო ხელმისაწვდომი გახდა? ავტორის ქონებრივი უფლების, ნაწარმოების საჯარო ჩვენების განხილვისას მიიჩნევა, რომ ჩვენება საჯაროა, თუკი იგი გასცდება ავტორის ოჯახის წევრების ჩვეულებრივ წრეს ან ოჯახის ახლობელ პირებს.⁴⁰¹ შესაძლებელია თუ არა ეს წესი იყოს გამოყენებული ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის დროსაც? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას კანონი არ უკავშირებს ნაწარმოების გასაჯაროებას. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორს აქვს უფლება, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება); ხოლო ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ავტორს უფლება აქვს ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება). ამგარად, კანონის თანახმად, რეპუტაციის პატივისცემის უფლების დარღვევა შესაძლოა ავტორის ღირსებას უკავშირდებოდეს, რომელიც წარმოადგენს პირის თვითშეფასებას და არა საზოგადოების მიერ მის შეფასებას.⁴⁰² აღნიშნული პრობლემის განხილვისას აუცილებელია ზღვარი გავავლოთ სახვითი ხელოვნებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის. მაგ., თუკი პირმა ცვლილება შეიტანა ლიტერატურულ ნაწარმოებში და შეცვლილი ნაწარმოები არ გახადა საჯარო ხელმისაწვდომი, უფლების დარღვევაზე საუბარი გაუმართდებოდა, ვინაიდან, ნაწარმოები საზოგადოებისათვის ცნობილია იმ სახით, რა სახითაც იგი ავტორმა შექმნა და ავტორს აქვს შესაძლებლობა ნაშრომში შეტანილი ცვლილების გამოსწორების გარეშე ნაწარმოები კვლად გახადოს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი თავდაპირველი შექმნილი სახით. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება კი იწვევს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას, ვინაიდან ავტორმა უნდა სცადოს შეტანილი ცვლილებების გამოსწორება იმისათვის, რომ საზოგადოებამ ნაწარმოები პირველქმნილი სახით იხილოს. ზოგიერთ შემთხვევაში მცდელობამაც შეიძლება უშედეგოდ ჩაიაროს ნაწარმოების მოდიფიცირების ხარისხიდან გამომდინარე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ნებისმიერი სახით ჩარევა მიიჩნევა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად მიუხედავად იმისა, იხილა თუ არა ვინმედ შეცვლილი ნაწარმოები. ხოლო ლიტერატურულ ნაწარმოებზე ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა,

⁴⁰¹ ძამუაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2002, 66.

⁴⁰² ახვლევიანი/ზოდეჭანტერია/ჯორბეგნაძე (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებაზი, თბილისი, 1999, 60.

ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევით, დამოკიდებულია იმაზე, იხილა თუ არა საზოგადოებამ ნაწარმოები შეცვლილი სახით.

5.2.2. ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევა ნაწარმოების არასათანადო გამოყენებით

„ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის“ მე-6^{bis} მუხლის თანახმად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად მიიჩნევა ნაწარმოების გაუკულმართება, დამახინჯება, ან სხვაგვარი ცვლილება, ასევე ნაწარმოების ნებისმიერი სხვა სახით შედახვა, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის დირსებას ან რეპუტაციას. შესაბამისად, ბერნის კონვენცია ამომწურავად არ ჩამოთვლის, თუ რომელი ქმედებით შეიძლება განხორციელდეს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა. ანალოგიურ მიდგომას იზიარებს საქართველოს საავტორო სამართალიც. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორს უფლება აქვს დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შედახოს ავტორის პატივი, დირსება ან საქმიანი რეპუტაცია. სხვაგვარ ხელყოფასა და ცვლილებებში არ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევა. ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევის გარდა, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად მიიჩნევა ნაწარმოების წარდგენა იმ სახითა და იმ კონტექსტში, რომელიც ლახავს ავტორის პირადსა და ინტელექტუალურ ინტერესს, დაკავშირებულს ნაშრომთან. ნაწარმოების არასათანადო გამოყენებით ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევაზე საუბარი საფრანგეთში დაიწყო. ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ნაწარმოების მთლიანობის დარღვევას, უკავშირებს არა მხოლოდ ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ხელყოფას, არამედ ნაწარმოების სულის დარღვევასაც.

პირველი გადაწყვეტილება ნაწარმოების სულისა და იდეური მთლიანობის დარღვევაზე, ფრანგულმა სასამართლომ 1932 წელს მიიღო. საფრანგეთის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: ავტორის მორალური უფლება ნაწარმოებზე გულისხმობს უფლებას, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი გადაკეთებისა და განადგურებისაგან როგორც ფორმით, ასევე შინაარსითა და სულით.⁴⁰³

ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია: იმისათვის, რომ სწორად აღვიქვათ ნაწარმოები, საჭიროა გავიგოო, როგორ სუნთქვას ნაწარმოების სული, სწორედ ამიტომ უნდა მივიღოთ იგი ზუსტად ისე,

⁴⁰³ Dulian, L'esprit de loeuvre et le droit moral de l'auteur, Revue Internationale du Droit D'auteur 215, Janvier 2008, 104.

როგორც ავტორმა ისურვა ნაწარმოების წარდგენა - მისი ხედვით, იდეებით, გრძნობებით და ემოციებით, სწორედ იმ ტონით, რომლითაც ავტორმა მოისურვა ჩვენთვის ეს იდეები მოეწოდებინა.⁴⁰⁴

იმას, რასაც ფრანგი იურისტები ნაწარმოების სულის დარღვევას უწოდებენ, რუსი მეცნიერი მალეინა ნაწარმოების კოცეფციის დარღვევად და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფად განიხილავს. ოვალსაჩინო მაგალითად მას მოჰყავს, ტრაგედიის უანრის ლიტერატურული ნაწარმოები, გამოყენებული საპნის რეკლამაში.⁴⁰⁵

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას წარმოადგენს ნაწარმოების უანრის შეცვლაც. მაგ., დრამის ეკრანზეზაცია კომედიური შინაარსით, ან რელიგიური შინაარსის ნაწარმოების წარმოჩენა ეროტიული ჟანრის ნაწარმოებად. იტალიელი კომპოზიტორის შვილიშვილმა ს. პუხინიძ სასამართლოს მიმართა ოპერის, "ჩიო-ჩიო-სანის" დამდგმელი რეჟისორის გ. ლოვორნოს წინააღმდეგ, ვინაიდან მესამე აქტში მთავარი როლის შემსრულებელი სცენაზე ევას კოსტუმში გამოვიდა.⁴⁰⁶

ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევად მიიჩნია ფრანგულმა სასამართლომ მუსიკოს ვოლფო ბედროუს მუსიკის გამოყენება ფლეიბოის ეროტიულ გადაცემაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: მუსიკა შექმნილი იყო ფილმი მამბოსთვის, სადაც მას მხოლოდ გასართობი დატვირთვა ჰქონდა, ხოლო სატელევიზიო პროგრამაში ფილმის ასოცირებამ ეროტიკასთან დაარღვია ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები.⁴⁰⁷

ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმის დადგენისას მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მიზნით შექმნა ავტორმა ნაწარმოები, მაგრამ ნაწარმოების მიზნის ცვლილება, ნაწარმოების გამოყენება გარკვეული, განსაკუთრებით კი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისათვის, არღვევს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას. ამ მხრივ საინტერესოა 1991 წლის 15 მაისს პარიზის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც საქმე შეეხებოდა რელიგიური მუსიკის გამოყენებას კომერციულ რეკლამაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუკი მუსიკა არის რელიგიური მნიშვნელობის ან ტექსტით ჭიდორდ უგავშირდება რელიგიას, მაშინ მისი გამოყენება სარეკლამო ან კომერციული მიზნებისათვის წარმოადგენს ყურადღების გადატანას, ამასინჯებს შედეგს და არღვევს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას.⁴⁰⁸

ნაწარმოების გამოყენება მისი კონცეფციის დარღვევით, იმ კონტექსტში, რომელიც არღვევს ნაწარმოების იდეურ მთლიანობას, ლახავს არა მხოლოდ ავტორის ინტერესს, დაკავშირებულს მის ნაშრომთან, არამედ მის პატივსა და რეპუტაციასაც, ნაწარმოებში ასახულ პიროვნულობას. მორალური უფლების დაცვა ასახავს რწმენას, რომ ავტორის შემოქმედება

⁴⁰⁴ Dulian, L'esprit de loeuvre et te droit moral de l'auteur, Revue Internationale du Droit D'auteur 215, Janvier 2008, 104.

⁴⁰⁵ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 218.

⁴⁰⁶ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 218.

⁴⁰⁷ Goldgrab, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEA 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995, 89.

⁴⁰⁸ Revue internationale du Droit D'auteur (RIDA) April 1992, 209.

არის თავად ავტორის გაგრძელება, და ამიტომაც, ავტორს შეუძლია აკონტროლოს, როგორ დაინახავს და შეაფასებს მას საზოგადოება მისი ნაწარმოებიდან გამომდინარე. პოლიტიკური მიზნით ნაწარმოების გამოყენებას უკავშირდება საქმე, რომელიც პარიზის სააპელაციო სასამართლომ განიხილა 1988 წლის 21 ივნისს. ფრანგი მომღერლის უაკ ბრელის სიმღერა ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ გამოიყენა წინასაარჩევნო კამპანიისთვის. მუსიკოსის მემკვიდრეებმა სასამართლოს მიმართეს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის მიზნით. სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, დაირდვა ნაწარმოების სულის მთლიანობა და შესაბამისად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, ვინაიდან სიმღერა არ იყო გამოყენებული იმ იდეის გამოსახატავად, რომელსაც ავტორი ისახავდა მიზნად.⁴⁰⁹

ავტორის უფლებების დაცვასთან ერთად, საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესიცაა, იხილოს ნაწარმოები იმ ფორმითა და სულით, რომლითაც ის ავტორმა შექმნა. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ავტორობისა და სახელის უფლებასთან ერთად მუდმივი უფლებაა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადარ არსებობენ ავტორის მემკვიდრეები ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. სანამ არსებობს ნაწარმოები, არ უნდა მოხდეს მისი გამოყენება იმ კონტექსტში, რომელიც ნაწარმოების სულ დარღვევებს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოში სუპერმარკეტის გუდვილის რეკლამა, რომელშიც გამოყენებული იყო მიქელანჯელოს რელიგიური ნახატის, სიქსტის კაპელას ფრაგმენტი (მამა დმერთისა და ადამის გამოსახულებით).

ნაწარმოების არაკონტექსტუალურ გამოყენებაზე, როგორც ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევაზე, ყურადღება არის გამახვილებული საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობაშიც. მაგალითად, კანადის საავტორო სამართლის აქტის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას წარმოადგენს მისი ასოცირებული გამოყენება პროდუქტთან ან მომსახურებასთან.⁴¹⁰ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ტერმინი ასოცირებული “in association with” საკმაოდ ფართო ცნებაა და არ პასუხობს სინამდვილეში მუხლის შინაარსს. უმჯობესია იგი შეიცვალოს სიტყვით “promoting” ხელშესაწყობად.⁴¹¹

ნაწარმოების „სულის დარღვევასთან“ დაკავშირებით საინტერესოა 1948 წლის სასამართლო გადაწყვეტილება, საქმეზე შოსტაკოვიჩი კონკორდანია „ოვენტიზ ფოქს სენჩურის“ წინააღმდეგ. კომპოზიტორი შოსტაკოვიჩი აპროტესტებდა მისი მუსიკის გამოყენებას ანტისაბჭოტა, ანტიკომუნისტურ ფილმში, ვინაიდან აღნიშნული ქმედებით ირღვეოდა ნაწარმოების

⁴⁰⁹ Adusei, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 29.

⁴¹⁰ Canadian Copyright Act, 1985, ხელმისაწვდომია: <<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-42/FullText.html>> {17.01.2014}.

⁴¹¹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 333.

ხელშეუხებლობის უფლება. მოსარჩელემ შესძლო საქმე მოეგო ფრანგულ სასამართლოში, თუმცა იმავე საქმემ კრახი განიცადა ამერიკის შეერთებულ შტატებში.⁴¹²

ეპროპული ქვეყნების, და განსაკუთრებით, საფრანგეთის საავტორო სამართლი აფართოებს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ცნებას და ნაწარმოების სულის დარღვევას ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შელახვად განიხილავს. საქართველოს სასამართლოებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ უმსჯელიათ, ვინაიდან მსგავსი შინაარსის სარჩელით სასამართლოსთვის არავის მიუმართავს. თუკი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების შინაარსს დავეყრდნობით, ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილება და ნებისმიერი ხელშეუხებლობის დარღვევად. შესაბამისად, ნაწარმოების გამოყენება იმ ფორმითა და შინაარსით, რომელიც არღვევს ნაწარმოების იდეურ მთლიანობას, მის სულს, საქართველოს საავტორო სამართლით ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად უნდა იყოს მიჩნეული.

5.2.3. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა ნაწარმოებისათვის სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვით

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი იცავს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებას, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება განხილული უნდა იყოს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შემადგენელ ნაწილად, ვინაიდან ნაწარმოების სრულფასოვანი აღქმა მხოლოდ მის შემადგენელ ნაწილებთან, იმ სივრცესთან ერთიანობაში ხდება, სადაც ნაწარმოები არსებობს ობიექტური ფორმით. ავტორს აქვს უფლება, აკონტროლოს, რამდენად სწორად დაინახავს საზოგადოება მის ნაწარმოებს, რომელიც მისი პიროვნულობის გამოხატულებას წარმოადგენს, რომელი წინასიტყვაობის, ბოლოსიტყვაობის, განმარტების, ილუსტრაციის დართვით. ნაწარმოებზე სხვა ავტორის ნაწარმოებთა დართვის უფლების დარღვევა გამოიწვევს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას. მაგალითად, თუ რელიგიური შინაარსის ნაწარმოებს დართული ექნება ეროტიული ხასიათის სურათები, ან თუ ბიოგრაფიული ხასიათის რომანი წინასიტყვაობაში აღწერილი იქნება როგორც ფანტასტიკის ჟანრს მიკუთვნებული ნაწარმოები, დაირღვევა ნაწარმოების იდეური მთლიანობა, მისი სული, რაც ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას წარმოადგენს. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას თანამედროვე სამყაროში უკავშირებენ ნაწარმოების გამოქვეყნებას

⁴¹² Colson/Middleton, Modern Intellectual property Law, London 2005, 397.

ინტერნეტის იმ გვერდებზე, რომელზე ნაწარმოების განთავსებამ შეიძლება ნაწარმოების კონტექსტი და მისი სული დაარღვიოს.⁴¹³

ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებების თანახმად, ავტორთან შეუთანხმებელი წინასიტყვაობის, ბოლოსიტყვაობის დართვა ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევად მიიჩნევა. მაგ., ერთ-ერთმა ფსიქოანალიტიკოსმა სასამართლოს მიმართა გამომცემლის წინააღმდეგ, რომელმაც წიგნს შეუცვალა სათაური და დაურთო წინასიტყვაობა, რომელშიც აღწერდა წიგნის მოკლე შინაარსს და პირადი პრობლემების მქონე მკითხველს ურჩევდა წიგნის წაკითხვას. მოსარჩევის განცხადებით წიგნის თავფურცელი აქნინებდა წიგნის მნიშვნელობას, ვინაიდან არ იყო ხაზგასმული ნაშრომის ეფექტურობა.⁴¹⁴

ნაწარმოებზე სხვა ავტორის ნაწარმოებთა დართვის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიასთან დაკავშირებულ სამსახურებრივ ნაწარმოებზე. დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, რედაქტორი, გამომცემლობა თავად განსაზღვრავს რა ფოტო დაურთოს კონკრეტულ ჟურნალისტურ ნაშრომს. გადაწყვეტილება მირითადად მარკეტინგული ინტერესებით არის განპირობებული და შესაბამისად, ჭრიდო კავშირი აქვს იმ ქონებრივი უფლებების განხორციელებასთან, რომელიც დამსაქმებელს გააჩნია. საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორის ქონებრივი უფლება, კერძოდ, რეპროდუცირების უფლება იზღუდება მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებული სტატიების ან საჯაროდ გადაცემული მსგავსი შინაარსის ნაწარმოებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ. საინფორმაციო მიზნით ქონებრივი უფლებების შეზღუდვისას შეუძლებელიც კი ხდება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების განხორციელება ნება დართოს სხვა პირებს, დაურთოს ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით ინფორმაციის თავისუფლების მიზნით, მედია საშუალება ქონებრივი უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე აქვეყნებს ჟურნალისტურ ნაშრომს, მან „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორს უნდა შეუთანხმოს, თუ რომელი ნაწარმოები ან ილუსტრაცია დაურთოს ნაწარმოებს. ავტორის გადაწყვეტილება კი შეიძლება არ შეესაბამებოდეს მედია საშუალების მარკეტინგულ თუ სხვა ტიპის ინტერესებს, სტილსა და მიმართულებას. ინტერნეტ მედიაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, როდესაც კონკრეტული თემის შესახებ შესრულებულ ჟურნალისტურ ნაწარმოებს დართული აქვს ბმული

⁴¹³ Adusei, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005, 70.

⁴¹⁴ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 187.

იგივე თემაზე ადრე დაწერილი მასალის ბმული. აღნიშნული წესი, პირველ რიგში, სასარგებლოა მკითხველისათვის, რომელიც სრულ ინფორმაციას იღებს კონკრეტულ თემაზე. მე-17 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ავტორთან უნდა მოხდეს შეთანხმება თუ რომელი მასალის ბმული დაუროონ მის ნაწარმოებს. მედიაში აღნიშნული უფლების განხორციელება გამოიწვევს როგორც ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვას, ასევე მედია საშუალების მარკეტინგულ ინტერესებში ჩარევას და პრაქტიკულად, შეუძლებელია მისი განხორციელება.

აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინფორმაციისა და შესაბამისად, ურნალისტური მასალების სწრაფი შემოდინების ფონზე შეუძლებელია რედაქციამ და მედია საშუალებამ მოითხოვოს თითოეულ მასალაზე სხვა მასალის დართვის ნებართვა. ამგვარი ნებართვა ხელს შეუშლის მედია ინდუსტრიის კომერციულ განვითარებას.⁴¹⁵

მედიასთან კავშირში, საზოგადოდ დამკვიდრებული ტენდენციის თანახმად, აღნიშნავენ, რომ კომერციული ტელევიზიუმი კონტრაქტის საფუძველზე ხშირად ითხოვენ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დათმობას, რაც ძირითადად კომერციული და სარეკლამო ინტერესებით არის განპირობებული.⁴¹⁶

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად უნდა მივიჩნიოთ. ეს უფლება, რეპუტაციის პატივისცემის უფლებასთან ერთად, წარმოადგენს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შემადგენელ ნაწილს. ხოლო სამსახურებრივ ნაწარმოებებთან კავშირში, აღნიშნული უფლება უნდა შეიზღუდოს ისევე როგორც იზღუდება ნაწარმოების გამოხმობის უფლება.

5.2.4. ნაწარმოების განადგურება, როგორც ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა

ნაწარმოების განადგურებით ირდვევა თუ არა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება? ამ კითხვას პირდაპირ პასუხს არ სცემს არც „ლიტერატურისა და მხატვრული ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენცია“, და არც საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა და კანონის ნორმების ინტერპრეტირების საფუძველზე უნდა მოხდეს. აღსანიშნავია, რომ არც ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში გვხვდება სპეციალური ნორმები, რომელიც აკრძალავს ნაწარმოების განადგურებით ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას.

⁴¹⁵ Subbian, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007, 182.

⁴¹⁶ Werbner, The Multimedia Environment: The Broadcasters Perspective, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEA 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995, 228.

იურიდიულ მეცნიერებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი განსხვავებული პოზიცია. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ვინაიდან ბერნის კონვენციის მე-6^{bis} მუხლში ნაწარმოების განადგურება პირდაპირ არ არის მოხსენიებული, შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი არ არის დაცული კონვენციით.⁴¹⁷ აღნიშნული არგუმენტის შესაბამისად, ნაწარმოების განადგურებით მხოლოდ ნივთის მესაკუთრის უფლებები იღება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც მესაკუთრეს და არა ავტორს წარმოეშობა. განსხვავებული პოზიციის მქონე მეცნიერები მიიჩნევენ, რომ განადგურება წარმოადგენს დამახინჯების, ხელყოფის ყველა უფრო ექსტრემალურ ფორმას და შესაბამისად, იგი შედის უფლებისდამრღვევა მოქმედებებს შორის, რომელიც ხელყოფს ავტორის პატივსა და რეპუტაციას.⁴¹⁸

ნაწარმოების განადგურების შემთხვევაში ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა დამოკიდებული უნდა იყოს ავტორის პატივსა და რეპუტაციაზე თუ განადგურება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს მიიჩნეული ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად? აღნიშნული საკითხის მჭიდრო კავშირშია იმ ინტერესთან, რომელიც ავტორს აკავშირებს საკუთარ ნაშრომთან და შესაბამისად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვასთან. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მიმართ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამი ძირითადი მიდგომა არსებობს: ერთის თანახმად, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევით აუცილებლად უნდა ილახებოდეს ავტორის პატივი და რეპუტაცია; მეორე თვალსაზრისის მიხედვით, შელახული უნდა იყოს პატივი, რეპუტაცია ან ინტელექტუალური ინტერესი, ხოლო მესამე შემთხვევაში, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება დაცულია ყოველგვარი დამატებითი პირობების გარეშე. ნაწარმოების განადგურების შემთხვევაში, თუკი ნაწარმოების დაცვა პატივსა და რეპუტაციას უკავშირდება, ავტორს გაუჭირდება დამტკიცება, რომ ნაწარმოების განადგურებით მისი პიროვნული უფლებები, კერძოდ პატივი და რეპუტაცია შეიღაბა, ვინაიდან არარსებული ნაწარმოებით კრიტიკოსებსა და საზოგადოებას ვერ შეექმნებათ ხეგატიური წარმოდგენა ავტორსა და მის შემოქმედებაზე. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ინტელექტუალური ინტერესი წარმოადგენს ინტერესს, დაკავშირებულს ობიექტთან, ნაწარმოებთან. იგი შეიძლება დაირღვეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ ილახება ავტორის პირადი ინტერესი. მაგალითად, ნაწარმოების განადგურებით ამით არ ილახება ავტორის რეპუტაცია, მაგრამ ირღვევა მისი ინტელექტუალური ინტერესი.⁴¹⁹

ნაწარმოების განადგურებისას მესაკუთრისა და ავტორის ინტერესების დაცვასთან ერთად, აუცილებელია გავითვალისწინოთ საზოგადოების

⁴¹⁷ Dworkin, General report (Common Law Countries) Le droit moral de l'auteur, The moral right of the author, ALAI, 1994, 100.

⁴¹⁸ Diets, Rapport general pour le Congrès d'Anvers 1993 (Pays de droit civil) Le droit moral de l'auteur, The moral right of the author, ALAI, 1994, 49-56.

⁴¹⁹ Ulmer, Urheber- und Verlagsrecht, 3rd edn, Berlin, 1980. ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 223.

ინტერესებიც. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება დაცულია უვადოდ, იგი არ უკავშირდება მხოლოდ კონკრეტული ავტორისა და მისი მემკვიდრეების ინტერესებს. შესაბამისად, ნაწარმოების განადგურებით ილახება საზოგადოების ინტერესებიც და უფლება ისარგებლოს კულტურისა და ხელოვნების მიღწევებით.

ნაწარმოების განადგურება როგორც ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, განსაკუთრებით აქტუალურია სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებთან დაკავშირებით. ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოების მატერიალური მატარებლის განადგურება (ნაბეჭდი ტექსტის, ნოტების) არ გამოიწვევს ნაწარმოების ხელყოფას, თუკი იგი ერთადერთი ეგზემპლარს არ წარმოადგენდა. ხოლო სახვითი ხელოვნების ნაწარმოები განუყოფელია მისი მატერიალური მატარებლისაგან ანუ ამ შემთხვევაში ნივთის განადგურება იწვევს ქმნილების მოსპობასაც. შესაბამისად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში განადგურება ნაწარმოების ხელყოფის ყველაზე ექსტრემალურ სახეს წარმოადგენს.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლებების რეგულირება განსხვავებულად უნდა ხდებოდეს, როდესაც სანივთო უფლებით სახვითი ხელოვნების ნაწარმოები სხვა პირის საკუთრებაში გადავა: ამ შემთხვევაში ავტორს აღარ უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, სრული მასშტაბით აკონტროლოს თავისი ნაწარმოების მოდიფიცირება.⁴²⁰ აღნიშნული არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ საავტორო უფლება დამოუკიდებელია იმ ნივთზე საკუთრებისაგან, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები. ნაწარმოების განადგურების შემთხვევაში, როგორც ნივთის მესაკუთრებს, ასევე ავტორს უნდა ჰქონდეთ კანონით მინიჭებული დაცვის უფლება, ვინაიდან ერთი მხრივ, ნადგურდება ნივთი, ხოლო მეორეს მხრივ ქმნილება გამოხატული ნივთში. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომლითაც გამოიხატება ნაწარმოები. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ცალკე მუხლით არგულირებს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებებს. მე-20 მუხლის თანახმად, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს მოსთხოვოს ნაწარმოების მესაკუთრებს, მისცეს საშუალება, განახორციელოს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირება (დაშვების უფლება). ამავე მუხლის მეორე პუნქტით კი აღიარებულია სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორის უფლება ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის პირველად გასხვისების შემდეგ მისი საჯაროდ გაყიდვის (აუქციონის, სამხატვრო საღონის, სახვითი ხელოვნების გაღერეის, მაღაზიის ან სხვა საშუალებით) ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ავტორს ან მის მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ გამყიდველისაგან ჰონორარი გასაყიდი ფასის მიხედვით, გარკვეული პროცენტის ოდენობით. აღნიშნულ უფლებას იუდიულ ლიტერატურაში

⁴²⁰ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 220.

თანმიუოლის უფლებას უწოდებენ.⁴²¹ თუკი სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს კანონი ანიჭებს ისეთ დამატებით უფლებებს, როგორიცაა დაშვებისა და თანმიუოლის უფლება, მაშინ რატომ არ უნდა ჰქონდეს ავტორს უფლება, დაიცვას საკუთარი ნაწარმოები განადგურებისაგან? ნაწარმოების განადგურების შემთხვევაში ხომ, ამ უფლებათა განხორციელება შეუძლებელი იქნება. თანმიუოლისა და დაშვების უფლება ქონებრივი უფლებებია. თუმცა სადაცოა, რამდენად უნდა მიეკუთვნებოდეს დაშვების უფლება ქონებრივ უფლებათა რიცხვს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ უფლების შინაარსიდან გამომდინარე, იგი არ ემსახურება ავტორისათვის ქონებრივი სარგებლის მიღებას (მხატვარი ვერც გაყიდის და ვერც სხვაგვარად გაასხვისებს ნაწარმოებს, რომელიც უპვე სხვისი საკუთრებაა). დაშვების უფლების მოქმედების ვადას კანონი იმპერატიურად განსაზღვრავს და შემოფარგლავს ავტორის სიცოცხლის ვადით. უფლების შინაარსიდან გამომდინარე, იგი ვერც ხელშეკრულების საგანი იქნება. შესაბამისად, დაშვების უფლება, თავისი შინაარსით, პირადი არაქონებრივი უფლებაა, რომლის განხორციელება შეუძლებელი იქნება ნაწარმოების განადგურების შემდეგ.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ნივთის მესაკუთრისა და ავტორი უფლებებს შორის ბალანსის დადგენისას, არ უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა ნაწარმოების განადგურებით ავტორის რეპუტაციის დარღვევის ფაქტს. მოსარჩევე არ არის ვალდებული ამტკიცოს, რომ ზიანი მიადგა მის პატივსა და რეპუტაციას, მან უნდა დაამტკიცოს რომ ნაწარმოები იყო განადგურებული, გადაკეთებული ან სხვაგვარად მოდიფიცირებული.⁴²² ხელოვნების ნაწარმოების საკუთრების შემთხვევაში, ნაწარმოების გაფრთხილების ვალდებულებას შეეხება საქმე - არმანდ ვაილანქართი კარბონის წინააღმდეგ, რომელიც 1999 წელს განიხილა კანადის სასამართლომ. მოსარჩევე იყო მოქანდაკე, ხოლო მოპასუხე ქანდაკების მესაკუთრე, რომლის კერძო საკუთრებაშიც იყო სკულპტურა. მოპასუხემ ქანდაკება გადაიტანა კონტეინერით, რის შედეგადაც დაზიანდა ქანდაკების 80%. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ქანდაკების რეკონსტრუქცია პირვანდელი სახით შეუძლებელი იყო, ნაშრომი დაზიანდა და შესაბამისად, დაირღვა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.⁴²³ აღსანიშნავია, რომ სასამართლომ უფლების დარღვევა არ დაუკავშირა ავტორის პატივისა და ლირსების შეღახვის ფაქტს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კერძო საკუთრებაში ნაწარმოების განადგურების შემთხვევაში შემდეგი გარემოებები უნდა დადგინდეს: ადგილი ხომ არ ჰქონდა უფლების ბოროტად გამოყენებას ავტორის ან მესაკუთრის მხრიდან; თუ არსებობდა უფლების განხორციელების სხვა გზა, რომლითაც ნაკლებად მიადგებოდათ

⁴²¹ ძაბუკა შეიღი, ინტელექტუალური საკუთრების სამართლი, თბილისი 2000, 55.

⁴²² English translation in reported in Prisede parole Inc v Guerin, éditeur ltee (1995) 66 CPR (3d) 257, 266 Fed Ct ob. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 335.

⁴²³ Armand Vaillancourt v. Carbone 14,[1999] R.J.Q. 490 (Que. C.S.) ob. Gendreau, An emerging Intellectual property paradigm, Perspectives from Canada, Cornwall, 2008, 178, 181, 183.

ზიანი მხარეებს; უფლების დაცვისა და განხორციელების საშუალება რამდენად პროპორციულია მიუენებული ზიანისადმი.⁴²⁴

რამდენად მართებულია მოსაზრება ავტორის მიერ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ბოროტად გამოიყენების შესახებ? ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება იმ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის დაცვის და არა განხორციელების უფლებაც გააჩნია პირს. განა შეიძლება ვინმებ ბოროტად გამოიყენოს საკუთარი პატივისა და ღირსების დაცვის უფლება? შესაბამისად, უფლების ბოროტად გამოიყენება მხოლოდ მესაკუთრესთან კავშირში შეიძლება განვიხილოთ.

საინტერესოა ასევე მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ნაწარმოების განადგურება შეიძლება არა მხოლოდ საავტორო უფლებათა დარღვევად, არამედ საავტორო უფლებათა დაცვის გზად შეიძლება იყოს მიჩნეული. მაგალითად დ. სამსეს ნახატი „ეგირი ქალიშვილებით“ ავტორის თანხმობის გარეშე გადააკეთა მოპასუხებ და დაასათაურა, როგორც „ვენერას დაბადება“. გამყიდველმა გადაკეთებული ნაწარმოების ყიდვა სამსეს შესთავაზა. მხატვარმა დანიო დაჭრა დამახინჯებული ნახატი. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნახატის განადგურების გზით, მხატვარმა დაიცვა ნაწარმოები მომდევნო ხელყოფისაგან.⁴²⁵

ნაწარმოების განადგურებით ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის საკითხი განსხვავებულად რეგულირდება გამოიყენებითი ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში.⁴²⁶ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში ჩამოთვლილია, თუ რა მიიჩნევა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებად, მათ შორისაა: სკულპტურის, სახვითი ხელოვნების და სხვა მსგავსი ნაწარმოები, დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები; არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის ან საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოები. შესაბამისად, თუ ნაშრომი აკმაყოფილებს ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმებს, იგი დაცულია საავტორო სამართლით მიუხედავად იმისა, თუ რომელ ნივთშია გამოხატული და გააჩნია თუ არა გამოიყენებითი დანიშნულება. მაგალითად, სალვადორ დალის მიერ დამზადებული უნიკალური ავეჯი ხელოვნების ნიმუშადაა მიჩნეული. მიუხედავად ამისა, ყველაზე ორიგინალური ფორმით შესრულებულ გამოიყენებითი ხელოვნების ნაწარმოებსაც კი, პირველ რიგში, სამოქმედობლო დანიშნულება გააჩნია. ნივთის სარგებლობის მიზნიდან გამომდინარე, მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს უფლება გადააკეთოს ნივთი, ხოლო თუ ნივთი ვედარ ასრულებს მის ძირითად დანიშნულებას,

⁴²⁴ Janssens, Belgium: The destruction of a work of art. Can moral rights come to the rescue?, Belgium, 2008, 240.

⁴²⁵ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 221.

⁴²⁶ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, დეკორატიული ხელოვნების დარგი, რომელიც ქმნის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობებს: ავეჯს, ქსოვილებს, შრომის იარაღებს, მიმოსვლის საშუალებებს, ტანსაცმელს და აყველა სახის მორთულობას. XIX საუკუნის II ნახევრიდან მოხდა დეკორატიულ-გამოიყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების კლასიფიკაცია როგორც და ნიშნულების, ისე მასალის (ლითოგრაფია, კერამიკა, ხე) და შესრულების ტექნიკის (კვეთილობა, მოხატულობა, ნაქარგობა, ჩამოსხმა, ინგარსია, მინანქარი) მიხედვით. იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, გვ. 448, თბ., 1978 წელი.

გათავისუფლდეს მისგან. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორი ნივთის გასხვისების შემთხვევაში, აცნობიერებს ნივთის მოდიფიცირების და ასევე, განადგურების რისკს. სახითი ხელოვნების სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები მოხმარებიას ცვეთას ექვემდებარება, რაც მისი განადგურების რისკს ზრდის.

სანივთო სამართლის თანახმად მესაკუთრეს აქვს ნივთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება. იგი ახორციელებს ნივთზე ბატონობას. საკუთრების არსიდან გამომდინარე, მესაკუთრეს აქვს ნივთის განადგურების უფლება, თუკი ეს არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. მესაკუთრეს კანონი ვერ დაავალდებულებს პქონდეს საკუთრებაში ის ნივთი, რომელიც არ სურს, ან პქონდეს ნივთი იმ სახით, რომელიც აღარ შეესაბამება მის გემოვნებას. სწორედ ამიტომ, იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მესაკუთრის უფლება გაანადგუროს ნივთი, წინააღმდეგობაში მოდის მოვალობასთან შევინარჩუნოთ ნაშრომის ერთიანობა.⁴²⁷

ავტორისა და ნივთის მესაკუთრის ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენის მიზნით, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების დემონტაჟისას მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ავტორის ინტერესები. მესაკუთრეს უნდა დაეკისროს ვალდებულება, გააფრთხილოს ავტორი, თუკი სურს, ხელოვნების ნაწარმოების დემონტაჟი ან მისგან გათავისუფლება. სწორედ ამგვარად გადაწყვიტა პარიზის სასამართლომ 2000 წლის 13 ოქტომბერს, საქმე აიშობა ლეკოლის წინააღმდეგ. სახლის მესაკუთრეს სურდა შენობიდან მოზაიკის მოცილება. სასამართლოს მიერ შენობის მესაკუთრეს აეკრძალა მოზაიკის თვითნებური მოცილება შენობისაგან, ხოლო მოზაიკის ავტორს ორი თვე მიეცა მოზაიკის დემონტაჟისათვის.⁴²⁸

მოზაიკის განადგურებას შეეხება ასევე საფრანგეთის ნამურის სასამართლოს მიერ, 2000 წლის 31 მარტს განხილული საქმე ბუფე ფერსინგის წინააღმდეგ. საქმე შეეხებოდა მოზაიკის განადგურებას, რომელიც გამოხატავდა მოცეკვავე ნიმფებს და ამშვენებდა ნამურში, ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ საცურაო აუზს 1957 წლიდან. დროთა განმავლობაში ქლორიანმა წყალმა დააზიანა ფრესკა და თითქმის გაანადგურა იგი. არქიტექტორის მემკვიდრები ქალაქის მუნიციპალიტეტისგან მოითხოვდენ ახალი მოზაიკის მოშორებას და ძველის აღდგენას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოზაიკის აღდგენის საკმაოდ მაღალი ხარჯები და მოზაიკის მოშორება არ მიიჩნია ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევად.⁴²⁹ სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ შენობის მესაკუთრისა და ავტორის მემკვიდრეების

⁴²⁷ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 186.

⁴²⁸ RIDA 2003. 378. 195.

⁴²⁹ Pres Court of Namur 31 March 2000, Jurn. Aiteur&Madia 2000, 427.

ინტერესის გარდა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საჯარო ინტერესი, ვინაიდან შენობა განთავსებული იყო საჯარო ადგილას.⁴³⁰

გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებიდან მნიშვნელოვანია არქიტექტურულ ნაწარმოებებთან და ინტერიერის დიზაინთან დაკავშირებული საქმეები. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ბელგიის სასამართლო გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოიქმულია მოსაზრება, რომ არქიტექტურულ ნაწარმოებებთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლო ყოველთვის შენობის მესაკუთრის უფლებებს ანიჭებს უპირატესობას.⁴³¹ მიუხედავად ამისა, იურისტები აღნიშნავენ, რომ მესაკუთრის შეუზღუდული უფლება, გაანადგუროს თავისი საკუთრება, არ არის აღიარებული ბელგიური სასამართლოების მიერ.⁴³²

განსხვავებულად რეგულირდება ნაწარმოების განადგურებით ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის საკითხი საერთო სამართლის ქვეყნებში. საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობაში ხელშეუხებლობის უფლება მხოლოდ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზეა დაცული. კანადის საავტორო უფლებათა დაცვის აქტში, 1989 წლის 1 თებერვალს შევიდა ცვლილება, რომლითაც განხორციელდა ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა დაცვა.⁴³³ კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნაწარმოები დაცულია დამახინჯებისა და მოდიფიცირებისაგან, ასევე, იკრძალება ნაწარმოების ასოცირებული გამოყენება პროდუქტთან ან მომსახურებასთან, ნაწარმოების იმგვარი მიზნით გამოყენება, რომელიც ლახავს ავტორის პატივისა და რეპუტაციისათვის. ხოლო რაც შეეხება სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებს (ნახატს, სკულპტურასა და გრავიურას), კანონი იცავს ნებისმიერი დამახინჯებისა და მოდიფიცირებისაგან მიუხედავად იმისა, ცვლილება ხელყოფს თუ არა ავტორის პატივსა და დირსებას.⁴³⁴

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში არის მცდელობა, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები დაუს ე.წ. „დირექტულ“ და „ნაკლებად ღირებულ“ ნაწარმოებებად და მათზე დაცვის განსხვავებული რეჟიმი გაავრცელონ. ამერიკის შეერთებული შტატების სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე უფლებათა აქტის 106 ნაწილის მიხედვით, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს აკრძალოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ნებისმიერი განზრას ცვლილება, დამახინჯება, ხელყოფა, რომელიც ზიანს აყენებს მის პატივსა და რეპუტაციას. ხოლო „აღიარებული ღირებულების ნაწარმოებზე“ იკრძალება როგორც განზრას,

⁴³⁰ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 186.

⁴³¹ Janssens, Belgium: The destruction of a work of art. Can moral rights come to the rescue? Belgium, 2008, 236.

⁴³² Janssens, Belgium: The destruction of a work of art. Can moral rights come to the rescue?, Belgium, 2008. Jeremy Phillips/Firth Alison, Introduction to Intellectual Property Law, New-York, 2005, 240.

⁴³³ Canadian Copyright Act, 1985. n.b. <<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-42/FullText.html>> {17.01.2014}.

⁴³⁴ Chromecek/McCormack, World Intellectual Property Guidebook, Canada, 1991& 4h. 4-31.

ასევე გაუფრთხილებლობით ჩადენილი იგივე ქმედებები.⁴³⁵ ტერმინი „აღიარებული, ღირებულების“ არ არის განმარტებული კანონმდებლობაში, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში მას შემდეგნაირად ხსნიან: ნაწარმოები იყოს საჯაროდ გამოფენილი, ცნობილი და აღიარებული ექსპერტების, ხელოვანთა და მათთან დაკავშირებული საზოგადოების მიერ.⁴³⁶ ამერიკულ სამართლები დამკვიდრებული „აღიარებული ღირებულების“ ნაწარმოების ცნება წინააღმდეგობაში მოდის კონტინენტური ევროპის საავტორო სამართლის არსთან და ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმთან: ნაწარმოები დაცულია მიუხედავად მისი მხატვრული და ლიტერატურული ღირებულებისა. ამავე პრინციპს იზიარებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც ნაწარმოები დაცულია მიუხედავად მისი ავტორული დაცულისა. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა ასევე განასხვავებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა აქტის მიხედვით, ხელოვანს აქვს უფლება, დაიცვას თავისი ნაწარმოები განზრას ან უხეში გაუფრთხილებლობით განადგურებისაგან. ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ არქიტექტურული ნაგებობები, სამსახურეობრივი ნაწარმოებები და სახვითი ხელოვნების ის ნაწარმოებები, რომელიც არის ჩართული ელემენტი გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებში.⁴³⁷

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების განადგურება ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევის ყველაზე ექსტრემალურ სახეს წარმადგენს, რის შემდეგაც შეუძლებელი ხდება ნაწარმოებზე სხვა უფლებების განხორციელება. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში, ნაწარმოების განადგურება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევად უნდა იყოს მიჩნეული მიუხედავად იმისა, შეიძახა თუ არა ავტორის პატივი და რეპუტაცია ნაწარმოების განადგურებით. განსხვავებული დაცვის რეჟიმი უნდა დაწესდეს გამოყებითი ხელოვნების ნაწარმოებების შემთხვევაში: გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების სამომხმარებლო ფუნქციიდან გამომდინარე, ნივთის მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს ნივთის როგორც მოდიფიცირების, ასევე მისი განადგურების სრული თავისუფლება.

5.3. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების სამართლიანი ბალანსი სხვა უფლებებთან

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ისევე, როგორც ავტორის სხვა პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები, ნაწარმოების შექმნით წარმოშობა, რაც აღნიშნულ უფლებებთან მის მჭიდრო კავშირს განაპირობებს. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, ასევე მჭიდრო

⁴³⁵ USA. The Visual Artists Rights Act of 1990. იხ.

<<http://www.law.cornell.edu/uscode/text/17/106A>>{17.01.2014}.

⁴³⁶ Leaffer, Understanding Copyright Law, Fourth edition, LexisNexis Group, 2005, 38.

⁴³⁷ USA. The Visual Artists Rights Act of 1990. იხ.

<<http://www.law.cornell.edu/uscode/text/17/106A>>{17.01.2014}.

კავშირი აქვს საკუთრების უფლებასთან, ვინაიდან ხშირად ნაწარმოები სანივთო საკუთრებით ეკუთვნის სხვა პირს და არა მასზე საავტორო უფლების მქონე პირს. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება მუდმივი უფლებაა და იგი მოქმედებს ნაწარმოების არსებობის ვადით. ავტორისა და მისი მემკვიდრეების ინტერესების დაცვასთან ერთად ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა საზოგადოების კულტურულ მიზნებსაც ემსახურება. ავტორისა და საზოგადოების ინტერესების დაკამაყოფილებისათვის აუცილებელია, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური განხორციელება, რათა იგი წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს როგორც ავტორის ქონებრივ უფლებებთან, ასევე ისეთ მნიშვნელოვან უფლებებთან, როგორიცაა, საკუთრების უფლება, სიტყვის, გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლება.

ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებების საზოგადოების ინტერესებისა და კერძო პირთა ინტერესების პარმონიული დაბალანსების მიზნით, ინტელექტუალური საკუთრების სამართლით დაწესებულია უფლებათა შეზღუდვები.⁴³⁸

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის III თავი ითვალისწინებს ავტორის ქონებრივ უფლებათა შეზღუდვას. უფლებათა შეზღუდვები ყოველ კონკრეტულ ნორმას თავისი მიზანი აქვს: სამეცნიერო-საგანმანათლებლო, საინფორმაციო, კერძო პირთა პირადი სარგებლობისათვის, პუმანიტარული მიზნებისა და სასამართლო წარმოებისათვის.

კანონი არ ითვალისწინებს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა შეზღუდვას. ერთადერთი გამონაკლისია გამოხმობის უფლების განხორციელების შეზღუდვა სამსახურებრივ ნაწარმოებზე. („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი). თუმცა სხვა უფლებებთან სამართლიანი ბალანსის დამყარების მიზნით ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებაც, რიგ შემთხვევებში ექვემდებარება შეზღუდვებს.

ნაშრომის ქვემოთ წარმოდგენილ თავში განხილული იქნება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების სამართლიანი ბალანსის პრობლემა ავტორის ქონებრივ უფლებებთან, საკუთრების უფლებასთან, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებასთან.

5.3.1. ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ნაწარმოების თარგმნისა და გადამუშავებისას

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საავტორო სამართლით დაცულ ნაწარმოებებს მიეკუთვნება გადამუშავებული ნაწარმოები: თარგმანი, ადაპტაცია, ინსცენირება, კომპილაცია და სხვაგვარი გადამუშავება. გადამუშავებული ნაწარმოების დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად.

⁴³⁸ ძაბუკა შვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი 2006, 147.

კანონის მე-13 მუხლის თანახმად, გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას ამ ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლება.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასა და ნაწარმოების გადამუშავების, ნაწარმოების თარგმანის უფლებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება ხშირად ირდვევა ნაწარმოების გადამუშავებისას. იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ ნაწარმოების გადამუშავების უფლების დაცვა ეფუძნება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების განხორციელებას.⁴³⁹

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის ფორმულირების თანახმად, გააჩნია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შინაარსი. იგი ერთი მხრივ, მოიცავს დაცვის უფლებას – აკრძალოს ნებისმიერ პირს ავტორის ნებართვის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანა, ხოლო მეორე მხრივ, განხორციელების შესაძლებლობას – ავტორის ნებართვით ცვლილებები შევიდეს ნაწარმოებში და მის სათაურში. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების პოზიტიური ნაწილი - ნაწარმოებში ცვლილებების განხორციელების უფლება შინაასით იმდენად ახლოს დგას ნაწარმოების გადამუშავების უფლებასთან, რომ ზოგიერთი ქვეყნის, მაგ., გაერთიანებული სამეფოს საავტორო სამართალში ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება იყოს დათმობილი.⁴⁴⁰

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს და გაივლოს ზღვარი ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასა და ნაწარმოების გადამუშავების უფლებას შორის. ”საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ნაწარმოების ხელშეუხებლობა განიმარტება, როგორც ავტორის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები, როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში. ნაწარმოების გადამუშავების ქონებრივი უფლება დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით. კანონით არ არის განმარტებული ნაწარმოების გადამუშავების უფლება. იურიდიულ ლიტერატურაში გადამუშავების უფლება შემდეგნაირად არის განმარტებული: გადამუშავება ხდება მხოლოდ ნაწარმოების გამოხატვის თვალსაზრისით. გადამუშავებული ნაწარმოებებია: ადაპტაცია, არანქირება, კომპილაცია და სხვ. გადამუშავებული ნაწარმოები დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს და მისი დაცვაც ორიგინალური ნაწარმოებისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ, იმისათვის რომ შეიქმნას გადამუშავებული ნაწარმოები, ორიგინალური ნაწარმოები უნდა გადაკეთდეს, ან შეიქმნას მისი ადაპტაცია, არანქირება (მუსიკალური ნაწარმოების შემთხვევაში) და სხვ. ამგვარი ქმედებების განხორციელება კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ

⁴³⁹ ძაბუა შეიძლი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. თბილისი 2006, 198.

⁴⁴⁰ Werbner, The Multimedia Environment: The Broadcasters Perspective, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEA 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995, 227.

ორიგინალური ნაწარმოების ავტორის ნებართვით.⁴⁴¹ ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და ნაწარმოების გადამუშავების უფლებაც მოიცავს ავტორის თანხმობას ნაწარმოების ცვლილებაზე. თუმცა არაქონებრივი უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების განხორციელებით ავტორი ნებას რთავს სხვა პირებს ორიგინალ ნაწარმოებში შეიტანო ცვლილება. ხოლო ქონებრივი უფლების, ნაწარმოების გადამუშავების უფლების განხორციელების შედეგად იქმნება ახალი ნაწარმოები ახალი ავტორით. ნაწარმოების გადამუშავების შესახებ ავტორის თანხმობა არ გულისხმობს ნაწარმოების გადაკეთებას ნაწარმოების იდეური მთლიანობის დარღვევით. ნაწარმოების იდეური მთლიანობის, მისი სულის დარღვევა ეკროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას წარმოადგენს.⁴⁴² „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. შესაბამისად, ნაწარმოების გადამუშავების უფლების გადაცემის შემდეგაც, ოუკი ნაწარმოების გადაკეთებით დაირღვა მისი მთავარი აზრი, მისი იდეური მთლიანობა, ავტორი უფლებამოსილია დაიცვას როგორც რეპუტაციის პატივისცემის, ასევე ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება.

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები გადაუცემადი უფლებებია. ავტორი ხელშეკრულებითა თუ ლიცენზიით ვერავის გადასცემს ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენად მართებულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველო კანონის ნორმა, რომელიც ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების განხორციელებად განიხილავს ავტორის მიერ ნების დართვას, შეტანილი იქნება ცვლილებები ნაწარმოებსა და მის სათაურში. მე-17 მუხლით რეგულირებული ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების საფუძველზე ავტორის ნებართვის გაცემა, ვერ გახდება ხელშეკრულების საგანი. ხელშეკრულებით ნაწარმოებში ცვლილებების შეტანის უფლება ავტორმა მხოლოდ ნაწარმოების გადამუშავების უფლების საფუძველზე შეიძლება გადასცეს.

ნაწარმოების გადამუშავების ქონებრივ უფლებასა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას შორის კავშირი თვალსაჩინოა კომპიუტერულ პროგრამებზე საავტორო უფლებების რეგულირებისას. საქართველოს კანონით “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კომპიუტერული პროგრამა დაცულია როგორც ლიტერატურის ნაწარმოები და მასზე კრცელდება საავტორო უფლებები, მათ შორის ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებაც. კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, პირი, რომელიც მართლზომიერად ფლობს კომპიუტერული პროგრამის ან მონაცემთა ბაზის ეგზემპლარს, უფლებამოსილია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის

⁴⁴¹ ძაბუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი 2002, 67.

⁴⁴² Julian, L'esprit de loeuvre et le droit moral de l'auteur, Revue Internationale du Droit D'auteur 215, Janvier 2008.Dworkin, Gerald, The Moral Rights and English Copyright Law, IIC NO4/1981, 104.

თანხმობისა და მისთვის საავტორო პონორარის გადახდის გარეშე შეიტანოს კომპიუტერულ პროგრამაში ან მონაცემთა ბაზაში ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია მომხმარებლის ტექნიკურ საშუალებათა ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული მუხლი მოცემულია კანონის III თავში, რომელიც ქონებრივ უფლებათა შეზღუდვას ეხება. თუმცა, მონაცემთა ბაზაში ან კომპიუტერულ პროგრამაში ცვლილებების შეტანა ასევე შეიძლება მივიჩნიოთ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვად, ვინაიდან, ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ავტორის ნებართვის გარეშე ხორციელდება ცვლილებები. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ამ შემთხვევაში იზღუდება, ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე, მომხმარებელთა ინტერესების სასარგებლოდ. ევროპულ კანონმდებლობაში მკაცრადაა ზღვარი გავლებული ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს შორის, კომპიუტერულ პროგრამაში ცვლილების შეტანის დროს. მაგ., საფრანგეთის ინტელექტუალური სამართლის კოდექსის მიხედვით, ავტორს არ შეუძლია წინ აღუდგეს მის კომპიუტერულ პროგრამაში ცვლილების შეტანას (მოდიფიცირებას) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგარი მოდიფიცირებით ილახება ავტორის პატივი და რეპუტაცია.⁴⁴³ საფრანგეთის საავტორო სამართალი ხელშეუხებლობის უფლებას იცავს, მიუხედავად იმისა, იგი ხელყოფს თუ არა ავტორის პატივსა და რეპუტაციას, თუმცა მხოლოდ კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით აწესებს პატივისა და რეპუტაციის შელახვის აუცილებლობას.⁴⁴⁴

ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და გადამუშავების უფლებას შორის ურთიერთკავშირის განხილვისას პრობლემატურია საკითხი, ნაწარმოების გადამუშავების უფლების გადაცემის შემთხვევაში, რამდენად ექნება ავტორს შესაძლებლობა სრული მოცულობით დაიცას ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება, ხომ არ გამოიწვევს ნაწარმოების გადამუშავების უფლების გადაცემა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას? ნაწარმოების გადამუშავებისას იქმნება ახალი ნაწარმოები ახალი ავტორით, რომელიც სარგებლობს შემოქმედებითი თავისუფლებით. ნაწარმოების გადამუშავებისას ავტორს შეუძლია იდავოს ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევაზე, თუკი ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევად, ევროპული სასამართლო პრაქტიკის მსგავსად, ნაწარმოების იდეურ მთლიანობის მივიჩნევთ.⁴⁴⁵

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დამდგმელი რეჟისორების მიერ, ინტერპრეტირება არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ მთავარია ნაწარმოების ინტერპრეტირებისას არ ხდებოდეს ნაწარმოების სულის, ერთიანი ხაზისა და კონსტრუქციის დარღვევა. ნაწარმოების ამგვარად

⁴⁴³ Code de la propriété intellectuelle, L 121-7 ob.

<<http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006069414>> {17.01.2014}

⁴⁴⁴ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 188.

⁴⁴⁵ Goldgrab, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEA 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995, 89.

გადამუშავება
განხორციელდეს.⁴⁴⁶

ვინაიდან საქართველოს საავტორო სამართალი ვითარდება ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზით, საინტერესოა ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა.

პარიზის სააპელაციო სასამართლომ 1985 წელს განიხილა საქმე ლეონიდ ზორინი ლუსერნაილის ოეატრის წინააღმდეგ. მოსარჩევე იყო სცენარისტი ლეონიდ ზორინი, რომლის კომედიაც პოლიტიკური მნიშვნელობით დაიდგა სცენაზე. სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, მართლია, რეჟისორი არის ადამიანი, რომელმაც სცენაზე უნდა გააცოცხლოს ნაწარმოები, იგი არის შემოქმედი და, აქედან გამომდინარე, გააჩნია კიდევ ინტერპეტირების გარკვეული თავისუფლება. თუმცა ამ შემთხვევაში დაკარგული იყო ლეონიდ ზორინის ნაწარმოების სული.⁴⁴⁷

2001 წელს საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ საქმეზე, რომელიც "პატარა პრინციპი" ადაპტირებას შეეხებოდა, აღნიშნა: ფილმისა თუ ლიტერატურული ნაწარმოების ადაპტაციის დროს საჭიროა, შემოქმედს ჰქონდეს გარკვეული თავისუფლება. თუმცა ნაწარმოების ადაპტაციისას უნდა იყოს შენარჩუნებული ნაწარმოების პატივისცემის უფლება.⁴⁴⁸

ნაწარმოების გადამუშავებისას, უფლების მსგავსად, თარგმანის უფლებითაც შეიძლება დაირდეს ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება. თარგმანის უფლებაც ავტორის ქონებრივ უფლებას მიეკუთვნება და დაცულია საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით. ავტორის ნებართვის გარეშე მისი ნაწარმოების თარგნით შესაძლებელია ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება დაირდეს, თუ თარგმანში დაიკარგა ნაწარმოების ძირითადი არსი და შინაარსი.

ყოველივე აღმნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა ვიგულისხმოთ, რომ ნაწარმოების თარგმნისა და გადამუშავების ავტორის ქონებრივი უფლება მოიცავს არა მხოლოდ ერთჯერადი თანხმობის გაცხადებას, არამედ ნათარგმნი და გადამუშავებული ტექსტის ავტორთან შეთანხმების მოვალეობას? იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ნაწარმოების გადამუშავების უფლების გადაცემით გარკვეული თვალთახედვის სიფართოვე, ინტერპეტირების უფლება ენიჭება ახალ ავტორს. მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოების ადაპტირების საფუძველზე ფილმის გადაღებისას, რეჟისორს უფლება აქვს შემოიყვანოს ნაწარმოებში ახალი პერსონაჟები, თუმცა იმგვარად, რომ არ შეიცვალოს ნაწარმოების სული.⁴⁴⁹ ნაწარმეობის გადამუშავების უფლების გადაცემით, ავტორი იზღუდავს უფლებას სრული კონტროლი განახორციელოს

⁴⁴⁶ Dulian, L'esprit de loeuvre et le droit moral de l'auteur, Revue Internationale du Droit D'auteur 215, Janvier 2008, 120.

⁴⁴⁷ Dulian, L'esprit de loeuvre et le droit moral de l'auteur, Revue Internationale du Droit D'auteur 215, Janvier 2008, 120.

⁴⁴⁸ Casation Civil 1, 12 de Junio de 2001, "el principito", RIDA enero 2002, 266.

⁴⁴⁹ Consorts de Giraud d'Agay c Sté Alpha Film, Cass, 1 ch civ, 12 June 2001 (2002) 191 RIDA 266 n.b.

Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 186.

ნაწარმოებზე, ვინაიდან, თუკი ავტორი ადაპტირებული ნაწარმოების თითოეულ სიტყვას ან სცენას გააკონტროლებს, იგი ხელყოფს თავად ადაპტორის, როგორც შემოქმედის უფლებას. ნაწარმოების ადაპტირების შემთხვევაში ორიგინალური ნაწარმოების ავტორის უფლებები ნაწარმოების გადამუშავებისას ხელშეკრულებით უნდა დარეგულირდეს. თუმცა მიუხედავად ხელშეკრულების პირობისა, ავტორი ინარჩუნებს ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებას. შესაბამისად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ნაწარმოების გადამუშავებისა და თარგმანის დროს, პირი ერთგვარად შეზღუდულია ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებით.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის პირად არაქონებრივი უფლებასა და გადამუშავების ქონებრივ უფლებას შორის მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება უნდა მოიცავდეს მხოლოდ ავტორის უფლებას, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილების შეტანას. შესაბამისად, იგი, ისევე როგორც პირად არაქონებრივ უფლებათა უმტკიცება, ნებატიურ უფლებად უნდა იყოს ფორმულირებული. ხოლო ავტორის უფლება ან თავად შეიტანოს ცვლილება ნაწარმოებში ან სხვა პირებს გადასცეს ეს უფლება, ნაწარმოების გადამუშავების უფლებას უნდა მიეკუთვნებოდეს.

5.3.2. სამართლიანი ბალანსი ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასა და საკუთრების უფლებას შორის

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა განსაკუთრებით პრობლემატურია, როდესაც საქმე ეხება ნაწარმოებს, რომელიც სხვის საკურებაში იმყოფება. ამ შემთხვევაში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის ერთი მხრივ, ავტორის უფლება დაიცვას საკუთარ ნაწარმოებზე ხელშეუხებლობის უფლება და მეორე მხრივ, მესაკუთრის უფლება განახორციელოს ნივთზე ბატონობა. ამ საკითხს ჯერ კიდევ რომაელმა იურისტებმა მიაქციეს ყურადღება. იმპერატორ იუსტინიანეს ინსტიტუციებში გვითხულობთ: 33. ასოებიც, თუნდაც ისინი ოქროსი იყოს, ისევე მიეკუთვნება ქადალდს (პაპირუსს) ან პერგამენტს, როგორც ეკუთვნის მიწას, ჩვეულებრივ, ყველაფერი ის, რაც იქ შენდება ან ითესება. ამიტომაც, თუ შენს ქადალდზე (პაპირუსზე) ან პერგამენტზე ტაციუსი ლექსს, ისტორიას ან სიტყვას დაწერს, შენ ამ [ახალ] ნივთს არა ტაციუსის, არამედ შენს საკუთრებად მიიქცევ. მაგრამ თუ შენ ტაციუსისგან შენს წიგნებსა და პერგამენტებს მოითხოვ ისე, რომ წერის ხარჯების გადახდა არ გინდა, მაშინ ტაციუსს ბოროტი განზრახვის შესაგებლით თავის დაცვა შეუძლია ისე, თითქოს ამ ქადალდებისა და პერგამენტების მფლობელობა მან კეთილსინდისიერად მოიპოვა. 34. თუ ვინმე სხვის დაფაზე დახატავს, ზოგის აზრით, დაფა ნახატს ეკუთვნის, ზოგსაც მიაჩნია, რომ ნახატი, როგორიც არ უნდა იყოს ის, დაფას მიეკუთვნება. ჩვენ კი ვთვლით, რომ უმჯობესია დაფა ნახატს მიეკუთვნოს, რადგან სასაცილოა, რომ აპელესის ან პარპაზიუსის ნახატი, როგორც მისი შემადგენელი [ნაწილი] იაფვასიან

დაფას ეკუთვნოდეს.⁴⁵⁰ იუსტინიანეს ინსტიტუციების ეს ორი ნორმა ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ სიტყვა, ნახატი და სხვა ნაწარმოები, რომაელი იურისტების მიერ, ცალკე ობიექტებად ითვლებოდა და მატერიალური ნივთისაგან გამოცალკევებულ ქონებად განიხილებოდა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ რომის სამართლით, ფაქტობრივად ნაწარმოების ავტორის უფლებების დაცვაც შეიძლებოდა, მაგრამ სანივთო სამართლებრივი ნორმებით. ამის თვალსაჩინო მაგალითია 34-ე ინსტიტუციის გაგრძელება, კერძოდ, "...მაგრამ თუ ნახატს ის ფლობს, ვინც იგი დახატა, მაშინ ლოგიკური იქნება, რომ მის წინააღმდეგ იგივე სარჩელი დაფის მესაკუთრესაც მიეცეს, რა შემთხვევაშიც, თუ იგი ნახატის ღირებულებას (ხარჯებს) არ გადაიხდის, მაშინ იგი ბოროტი განზრახვის შესაგებლით შეიძლება იქნეს აცილებული, ისე, თითქოს ის, ვინც ნახატი დახატა, კეთილსინდისიერ მფლობელს წარმოადგენდეს. ის ხომ ცხადია, რომ როდესაც ის, ვინც ნახატი დახატა ან ვინმე სხვა ნახატს მოიპარავს, დაფის მესაკუთრეს ქურდობის სარჩელი ეძლევა".⁴⁵¹

სანივთო და საავტორო ობიექტებს შორის განსხვავება განაპირობებს მესაკუთრის და ავტორის უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის დამყარების პრობლემას. საავტორო უფლების დამოუკიდებლობა საკუთრების უფლებისაგან განმტკიცებულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ შესახებ კანონის მე-7 მუხლში, რომლის თანახმად, საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები, ხოლო მატერიალური ობიექტის საკუთრების ან მფლობელობის გადაცემა თავისთავად არ იწვევს ამ ობიექტში გამოხატულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების გადაცემას. საავტორო სამართლის ობიექტი არის ქმნილება და არა მატერიალური ნივთი, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები. იმ შემთხვევაშიც, როდესაც, მატერიალური ნივთი აღმოჩნდება სხვის საკუთრებაში, ქმნილებაზე უფლება რჩება ავტორს. ნაწარმოები მართალია ასოცირებულია მის ფიზიკურ, მატერიალურ გამოხატულებასთან, მაგრამ, როდესაც ჩვენ ვყიდულობთ ხის სკულპტურას, ვიძენთ „ხის ნაჭერს“ და არა ინტელექტუალურ საკუთრებას საავტორო უფლებაზე.⁴⁵²

კონტინენტური ეკროპის ქვეყნებში, როგორც საავტორო, ასევე საკუთრების უფლება, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებია. მათ შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა სასამართლოს პრეროგატივაა. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა კერძო მფლობელობაში, ისევე, როგორც ნაწარმოების განადგურებით ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, აქტუალურია სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ინტელექტუალურ-შემოქმედები იმგვარადა გამოხატული მატერიალურ ობიექტში,

⁴⁵⁰ სურგულაძე, რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბილისი, 2002, 62.

⁴⁵¹ სურგულაძე, რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბილისი, 2002, 62.

⁴⁵² Torremans, Holyoak and Torremans Intellectual Property Law, Fourth Edition, Oxford, 2005, 228.

რომ თავად ფიზიკური ობიექტი წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედებითი საქმიანობის შედეგის განუყოფელ ნაწილს.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გერმანული სასამართლოები მესაკუთრისა და ავტორის ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დასაყარებლად იყენებენ ე.წ. დამაბალანსირებელ ტესტს, თუმცა გერმანული სამართალი ბოლომდე ერთგული რჩება პრინციპისა, რომელიც 1912 წელს იქნა გაუდერებული სასამართლო გადაწყვეტილებაში, როგო აისლანდი სირენის წინადმდებარებული და რომლის თანახმადაც, კანონით დაცული უფლებაა, ნაწარმოები არსებობდეს თანამედროვეთათვის და დარჩეს მომავლისთვისაც მხოლოდ მისი გადაუკეთებელი, ინდივიდუალური ფორმით.⁴⁵³

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების აბსოლუტური დაცვა განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც საქმე გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს შეეხება, ვინაიდან ნაწარმოების მთლიანობის უფლებაც უნდა ემსახურებოდეს ავტორის ინტერესებსა და ნაწარმოების ექსპლუატაციას შორის ბალანსის დადგენის მიზანს.⁴⁵⁴ ხელოვნების ნაწარმოებთა სამომხმარებლო—გამოყენებითი დანიშნულების განხილვისას აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ კონტინენტური ევროპის სამართლისა და საერთო სამართლის ქვეყნების საავტორო სამართალს შორის განსხვავებაზე. საერთო სამართლის იურისტები აღნიშნევენ, რომ გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობას საწარმოო მიდგომა აქვს საავტორო სამართლის მიმართ. 1988 წლის „საავტორო სამართლის, გამოგონებათა და საპატენტო აქტში“ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა, მხოლოდ ბერნის კონვენციასთან კომპრომისის საფუძველზე ფორმალურად განხორციელდა.⁴⁵⁵

გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში, პირი ხელოვნების ნაწარმოებს იძენს არა მხოლოდ ესთეტიური მიზნისათვის (რა მიზანი და დანიშნულებაც ზოგადად აქვს ხელოვნების ნაწარმოებს), არამედ, პირველ რიგში, პრაქტიკული დანიშნულებისათვის. ამ შემთხვევაში მესაკუთრე უფრო ფართო უფლებამოსილებით უნდა სარგებლობდეს, გადააკეთოს ნივთი სამომხმარებლო დანიშნულებიდან გამომდინარე. არსებობს მოსაზრება, რომ შენობებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების მესაკუთრეებს აქვთ უფლება შეიტანონ ნაწარმოებში ცვლილებები, თუკი ეს ცვლილებები პასუხობს გონივრულ მოთხოვნილებებს. მესაკუთრეს ნაწარმოების გადაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აეკრძალოს, თუ დადგინდება, რომ ქმედების მიზანი მხოლოდ ავტორისთვის ზიანის მიუენება.⁴⁵⁶ გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების რეგულირებისას, საავტორო სამართალი ძალიან ახლოს არის დიზაინის სამართალთან. საქართველოს კანონმდებლობით არ იკალება ხელოვნების ნაწარმოები

⁴⁵³ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 57.

⁴⁵⁴ Torremans, Holyoak and Torremans Intellectual Property Law, Fourth Edition, Oxford, 2005, 221.

⁴⁵⁵ Torremans, Holyoak and Torremans Intellectual Property Law, Fourth Edition, Oxford, 2005, 215-216.

⁴⁵⁶ Соловьев, Авторское Право, Москва, 2001, 25.

დარეგისტრირებული იქოს დიზაინად და ამავე დროს დაცული იქოს საავტორო სამართლის ნორმებით. უმჯობესია გაივლოს ზღვარი ხელოვნების ნაწარმოებსა და დიზაინს შორის. ავტორმა თავად გადაწყვიტოს, თუ რომელი სამართლის დარგით დაიცავს საკუთარ ნაწარმოებს - საავტორო თუ სამრეწველო. ნაწარმოების დიზაინად დარეგისტრირების შემთხვევაში, ადარ უნდა ხდებოდეს ნაშრომის დაცვა საავტორო სამართლის ნორმებით. საავტორო სამართლისადმი განუსაზღვრელად ბევრი ობიექტის მიკუთვნება საბოლოოდ ხელს შეუშლის საავტორო სამართლის ნორმების ეფექტურ განხორციელებას. ევროპულ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს საქმეები, როდესაც საავტორო სამართლით დაცულ ობიექტებს არ მიეკუთვნა დიზაინის სამართლით დაცული ნაშრომები. ამის მაგალითია საფრანგეთის დიდი ტრიბუნალის მიერ 1998 წელს განხილული საქმე მორალდი შტე ლე ფრომაგერს სავოიარდის წინააღმდეგ. საქმე შეეხებოდა ნახატს, რომელიც გამოყენებული იყო ყველის შესაფუთად. სასამართლომ დაადგინა, რომ პირს, რომელიც ავტორის თანხმობით იყენებდა ნაშრომს კომერციული მიზნებისათვის, ჰქონდა ნაწარმოებში მცირე ცვლილებების შეტანის უფლება. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ დიზაინს არ ჰქონდა მხოლოდ სახელოვნობო დანიშნულება, ნაწარმოების შექმნისას სწორედ კომერციული ინტერესი დომინირებდა და ამიტომაც მასზე არ ვრცელდებოდა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება იმ მასშტაბით, როგორც ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე.⁴⁵⁷

კერძო საკუთრებისას, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა ყველაზე ხშირია არქიტექტორულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით, ვინაიდან შენობა-ნაგებობებს, სახელოვნობოსთან ერთად, პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნიათ და ნაწარმოებში ცვლილების შეტანა ნაგებობის პრაქტიკული დანიშნულების მიზნით შეიძლება იყოს გამოწვეული.

არქიტექტორულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებებს, “საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ” კანონთან ერთად არეგულირებს „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“, საქართველოს კანონის V თავი. კანონის არაერთი ნორმითაა გარანტირებული არქიტექტორის შემოქმედებითი თავისუფლება და საავტორო უფლებათა დაცვა. მაგ., მე-3 მუხლის თანახმად, დაუშვებელია არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში ისეთი მოთხოვნების ჩართვა, რომლებიც ზღუდავს პროექტის ავტორის უფლებებს, გარდა კანონმდებლობით ან ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით გავალისწინებული შემთხვევებისა. კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელს უწყობს არქიტექტორის შემოქმედებითი თავისუფლების, არქიტექტურული მეცნიერებისა და განათლების განვითარების უზრუნველყოფას. კანონის მე-8 მუხლი არქიტექტორს აძლევს უფლებას, განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა და იყოს

⁴⁵⁷ Molard c Stè Les Fromagers Savoyards, TGI d'Annecy, 1 ch, 10 September 1998 (1999) 176 RIDA 431. იხ. Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 291.

დამკვეთის წარმომადგენელი. ხარვეზით ხასიათდება კანონის მე-12 მუხლი. კერძოდ, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არქიტექტურული ნაწარმოების, როგორც საავტორო უფლების ობიექტის შექმნისას და გამოყენებისას წარმოშობილი ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტთა შორის არ არის მოხსენიებული საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“.

არქიტექტორული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არქიტექტურულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების ობიექტს წარმოადგენს არქიტექტურული პროექტი და არქიტექტურული ობიექტი. მაშასადამე, მაშინაც, თუ არქიტექტორული ობიექტი გასხვისებულია, იგი წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს და მასზე ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ვრცელდება, რომელიც არ შეიძლება იყოს დათმობილი ან გადაცემული. კანონის მე-13 მუხლის თანახმად, მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ავტორს აქვს უფლება, გამოიყენოს თავისი პროექტი, ან ნება დართოს, რეალიზაციის მიზნით მის გამოყენებულ იქნას. არქიტექტურული პროექტის ავტორი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს თავისი პროექტის რეალიზაციაში, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ავტორს აქვს თავისი პროექტის გამრავლების, გავრცელების, საჯარო ჩვენებისა და გადაკეთების უფლება.

არქიტექტორულ ნაწარმოებებზე ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის VI თავი, რომელიც შეეხება არქიტექტურულ პროექტში და არქიტექტურულ ობიექტში ცვლილებების შეტანას. კანონის მე-15 და მე-16 მუხლების თანახმად, როგორც არქიტექტორულ პროექტში, ასევე არქიტექტორულ ობიექტში ცვლილების შეტანა შეთანხმებული უნდა იყოს არქიტექტორთან. კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრე, რომელსაც განზრახული აქვს ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლა, ვალდებულია მიიღოს არქიტექტურული პროექტის ავტორის ხებართვა ან მიიწიოს იგი, არქიტექტურულ ობიექტში ცვლილებების შეტანის მიზნით, საპროექტო სამუშაოს შესასრულებლად. ხოლო თუ არქიტექტურული ობიექტის ავტორი არ არის თანახმა აუცილებლობით განპირობებული ან დასაბუთებული ცვლილებების შეტანაზე, ობიექტის მესაკუთრეს (მფლობელს) უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს. საქართველოს კანონი „არქიტექტორული საქმიანობის შესახებ“ იზიარებს კონტინენტური ევროპის სამართლის მიღებისა და არქიტექტურულ ნაწარმოებში ცვლილების შეტანა მხოლოდ ავტორთან შეთანხმებით არის შესაძლებელი, ამასთან, კანონი მესაკუთრეს აძლევს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას ავტორის უარის შემთხვევაში. ავტორისა და მესაკუთრის ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დამყარება სასამართლოს კომპეტენციაა.

ევროპული სასამართლო პრაქტიკა მდიდარია საქმეებით, რომელიც სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორთა და ნივთის მესაკუთრეთა უფლებებს შორის ბალანსს შეეხება. განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

საინტერესოა ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მიღებული 2003 წლის 21 მარტს. არქიტექტორმა შენობის შესასავლელის უნებართვო მოდიფიცირებით ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევის გამო, სარჩელით მიმართა სასამართლოს. გადაწყვეტილების თანახმად, კარისმოდიფიცირებამ დაარღვია მისი უფლება ნაწარმოების მთლიანობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ კარის გადაკეთებით დაირღვა შესასვლელი დარბაზის არქიტექტურული კონცეფცია, თუმცა ვინაიდან გადაკეთება გამოწვეული იყო ტექნიკური აუცილებლობით, გადაწყვეტილება შენობის მესაკუთრის სასარგებლოდ იქნა მიღებული. სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ამ შემთხვევაში ავტორის მიერ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა უფლების ბოროტად გამოყენებაზე არის ხაზგასმა ბრიუსელის სასამართლოს 2002 წლის 25 ოქტომბერის გადაწყვეტილებაში, რომელიც კერძო სკოლის შენობის გადაკეთებას ეხებოდა. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ არქიტექტორის მიერ მესაკუთრისათვის შენობის ნებისმიერი მოდიფიცირების აკრძალვა იქნებოდა ნაწარმოების ხელშეუხებლობის პირადი არაქონებრივი უფლების ბოროტად გამოყენება.⁴⁵⁸

საფრანგეშიც, მორალური უფლებების სამშობლოში არქიტექტორის უფლება ნაწარმოების ხელშეუხებლობაზე, არ სარგებლობს აბსოლუტური დაცვით და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება ბალანსი მესაკუთრის უფლებებთან. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 544-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს უფლება ნივთის აბსოლუტური თავისუფლებით ფლობასა და განკარგვაზე შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საავტორო უფლებები საკუთრების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. მესაკუთრის ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, თუკი ავტორის მხრიდან ადგილი აქვს უფლების ბოროტად გამოყენებას.⁴⁶⁰ აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ, მეცნიერთა ნაწილი საკუთრების უფლებისკენ იხრება, ვინაიდან საკუთრების უფლება მოიცავს ქონების განადგურების უფლებასაც. მესაკუთრის უფლება მხოლოდ მის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს.⁴⁶¹

იურიდიულ ლიტერატურაში ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორივე - საკუთრებისა და საავტორო უფლებაც, თანაბარი ძალის მქონე უფლებებია და ყოველგვარი უპირატესობის მინიჭების გარეშე, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ უნდა დაადგინოს უფლებათა შორის ბალანსი და უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი.⁴⁶²

⁴⁵⁸ Janssens, Belgium: The destruction of a work of art. Can moral rights come to the rescue?, Belgium, 2008, 236.

⁴⁵⁹ Pres. Court of Brussels 25 October 2002, (Hereafter the Kroll case), Jurn. Auteur&Media 2003/1 59.

⁴⁶⁰ Vanbrabant, Les conflits susceptibles de survenir entre l'auteur d'une oeuvre et le propriétaire du support. Revue de Droit Intellectuel: L'ingénier-Condeil, 2004, 123.

⁴⁶¹ Vischer/ Michaux, Precis du droit d'auteur et des droits voisins, Brussels, 2000, 159.

⁴⁶² Janssens, Belgium: The destruction of a work of art. Can moral rights come to the rescue?, Belgium, 2008, 241.

საფრანგეთის სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომელიც შენობის მესაკუთრეთა სასარგებლოდ არის მიღებული, ძირითადად უურადღება გამახვილებულია შენობის სამომხმარებლო ფუნქციასა და ტექნიკურ აუცილებლობაზე. მაგ., 1990 წლის 4 აპრილს საფრანგეთის სააპელაციო და საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც 1913 წელს აშენებული თეატრის საძირკველში რესტორნის აშენებას შეეხებოდა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი თეატრის შენობა საჭიროებდა რეკონსტრუქციას, ცვლილებები აუცილებელი იყო და პასუხობდა თანამედროვე განვითარების მოთხოვნებს. სასამართლომ, აგრეთვე, მხედველობაში მიიღო, მესაკუთრის მიერ დახარჯული სახსრები იმისათვის, რომ შენობის ექსტერიერი, რაც შეიძლება ნაკლებად შეცვლილიყო.⁴⁶³

შენობის მესაკუთრეთა ვალდებულება, შეინარჩუნონ ნაწარმოების ხელშეუხებლობა, მოიცავს თუ არა მათ ვალდებულებას, დაიცვან და მოუფრთხილდნენ ნაწარმოებს და რიგ შემთხვევებში გასწიონ ხარჯები მათ შესანარჩუნებლად? ამ შემთხვევაში შეიძლება პარალელის გავლება მესაკუთრეთა ვალდებულებასთან, მოუარონ მათ საკუთრებაში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და გასწიონ შესაბამისი ხარჯები. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე და 25-ე მუხლების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მესაკუთრე შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ასევე ფიზიკური პირი. მესაკუთრეს ევალება დაიცვას მის საკუთრებაში არსებული უძრავი ძეგლი, გაიღოს ხარჯები მისი მოვლა-პატრონობისათვის. კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობა არის კულტურის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა, შეინარჩუნა ან აღიდგინა ფასეულობის მნიშვნელობა და გადაეცემა თაობიდან თაობას. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სიას კი სპეციალური უფლებამოსილების მქონე ორგანოები შეიმუშავებენ და მათ დაცვაზე კონტროლსაც ახორციელებენ. იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოები არ არის აღიარებული, როგორც კულტურული მემკვიდრეობა, ევალებათ თუ არა სახელმწიფოს ან კერძო პირებს მათ საკუთრებაში მყოფი ხელოვნების ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებაზე ზრუნვა? არც საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ და არც სხვა საკანონმდებლო აქტი არ შეიცავს ნორმას, რომელიც სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების მესაკუთრეებს ამგვარ ვალდებულებას დაუწესებს. საკუთრების არსიდან გამომდინარე, არ შეიძლება მესაკუთრეს მოვთხოვოთ ხელოვნების ყველა იმ ნაწარმოებისათვის ხარჯის გაწევა, რომელიც მის საკუთრებაში იმყოფება, თუმცა შესაძლებელია, კანონმდებლობაში უფლებათა დამაბალანსირებელი სხვა ნორმები იყოს გათვალისწინებული. მაგ., სახვითი ხელოვნების ნაწარმოებისა და ნივთის მესაკუთრის ინტერესებს შორის ბალანსის დამყარებას ისახავს მიზნად ამერიკის შეერთებული შტატების სახვით ხელოვნების ნაწარმოებებზე უფლებათა აქტის მე-13 &, რომლის თანახმად, თუ სახვითი ხელოვნების

⁴⁶³ Conseil national de l'ordre des Architectes, Perret et et autres cSte Perrel-Lagrande, Immobiliere du theatre des champs Elysees et autres. TGI Paris 1ch 4 april 1990 (1990) 145 Ripa 386.

ნაწარმოები ჩართულია არქიტექტურულ ნაგებობაში ან წარმოადგენს მის ნაწილს და ნაგებობიდან მისი მოშორება გამოიწვევს ნაწარმოების განადგურებას, დამახინჯებას, დაზიანებას ან სხვაგვარ მოდიფიცირებას, ქმედება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ავტორის თანხმობით. ხოლო იმ ნაწარმოებებისათვის, რომელიც შესრულებულია 1991 წლის პირველი ივნისის შემდეგ, მოითხოვება წერილობითი თანხმობა. კანონის თანახმად, 90 დღე უძლევა ავტორს იმისათვის, რომ მისცეს თანხმობა ან გადაიხადოს თანხა დემონტაჟისათვის.⁴⁶⁴ ამერიკელი იურისტები აღნიშნავენ, რომ მე-13 პარაგრაფის მიზანია, შენობის მეპატრონის პრაქტიკული ინტერესებსა და სელოვანის მორალურ უფლებებს შორის კომპრომისის გამონახვა.⁴⁶⁵

ავტორისა და ნივთის მესაკუთრის უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის დამყარება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს კომპეტენციაა. თუმცა, როგორც ევროპული ისე საქართველოს კანონდებლობა შეიცავს ნორმებს, რომელიც სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას შეეხება. მაგ. „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-15 და მე-16 მუხლების თანახმად, როგორც არქიტექტორულ პროექტში, ასევე არქიტექტორულ ობიექტში ცვლილების შეტანა შეთანხმებული უნდა იყოს არქიტექტორთან. არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრე, რომელსაც განზრახული აქვს ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლა, ვალდებულია მიიღოს არქიტექტურული პროექტის ავტორის ნებართვა ან მიწვიოს იგი არქიტექტურულ ობიექტში ცვლილებების შეტანის მიზნით, საპროექტო სამუშაოს შესასრულებლად. ხოლო თუ არქიტექტურული ობიექტის ავტორი არ არის თანახმა აუცილებლობით განპირობებული ან დასაბუთებული ცვლილებების შეტანაზე, ობიექტის მესაკუთრეს (მფლობელს) უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

მიზანშეწონილია, კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მსგავს ნორმას სახვითი ხელოვნების იმ ნაწარმოებებთან დაკავშირებითაც, რომელიც ჩართულია არქიტექტურულ ნაგებობაში ან წარმოადგენს მის ნაწილს (მაგ. სკულპტურა, გრავიურა, მოზაიკა). სახვითი ხელოვნების ამ კატეგორიის ნაწარმოებების ცვლილების/რესტავრაციის ან ნაგებობიდან მოცილების შემთხვევაში, აუცილებელი უნდა იყოს ავტორის თანხმობა ან ობიექტის მესაკუთრის მიერ მისი მოწვევა ცვლილებების განსახორციელებლად. ხოლო, იმ შემთხვევში თუ მესაკუთრეს ნაწარმოებისაგან გათავისუფლება სურს, ავტორს უნდა მიეცეს საშუალება, თავად განახორციელოს დემონტაჟი.

5.3.3. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასა და ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დადგენა

⁴⁶⁴ USA Visual Artists Rights Act of 1990 (VARA) ი. ბ. <<http://www.law.cornell.edu/uscode/text/17/106A>> {01.17.2014}.

⁴⁶⁵ Leaffer, Understanding Copyright Law, Fourth edition, LexisNexis Group, 2005, 384.

საავტორო უფლებათა დაცვის მიზანი არ არის მხოლოდ ავტორის ინტერესების დაცვა. საავტორო სამართალი იცავს საზოგადოების კულტურულ და საგანმანათლებლო ინტერესებსაც. 1948 წლის ადამიანის უფლება საყოველთაო დეკლარაციის ერთ მუხლში აწერსიგებს კულტურას, მეცნიერებასა და ხელოვნებასთან დაკავშირებულ საზოგადოებისა და ავტორის უფლებებს. დეკლარაციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით. ამავე მუხლის მეორე პუნქტით, დაცულია ავტორის მორალური და მატერიალური ინტერესები როგორც შედეგი მისი შექმნილი მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომისა.

სწრაფი ტექნიკური პროგრესისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ფონზე იზრდება ადამიანის ინტერესი, დაკავშირებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოების გამოყენებასთან. ესთეტიური და სახელოვნობო დანიშნულებასთან ერთად, ხდება ნაწარმოების გამოყენება საინფორმაციო მიზნებისათვის და შესაბამისად, აუცილებელია მოიძებნოს სამართლიანი ბალანსი საავტორო უფლებებსა და საზოგადოების ინტერესს შორის. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების განხილვა, რომლის ძალითაც იკრძალება არა მხოლოდ ცვლილების შეტანა ნაწარმოებში, არამედ ნაწარმოების გამოყენება იმ სახითა და დანიშნულებით, რომელიც დაარღვევს ნაწარმოების სულს.⁴⁶⁶ ამ შემთხვევაში ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს გამოხატვის თავისუფლებასთან, როდესაც ადამიანი ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებს საკუთარი იდეის, ემოციის, პოზიციის გამოსახატად იყენებს.

ინფორმაციული საზოგადოებაში განსაკუთრებით აქტუალურია საავტორო უფლებასა და საზოგადოების საინფორმაციო-საგანმანათლებლო მიზნებს შორის ბალანსის დადგენა. ინგლისის პარლამენტის თემთა პალატის კულტურის, მედიისა და სპორტის კომიტეტის 2007 წლის 1 მაისის რეკომენდაციებში, რომელიც ახალ მედიასა და შემოქმედებით ინდუსტრიას შეეხება, აღნიშნულია: საზოგადოებისა და მომხმარებელთა ინტერესებმა არ უნდა გადაწონოს ავტორის, შემოქმედის უფლებებს. ავტორებს უნდა შეეძლოთ განახორციელონ კონტროლი ნაწარმოების გამოყენებაზე, მაგრამ ინტელექტუალურ საკუთრების უფლების მფლობელები შეზღუდული უნდა იყვნენ ნორმებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ცოდნის სწრაფ განვითარებას.⁴⁶⁷

საზოგადოების კულტურული ინტერესებიდან გამომდინარე ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას ითვალისწინებს ესპანეთის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის მიხედვით მე-14

⁴⁶⁶ Dulian, L'esprit de loeuvre et le droit moral de l'auteur, Revue Internationale du Droit D'auteur 215, Janvier 2008, 104.

⁴⁶⁷ Uggioni, New Media and the Creative Industries' report: bias over balance in copyright reform?, Journal of Intellectual Property law & Practice, Volume 2, number 9 September, 2007, 626-628.

მუხლის მე-5 პუნქტით თანახმად, ავტორს აქვს ნაწარმოების მოდიფიცირების უფლება, თუკი ამით არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს და გამომდინარეობს კულტურული ინტერესების დაცვიდან.⁴⁶⁸

საავტორო უფლებებსა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის ბალანსის დადგენის პრობლემატიკის განხილვისას, აუცილებელია შევეხოთ საავტორო სამართლით ნაწარმოების დაცვა, მედია საშუალებებში. მედია საშუალებათა, ინტერნეტ მედიის მასობრივი განვითარების ფონზე ყოველდღიურად იქმნება ათასობით ურნალისტური ნაშრომი, რომელიც საჭიროებს საავტორო სამართლის ნორმებით დაცვას. ამასთანავე, საავტორო უფლებების ექსტრემალურად მკაცრმა დაცვამ ხელი არ უნდა შეუშალოს თავისუფლები მედიის განვითარებასა და გამოხატვის თავისუფლებას. ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში აუცილებელია, საზოგადოებას ჰქონდეს სრული ხელმისაწვდომობა იმ ინფორმაციასა და იდეებზე, რომელიც გამოხატულია საავტორო სამართლით დაცულ ნაწარმოებებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიგამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციის პირველი შესწორებით არის დაცული: კონგრესს ეკრძალება მიიღოს ნებისმიერი კანონი, რომელიც შეზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას. ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, პირველი შესწორება იცავს ისეთ გამოხატვის თავისუფლებასაც, რომელიც თავის თავში მოიცავს საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოებების გამოყენებას. ამგვარად, საავტორო უფლებები აუცილებლად უნდა იყოს განხილული პირველ შესწორებასთან კავშირში.⁴⁶⁹

ერთი შეხედვით არ არსებობს წინააღმდეგობის საფუძველი საავტორო უფლებებსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, ვინაიდან საავტორო სამართალი იცავს გამოხატვის ფორმას და არა იდეებს, მეთოდებს, კონცეფციებს, ფაქტებს, აღმოჩენებს მაშინაც, თუკი ისინი აღწერილია, ასენილია, ილისტრირებულია ან ხოცშესხმულია ნაწარმოებში (საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 5(3)). გამოხატვის თავისუფლება კი იცავს არა გამოხატვის ფორმას, არამედ გამოხატვის საშუალებით მოწოდებულ იდეას, აზრს, ინფორმაციას, ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მიძიების, მიღების, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას (საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 3). ურნალისტური ნაწარმოების შემთხვევაში, იდეა და გამოხატვის ფორმა იმგვარადაა გადაჯაჭვული ერთმანეთზე, რომ მათი ცალ-ცალკე გამოყოფა შეუძლებელია. ურნალისტური ნაშრომის მთავარი ღირებულება, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მასში ჩადებული ინფორმაცია, იდეა და არა გამოხატვის ფორმა.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ შეიცავს ნორმებს, რომელთა მიზანიც საავტორო უფლებებსა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის ერთგვარი კომპრომისის გამონახვაა.

⁴⁶⁸ España, Texto Refundido de la Ley de Propiedad Intelectual (TRLPI) 1996 <http://www.mcu.es/propiedadInt/docs/RDLegislativo_1_1996.pdf> {18.01.2014}.

⁴⁶⁹ Merges/Ginsburg, Foundations of Intellectual Property, New York, 2004, 431.

კანონის 23-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეპროდუცირებისა და საჯარო გადაცემის ავტორის ქონებრივი უფლება იზღუდება მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებული სტატიების ან საჯაროდ გადაცემული მსგავსი შინაარსის ნაწარმოებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ. კანონის 23-ე მუხლით, ასევე, დაშვებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო პონორარის გადახდის გარეშე წყაროს დასესხების მითითებით მართლზომიერად გამოცემული ნაწარმოებიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი, პოლიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ გამართლებული მოცულობით; ნაწარმოების მოკლე ნაწყვეტების გამოყენება ილუსტრაციის სახით, გამოცემებში, რადიო და ტელეგადაცემებში; მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში, ფოტოგრაფიების, ეთერში ან კაბელში გადაცემის გზით, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი ითვალისწინებს ქონებრივი უფლებების შეზღუდვას. თუმცა ამ შემთხვევაში ქონებრივ უფლებათა შეზღუდვა გავლენას ახდენს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებზეც. მაგ., როდესაც ადგილი აქვს ნაწარმოებიდან ნაწყვეტების გამოყენებას ბეჭდურ გამოცემებში, რადიო და ტელეგადაცემებში, აგრეთვე ნაწარმოების ციტირებისას ხდება ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევა და შესაბამისად, იზღუდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დაცული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები: ნაწარმოებში ცვლილების შეტანის და ნაწარმოებზე ილუსტრაციის, წინასიტყვაობის, ბოლოსიტყვაობის, კომენტარის, განმარტების დართვის უფლება.

მედიასთან დაკავშირებულ ნაწარმოებებზე ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება კანონმდებლობითაა შეზღუდული ინგლისის საავტორო სამართალში. „საავტორო უფლებათა, დიზაინისა და საპატენტო აქტის“ მიხედვით, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება არ ვრცელდება ნაწარმოებებზე, რომლებიც შეიქმნა მიმდინარე მოვლენებზე რეპორტაჟის მიზნით, ასევე პუბლიკაციებზე გაზეობს, ჟურნალებსა და პერიოდულ გამოცემებში.⁴⁷⁰ აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით, იურისტები შენიშნავენ, რომ ტელეკომპანიას შეუძლია ნაწარმოებიდან ამოჭრას ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკას ან მორალის ნორმებს, აქეზებს ან ხელს უწყობს კრიმინალს.⁴⁷¹

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი განსაზღვრავს თემატიკას, რომელსაც უნდა მიეკუთვნებოდეს

⁴⁷⁰ UK, Copyright, Designs and Patents Act, 1988.81(3) ხელმისაწვდომია :

<http://www.opsi.gov.uk/acts/acts1988/ukpga_19880048_en_1.htm> {17.01 2014}.

⁴⁷¹ Colson/Middleton, Modern Intellectual Property law, london 2005, 399.

სტატიები ან მსგავსი შინაარსის ნაწარმოებები, რათა მათზე გავრცელდეს ინფორმაციის თავისუფლებიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებების შემზღვეველი ნორმა. ქონებრივი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებულ ნაწარმოებებზე. კანონი ცდილობს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამიჯნოს იმ ინფორმაციისაგან, რომელიც მხოლოდ ცაკლული პირების ცნობისმოყვარეობის დაკავშირებულებას ისახავს მიზნად. რამდენად მიზანშეწონილია კანონში თემატიკის ამომწურავი განსაზღვრა? კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, განათლებასთან, კულტურასთან, მეცნიერებასთან, კოსმოსთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება მეტად აქტუალური და საინტერესო იქნ საზოგადოებისათვის, ვიდრე ეკონომიკასა და პოლიტიკასთან დაკავშირებული. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ერთმანეთისაგან მიჯნავს საზოგადოებრივ ყურადღებასა და ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობას. კანონის პირველი მუხლის, ტერმინთა განმარტების მიხედვით, საზოგადოებრივი ყურადღება ესაა საზოგადოებრივი ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან. ხოლო კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხის გახილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მოვლენისათვის საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. აღნიშნული ნორმა მნიშვნელოვანი დანაწესია ინფორმაციის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით. უმჯობესი იქნება, თუკი საქართველოს კანონიც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ გაიზიარებს ამ მიღებას და არა კონკრეტული თემატიკის გათვალისწინებით შეზღუდავს სტატიებსა და მსგავსი შინაარსის ნაწარმოებებზე საავტორო უფლებებს, არამედ მოვლენისადმი საზოგადოებრივი ყურადღების შესაბამისად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს პრეროგატივა უნდა იქნ გადაწყვეტოს, თუ საზოგადოებისათვის რამდენად აუცილებელი იქნ ამა თუ იმ ინფორმაციის მიღება და ამ მიზნით საავტორო უფლებათა შეზღუდვა. გაუმართლებელია საზოგადოების ინტერესის წინასწარი შეფასება ინფორმაციის თემატიკის მიხედვით. მითუმეტეს, რომ ინფორმაციული საზოგადოების განვითარების პროცესში სულ უფრო ფართოვდება იმ ინფორმაციათა სახეობა, რომლის მიღების სურვილი და საჭიროებაც საზოგადოებას გააჩნია.

საინფორმაციო, სასწავლო და საგანმანათლებლო მიზნებისათვის იზღუდება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ციტირების შემთხვევაშიც. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, ავტორის თანხმობისა და მისთვის პონორარის გადახდის გარეშე ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით, დაშვებულია მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი

ნაწარმოებებიდან ციტირება სამეცნიერო, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით, გაზეთებიდან და ჟურნალებიდან მოკლე ნაწყვეტების ბეჭდვითი მიმოხილვისათვის რეპროდუცირების ჩათვლით. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, როგორც ციტირება, ასევე ნაწარმოების ნაწყვეტის ჩვენება ნებადართულია, ვინაიდან ავტორმა არ შეიძლება, თავისი უფლების გამოყენებით ხელი შეუშალოს პაროდირების, კრიტიკისა და კომენტირების უფლებას.⁴⁷² იმისათვის, რომ ციტირება არ ჩაითვალოს საავტორო უფლებათა დარღვევად შემდეგი პირობები უნდა იყოს დაცული: ციტირება უნდა მოხდეს აუცილებლად უკვე გამოქამყნებული ნაწარმოებიდან და ნათლად უნდა ჩანდეს ვინ არის ავტორი.⁴⁷³

ციტირება ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევით ხორციელდება, შესაბამისად, იგი შეიძლება მიჩნეული იყოს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად. ციტირებით შესაძლოა, ავტორის რეპუტაციის პატივისცემის უფლებაც დაირდევს, თუ ციტირება კონტექსტიდან ამოვარდნილად განხორციელდა და ფრაზა მხოლოდ სხვა ფრაზასთან კონტექსტში გამოხატავს ავტორის აზრს.

იმისათვის რომ ციტირება არ წარმოადგენდეს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების უსაფუძვლო შეზღუდვას, რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს ციტირებულ სიტყვათა რაოდენობრივ შეზღუდვას კერძოდ, რამდენი სიტყვა შეიძლება იყოს ციტირებული. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მცდარია შეხედულება, რომ პირს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი რაოდენობის მასალა ნაწარმოებიდან და იგი არ დაარღვევებს ავტორის უფლებას, თუკი მოახდენს ავტორის სახელისა და ნაწარმოების სახელწოდების აღნიშვნას სქოლიოსა ან ლიტერატურის ჩამონათვალში. წიგნიდან მთელი თავის ციტირება, ავტორის თანხმობის გარეშე, არ შეიძლება განვიხილოთ ნაწარმოების ნაბადართულ თავისუფალ გამოყენებად.⁴⁷⁴ ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ციტირებულ სიტყვათა რაოდენობას, არამედ ნაწარმოების მოცულობასაც. შესაბამისად, უნდა დაითვალოს არა სიტყვების რაოდენობა, არამედ ციტირებული ნაწილის პროცენტული შეფარდება მთელ ნაწარმოებთან. მაგალითად, თოთხმეტ სიტყვიანი ჰაიკუდან არ შეიძლება მოხდეს თორმეტი სიტყვის ციტირება.⁴⁷⁵

თანამედროვე სამყაროში, სადაც ქვენის განვითარებისა და დემოკრატიულობის ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია გამოხატვის თავისუფლების დაცვის ხარისხი, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვას აღგილი აქვს მაგ., კრიტიკის მიზნებისათვის, ნაწარმოებიდან ცალკეული

⁴⁷² Соловьев, Авторское Право, Москва, 2001, 25.

⁴⁷³ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 190.

⁴⁷⁴ Fishman, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003, 11/6.

⁴⁷⁵ Fishman, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003, 11/7.

ამონარიდების გამოქვეყნებისა და გაშარების დროს. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს და დაცულია, როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით,⁴⁷⁶ ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით.⁴⁷⁷ გამოხატვის თავისუფლება მოიცავს კრიტიკის თავისუფლებასაც. კრიტიკის მიზნებიდან გამომდინარე იუმორისტულ-სატირულ გამოცემას არ შეიძლება აეკრძალოს ნაწარმოების გაკრიტიკება და მისი ამონარიდის ირონიულ კონტექსტში წაკითხვა ან გაშარება. კრიტიკული საინფორმაციო მიზნით გამართლებული ნაწარმოების სელშეუხებლობის უფლების დარღვევა, პაროდიის შემთხვევაში. მთავარია პაროდიას ჰქონდეს იუმორისტული ან კრიტიკული მიზანი და არ მოხდეს აღრევა ორიგინალურ ნაშრომთან.⁴⁷⁸

ნაწარმოების სელშეუხებლობის უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დადგენისას, ისევე როგორც ინფორმაციის თავისუფლების მიზნიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებების შეზღუდვისას, მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს გამოხატვის შინაარსსა და თემატიკას. გამოხატვა საზოგადოებრივი ყურადღების მნიშვნელობის მოვლენასთან, მაგალითად, პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით ყველაზე მაღალი სტანდარტითაა დაცული. პოლიტიკური სიტყვის თავისუფლების განსაკუთრებული დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია. ამერიკის შეერთებულ შტატებში, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზისას, იურისტებმა დაადგინეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოხატვის თავისუფლებას შორის გარკვეული იერარქია არსებობს. ხოლო იერარქიის თავში პოლიტიკური გამოხატვაა.⁴⁷⁹ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი განმარტავს გამოხატვის თავისუფლებას. აღნიშნული მუხლის ჩამონათვალში აზრის თავისუფლების, შემდეგ პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებაა დაცული, რასაც მოსდევს ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლება.

პოლიტიკური სიტყვა არა მხოლოდ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებითაა დაცული, არამედ საავტორო სამართლითაც. „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციის მიხედვით დაცულია საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა, მიმართვა, ქადაგება და სხვა. მართალია, საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ჩამონათვალში არ ითვალისწინებს პოლიტიკური სიტყვის

⁴⁷⁶ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს. იხ. <<http://www.lexilogos.com/declaration/georgien.htm>> {17.01.2014}.

⁴⁷⁷ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“, მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს. იხ.: <http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf> {17.01.2014}.

⁴⁷⁸ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 189.

⁴⁷⁹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 189.

დაცვას, მაგრამ სხვა მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, პოლიტიკური სიტყვა საავტორო სამართლითაა დაცული. მაგ., კანონის 23-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დასაშვებია პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების რეპროდუცირება ურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯაროდ გადაცემა, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით. საავტორო უფლებასა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის სამართლიანი ბალანსის დადგენისათვის აუცილებელია პოლიტიკურ სიტყვაზე კიდევ უფრო მეტად იყოს შეზღუდული ავტორის ქონებრივი უფლებები და მისი არა მხოლოდ გარკვეული მოცულობით, არამედ მთლიანი რეპროდუცირება იყოს შესაძლებელი. პოლიტიკური სიტყვა დირებულია სწორედ მასში ჩადებული ინფორმაციის გამო და იგი საზოგადოებრივი ყურადღების, და არა ცნობისმოყვარეობის საგანია, ვინაიდან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადობრივ ცხოვრებაზე და თვითმმართველობის განხორციელებაზე. პოლიტიკური სიტყვა აბსოლუტურ თავისუფალ გამოყენებას უნდა ექვემდებარებოდეს და მასზე მხოლოდ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები უნდა ვრცელდებოდეს, გარკვეულწილად, შეზღუდული ფორმით. კერძოდ, პოლიტიკურ სიტყვაზე კრიტიკისა და საინფორმაციო მიზნებიდან უნდა იზღუდებოდეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დაცული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა). ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია პოლიტიკურ სიტყვაზე ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება შეზღუდული სახით გავრცელდეს. პოლიტიკურ სიტყვაში ცვლილების შეტანა ავტორის თანხმობის გარეშე რასაკვირველია ჩაითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად. თუმცა საკითხი სხვანაირად უნდა გადაწყდეს, როდესაც საქმე ეხება ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას ნაწარმოების სულისა და კონტექტის შეცვლით. ამ შემთხვევაში მესამე პირებს, საზოგადოებასა და მითუმეტეს, მედიას უნდა ჰქონდეთ ქმედების მეტი თავისუფლება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელია აღნიშნული უფლების სამართლიანი ბალანსის დადგენა არა მხოლოდ საავტორო უფლებებთან, არამედ სხვა სამოქალაქო უფლებებსა თუ საზოგადოებრივ ინტერესებთან. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ზედმეტად მკაცრმა დაცვამ ნაწარმოები შესაძლოა, გამოუყენებელი გახადოს კულტურული, სახელოვნობო თუ სამეცნიერო მიზნებისათვის, ხოლო ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების არასათანადო დაცვა გამოიწვევს როგორც ავტორის, ასევე საზოგადოების ინტერესის დაზიანებას, ვინაიდან ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება უვადო საავტორო უფლებაა და მისი დაცვა საზოგადოებრივ ინტერესებსაც ემსახურება.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის სხვადასხვა რეჟიმი უნდა გავრცელდეს სახითი და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების შემთხვევაში. სახითი ხელოვნების ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ნებისმიერი სახით ჩარევა უნდა მიიჩნეოდეს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, მიუხედავად იმისა, იხილა თუ არა ვინმე შეცვლილი ნაწარმოები. სახითი ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში ნაწარმოების განადგურება ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევად უნდა იყოს მიჩნეული მიუხედავად იმისა, ნაწარმოების განადგურებით შეიძლახა თუ არა ავტორის პატივი და რეპუტაცია. მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმდებლობა სახითი ხელოვნების იმ ნაწარმოებების ცვლილების/რესტავრაციის ან ნაგებობიდან მოცილების შემთხვევაში, რომელიც ჩართულია არქიტექტურულ ნაგებობაში ან წარმოადგენს მის ნაწილს (მაგ. სკულპტურა, გრავიურა, მოზაიკა), ისევე როგორც, აუცილებელია, არქიტექტურულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით,⁴⁸⁰ ითვალისწინებდეს მესაკუთრის გალდებულებას, მოიწვიოს ავტორი ცვლილებების განსახორციელებლად ან მიიღოს მისი თანხმობა.

განსხვავებული დაცვის რეჟიმი უნდა დაწესდეს გამოყებითი ხელოვნების ნაწარმოებების შემთხვევაში: გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების სამომხმარებლო ფუნქციიდან გამომდინარე, ნივთის მესაკუთრეს უნდა პქონდეს ნივთის როგორც მოდიფიცირების, ასევე მისი განადგურების სრული თავისუფლება.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის პირად არაქონებრივი უფლებასა და გადამუშავების ქონებრივ უფლებას შორის მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება უნდა მოიცავდეს მხოლოდ ავტორის უფლებას, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილების შეტანას. შესაბამისად, იგი ისევე, როგორც პირად არაქონებრივ უფლებათა უმეტესობა, ნებაზოურ უფლებად უნდა იყოს ფორმულირებული. ხოლო ავტორის უფლება ან თავად შეიტანოს ცვლილება ნაწარმოებში ან სხვა პირებს გადასცეს ეს უფლება ნაწარმოების გადამუშავების უფლებას უნდა მიეკუთვნებოდეს.

მიზანშეწონილია, საქართველოს საავტორო სამართალში ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომა, ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად თუ ცვლილება აუცილებლად უნდა ლახავდეს ავტორის პირადსა და ინტელექტუალურ ინტერესს. ამისათვის კი, პირველ რიგში, აუცილებელია საქართველოს კანონში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“

⁴⁸⁰ საქართველოს კანონი „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“, მუხლი 16(1) „არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრე, რომელსაც განზრახული აქვს ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლა, ვალდებულია მიიღოს არქიტექტურული პროექტის ავტორის ნებართვა ან მიიწვიოს იგი არქიტექტურულ ობიექტში ცვლილებების შეტანის მიზნით საპროექტო სამუშაოს შესარულებლად“.

ერთ უფლებად გაერთიანდეს ხელოვნურად დანაწევრებული ორი უფლება - ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება. მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმა გაიზიაროს გერმანიის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის პოზიცია და ნაწარმოები დაცული იყოს ყოველგვარი ხელყოფისაგან, რომელიც ლახავს ავტორის პიროვნულსა და ინტელექტუალურ ინტერესს, დაკავშირებულს ნაშრომთან.

6. ნაწარმოების გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლება

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ პირად არაქონებრივ უფლებათა შორის, ასახელებს ავტორის უფლებას გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, (მე-17 მუხლი, პირველი პუნქტი „გ“ ქვეპუნქტი) და ასევე, ავტორის უფლებას, მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა - ნაწარმოების გამოხმობის უფლება. (მე-17 მუხლი, პირველი პუნქტი „ზ“ ქვეპუნქტი).

ავტორის უფლება, გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, და ასევე, ნაწარმოების გამოხმობის უფლება, არ არის დაცული „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის“ ბერნის კონვენციით. აღნიშნული უფლებები ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება. ორივე უფლება დაკავშირებულია ავტორის სურვილთან გადაწყვიტოს ნაწარმოების ბედი, ანუ იხილოს, თუ არა, ნაწარმოებმა დღის სინათლე.

ნაწარმოების გამოხმობის უფლებას ყოველთვის წინ უსწრებს ავტორის უფლების განხორციელება - გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, ვინაიდან ავტორმა მხოლოდ ის ნაწარმოები შეიძლება გამოიხმოს, რომელიც თავად გახადა საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

ნაწარმოების გამოხმობის უფლება განიხილება როგორც გამოქვეყნების უფლების მეორე მხარე. იგი ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოები ადარ გამოხატავს ავტორის შეხედულებას ან საჭიროებს კორექტირებას.⁴⁸¹

ავტორის უფლება, გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი და ნაწარმოების გამოხმობის უფლება პოზიტიურ უფლებებს მიეკუთვნება. მათი არა დაცვის, არამედ განხორციელების უფლება, გააჩნია ავტორს. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების მსგავსად, დაუშვებელია ავტორის სიცოცხლეში აღნიშნული უფლებების გასხვისება.

ნაშრომის შემდეგ თავში განხილული იქნება ნაწარმოების გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლების მოქმედების ფარგლები, უფლებათა შეზღუდვის საფუძვლები და მათი კავშირი სხვა არაქონებრივ, თუ ავტორის ქონებრივ უფლებებთან.

⁴⁸¹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 46.

6.1. ავტორის უფლება გადაწყვიტოს როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განმტკიცებული უფლება, გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, ავტორის პირად არაქონებრივ პოზიტიურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი განხორციელების შედეგად ნაწარმოები ხდება საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. აღნიშნულ უფლებას განმარტავენ, როგორც ავტორისათვის მინიჭებულ პრეროგატივას, გადაწყვიტოს შეინახოს ნაწარმოები მხოლოდ თავის ახლობელთა წრეში, თუ მისთვის სასურველი ფორმით (საჯარო ჩვენებით, გამოცემით) გახადოს ცნობილი საზოგადოებისათვის.⁴⁸²

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, პირად არაქონებრივ უფლებათაგან მხოლოდ გასაჯაროების უფლებამ განიცადა ცვლილება. კანონის თავდაპირველი ვარიანტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, დაცული იყო ავტორის უფლება, პირველად გამოქვეყნებინა ნაწარმოები. ხოლო 2005 წლის 3 ივნისს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, უფლება შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული: ავტორის უფლება გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი. კანონში შეტანილი ცვლილება პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, რადგან აღნიშნული უფლება უფრო ფართო გაგებისაა, ვიდრე გამოქვეყნება. ვინაიდან გამოქვეყნება, მხოლოდ საჯარო პრეზენტაციით, გამოცემით შეიძლება მოხდეს, მაშინ, როდესაც გამოუქმნებელი ნაწარმოები, ხელნაწერი შეიძლება გასაჯაროვდეს სასამართლო საქმის მოსმენის დროს.⁴⁸³

ავტორის უფლება, გაასაჯაროოს ნაწარმოები დაცულია, კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართლით, როგორც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება. საფრანგეთის ინტელექტუალური საკუთრების კოდექსში დაცული გასაჯაროების უფლება⁴⁸⁴ შემდეგნაირადაა განმარტებული იურიდიულ ლიტერატურაში: მხოლოდ ავტორს აქვს უფლება, გაამქდავნოს მისი ნაწარმოების საიდუმლოება. ავტორი გასაჯაროების უფლების განხორციელების შედეგად, ნაწარმოებს თავისი პირადი სამყაროდან უშვებს საზოგადოებრივ არენაზე.⁴⁸⁵

გერმანიის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის“ მე-12 მუხლის მიხედვით, უფლებას ეწოდება veröffentlichungsrecht, რაც სიტყვა-

⁴⁸² Lyszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999,164.

⁴⁸³ Perbet c Consorts Bauzon, cass 1 ch civ, 25 February 1997 (1997) 173 RIDA 286. ob.: Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 192.

⁴⁸⁴ France, Code de la propriété intellectuelle, 3 juillet, 1992, Art. L.121-2, ob.:

http://www.lexinter.net/ENGLISH/intellectual_property_code.htm {16.01.2014}.

⁴⁸⁵ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 44.

სიტყვითი თარგმანით ნიშნავს იურიდიული გამოცემის უფლებას. გერმანელი იურისტები შემდეგნაირად განმარტავენ ამ უფლებას: უფლების არსი არაა ნაწარმოების გამოქვეყნება, არამედ ავტორის პირველი კომუნიკაცია საზოგადოებასთან ნაწარმოების მეშვეობით, საჯარო ჩვენებით, რეპროდუცირებით, გავრცელებით ან სხვა ნებისმიერი მეთოდით.⁴⁸⁶

ინგლისურენოვან ქვეყნებში ავტორის უფლება გადაწყვიტოს როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, ცნობილია ტერმინით disclosure. რაც ნიშნავს გამჟღავნებას, გამოაშკარავებას.⁴⁸⁷

საქართველოს კანონში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არ არის შემუშავებული სპეციალური ტერმინი აღნიშნული უფლებისათვის. კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული, უფლების შინაარსი, გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, შეიცავს გარკვეულ უზუსტობებს. კერძოდ, უფლების არსია ავტორმა ცნობილი გახადოს თავად ნაწარმოები იმ ფორმით რა ფორმითაც სურს და არა ცნობილი გახადოს ფაქტი, რომ შექმნა ნაწარმოები. ნაწარმოების გასაჯაროების უფლებად განიხილავენ ავტორის უფლებას ცნობილი გახადოს ნაწარმოების ძირითადი შინაარსი ან გამოაქვეყნოს მისი აღწერა.⁴⁸⁸ თუკი ავტორი განაცხადებს, რომ მან შექმნა ნაწარმოები ამა თუ იმ სათაურით, მაგრამ ჯერ თავად ნაწარმოებს არ უხილავს დღის სინათლე, არ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ განხორციელდა მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დაცული უფლება. სწორედ ამიტომ, კანონში ფორმულირებული უფლება - გადაწყვიტოს სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი, უნდა შეიცვალოს და ხაზი გაესვას, რომ ნაწარმოების შექმნის ფაქტი კი არა, თავად ნაწარმოები გახდა საჯარო. შესაფერისი ტერმინი იქნება ნაწარმოების გასაჯაროების უფლება, მსგავსად ინგლისური ტერმინისა disclosure.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ განხორციელდეს ნაწარმოების საჯაროდ გადაცემა გამოსახულება ან/და ხმა უნდა აღიქვან პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. რესი მეცნიერის მალეინას აზრით, საჯარო ჩვენება, თუკი იგი სცდება ოჯახის წევრთა ოდენობას.⁴⁸⁹ დანიელი იურისტი ვიქტორ სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას აღნიშნავს: იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს საჯარო ჩვენებად, აუცილებელია ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, დაახლოებით 800 ადამიანი. თუ მათი რიცხვი ნაკლებია, მაშინ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა გარემოებები, მაგალითად,

⁴⁸⁶ Gunter, Germany, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDE 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995, 99.

⁴⁸⁷ Goldstein, Copyright's Highway, Stanford, California, 2003, 366.

⁴⁸⁸ Lypszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 164.

⁴⁸⁹ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 212.

საზოგადოება შეკრებილია ნაწარმოების საჯაროდ შესრულების სანახავად თუ სხვა მიზნით.⁴⁹⁰

ავტორის ქონებრივი უფლებები შეიძლება შეიძლება მხოლოდ საჯარო გაცნობით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ნაწარმოებზე. შესაბამისად, ზუსტად უნდა იყოს დადგენილი განხორციელდა თუ არა ნაწარმოების გასაჯაროება. ნაწარმოების გასაჯაროების უფლების დადგენა პრობლემატურია ინტერნეტ სივრცეში ნაწარმოების განთავსების დროს. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ნაწარმოების განთავსება სერვერზე, ვებსაიტზე ან ახალი ამბების განყოფილებაში ითვლება გასაჯაროებად, მაგრამ მიწერა პირად მეილზე არ აკმაყოფილებს საჯარო გამოფენის კრიტერიუმს.⁴⁹¹ ამ მხრივ საინტერესოა სოციალურ ქსელებში მაგ., Facebook-ში ნაწარმოების განთავსება უნდა ითვლებოდეს თუ არა, გასაჯაროების უფლების განხორციელებად. Facebook-ი დახურული სივრცეა და მომხმარებელს თავად შეუძლია აკონტროლოს, თუ ვინ იხილავს მის გვერდზე განთავსებულ ფოტოს, ვიდეოს თუ ტექსტს. შესაბამისად, თუკი ტექნიკური საშუალების გამოყენებით მომხმარებელი ე.წ. „დახურული გვერდით“ სარგებლობს, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ადგილი აქვს ნაწარმოების გასაჯაროებას. ხოლო თუკი ნაწარმოების განთავსება ხდება ისეთ საიტზე, სადაც ავტორს არ შეუძლია აკონტროლოს, თუ ვინ იხილავს მის ნაწარმოებს, მაგ. YouTube, ლიტერატურული პორტალები, მაშინ უნდა ჩაითვალოს, რომ ნაწარმოებზე განხორციელდა გასაჯაროების უფლება.

გასაჯაროების უფლება ყოველ კონკრეტულ ნაწარმოებზე მხოლოდ ერთხელ შეიძლება განხორციელდეს. მას შემდეგ რაც ნაწარმოები ერთხელ გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის ავტორი ვეღარ განახორციელებს გასაჯაროების უფლებას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქმე, რომელიც ლიონის უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ განიხილა 1997 წელს. მოსარჩელე იყო მოქანდაკე, რომელიც მიიჩნევდა, რომ საჯარო პარკიდან მისი ქანდაკების გადატანით, დაირღვა ნაწარმოების გასაჯაროების უფლება. სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ნებისმიერი პირველი გამოქვეყნების შემდეგ გასაჯაროების უფლება ამოწურულია.⁴⁹² ნაწარმოების ყოველი შემდგომი გამოფენა იქნება არა გასაჯაროების უფლების, არამედ ქონებრივი უფლებების განხორციელება, მაგ., რეპროდუცირება, საჯარო ჩვენება, საჯარო შესრულება და აშ.

ნაწარმოების გასაჯაროების უფლება, ასევე, გულისხმობს ავტორის უფლებას, გადაწყვიტოს, ნაწარმოები რა ფორმით გახდეს ცნობილი საზოგადოებისათვის. „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე- 2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები

⁴⁹⁰ Вейнке, Авторское право, Регламентация, основы, будущее, Москва, 1979, 56.

⁴⁹¹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 233.

⁴⁹² Baldaccini c Ste Slycc, Ville de Lyon, Trib comm Lyon 28 April 1997 (1997) 173 Ripa 373 ი. ადენე, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 194.

ასევე მიეკუთვნება კონვენციით დაცულ ნაწარმოებთა რიცხვს. ავტორის გადაწყვეტილება მისი ლექცია, წარმოთქმული სიტყვა ზეპირი ფორმით იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, ასევე, წარმოადგენს გასაჯაროების უფლების განხორციელებას. ლექციათა ნაბეჭდი ფორმით გავრცელება კი იქნება ამ უფლების დარღვევა. მაგალითად, როდესაც ფილოსოფოს შელინგის ლექციები ნაბეჭდი სახით გამოსცეს, პრუსიის სასამართლო, გადაწყვეტილების თანახმად, დაირღვა ნაწარმოების გასაჯაროების უფლება.⁴⁹³

ამგვარად, ნაწარმოების გასაჯაროების უფლება ერთსა და იმავე ნაწარმოებზე რამდენჯერმე შეიძლება განხორციელდეს, თუკი თავად გასაჯაროების სახე არის ახალი.

6.1.1. ნაწარმოების გასაჯაროების უფლების კავშირი ავტორის ქონებრივ უფლებებთან

ნაწარმოების გასაჯაროების უფლება პირად არაქონებრივ, პოზიტიურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. რა არის მისი განხორციელების მიზანი? ავტორის პირადი ინტერესის დაქმაყოფილება - ნაწარმოები იხილოს საზოგადოებამ თუ ეკონომიკური ინტერესი- მიიღოს ქონებრივი სარგებელი ნაწარმოების გასაჯაროებით? ჩშირ შემთხვევაში ნაწარმოების გასაჯაროება ორივე მიზანს ერთდროულად ემსახურება. ერთი ქმედებით, მაგალითად ნაწარმოების გამოცემითა და გაყიდვით, ავტორი ახორციელებს, როგორც პირად არაქონებრივ, ნაწარმოების გასაჯაროების უფლებას, ასევე საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის მე-18 მუხლით დაცულ ნაწარმოების გავრცელების ქონებრივ უფლებას ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების გავრცელება, გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით. ნაწარმოების გასაჯაროების უფლება მონისტური თეორიის საუკეთესო ნიმუშია, რომლის მიხედვითაც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ემსახურება როგორც პიროვნული, ასევე ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებასაც.⁴⁹⁴ აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაჯაროების უფლებას მრავალმხრივი მნიშვნელობის უფლებას უწოდებენ. იგი შეიცავს ავტორის უფლებას უარყოს ქმნილება, გადაწყვიტოს, როდის არის ქმნილება დასრულებული და როდის აჩვენოს იგი საზოგადოებას, ასევე, უფლებას გადაწყვიტოს, რა ფორმით გახადოს ნაწარმოები ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის გაყიდვის, საჯარო ჩვენების, გამოქვეყნების თუ სხვა გზით.⁴⁹⁵

ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელება შესაძლოა, ამავე დროს, არ წარმოადგენდეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით დაცულ ნაწარმოების გავრცელების უფლების განხორციელებას. მაგალითად, როდესაც ავტორი ნაწარმოებს

⁴⁹³ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 45.

⁴⁹⁴ Diets, Copyright Law in the European Community, The Netherland, 1978, 67.

⁴⁹⁵ Subbian, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007, 158.

განათავსებს ლიტერატურულ საიტებს სახვითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენას, იგი ახორციელებს გასაჯაროების, მაგრამ არა გავრცელების უფლებას, ვინაიდან არ ხდება ნაწარმოების გაყიდვა ან სხვა ფორმით საკუთრებაში გადაცემა.

ნაწარმოების გასაჯაროების უფლება, თავისი შინაარსით, იმდენად ახლოს დგას ქონებრივ უფლებებთან, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში აღნიშნულ უფლებებს შორის არ არის გავლებული მნიშვნელოვანი ზღვარი და, უფლების აღსანიშნავად, ტერმინ „გამოქვეყნებასაც“ იყენებენ. მაგალითად, ურუგვაიში საავტორო უფლებათა კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, განსაჯაროობის უფლება მორალურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება და შემდეგნაირადაა ფორმულირებული: ავტორს აქვს უფლება, გამოაქვეყნოს გამოუქვეყნებელი ნაწარმოები, მოახდინოს უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოების რეპროდუცირება, გაყიდვა ან ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა.

საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობაში, სადაც ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა შეზღუდული სახით ხორციელდება, ნაწარმოების გასაჯაროების უფლება დაცულია მასში ჩადებული ეკონომიკური ინტერესის გამო. გაერთიანებული სამეფოს „საავტორო უფლებათა, დიზაინისა და საპატენტო აქტის“ 26-ე მუხლსა და ირლანდიის საავტორო სამართლის აქტის 27-ე მუხლში გასაჯაროების უფლება ექსპლუატაციის უფლებად მოიხსენიება. ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაჯაროების უფლება საერთო სამართლით არის დაცული და იგი უფრო ფართო გაგებისაც კი არის, ვიდრე პირადი ცხოვრების საიდუმლოება.⁴⁹⁶

ნაწარმოების გასაჯაროების უფლებას ქონებრივი უფლებების წარმოშობის წინაპირობადაც განიხილავენ. მსოლოდ მას შემდეგ რაც ავტორი ნაწარმოებს გახდის საჯაროდ ხელმისაწვდომს საზოგადოებისათვის, მას წარმოეშობა პირადი არაქონებრივი - ნაწარმოების გამოხმობის უფლება და ქონებრივი უფლებები.⁴⁹⁷ ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელების შემდეგ წარმოეშობა ქონებრივი უფლებები ნაწარმოებზე დამსაქმებელსაც.

შესაბამისად, ნაწარმოების გასაჯაროების უფლებას მჭიდრო კავშირი აქვს ქონებრივ უფლებებთან. გასაჯაროების უფლება წინ უსწრებს ქონებრივი უფლებების განხორციელებას და მათი წარმოშობის წინაპირობაა. ხშირად კი ავტორი ერთი და იგივე ქმედებით ახორციელებს გასაჯაროების უფლებასა და ნაწარმოების გამოცემის ქონებრივ უფლებას.

6.1.2. ნაწარმოების გასაჯაროების უფლების სუბიექტი

ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განსახორციელებლად, საჭიროა ავტორის ნების გამოვლენა არის საჭირო. ნების გამოვლენას საფუძვლად

⁴⁹⁶ Lyszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 167.

⁴⁹⁷ Соловьев, Авторское Право, Москва, 2001, 27.

პიროვნული ინტერესი უდევს, იხილოს საზოგადოებამ ნაწარმოები, რომელიც ავტორის ინდივიდუალიზმს გამოხატავს.

უფლების პიროვნული შინაარსიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, უსაფუძვლოც კი არის მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად შეიძლება განახორციელოს აღნიშნული უფლება, ავტორის გარდა, სხვა პირმა და შესაძლებელია თუ არა მისი მემკვიდრეობით გადაცემა.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლით რეგულირდება საავტორო უფლებათა გადაცემა. 35-ე მუხლი შეიცავს სპეციალურ ნორმას ნაწარმოებზე სხვა ავტორთა ნაწარმოების დართვის პოზიტიური უფლების გადაცემისთვის. ამავე ნორმის თანახმად, ნეგატიური უფლებები დაცვის უფლებით გადადის მემკვიდრეებზე. ნაწარმოების გასაჯაროების უფლება, ისევე როგორც გამოხმობის უფლება სპეციალური ნორმით არ არის რეგულირებული. შესაბამისად, მასზე ვრცელდება მემკვიდრეობით საავტორო უფლებათა გადაცემის ზოგადი წესი. გასაჯაროების უფლება არ არის მიჩნეული უვადო უფლებად და კანონის თანახმად, არც ავტორის სიცოცხლის ვადით შემოიფარგლება („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი), მასზე ვრცელდება საავტორო უფლებათა ზოგადი ვადა ავტორის სიცოცხლე და 70 წელი იგი გადადის მემკვიდრეებზე.

ევროპული ქვეყნების საავტორო სამართალში არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს გასაჯაროების უფლების მემკვიდრეობით გადაცემასთან დაკავშირებით. იტალიის კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას იურისტები აღნიშნავენ, რომ უფლება შეიძლება განახორციელონ ავტორის მემკვიდრეებმა ან ლეგატებმა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავტორმა სპეციალურად არ გამოხატა სურვილი ნაწარმოები არ იხილოს საზოგადოებამ. მემკვიდრეობით შორის დავა უნდა გადაწყდეს სასამართლო მეშვეობით.⁴⁹⁸ რუსეთის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის 29-ე მუხლის თანახმადაც, უფლება გადადის მემკვიდრეობით. მემკვიდრეები არ არიან შეზღუდული ავტორის ნებით, ნაწარმოების გასაჯაროებისას. რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კანონის ამგვარი დანაწესი არ იცავს ავტორის ინტერესებს. თუკი ავტორმა სიცოცხლეში ნათლად გამოხატა თავისი სურვილი, არ იხილოს ნაწარმოებმა დღის სინათლე და მემკვიდრეებმა მაინც იმოქმედეს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ამ შემთხვევაში უკვე სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს უფლება, დააწესოს კონტროლი საავტორო უფლებათა შეზღუდვაზე⁴⁹⁹.

ავტორის სურვილს, დაკავშირებულს ნაწარმოების ბედთან, ავტორის გარდაცვალების შემდეგაც უნდა მიენიჭოს უპირატესობა. მაგალითად, კომპოზიტორმა მეიერნერგმა სიცოცხლეშივე დაიბარა, რომ დაეწვათ მისი დაუსრულებელი ოპერის ეგზემპლარები, თუკი არც ერთ მემკვიდრეს არ აღმოაჩნდებოდა ნიჭი, დაესრულებინა ნაწარმოები. ავტორის სურვილის მიუხედავად, ერთ-ერთმა ავტორმა დაწერა ლიბრეტო ოპერისათვის.

⁴⁹⁸ Mondini, Italy, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawers MIDE 1995, 111.

⁴⁹⁹ Соловьев, Авторское Право, Москва, 2001, 28.

ფრანგულმა სასამართლომ მემკვიდრეების სარჩელი დააქმაყოფილა და ავტორის ხელნაწერები გაანადგურა.⁵⁰⁰

ნაწარმოების გასაჯაროების სუბიექტი, უფლების პიროვნული ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ ავტორი შეიძლება იყოს. თუმცა საკითხი სხვანაირად რეგულირდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 32-ე მუხლებით. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები გადაუცემად უფლებებადაა აღიარებული, კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, პირს, რომელიც საავტორო უფლების ვადის გასვლის შემდეგ გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით, პირველად გახდის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ნაწარმოებს, რომლის გამოცემა ან საჯარო გაცნობა ადრე არ მომხდარა, ამ ნაწარმოებზე წარმოეშობა ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. კანონის 32-ე მუხლის მიხედვით, პირის ქონებრივი უფლებები მის მიერ საზოგადოებისათვის პირველად გაცნობილ ნაწარმოებზე მოქმედებს 25 წლის განმავლობაში, ასეთი ფაქტის დადგომის დღიდან. შესაბამისად, ნაწარმოების გასაჯაროების უფლებას იძენს პირი, რომელსაც არ გაუწევია ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა ნაწარმოების შესაქმნელად და კანონში არ არის მითითება ასეთ შემთხვევაში ავტორის მიერ გამოხატული სურვილის უპირატესობის შესახებ. ასევე, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული უფლება უკავშირდებოდეს ნაწარმოებზე ქონებრივი უფლებების ვადის გასვლას, ვინაიდან, ნაწარმოები პირველად ხდება ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის ანუ ხორციელდება ნაწარმოების გასაჯაროების უფლება. როგორც ავტორის მემკვიდრეებს, ასევე კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნულ პირებს მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას შეიძლება ჰქონდეთ ავტორის ნებართვის გარეშე ნაწარმოების გასაჯაროების უფლება. ამ გარემოებების დადგენისას, პირველ რიგში, მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს ობიექტურ გარემოებებს, კერძოდ, ავტორს ჰქონდა თუ არა ცხოვრებაში საშუალება გამოექვეყნებინა ნაწარმოები. მაგ., ცნობილმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ სიცოცხლის განმავლობაში მოასწრო თითქმის ყველა ლექსის დაბუჭვა. მისი ცხოვრების ძირითად შემოსავალს ლექსებიდან მიღებული პონორარი წარმოადგენდა. ავტორის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტეს მისი იმ ლექსების დაბუჭვა, რომელთა გამოქვეყნებაც სიცოცხლეში არ ისურვა ავტორმა. აღსანიშნავია, რომ ლექსები არ შეიცვდა პოლიტიკურ შინაარსს და არ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ პოეტმა ცენზურის გამო შეიკავა თავი ნაწარმოებების დაბუჭვისაგან. პოეტისაგან დაწუნებული ლექსები, ავტორის გარდაცვალების შემდეგ მის რჩეულში იქნა შეტანილი, რაც ნაწარმოების გასაჯაროების უფლების დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ.

თანამედროვე სამყაროში, ინტერნეტ სივრცის არსებობის პირობებში, აღარ წარმოადგენს პრობლემას საკუთარი ნაწარმოების საზოგადოებრივ არენაზე გატანა. თუკი ავტორმა სიცოცხლეში არ ისურვა ნაწარმოების გასაჯაროება, მემკვიდრეებს და მესამე პირებს არ უნდა ჰქონდეთ

⁵⁰⁰ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 213.

საშუალება, საჯარო გახადონ იგი. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს, როდესაც ავტორი უცნობია, ავტორს არ ჰქონდა შესაძლებლობა სიცოცხლეშივე გამოექვეყნებინა ნაწარმოები ან ისეთ ვითარებაში გარდაიცვალა, რომ საკუთარი ხება, ნაწარმოების ბედოან დაკავშირებით, ვერ გამოხატა. მაგ., როდესაც ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის დანაწესი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საავტორო სამართალი, ავტორის უფლებების დაცვასთან ერთად საზოგადოებრივ ინტერესებსაც ემსახურება. ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელების შემდეგ, შეუძლებელია, ავტორმა სრული კონტროლი განახორციელოს ნაწარმოებზე, ვინაიდან იგი საზოგადოების საკუთრებაც ხდება. ავტორს არასოდეს აქვს კონტროლის იმხელა საშუალება საკუთარი ნაშრომის ბედზე, ვიდრე ნაწარმოების გასაჯაროებამდე. ავტორი წყვეტს თავისი ინდივიდუალიზმის გამოხატულება გახადოს თუ არა საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. ამ მკაცრად პიროვნული უფლების განხორციელებისას, ავტორის სურვილს უნდა ენიჭებოდეს უპირატესობა.

მიზანშეწონილია, კანონით განისაზღვროს, რომ გასაჯაროების უფლება მოქმედებს ავტორის სიცოცხლის ვადით და მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადის მექავიდრეობით, თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული. ხოლო მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორს არ გამოუთქვამს სურვილი ნაწარმოების გასაჯაროების აკრძალვის შესახებ, ან არ ჰქონდა საშუალება ნაწარმოები გაეხადა საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

6.1.3 ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელების ფარგლები

ნაწარმოების გასაჯაროების უფლების, ისევე როგორც ავტორის სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა პირველად კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართალში დაიწყო. უფლების დაცვის თვალსაზრისით, მოწინავე ქვეყნები საფრანგეთი და გერმანია იყვნენ.

საფრანგეთის სასამართლომ, 1882 წლის გადაწყვეტილებაში სცნო ავტორის უფლება წინ აღუდგეს მისი ნაწარმოების გაყიდვასა და გამოფენას. ხოლო 1845 წლის ლიონის სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო: ავტორს აქვს ორმაგი ინტერესი, შეინარჩუნოს გამოქვეყნების განსაკუთრებული უფლება ან გადასცეს ეს უფლება სხვა პირს პირადი, მორალური ინტერესებიდან გამომდინარე. ამ დოქტრინის თანახმად, ავტორი ინარჩუნებს ნაწარმოების გადახდვისა და კორექტირების უფლებას. აგრეთვე უფლებას უზედამხედველოს

ნაწარმოების სამართლიან გამოქვეყნებას, აირჩიოს გამოქვეყნების დრო და ხერხი.⁵⁰¹

გასაჯაროების უფლების დაცვა, საფრანგეთის მსგავსად, გერმანიაშიც მე-19 საუკუნიდან დაიწყო. გერმანულენოვან ქვეყნებში პირველად გამოქვეყნების უფლება 1837 წლის პრუსიულ კანონში გვხვდება, რომელიც იცავდა, როგორც გამოქვეყნებულ, ასევე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებს უნებართვო ბეჭდვისაგან.⁵⁰²

ნაწარმოების გასაჯაროების უფლება მოიცავს ავტორის უფლებასაც, არასოდეს იხილოს ნაწარმოებმა დღის სინათლე. უფლების ნებატიურსა და პოზიტიურ მხარეზე ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაშიც არის ხაზგასმა. ბრაზილიის 1998 წლის 19 თებერვლის საავტორო და მომიჯნავე უფლებების „შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ ავტორს უფლება აქვს დატოვოს ნაწარმოები გამოუქვეყნებელი.⁵⁰³

ნაწარმოების გასაჯაროების უფლება მსგავსია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა. როგორც ფიზიკურ პირს ნებისმიერი საფუძვლით შეუძლია უარი თქვას თავისი კერძო დოკუმენტებისა ან ფოტოს გამოქვეყნებაზე, ასევე ავტორსაც შეუძლია ნებისმიერი საფუძვლით თქვას უარი ნაწარმოების გასაჯაროებაზე. გასაჯაროების უფლების პოზიტიურსა და ნებატიურ მხარეზე და მის კავშირზე პირადი ცხოვრების საიდუმლოებასთან, ყურადღება გაამახვილეს უორენმა და ბრამდეისმა პარვარდში 1890 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „უფლება პირად ცხოვრებაზე“. სტატიაში აღნიშნულია, რომ ავტორს ეს უფლება შეუძლია გამოიყენოს არა მხოლოდ გამოცემისათვის, არამედ ნაწარმოების გამოცემის აკმალებისთვისაც, რაც თავისთავად არ შეიძლება მიზნად ისახავდეს მოგების მიღებას და შესაბამისად, უფლება მორალურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება.⁵⁰⁴ მიუხედავად აღნიშნული არგუმენტისა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ავტორმა სწორედ ნაწარმოების გასაჯაროებაზე უარის თქმით მიიღო მატერიალური სარგებელი. მაგალითად, მაიკლ ჯექსონმა თავის დას შესთავაზა 12 მილიონი დოლარი იმისათვის, რომ მას არ გამოექვეყნებინა წიგნი „ჯექსონის კლანი“ და ავტორი დასთანხმდა ამ შემოთავაზებას.⁵⁰⁵

ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხილვისას, მიუთითებენ იმ საშუალებებსა და ხერხებზე, რომლის მეშვეობითაც ავტორი ახორციელებს აღნიშნულ უფლებას. რუსი მეცნიერი მალეინა ნაწარმოების გასაჯაროების უფლებას შემდეგნაირად აღწერს: ავტორის თანხმობით განხორციელებული მოქმედებაა, პირველად გახდეს ნაწარმოები ხელმისაწვდომი გამოქვეყნების,

⁵⁰¹ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 44.

⁵⁰² Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 45.

⁵⁰³ Brazil, on Copyright and Neighboring Rights, 19 February, 1998. o.b.:

<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=514> {17.01.2014}.

⁵⁰⁴ Warren/Brandies, The right to privacy, Harvard Law review, vol. IV, December 15, 1890. o.b.: Beverley-Smith, Huw/ Ohly, Angsgar/ Lucas-Schloetter, Agnes, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, 49.

⁵⁰⁵ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 175.

საჯარო ჩვენების, საჯარო შესრულების, ეთერში გადაცემის ან სხვა გზით. მალეინა უფლების სინონიმად იყენებს დღის სინათლის ხილვას. იგი უფლების განხორციელებად მიიჩნევს როგორც ნაწარმოების ეგზემპლარების ბრუნვაში გაშვებას, ასევე ავტორის თანხმობით ფონოგრამების იმ რაოდენობით წარმოებას, რომელიც დააკმაყოფილებს საზოგადოების გონივრულ მოთხოვნილებებს ნაწარმოების, ფონოგრამის ხასიათიდან გამომდინარე.⁵⁰⁶ ნაწარმოების გასაჯაროების უფლება არ არის დამოკიდებული ფონოგრამებისა და ასლების რაოდენობაზე. შესაძლებელია ნაწარმოების, ფონოგრამის მხოლოდ ერთი ეგზემპლარის გავრცელებამაც კი შექმარებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება. გასაჯაროება გულისხმობს გადაწყვეტილებას, იხილოს თუ არა ნაწარმოებმა დღის სინათლე და ამ უფლებას არანაირი კავშირი არა აქვს ნაწარმოების ტირაჟირებასთან.

ტირაჟირება და გონივრული რაოდენობის ეგზემპლარების დამზადება ქონებრივ უფლებებთან კავშირში შეიძლება განვიხილოთ. არაქონებრივი უფლების შემთხვევაში, მთავარია, ავტორის განზრახვა მისმა ნაწარმოებმა იხილოს თუ არა დღის სინათლე, გასცდეს ავტორის ოჯახის წევრთა და ახლო ნათესავთა სფეროს, და არა შედეგი, თუ რამდენი ადამიანი მოახერხებს და ისურვებს მის ნახვას.

ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელების შემდეგ ავტორი ერთგვარად კარგავს კიდეც კონტროლს საკუთარ ნაწარმოებზე. მას რა თქმა უნდა, ნაწარმოების ყოველ ხელახალ გამოქვეყნებაზე აქვს კონტროლის უფლება, მაგრამ ეს უკვე არის ქონებრივი უფლებები: ნაწარმოების საჯარო ჩვენების, საჯარო შესრულების, საჯარო გადაცემის უფლება (საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-18 მუხლი, მე-2 პუნქტი, „დ“, „ე“ და „გ“ ქვეპუნქტები.) ავტორის ქონებრივი უფლებები პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით არ არის შეუზღუდავი უფლებები. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავი შეეხება ავტორის ქონებრივი უფლებების შეზღუდვას სამეცნიერო-სასაწავლო, პუმანიტარული, საინფორმაციო მიწნებისათვის. შესაძლებელია ნაწარმოების ციტირება ავტორის თანხმობისა და მისთვის პონორარის გადახდის გარეშე, ასევე ნაწარმოების საჯარო შესრულება ცერემონიების დროს. რაც უფრო კარგი, პოპულარული, ინფორმაციული და აქტუალურია ნაწარმოები, მით მეტად ხდება მისი გამოყენება ავტორის ნებართვის გარეშე. სწორედ ამიტომ, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ავტორს არასოდეს აქვს საკუთარი ნაწარმოების კონტროლის იმხელა შესაძლებლობა, ვიდრე ნაწარმოების გასაჯაროების უფლებას განხორციელებს.

ნაწარმოების განადგურებაც კი შეიძლება წარმოადგენდეს ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესო საქმე, რომელიც 1911 განიხილა ფრანგულმა სასამართლომ. ფრანგმა მხატვარმა კამუჯნმა გაანადგურა თავისი 60 ნახატი მიიჩნია რა ისინი ცუდ ნამუშევრებად. ნახატები დაჭრა 6-8 ნაჭრად და გადაყარა ქუჩაში. მოქალაქეებმა იპოვეს ნახატები, მოახდინეს მისი

⁵⁰⁶ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 211.

რესტავრაცია და გაყიდეს აუქციონზე. ნახატებზე ავტორად მითითებული იყო კამუენი და აღნიშნული ავტორის მიერ ნახატების განადგურების ფაქტიც. მხატვარმა იჩივლა პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევისათვის და მოითხოვა ნახატების მისთვის გადაცემა. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ უარყოფა ან გადაგდება ნაწარმოების, როგორც ნივთის არ ნიშნავს მხატვრის მიერ მორალურ უფლებებზე უარის თქმას და ამდენად, მას უნდა გადასცემოდა მოთხოვნილი ნახატები.⁵⁰⁷

ნაწარმოების გასაჯაროების უფლება, ისევე, როგორც ავტორის სხვა პირადი არაქონებრივი უფლებები, დამოუკიდებელია საკუთრების უფლებისაგან. თუკი ავტორი სხვას საკუთრებაში გადასცემს იმ მატერიალურ ობიექტს, რომლშიც გამოხატულია ქმნილება არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მან სხვას გადასცა ნაწარმოების გასაჯაროების უფლება ან უარი თქვა მასზე. თუკი ავტორი თავის ნაწარმოებს, ლექსს, მოთხოვნას ან წერილს, რომელიც აქმაყოფილებს საავტორო სამართლით დადგენილ დაცვითუნარიანობის კრიტერიუმს მიუძღვნის და საჩუქრად გადასცემს კონკრეტულ პირს, არ უნდა მივიჩნიოთ, რომ მან განახორციელა ნაწარმოების გასაჯაროების უფლება. ლექსის ან წერილის ადრესატს არა აქვს ნაწარმოების გამოქვეყნების უფლება. ადრესატს ეკუთვნის საკუთრების უფლება ფურცელზე ან ნაწარმოების სხვა მატერიალურ მატარებელზე და არა იქ დაწერილ სიტყვებზე. ამიტომ აღნიშნავენ, რომ წერილის მესაკუთრეს შეუძლია ანახოს იგი მესამე პირებს, გაანადგუროს ან გაყიდოს, მაგრამ არ აქვს ამ წერილის გამოქვეყნების უფლება.⁵⁰⁸ წერილის საჯაროდ წაკითხვაც უნდა მივიჩნიოთ ნაწარმოების გასაჯაროების უფლების დარღვევად, ვინაიდან ავტორის ნებართვის გარეშე ხდება ნაწარმოები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი.

უველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაწარმოების გასაჯაროების უფლება არ არის დამოკიდებული იმ ტირაჟზე, რომლითაც მოხდა ნაწარმოების გამოცემა. ნაწარმოების გასაჯაროების უფლებას პოზიტიური და ნეგატიური მნიშვნელობაც გააჩნია და არა მხოლოდ ნაწარმოების საზოგადოებისათვის წარდგენა, არამედ მისი განადგურებაც კი მიიჩნევა გასაჯაროების უფლების განხორციელებად.

6.1.3 ნაწარმოების გასაჯაროების უფლება თანაავტორობით, ხელშეკრულებით შექმნილ და სამსახურებრივ ნაწარმოებზე

ნაწარმოების გასაჯაროების უფლების რეგულირება გარკვეული თავისებურებით ხასიათდება თანაავტორობით შექმნილ და აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე. ამ შემთხვევაში ავტორის უფლების განხორციელება - ნაწარმოებმა იხილოს დღის სინათლე ან სამუდამოდ დარჩეს ავტორის პირად სივრცეში, შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოდიოდეს სხვა ავტორის უფლებებთან, რომელთაც ასევე გასწიეს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომა ნაწარმოების შესაქმნელად.

⁵⁰⁷ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 212.

⁵⁰⁸ Fishman, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003, 8/2.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელებისას არა აქვს მნიშვნელობა უფლების განხორციელების მოტივს, თუმცა, თანაავტორობით შექმნილი ნაწარმოები, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს. გასაჯაროების უფლებას თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე არეგულირებს კანონის მე-11 მუხლი, გაყოფადი და განუყოფელი თანაავტორობის შემთხვევაში. გაყოფადი თანაავტორობის დროს ნაწარმოების ნაწილებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნიათ. ამ შემთხვევაში გამოიყენება კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი, ანუ ყოველ თანაავტორს აქვს უფლება, გამოიყენოს ნაწარმოების ის ნაწილი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი და, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. განუყოფელი თანაავტორობის დროს ნაწარმოები ერთი განუყოფელი მთლიანობაა, რომლიდანაც შეუძლებელია ცალკეული ნაწილების გამოყოფა. განუყოფელი თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე პრობლემატურია გასაჯაროების უფლების განხორციელება, ვინაიდან ნაწარმოების გასაჯაროებისათვის საჭიროა ყველა ავტორის თანხმობა. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე. თანაავტორებს შორის ამგვარი დავა შეიძლება გადაწყდეს სასამართლოს მეშვეობით. სასამართლოს შეუძლია ნაწარმოების გამოყენების ნება დართოს ერთ-ერთ მათგანს, მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგია ერთი ან რამდენიმე თანაავტორი, თუ არ არსებობს საკმარისი საფუძველი ამ აკრძალვისა. საკმაო საფუძვლების კრიტერიუმი კანონით არაა დადგენილი და იგი სასამართლოს გადასაწყვეტილია.⁵⁰⁹ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს საქმე, რომელშიც სასამართლო განმარტავდა თუ რა შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი. ამგვარ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ავტორის შეხედულება, რომ ნაწარმოები არ არის დასრულებული და საჭიროებს კორექტირებას. იმ შემთხვევაში თუკი ერთ-ერთი თანაავტორი მიიჩნევს, რომ ნაწარმოები მდარე ხარისხის გამო არ უნდა იხილოს, საზოგადოებამ და აზრი არა აქვს მის კორექტირებას, მას უნდა მიეცეს უფლება აკრძალოს საკუთარი სახელის მითითება ავტორად და ნაწარმოები სხვა თანაავტორთა სახელით გამოიცეს.

ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელება ასევე პრობლემატურია, როდესაც საქმე ეხება აუდიოვიზუარ ნაწარმოებს, ანუ იმ ნაწარმოებს, რომელიც შეიქმნა კოლექტიური შრომის შედეგად. ამ შემთხვევაში, ერთი ავტორის მიერ ნაწარმოების გასაჯაროებაზე უარის თქმამ, შესაძლოა, შეუძლებელი გახადოს სხვა ავტორთა უფლების განხორციელება. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა სპეციალური ნორმით არეგულირებს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე გასაჯაროების უფლებას. მაგალითად, ესპანეთის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საბოლოო გადაწყვეტილებას დასრულებული ნაწარმოების გასაჯაროების შესახებ იღებს რეჟისორი ან

⁵⁰⁹ ძაბუკა შვილი/ შეგნებია/ გაბუნია/ ხრუბეგალი/ ჯორბეგაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003, 76.

პროდუსერი. ხოლო ამავე კანონის 91-ე მუხლი ნებას რთავს აუდიოვიზუალური ნაწარმოების პროდუსერს გამოაქვეყნოს დაუსრულებელ ნაწარმოებში შეტანილი ნებისმიერი წვლილი, შესაბამისი ანაზღაურების პირობით.⁵¹⁰

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი არეგულირებს საავტორო უფლებებს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე, რომლის თანახმადაც, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორები (თანაავტორები) არიან: დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვის. აღნიშნული მუხლი შეეხება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე ქონებრივი უფლებების დაცვას. არაქონებრივი უფლებების რეგულირებისათვის გამოიყენება კანონის მე-17 და მე-11 მუხლები, რომელთა თანახმად, ყოველ თანაავტორს უფლება აქვს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელება, ხოლო განუყოფელი თანაავტორობისას, ნაწარმოების გამოყენებაზე უარის თქმა მხოლოდ საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობისას არის შესაძლებელი. მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი გარკვეულ შეზღუდვებს უწევს აუდიოვიზუალური ნაწარმოების ავტორებს გაყოფადი თანაავტორობის შემთხვევაშიც, კერძოდ, ავტორი ადრე შექმნილი ნაწარმოებისა, რომელიც გადამუშავებულია ან ჩართულია შემადგენელ ნაწილად აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში, აგრეთვე ავტორი ნაწარმოებისა, რომელიც შექმნილია აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის პროცესში, ინარჩუნებენ საავტორო უფლებას დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თავიანთ ნაწარმოებებზე. მათ უფლება აქვთ, დამოუკიდებლად ისარგებლონ ამ ნაწარმოებებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იმ პირობით, რომ ასეთი სარგებლობა ხელს არ შეუშლის აუდიოვიზუალური ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას.

შესაბამისად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გასაჯაროების უფლება მხოლოდ თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე, სხვა თანაავტორთა ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება შეიძლეოს.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების საავტორო სამართალში ცნობილია სხვა სახის შეზღუდვებიც. მაგალითად, ესპანეთის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის 31^{bis} მუხლის, პირველი პუნქტის მიხედვით შესაძლებელია უფლების შეზღუდვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ადმინისტრაციული, სამართლებრივი ან საპარლამენტო პროცედურებისათვის. 56-ე მუხლის მეორე პუნქტი ითვალისწინებს ფოტოგრაფიული ნაწარმოების გამოფენას მისი მფლობელის მიერ.⁵¹¹

⁵¹⁰ España, Texto Refundido de la Ley de Propiedad Intelectual (TRLPI) 1996. o.b.: http://www.mcu.es/propiedadInt/docs/RDLegislativo_1_1996.pdf {01.17.2014}.

⁵¹¹ España, Texto Refundido de la Ley de Propiedad Intelectual (TRLPI) 1996. o.b.: http://www.mcu.es/propiedadInt/docs/RDLegislativo_1_1996.pdf {01.17.2014}.

შესაძლებელია თუ არა ნაწარმოების გასაჯაროების უფლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორს შრომითი ან საავტორო ხელშეკრულებით ევალებოდა ნაწარმოების შექმნა?

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლი ითვალისწინებს ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებას: ავტორი კისრულობს ვალდებულებას, შექმნას ნაწარმოები ხელშეკრულების პირობების მიხედვით და გადასცეს იგი შემკვეთს, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს ნაწარმოები და გადაუხადოს ავტორს პონორარი. შეკვეთის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე ქონებრივი საავტორო უფლებები ეკუთვნის შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 43-ე მუხლი არ არეგულირებს ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებს ხელშეკრულებით შექმნილ ნაწარმოებზე. როგორც ხელშეკრულებით შექმნილ, ასევე სამსახურებრივ ნაწარმოებზე კანონი არ ითვალისწინებს ნაწარმოების გასაჯაროების უფლების შეზღუდვას. რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ავტორი, რომელსაც წინასწარ აქვს ადებული პონორარი, უარს აცხადებს, შეკვეთით შექმნილმა ნაწარმოებმა იხილოს დღის სინათლე? სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში ავტორს შემკვეთის სასარგებლოდ მხოლოდ კომპენსაციის გადახდა შეიძლება დაეცისროს, რადგან ნებისმიერი იძულებითი ღონისძიება მიმართული იქთქენ, რომ ადამიანმა გამოფინოს საკუთარი ნაწარმოები მიმართული იქნება ადამიანის თავისუფლებისა და დირსების პატივისცემის წინააღმდეგ.⁵¹² აღნიშნულიდან გამომდინარე, დამკვეთის ქონებრივი უფლებების განხორციელება უოველოვისაა დამოკიდებული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების განხორციელებაზე. დამკვეთი დგას რისკის ქვეშ, როდესაც საქმე ლიტერატურულ, მხატვრულ და მეცნიერულ ნაწარმოებს ეხება, ვინაიდან ავტორს შეუძლია, არ გაასაჯაროოს ნაწარმოები, ყოველგვარი მიზეზის დასაბუთების გარეშე. შესაძლოა ავტორმა გასაჯაროების უფლების განხორციელებაზე ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნითაც თქვას უარი და მოგვიანებით უფრო მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ გადასცეს ნაწარმოები გამოცემისათვის სხვა პირს. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მართალია, ავტორს ვერ დავავალდებულებთ განახორციელოს პირადი არაქონებრივი უფლება, თუმცა კომპენსაციის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ავტორის მიერ ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმის მიზეზი და ის თუ ვის გადაეცემა შემდგომ ქონებრივი უფლებების მართვა.⁵¹³

ნაწარმოებზე გასაჯაროების უფლება ერთგვარი რისკის ქვეშ აქენებს დამსაქმებელსაც, სამსახურებრივ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. სამსახურებრივ ნაწარმოებზე ყველა ქონებრივი უფლება ეკუთვნის დამსაქმებელს, ხოლო ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათაგან შეზღუდვას ექვემდებარება მხოლოდ ნაწარმოების გამოხმობის უფლება. იხილოს თუ არა დღის სინათლე ნაწარმოებმა, ეს მხოლოდ ავტორის გადასაწყვეტია. ნაწარმოების გასაჯაროების უფლების განხორციელების

⁵¹² Lypszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 166.

⁵¹³ Lypszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 167.

შემდეგ ავტორი კარგავს კონტროლს სამსახურებრივი ნაწარმოების გამოყენებაზე. იმ შემთხვევაში თუკი ნაწარმოები მის გემოვნებას აღარ შეესაბამება, ავტორს მხოლოდ სახელის გამოყენება შეუძლია აკრძალოს.

შესაბამისად, გასაჯაროების უფლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს: სხვა ავტორთა გასაჯაროების უფლების დაცვის მიზნით თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე. ხელშეკრულებით შექმნილ ნაწარმოებსა და სასახურებრივ ნაწარნოებზე კანონი დაუშვებლად მიიჩნევს ავტორის უფლებაში ჩარევას გაასაჯაროოს ნაწარმოები.

6.2 ნაწარმოების გამოხმობის უფლება

ნაწარმოების გამოხმობის უფლება, ნაწარმოობის გასაჯაროების მსგავსად არ არის დაცული ბერნის კონვენციით. აღნიშნული უფლების რეგულირება ეროვნული კანონმდებლობით ხორციელდება.

ნაწარმოების გამოხმობის უფლება ავტორის ერთადერთი უფლებაა, რომელიც საკანონმდებლო წესით შეზღუდვას ქვემდებარება. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამოხმობის უფლება). ამ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია საჯაროდ განაცხადოს გამოხმობის შესახებ. ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ ვრცელდება სამსახურებრივ ნაწარმოებზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელება ხდება ავტორის ხარჯზე. ავტორმა ნაწარმოების მოსარგებლეს უნდა აუნაზღაუროს მიუენებული ზიანი მიუღებელი მოგების ჩათვლით. ვტორს, აგრეთვე, უფლება აქვს, სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარჯებით ამოიღოს გაყიდვის ან გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, ადრე დამზადებული ნაწარმოების ასლები.

ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა ნაწარმოების გამოხმობის უფლების სხვა შეზღუდვებსაც ითვალისწინებს. ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელების კანონიერების დადგენისას მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოების გამოხმობის მიზანსაც.

6.2.1 ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელების ფარგლები

ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელების ფარგლების განხილვისას, მიზანშეწონილია, შევეხოთ აღნიშნული უფლების კავშირს გასაჯაროების უფლებასთან. ნაწარმოების გამოხმობის უფლებას გასაჯაროების უფლების მეორე მხარედაც შეიძლება განვიხილოთ, ვინაიდან ორივე მათგანი ემსახურება ავტორის ინტერესს გადაწყვიტოს იხილოს თუ არა საზოგადოებამ ნაწარმოები. ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელებას ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს ნაწარმოების გასაჯაროება, ვინაიდან ავტორმა მხოლოდ ის ნაწარმოები შეიძლება გამოიხმოს, რომელიც თავად გახადა საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

ნაწარმოების გამოხმობის უფლება ევროპულ კანონმდებლობაში ნაწარმოების გასაჯაროების უფლებასთან ერთად ჩნდება. ნაწარმოების გამოხმობის უფლების საკანონმდებლო წესით დაცვა პირველად 1830 წელს პრუსიულ საავტორო სამართალში განხორციელდა, ნაწარმოების გასაჯაროების უფლებასთან ერთად.⁵¹⁴

⁵¹⁴ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 47.

თანამედროვე საავტორო სამართალშიც, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, ნაწარმოების გამოხმობის უფლება გასაჯაროების უფლების შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული. მაგალითად რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ 1993 წლის 9 ივლისის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გამოხმობის უფლება განიხილება როგორც ნაწარმოების გამოქვეყნების უფლების ნაწილი და შემდეგნაირად არის განმარტებული: ავტორს აქვს უფლება, გამოაქვეყნოს ნაწარმოები ან ნება დართოს სხვა პირებს გამოაქვეყნონ ნაწარმოები ნებისმიერი ფორმით რაც ასევე გულისხმობს ნაწარმოების გამოხმობის უფლებას.⁵¹⁵

ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, მათ შორის ნაწარმოების გამოხმობის უფლებაც, ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. (კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი) შესაბამისად, ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტის, მისი გამოხმობის უფლება გამოიყენება მას შემდეგაც, რაც ეკონომიკური უფლებები სხვა პირზეა გადაცემული. საფრანგეთის ინტელექტუალური საკუთრების კოდექსის 124-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ავტორს აქვს უფლება, გამოცემის შემდეგაც უკან გამოითხოვოს ნაწარმოები.⁵¹⁶

ნაწარმოების გამოხმობის უფლება იცავს ავტორის როგორც პირად ასევე ინტელექტუალურ ინტერესს, დაკავშირებულს ნაშრომთან.

ნაწარმოების გამოხმობის უფლება აზრის თავისუფლებასთან შეიძლება დაკავშიროთ. საქართველოს კანონით ”სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.⁵¹⁷ აზრის დაცვა, რომელიც უკავშირდება საკუთარ ნაწარმოებს, შემოქმედებითი თავისუფლების გარანტიდ შეიძლება მივიჩნიოთ. ნაწარმოების გამოხმობის უფლების დაცვა ავტორის აზრის პატივისცემის გამოვლენის უმაღლეს გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ. ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელებით ავტორი არღვევს ხელშეკრულებას ქონებრივი უფლებების გადაცემის შესახებ. ნაწარმოების გამოხმობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე, ავტორის უფლება შეიცვალოს აზრი თავის ნაწარმოებთან დაკავშირებით უფრო წინ დგას, ვიდრე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ამ ნორმაზე დაყრდნობით შეიძლება აღნიშნოთ, რომ ლიტერატურულ, მხატვრულ და მეცნიერულ ნაწარმოებზე ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები უფრო უპირატესი უფლებებია, ვიდრე ქონებრივი უფლებები.

⁵¹⁵ Закон Российской Федерации "Об Авторском Праве и Смежных Правах", 9 Июля

იხ.: <http://www.internet-law.ru/law/avt/avt.htm> {17.01.2014}.

⁵¹⁶ France, Code de la propriété intellectuelle, 3 juillet, 1992,

იხ.: http://www.lexinter.net/ENGLISH/intellectual_property_code.htm {17.01.2014}.

⁵¹⁷ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 3(2)(ა)“ უველას, აღმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას“; მუხლი 1(ვ) აბსოლუტური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება.

ნაწარმოების გამოხმობის უფლება მხოლოდ ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებებზე მოქმედებს. ინტელექტუალური შემოქმედების სხვა ობიექტთან დაკავშირებული გასაკუთრებული უფლების გადაცემისას, ავტორს არ შეუძლია განახორციელოს გამოხმობის უფლება. მაგალითად, საპატენტო განსაკუთრებული უფლების გადაცემის შემდეგ, გამომგონებელს უფლება არა აქვს დაარღვიოს ხელშეკრულება და ლიტერატურულ, მხატვრულ და მეცნიერულ ნაწარმოებებზე ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების გავრცელება უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ინტელექტუალური სამართლის სხვა ობიექტებზე დაცვის ფართო მასშტაბები, საავტორო სამართლის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარეობს. ნაწარმოები ავტორის პიროვნულობის ასახვას წარმოადგენს და შემოქმედს აქვს კონტროლის ფართო უფლებამოსილება თუ როგორ დაინახავს და შეაფასებს მას საზოგადოება თავისი ნაწარმოებიდან გამომდინარე.

6.2.2 ნაწარმოების ბრუნვიდან ამოღება და ხარჯების ანაზღაურების გალდებულება

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვებუნქტის თანახმად, ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა. კანონი არ აკონკრეტებს, თუ ვისგან შეუძლია ავტორს გამოიხმოს ნაწარმოები ნებისმიერი პირისაგან, თუ მხოლოდ იმ პირისგან, რომელსაც თავას გადასცა ნაწარმოების გამოხმობის უფლება? იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პოზიცია. არსებობს მოსაზრება, რომ ეს უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, იმ პირთან მიმართებაში, რომელსაც თავად ავტორმა გადასცა უფლებები.⁵¹⁸ საპირისპირო მოსაზრების თანახმად, ავტორმა განზრახვა, ნაწარმოების გამოხმობის/გაყიდვიდან ამოღების შესახებ, უნდა განაცხადოს საჯაროდ არა მხოლოდ მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებთან, არამედ იმ პირებთანაც, რომლებიც უფლებამოსილები არიან გამოიყენონ ნააწარმოები. მან თავისი განზრახვა ცნობილი უნდა გახსადოს საერთაშორისო არხებით, რის შემდეგაც დაინტერესებულ მხარეებს ეძლევათ ერთი წელი, რათა მიმართონ შესაბამის პროცედურებს და ავტორისაგან მოითხოვონ შესაბამისი კომპენსაცია. აღნიშნული მოსაზრება გამოთქმულია იტალიის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 142-ე და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით.⁵¹⁹

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ არ ითვალისწინებს ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელების ამგვარ დაწვრილებით პროცედურებს. მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“

⁵¹⁸ Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 195.

⁵¹⁹ Lipszyc, Copyright and Neighbouring Rights, Unesco publishing, 1999, 178.

ქვეპუნქტის თანახმად, ავტორი ვალდებულია, საჯაროდ განაცხადოს გამოხმობის შესახებ. აქედან გამომდინარე, შეიძლება განვმარტოთ, რომ გამოხმობის უფლება გამოიყენება არა კონკრეტულად იმ პირების მიმართ, რომელთანაც ავტორს აქვთ სახელშეკრულებო ურთიერთობა, არამედ უკელა იმ პირის მიმართ, ვისაც ხელი მიუწვდება ნაწარმოების გავრცელებაზე. ამავე მუხლის თანახმად, ავტორს უფლება აქვთ სამოქალაქო ბრუნვიდან ამოიღოს გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, ადრე დამზადებული ნაწარმოების ასლები. მე-17 მუხლში საუბარია ნაწარმოების ბრუნვიდან ამოდებაზე, შესაბამისად, ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ შეიძლება გავრცელდეს ბრუნვაში ჩაშვებულ და მართლზომიერად შეძენილ ეგზემპლარებზე. როგორც გერმანელი მეცნიერი კოლეგი აღნიშნავს, კანონს არ შეუძლია აღჭურვოს ავტორი უფლებით, გამოითხოვოს კანონიერად გავრცელებული ასლები ან აკონტროლოს იდეების შემდგომი გავრცელება.⁵²⁰

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში, 2005 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე, აღნიშნული იყო, რომ ავტორს უფლება ჰქონდა სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარჯებით ამოედო გავრცელების მიზნით ადრე დამზადებული ნაწარმოების ეგზემპლარები. 2005 წლის ცვლილებით დაზუსტდა, რომ ასლები დამზადებული უნდა იყოს გაყიდვის, გაქირავების, ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით. კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, თუკი პირმა პირადი სარგებლობისათვის დაამზადა ასლი, მასზე არ შეიძლება გავრცელდეს ნაწარმოების გამოხმობის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. საავტორო და ვალდებულებითი სამართლის ნორმებს შორის ბალანსის დაცვისათვის აუცილებელია, მეორე მხარეს აუნაზღაურდეს ის დანახარჯები, რომელიც მან გასწია ნაწარმოების გამოწვეუნებისათვის. ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა ხდება ავტორის ხარჯით. ”საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ავტორმა ნაწარმოების მოსარგებლებს უნდა აუნაზღაუროს მიეკუთვნოს უფლება ან მოგების ჩათვლით. ავტორს აგრეთვე, უფლება აქვს, სამოქალაქო ბრუნვიდან თავისი ხარჯებით ამოიღოს გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, ადრე დამზადებული ნაწარმოების ასლები. თუკი ავტორის მიერ ნაწარმოების გამოხმობის უფლება განხილული იქნება ხელშეკრულების დარღვევად და ავტორი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს არა მხოლოდ დანახარჯები, არამედ მიუენებული ზიანი მიუღებელი მოგების ჩათვლითაც, მაშინ რა საჭირო იყო ამ დანაწესის არსებობა კანონში? მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი მიზნად ისახავს არა ავტორის გათავისუფლებას ხელშეკრულების დარღვევისათვის

⁵²⁰ Kohler, Das Autorrecht, eine zivilistische Abhandlung: Zugleich ein Beitrag zur Lehre vom Eigentum, vom Miteigentum, vom Rechtsgeschäft und vom Individualrecht, Harvard University, 1880, 139.

პასუხისმგებლობისაგან, არამედ მისი ინტერესის დაკმაყოფილებას, იხილოს ან არა ნაწარმოებმა, დღის სინათლე „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის ნორმა ავტორის გარანტიაა რომ ხელშეკრულების ძალითაც ვერავინ აიძულოს ავტორი გამოქვეყნდეს და გავრცელდეს მისი შემოქმედება.

იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე, ყურადღებაა გამახვილებული ავტორის დაცვის გარანტიებზე, მას შემდეგ რაც იგი განახორციელებს ნაწარმოების გასაჯაროების უფლებას. რუსი მეცნიერი მალეინა ერთ-ერთ ასეთ მთავარ გარანტიად ასახელებს ავტორებისათვის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების უკან დაბრუნების ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ შემდგომში ნაწარმოები გამოქვეყნდება ავტორის თანხმობის გარეშე სხვა ადგილას ან იმავე ორგანიზაციაში, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, მალეინა არასწორად მიიჩნევს ბეჭდურ მედიაში ხშირად გამოქვეყნებულ პირობას - ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. მართალია, გათვალისწინებული უნდა იყოს რედაქციის ინტერესები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით, თუმცა, ამ შემთხვევაში, რედაქციის ინტერესები უნდა იქნას გათვალისწინებული და ხელნაწერების ფოსტით თუ სხვა საშუალებით დაბრუნების ხარჯები ავტორმა უნდა აანაზღაუროს.⁵²¹

6.2.3. ნაწარმოების გამოხმობის უფლების საკანონმდებლო შეზღუდვა

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ ვრცელდება სამსახურებრივ ნაწარმოებზე. შეზღუდვის დასაშვებობა განასხვავებს ნაწარმოების გამოხმობის უფლებას სხვა პირადი არაქონებრივი უფლებებისა და, მათ შორის, გასაჯაროების უფლებისგანაც. გასაჯაროების უფლება შეუზღდულავია და სამსახურებრივი ნაწარმოების ავტორმაც თავად უნდა გადაწყვიტოს იხილოს თუ არა ნაწარმოებმა დღის სინათლე. გასაჯაროების უფლების განხორციელების შემდეგ, ავტორი კარგავს ყოველგვარ კონტროლს სამსახურებრივი ნაწარმოების გამოყენებაზე და კარგავს შესაძლებლობას, აზრის შეცვლის შემთხვევაში გამოითხოვოს ნაწარმოები. მას მხოლოდ ავტორის პირად არაქონებრივ, ნებატიურ უფლებათა დაცვა შეუძლია მოითხოვოს.

უკროპული ქვეყნების საავტორო სამართალი ნაწარმოების გამოხმობის უფლების შეზღუდვის სხვა საფუძვლებსაც ითვალისწინებს. უფლების შეზღუდვა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, იმ მიზეზეც არის დამოკიდებული, რისთვისაც ავტორს სურს უფლების განხორციელება.

6.2.3.1 ნაწარმოების გამოხმობის მიზანი

ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელებით იზღუდება იმ პირთა კანონიერი ინტერესები, რომელთაც ხელშეკრულების საფუძველზე

⁵²¹ Малеина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001, 214.

ჰქონდათ გადაცემული ნაწარმოების გამოცემის, რეპროდუცირების, საჯარო ჩვენების ან სხვა ქონებრივი უფლებები. აღნიშნულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, ზოგიერთი ქვეყნის საავტორო სამართალი ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელების კანონიერებას, ნაწარმოების გამოხმობის მიზანს უკავშირებს.

ნაწარმოების გამოხმობის უფლება ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოები აღარ გამოხატავს ავტორის შეხედულებას ან საჭიროებს კორექტირებას.⁵²² თუმცა ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელება შესაძლოა უფლების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდეს ან კომერციულ მიზნებს ისახავდეს, მაგ., უფრო მაღალი ანაზღაურებით გადასცეს ნაწარმოებზე ქონებრივი უფლებები სხვა პირს.

ბერნის კონვენციის წევრი ქვეყნების საავტორო სამართალში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, ნაწარმოების გამოხმობის მიზანი, რამდენად უნდა განსაზღვრავდეს უფლების განხორციელების კანონიერებას.

საერთო სამართლის ქვეყნებში ნაწარმოების გამოხმობის უფლება გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას მკაცრად შეზღუდულ შემთხვევებში.⁵²³ მოხმობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია ორი განსხვავებული მიღგომა: ნაწარმოების გამოხმობის მიმართ, რის საფუძველზეც ერთ შემთხვევაში, კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურია და თავს იკავებს, რათა დაასახელოს კონკრეტული მიზეული, თუ რის გამო შეიძლება სურდეს ავტორს აღნიშნული უფლების განხორციელება. ლიბერალური მიღგომა ახასიათებთ, ძირითადად, იმ ქვეყნებს, რომლებიც ფრანგული საავტორო სამართლის გავლენას განიცდიან (მაგ., ბრაზილია, ელ სალვადორი, პორტუგალია, საფრანგეთი).⁵²⁴ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საავტორო სამართალში აუცილებელია არსებობების საკმარისი საფუძველი, პატივსადები მიზეზი. მაგალითად, ესპანეთის საავტორო სამართალში შესაძლებელია მხოლოდ შესწორებისა და კორექტირების მიზნით.⁵²⁵ ესპანელი იურისტები აღნიშნავენ, რომ უფლების განხორციელებისათვის ავტორმა უნდა დაასაბუთოს არა მხოლოდ პერსონალური, არამედ ინტელექტუალური ინტერესებიც ნაშრომის ცვლილებების მიმართ.⁵²⁶ გერმანიის საავტორო სამართლის მიხედვით ავტორს უფლება აქვს, გამოიხმოს ნაწარმოები, თუკი ეს უკანასკნელი, კანონმდებლობის მიხედვით, აღარ შეესაბამება ავტორის შეხედულებებს და აღარ სურს ნაწარმოების ამ სახით გამოქვეყნება.⁵²⁷ იტალიაში, ურუგვაიში

⁵²² Adeney, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006, 46.

⁵²³ Subbian, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007, 165

⁵²⁴ Lipszyc, Copyright and Neighbouring Rights, Unesco publishing, 1999, 178.

⁵²⁵ Subbian, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007, 165.

⁵²⁶ Pombo, The Netherland, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDE 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995, 149

⁵²⁷ (Urheberrechtsgesetz). 9 September, 1965. o.b.: <<http://transpatent.com/ge setze/urhg.htm>> {17.01.2014}.

ნაწარმოების გამოხმობის კანონიერ საფუძვლად დასახელებულია მორალური ხასიათის სერიოზული მიზეზი.⁵²⁸

საქართველოს საავტორო სამართლი იზიარებს ფრანგული სამართლის მიღომას და არ ასახელებს იმ კონკრეტულ მიზეზებს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელებას. ნაწარმოების გამოხმობის უფლებისადმი ამგვარი მიღვომა, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლების დაცვის მეტი გარანტია. მიუხედავად იმისა, თუ კანონში რა საფუძველი იქნება მითითებული პრაქტიკულად შეუძლებელია სასამართლოს მიერ შემოწმდეს თუ რა მიზნით სურს ავტორს ნაწარმოების გამოხმობა, მისი განადგურების, კორექტირების თუ სხვისთვის გადაცემის მიზნით. ნამდვილი მიზეზი შესაძლებელია, მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ გამოვლინდეს. შესაძლოა, ავტორმა სასამართლო პროცესზე მიუთიოთს, რომ ნაწარმოები გამოიხმო რედაქტირებისათვის, თუმცა შემდეგ კვლავ შეიცვალა აზრი, მოიწონა ნაწარმოები და გადაწყვიტა მისი გამოცემა სხვა გამომცემლობაში. რა უნდა მოხდეს ასეთ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოების გამოხმობის შემდეგ ავტორი კვლავ შეიცვლის აზრს და გადაწყვეტს ნაწარმოების ექსპლუატაციაში გაშვებას? უნდა მიენიჭოს თუ არა უპირატესობა იმ მხარეს ვისთანაც ავტორს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება? ადნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი პოზიცია არსებობს იურიულ მეცნიერებასა თუ კანონდებლობაში. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უპირატესობის მინიჭება ავტორის უფლების შეზღუდვა იქნებოდა.⁵²⁹ ესპანეთის ინტელექტუალური საკუთრების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ნაწარმოების გამოხმობის შემდეგ, თუკი ავტორი კვლავ გადაწყვეტს გახადოს ნაწარმოები საჯაროდ ხელმისაწვდომი, მან, პირველ რიგში, ეს უნდა შესთავაზოს პირველი ხელშეკრულების მხარეს გონივრული პირობებით.⁵³⁰

საქართველოს კანონმდებლობა მსგავს შეზღუდვას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ავტორს ნებისმიერი მიზეზით შეუძლია გამოიხმოს ნაწარმოები, მათ შორის ქონებრივი სარგებლის მიღებით. ხოლო აზრის შეცვლისა და ნაწარმოების კვლავ გასაჯაროების გადაწყვეტილების მიღებისას, თავისუფალია არჩევანში თუ ვის შესთავაზებს და რა პირობებით გადაწყვეტს ნაწარმოების გამოქვეყნებას. ნაწარმოების გამოხმობის უფლების რეგულირების თვალსაზრისით, საქართველოს საავტორო სამართალი მსგავსია საფრანგეთის საავტორო სამართლის, სადაც ავტორის მორალური უფლებები ყველაზე მაღალი სტანდარტითაა დაცული და მას საავტორო უფლებებს შორის უპირატეს უფლებებსაც უწოდებენ.⁵³¹

⁵²⁸ Lipszyc, Copyright and Neighbouring Rights, Unesco publishing, 1999, 177.

⁵²⁹ Lipszyc, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999, 180.

⁵³⁰ España, Texto Refundido de la Ley de Propiedad Intelectual (TRLPI) 1996. o.b.:

http://www.mcu.es/propiedadInt/docs/RDLegislativo_1_1996.pdf {17.01.2014}.

⁵³¹ Nérisson, Le droit moral de l'auteur décédé en France et en Allemagne, Paris 2003, 23.

6.2.3.2. სამსახურებრივი და აუდიოვიზუალური ნაწარმოების გამოხმობის უფლება

საქართველოს კანონში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 2010 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, შეიცვალა საავტორო უფლებების მოქმედების ფარგლები სამსახურებრივ ნაწარმოებზე. ცვლილების განხორციელებამდე, მე-16 მუხლით განსაზღვრული იყო, რომ საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომელიც შექმნილია სამუშაოს მიმცემის უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით (სამსახურებრივი ნაწარმოები), ეპუთვნის სამსახურებრივი ნაწარმოების ავტორს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ სამსახურებრივი ნაწარმოების ისეთი გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რომელიც შეპირობებულია დაგალების შინაარსითა და მიზნით, ეპუთვნის პირს, რომელთანაც ავტორს აქვს შრომითი ურთიერთობა (სამუშაოს მიმცემი), თუ მას და ავტორს შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არარის გათვალისწინებული. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გარკვეული ვადით შეზღუდული იყო დამსაქმებლის უფლებები. კერძოდ, თუ სამუშაოს მიმცემი ნაწარმოების გადაცემიდან 3 წლის განმავლობაში არ გამოიყენებდა ნაწარმოებს, მისი გამოიყენებისგან საკუთრებული უფლება გადადიოდა ავტორზე. ეს დებულება გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნაწარმოების გამოყენება საპატიო მიზეზის გარეშე შეწყვეტილი იყო 2 წელზე მეტი წესის განმავლობაში. აღნიშნული ვადა შეიძლება შეცვლილიყო მხარეთა შეთანხმებით.

2010 წელს, კანონში შეტანილი ცვლილებებით, რადიკალურად შეიცვალა მიღებობა სამსახურებრივ ნაწარმოებთან დაკავშირებით, საავტორო უფლებების მიმართ. განისაზღვრა, რომ ქონებრივი უფლებები დასაქმებულის ან შექვეთის მიმღების მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან შექვეთის შესრულებასთან (სამსახურებრივი ნაწარმოები), ეპუთვნის შესაბამისად, დამსაქმებელს ან შექვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ანუ იმ შემთხვევაშიც თუკი დამკვეთი არ გამოიყენებს ნაწარმოებს, შეწყვეტს მის გამოიყენებას, ან თუნდაც მოხდება სამსახურებრივი ნაწარმოების დამკვეთი ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ავტორის ქონებრივი უფლებები ვერ გადავა აგტორზე, ფიზიკურ პირზე. სამსახურებრივ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა ამგვარი რეგულირება წინააღმდეგობაში მოდის როგორც ავტორის უფლებების დაცვასთან, ასევე საზოგადოების ინტერესებთან, რადგან საავტორო სამართალი ასევე ემსახურება მეცნიერების, ხელოვნების პროგრესსა და საზოგადოებრივ ინტერესებს, გაეცნოს ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებებს. ამერიკელი იურისტი შტეფან ფიშმანი აღნიშნავს, რომ თუკი პირმა შექმნა სამსახურებრივი ნაწარმოები და მისი გამოქვეყნება არ მოხდარა ყველა საავტორო უფლება უნდა ეპუთვნოდეს ავტორს, გარდა იმ

შემთხვევისა, თუკი უშუალოდ ნაწარმოების დაწერა გამოქვეყნების გარეშე შეადგენდა პირის სამსახურებრივ მოვალეობას.⁵³²

მართალია, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი სამსახურებრივ ნაწარმოებზე ავტორის ქონებრივ უფლებებს შეეხება, მაგრამ იგი პირდაპირ კავშირშია ნაწარმოების გამოხმობის უფლებასთან. კერძოდ, 2010 წელს განხორციელებულ ცვლილებებამდე ავტორს გარკვეული პერიოდის შემდეგ უბრუნდებოდა ქონებრივი უფლებები ნაწარმოებზე, შესაბამისად, მას შეეძლო ნაწარმოები სხვა პირისათვის გადაეცა, რაც აღნიშნულ ნაწარმოებზე გამოიწვევდა ნაწარმოების გამოხმობის უფლების ამოქმედებას.

ნაწარმოების გამოხმობის უფლებასთან კავშირში აუცილებელია ტერმინის „სამსახურებრივი ნაწარმოების“ ზუსტი განმარტება. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი, სადაც ტერმინთა განმარტება მოცემული, არ განსაზღვრავს სამსახურებრივი ნაწარმოების ცნებას. კანონის მე-16 მუხლში აღნიშნულია, რომ ქონებრივი უფლებები დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებასთან (სამსახურებრივი ნაწარმოები), ეკუთვნის, შესაბამისად, დამსაქმებელს ან შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაშასადამე, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამსახურებრივია ნაწარმოები, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებასთან.

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ორი ტიპის სამსახურებრივ ნაწარმოებს: ერთი, როდესაც პირი არის დასაქმებული და ნაწარმოების შექმნა არის მისი სამუშაოს შემადგენელი ნაწილი და მეორე, როდესაც დამკვეთი არ არის დამსაქმებელი (მაგალითად ჟურნალის შემთხვევაში), მაგრამ სამუშაო სრულდება მისი დაკვეთით და ანაზღაურებით.⁵³³ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, თუ როდის და რა ფორმით ხდება გაწეული სამუშაოს ანაზღაურება. დამსაქმებელი/დამკვეთი მონაწილეობას იღებს მატერიალური თუ სხვა რესურსით ნაწარმოების შექმნაში თუ მხოლოდ სამუშაოს დასრულების შემდეგ წყვეტს მიიღებს თუ არა ნააწროებს და აანაზღაურებს თუ არა გაწეულ შრომას. სამსახურებრივი ნაწარმოები მოიცავს არა მხოლოდ დაკვეთის მიცემას, არამედ იმასაც, ნაწარმოები უნდა იქმნებოდეს დამკვეთის მიერ მატერიალური ან ტექნიკური წვლილის შეტანით. დამკვეთი უნდა ანაზღაურებდეს შრომის პროცესს და არა შემდგომ იდენტური შრომის პროდუქტს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ, რა შემთხვევში არის მეცნიერის მიერ შექმნილი წიგნი, სამეცნიერო ნაშრომი სამსახურებრივი ნაწარმოები. ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო სამართლის აქტში 1976 წლამდე მიჩნეული იყო, რომ საავტორო უფლება, მათ შორის ქონებრივი უფლებებიც, ეკუთვნოდა თავად მეცნიერს, ავტორს და არა მათ დამსაქმებელ უნივერიტეტებსა და კოლეჯებს. ამერიკელი მეცნიერი შტეფან ფიშმანი აღნიშნავს, რომ

⁵³² Fishman, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003, 8/2.

⁵³³ Fishman, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003, 8/3.

მეცნიერის მიერ შექმნილი ნაწარმოები მაშინ უნდა იქნეს მიჩნეული სამსახურებრივ ნაწარმოებად, როდესაც ფაკულტეტის წევრების სამსახურებრივ მოვალეობაში პირდაპირ შედის საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოებების შექმნა და მასალები უშუალოდ შეიქმნა სამუშაოს შესრულების ფარგლებში.⁵³⁴ შესაბამისად, თუკი უნივერსიტეტი არის კვლევითი დაწესებულება, მეცნიერის საქმიანობაში შედის სამეცნიერო კვლევების მომზადება და იგი ამისთვის შესაბამის ანაზღაურებას დებულობს, მეცნიერის მიერ შექმნილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლება ეკუთვნის სამეცნიერო დაწესებულებას. ხოლო თუკი პროფესორი უნივერსიტეტში დასაქმებულია სალექციო კურსის წასაკითხად და მისი ანაზღაურებაც სალექციო სათების შესაბამისად განისაზღვრება ამ შემთხვევაში ქონებრივი უფლებები ნაწარმოებზე თავად მეცნიერს ეკუთვნის და არც ნაწარმოების გამოხმობის უფლება არის შეზღუდული. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებს არ შეუძლიათ განახორციელონ საკმარისი კონტროლი მეცნიერთა მიერ ნაშრომების შექმნაზე. მათ, მართალია, შეუძლიათ “მოსთხოვონ” მეცნიერებს შექმნან ნაწარმოები, მაგრამ მთლიანად მათზეა რისკი, მოიპოვებს თუ არა ნაწარმოები აღიარებასა და წარმატებას.⁵³⁵ მეცნიერულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია აკადემიური კვლევის თავისუფლება, რაც გამოხსატვის თავისუფლების აუცილებელი და შემადგენელი ნაწილია და არ შეიძლება შეიზღუდოს შრომითი თუ ნაწარმოების შექმნის ხელშეკრულებით.⁵³⁶

სამსახურებრივ ნაწარმოებთან დაკავშირებით, დამსაქმებელი ახორციელებს კონტროლს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებაზე. მას შეუძლია გაასხვისოს ნაწარმოები და მოითხოვოს ნაწარმოებზე მისი სახელის მითითება (მუხლი 16.6) გამოხმობის უფლების განხორციელება როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ აქვს ნაწარმოების ავტორს. შეუძლია მას, გამოიხმოს ნაწარმოები, ანუ შეწყვიტოს ნაწარმოების გამოყენება? შეიძლება თუ არა ვიგულისხმოთ, რომ სამსახურებრივი ნაწარმოების შემთხვევაში დამსაქმებელზე არა მხოლოდ ქონებრივი უფლებები, არამედ ნაწარმოების გამოხმობის უფლებაც გადადის? ნაწარმოების გამოხმობის უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა და იგი მხოლოდ ავტორს, ფიზიკურ პირს შეიძლება ეკუთვნოდეს. შესაბამისად, დამსაქმებელი ნაწარმოების გამოხმობის უფლებით ვერ ისარგებლებს. მის მიერ ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით უნდა დარეგულირდეს.

საქართველოს საავტორო სამართლისაგან განსხვავებით, ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა სამსახურებრივი ნაწარმოების გარდა, ნაწარმოების გამოხმობის უფლებას ზღუდავს კომპიუტერული პროგრამების და აუდიოვიზუალური ნაწარმოებების შემთხვევაში.

⁵³⁴ Fishman, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003, 8/7.

⁵³⁵ Fishman, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003, 8/7.

⁵³⁶ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხსატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი

3(2)(ე) „კველას, აღმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხსატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: ე) საწავლის, სწავლებისა და აკადემიური კვლევის თავისუფლებას“.

საფრანგეთის ინტელექტუალური კოდექსის თანახმად, ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტის, მისი გამოხმობის უფლება არა აქვთ კომპიუტერული პროგრამების ავტორებს.⁵³⁷

შეზღუდვის განსხვავებულ საფუძველს აწესებს გერმანიის კანონმდებლობა, კერძოდ, ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტის, მისი გამოხმობის უფლება შეზღუდულია ფილმებთან მიმართებაში. თუკი ავტორმა დართო ნება მისი ნაშრომი გამოეყენებინათ ფილმში, იგი ამ ნებართვას უკან ვეღარ გამოიხვავს.⁵³⁸

ეს შეზღუდვა საკმაოდ გონივრულია არა მხოლოდ ფილმებთან, არამედ ნებისმიერი აუდივიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში, ვინაიდან, ავტორის მიერ გამოხმობის უფლების განხორციელებით შეუძლებელი ხდება აუდიოვიზუალური ნაწარმოების სხვა ავტორთა საავტორო უფლებების განხორციელება (მაგ. გავრცელების, რეპროდუცირების და აშ). მეცნიერულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ კომპოზიტორს არ უნდა ჰქონდეს იმ ნაწარმოების გამოხმობის უფლება, რომელიც პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც ავტორმა გაასხვისა ნაწარმოებზე ქონებრივი უფლება.⁵³⁹

ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ უნდა ჰქონდეს მეცნიერული ნაწარმოების ავტორს, ვინაიდან, მეცნიერული შედეგი თუ ერთხელ უკავე გახდა ცნობილი, მისი ამსახველი ნაწარმოების გამოხმობა ყოველგვარ აზრს კარგავს და მეცნიერული ეთიკის, აგრეთვე, მეცნიერულ სფეროში არსებული დაუწერელი ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო აქტად შეიძლება იყოს მიჩნეული. ხშირ შემთხვევაში უარყოფითი მეცნიერული შედეგის ცოდნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე დადგითისა, ამიტომ მეცნიერი, რა უმსაც დარწმუნდება თავისი კვლევების ჭეშმარიტებაში, ის მორალურად ვალდებულიც კი ხდება კაცობრიობას დაუყოვნებლივ ამცნოს საკუთარი შემოქმედების შედეგი, არათუ გამოიხმოს უკავე გამოქვეყნებული ნაწარმოები.⁵⁴⁰

სამეცნიერო ნაწარმოების გამოხმობასთან დაკავშირებით არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც. ვინაიდან სამეცნიერო ნაშრომი, გამოხატვის ფორმასთან ერთად იდეებითა და აღმოჩენებით ფასობს მისი კონფიდენციალობა მკაცრად უნდა იყოს დაცული და მხოლოდ ავტორმა გადაწყვიტოს, როდის იხილოს ნაწარმოები საზოგადოებამ.⁵⁴¹

მართალია, საავტორო უფლებები საზოგადოებრივ ინტერესებსაც იცავს, მაგრამ პირველ რიგში ეს უფლებები ავტორის რეპუტაციის, პირადი და ინტელექტუალური ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად. სწორედ

⁵³⁷ España, Texto Refundido de la Ley de Propiedad Intelectual (TRLPI) 1996. o.b.: http://www.mcu.es/propiedadInt/docs/RDLegislativo_1_1996.pdf {17.01.2014}

⁵³⁸ (Urheberrechtsgesetz). 9 September, 1965. §90 § 95. o.b.: <http://transpatent.com/gesetze/urhg.html> {17.01.2014}

⁵³⁹ Subbian, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007, 192.

⁵⁴⁰ ძაბუჯაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006, 228.

⁵⁴¹ Friedrich, Protection of Personal Rights in scientific Discoveries. II 03/1984, Articles, 1995-2000 WILEY-VCh Verlag GmbH, D-69451, Weinheim, Germany, 2000, 317.

ამიტომ, მეცნიერის „დავალდებულება“ საჯარო გახადოს მეცნიერული კვლევის შედეგი, არ არის გამართლებული. ნაწარმოების გამოხმობის უფლება მხოლოდ სხვა ავტორთა უფლებების დაცვის მიზნით შეიძლება შეიზღუდოს, რადგან ამ შემთხვევაში თანაბარი დირექტულების სამართლებრივ სიკეთეთა შორის დაინდება ბალანსი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს კანონში „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ განიმარტოს თუ რა იგულისხმება სამსახურებრივი ნაწარმოების ცნებაში. ავტორთა უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენის მიზნით კი, მიზანშეწონილია, ნაწარმოების გამოხმობის უფლება შეიზღუდოს აუდიოვიზიუალურ ნაწარმოებებზე.

დასკვნა

ქართული საავტორო სამართლის ევროპულ სამართალთან პარმოზაციის, ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა ეფექტური დაცვისა და განხორციელების მიზნით, სასურველია, ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში. კვლევაში მოცემული დასკვნები, ასევე, ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკაში ნორმათა განმარტებას საერთაშორისო და ევროპულ საავტორო სამართალში დამკვიდრებული ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

1) დასკვნა ავტორის პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ ხედვაზე

• ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ მიზანშეწონილია, შეიცვალოს ტერმინით, „ინტელექტუალური უფლებების სამართალი“, ვინაიდან ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებიც ინტელექტუალური საკუთრების სამართლით რეგულირდება და, პირად არაქონებრივ უფლებებთან კავშირში ტერმინი „ინტელექტუალური საკუთრება“ არამართებულია.

• სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული უფლებები იმდენად უკავშირდება ადამიანს, რომ მისი პიროვნულობის განმსაზღვრული ხდება, ხშირ შემთხვევაში მისი თავისუფლად, საკუთარი სურვილისამებრ და სხვებისგან ჩაურევლად არსებობის საფუძველია. შესაბამისად, როგორც ევროპული ქვეყნების სამართალში, აქცენტი უნდა გაკეთდეს პიროვნებაზე და არა უფლების პირადად ინდივიდისთვის კუთვნილებაზე და არაქონებრივ შინაარსზე. უმჯობესია, სამოქალაქო კოდექსშიც აღნიშნული უფლებები ტერმინით „პიროვნული უფლებები“ იყოს განმტკიცებული და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონშიც დაცული იყოს ავტორის პიროვნული უფლებები.

2) დასკვნა ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმთან დაკავშირებით

- საქართველოს კანონი ”საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ სააგენტო სამართლით ნაწარმოების დაცვის კრიტერიუმად ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას განსაზღვრავს. ნაშრომში ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმები განხილულია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის, საერთო სამართლის ქვეყნების (აშშ, ინგლისი, კანადა) და კონტინენტური ევროპის ქვეყნების (საგრანგეთი, გერმანია) მაგალითზე. ნაწარმოების დაცვის აუცილებელი კრიტერიუმებია ორიგინალობა და ინდივიდუალიზმი. მაქსიმალური სტანდარტი კი შემოქმედებითობა. მიზანშეწონილია საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგის ნაცვლად, აუცილებელ კრიტერიუმად უფრო ლოიალურ კრიტერიუმს, ინდივიდუალიზმს (ავტორის პიროვნულობის გამოხატვულებას) ასახელებდეს.

3) დასკვნა ავტორობისა და სახელის უფლებასთან დაკავშირებით

- ”საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ ”საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ცალ-ცალკე გამოყოფს ავტორობისა და სახელის უფლებას. ავტორობის უფლება მოიცავს სახელის უფლებას და მათი გამიჯვნა ქართული კანონმდებლობით ხელოვნური ელფერის მატარებელია. ავტორობისა და სახელის უფლება ერთ უფლებად არის აღიარებული საერთაშორისო და თანამედროვე ევროპული საავტორო სამართლით. მიზანშეწონილია, საქართველოს საავტორო სამართალი ითვალისწინებდეს ბერნის კონვენციისა და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების მიღებომას და სახელის უფლებას ერთი ტერმინის ქვეშ აერთიანებდეს, „უფლება ავტორობის პატივისცემაზე“, ვინაიდან საავტორო სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტი, ავტორი, იცავს არა სამოქალაქო სახელს, არამედ როგორც შემოქმედის სახელს, როგორც თავისი ავტორობის შემადგენელ ელემენტს.

- საქართველოს კანონი ”საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-8 მუხლი შეიცავს დანაწესს იმ უფლებათა შესახებ, რომელზეც არ ვრცელდება საავტორო უფლებები. თუმცა ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, პიმინი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები) ერცელდება მხოლოდ სახელის უფლება, კერძოდ აღნიშნულ ნაწარმოებთა სხვისი სახელით გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია ავტორის სახელის უფლების დაცვა. უპრიანია ამ შემთხვევაში არა მხოლოდ სახელის უფლების, არამედ ავტორობის უფლების დაცვაც ხორციელდებოდეს, ვინაიდან დროში, გერბის, პიმინის და სხვა ოფიციალური სიმბოლოების ავტორებს აქვთ არა მხოლოდ

სახელის აღნიშვნის, არამედ ავტორობის პატივისცემის დაცვის უფლებაც.

• „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ავტორი მხოლოდ ფიზიკური პირი შეძლება იყოს და ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, მათ შორის სახელისა და ფსევდონიმის უფლება მხოლოდ ფიზიკურ პირს შეიძლება ეკუთვნოდეს. მიზანშეწონილია, ფსევდონიმის უფლების მსგავსად, დაცული იყოს ლიტერატურული ან სახელოვნობო ჯგუფის სახელწოდების უფლება (მაგ. ისეთის, როგორიცაა „ცისფერყანწელები“), რათა ერთი მხრივ, არ მოხდეს ჯგუფის წევრთა უფლებების დარღვევა და მეორე მხრივ, არ მოხდეს საზოგადოების შეცდომაში შეუვანა.

4) დასკვნა ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებით

• „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ნაწარმოების დაცვას დამახინჯებისა და სხვაგვარი ხელყოფისაგან, არ მიიჩნევს ნაწარმოების ხელშეუხებლობის შემადგენელ ნაწილად და მას ცალკე უფლებად განსაზღვრავს – რეპუტაციის პატივისცემის უფლება. უფლებათა ამგვარი ხელოვნური დანაწევრების შედეგად, საავტორო სამართალში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი პოზიცია ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანით ირღვევა ავტორის უფლება თუ ეს ცვლილება აუცილებლად უნდა ლახავდეს ავტორის პატივს, დირსებას და საქმიან რეპუტაციას. ეგროპული სამართლის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბებულია სამი განსხვავებული მიდგომა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მიმართ, კერძოდ ერთ შემთხვევაში ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, (ბელგია, საფრანგეთი) მეორე შემთხვევაში ცვლილება აუცილებლად უნდა ლახავდეს ავტორის პატივსა და რეპუტაციას (დანია, იტალია), ხოლო მესამე შემთხვევაში ცვლილება უნდა ლახავდეს პერსონალურ ან ინტელექტუალურ ინტერესს (გერმანია). მიზანშეწონილია, საქართველოს საავტორო სამართალში ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა მხოლოდ ავტორის რეპუტაციასთან არ იყოს დაკავშირებული. ნაწარმოები დაცული უნდა იყოს ყოველგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პირადი და ინტელექტუალური ინტერესი, დაკავშირებული ნაშრომთან.

• ნაწარმოების ხელშეუხებელობის უფლება ნეგატიურ უფლებად მიიჩნევა, იგი დაცულია უვადოდ. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება მემკვიდრეებზე დაცვის უფლებით გადადის. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას უნდა მოშორდეს პოზიტიური შინაარსი, რომლის თანახმადაც, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების

შემადგენელი ნაწილია ავტორის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს შეიტანონ ცვლილებები ნაწარმოებსა და მის სათაურში. ავტორის მიერ სხვა პირებისათვის ნების დართვა, განახორციელონ ნაწარმოებში ცვლილებები, ნაწარმოების გადამუშავების უფლების ნაწილია და არა ნაწარმოების ხელშეუხებლობის. ნაწარმოების ხელშეუხებლობის პირად არაქონებრივი უფლებასა და გადამუშავების ქონებრივ უფლებას შორის მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს.

• ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად ითვლება არა მხოლოდ ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევა, არამედ მისი არასათანადო გამოყენება ე.წ. “ნაწარმოების სულის დარღვევა”, ნაწარმოებზე ავტორის ნებართვის გარეშე სხვა ნაწარმოებთა დაცვა და ნაწარმოების განადგურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულ სამართლოთან ჰარმონიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული მიღომა გაზიარებულ იქნას საქართველოს საავტორო სამართლში. ასევე უნდა მოხდეს ბერნის კონვენციის ოფიციალურ თარგმანში იმ ტერმინთა ზუსტი თარგმნა, რომელიც ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევას ეხება, მაგ.: distortion, mutilation, other derogatory action და ამ ტერმინთა ზუსტი მნიშვნელობით ასახვა საქართველოს კანონში “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”.

• იმისდა მიხედვით თუ ლიტერატურისა და ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება ნაწარმოები, განსხვავებული წესით დგინდება მათზე ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევის შემთხვევებში. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ნებისმიერი სახით ჩარევა მიიჩნევა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, მიუხედავად იმისა, იხილა თუ არა ვინმერ შეცვლილი ნაწარმოები. ხოლო, ლიტერატურულ ნაწარმოებზე ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა ნაწარმოების ფიზიკურ ერთიანობაში ჩარევით, დამოკიდებული იმაზე, იხილა თუ არა საზოგადოებამ ნაწარმოები შეცვლილი სახით.

• “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობაში მოდის მესაკუთრის უფლებასთან განახორციელოს იმ ნივთზე ბატონობა, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები. განსაკუთრებით პრობლემატურია აღნიშნული საკითხი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებთან დაკავშირებით. მესაკუთრისა და ავტორის უფლებათა შორის ბალანსის დადგენისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი გარემოებები: ნაშრომის მიმართ ავტორის პირადი და ინტელექტუალური ინტერესი, მესაკუთრის ლეგიტიმური ინტერესი ნაშრომის გადაკეთების მიმართ, ნაწარმოების

შენარჩუნების შეუსაბამოდ მაღალი ხარჯები, ნაწარმოების გადაკეთების ავტორისთვის შეთავაზების ვალდებულება, შეეძლო თუ არა ნივთის მესაკუთრეს თავისი უფლების იმგვარად გამოყენება, რომ ნაკლებად დარღვეულიყო ხელოვნების ნაწარმოებზე ნაწარმოების ხელშეუხებლობის საავტორო უფლება.

- ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა გარკვეული თავისებურებით ხასიათება არქიტექტურულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრე, რომელსაც განზრახული აქვს ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლა, ვალდებულია მიიღოს არქიტექტურული პროექტის ავტორის ნებართვა ან მიიწვიოს იგი არქიტექტურულ ობიექტში ცვლილებების შეტანის მიზნით, საპროექტო სამუშაოს შესასრულებლად. ხოლო თუ არქიტექტურული ობიექტის ავტორი არ არის თანახმა, აუცილებლობით განპირობებული ან დასაბუთებული ცვლილებების შეტანაზე, ობიექტის მესაკუთრეს (მფლობელს) უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. მიზანშეწონილია კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მსგავს ნორმას სახვითი ხელოვნების იმ ნაწარმოებებთან დაკავშირებითაც, რომელიც ჩართულია არქიტექტურულ ნაგებობაში ან წარმოადგენს მის ნაწილს (მაგ. სკულპტურა, გრავიურა, მოზაიკა). სახვითი ხელოვნების ამ კატეგორიის ნაწარმოებების ცვლილების/რესტავრაციის ან ნაგებობიდან მოცილების შემთხვევაში, აუცილებელი უნდა იყოს ავტორის თანხმობა ან ობიექტის მესაკუთრის მიერ მისი მოწვევა ცვლილებების განსახორციელებლად. ხოლო, იმ შემთხვევში თუ მესაკუთრეს ნაწარმოებისაგან გათავისუფლება სურს, ავტორს უნდა მიეცეს საშუალება, თავად განახორციელოს დემონტაჟი.

5) დასკვნა ნაწარმოების გასაჯაროების უფლებასთან დაკავშირებით

- “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაცულია ავტორის უფლება გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი. მე-17 მუხლში აღწერილი უფლების შინაარსი გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს. კერძოდ, უფლების არსია ავტორმა ცნობილი გახადოს თავად ნაწარმოები იმ ფორმით, რა ფორმითაც სურს, და არა ცნობილი გახადოს ფაქტი, რომ შექმნა ნაწარმოები. ევროპული საავტორო სამართლის მაგალითების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, შეიცვალოს კანონში ფორმულირებული უფლება - გადაწყვიტოს, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი და ხაზი გაესვას, რომ ნაწარმოების შექმნის ფაქტი კი არა, თავად ნაწარმოები გახდა საჯარო. უფლების აღსანიშნავად შესაფერისი ტერმინი იქნება გასაჯაროების უფლება, მსგავსად ინგლისური ტერმინისა “disclosure”.

• „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის თანახამად, პირს, რომელიც საავტორო უფლების გადის გასვლის შემდეგ, გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით პირველად გახდის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ნაწარმოებს, რომლის გამოცემა ან საჯარო გაცნობა ადრე არ მომხდარა, წარმოეშობა ნაწარმოებზე ავტორის ქონებრივი უფლებები. ვინაიდან ნაწარმოები ამ გზით, პირველად ხდება ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, ხორციელდება ნაწარმოების გასაჯაროების უფლება, თუმცა მისი სუბიექტი არა ავტორი, არამედ მესამე პირია. კანონი არ ითვალისწინებს ამ შემთხვევაში ავტორის სურვილსა და ინტერესს. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-8 ნაწილი წინააღმდეგობაშია ნაწარმოების გასაჯაროების უფლების არსონ, ვინაიდან ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორისაგან განუყოფელი უფლებებია. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით მიზანშეწონილია დაზუსტდეს, რომ პირს მხოლოდ მაშინ აქვს მე-18 მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული უფლება, თუკი ავტორს სიცოცხლეში არ გამოუთქვას სურვილი ნაწარმოების გასაჯაროების აქტიურობის შესახებ ან არ პქონდა საშუალება ნაწარმოები გაეხადა საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

6) დასკვნა ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების მოქმედების ვადებთან და მემკვიდრეობით გადაცემასთან დაკავშირებით:

• „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საავტორო უფლება გადაიცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით, ანდა ხელშეკრულებით. აღნიშნულ, ნორმაში უნდა დაზუსტეს, რომ გადაცემის ამგვარი წესი შეეხება მხოლოდ ავტორის ქონებრივ და არა პირად-არაქონებრივ უფლებებს.

• „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი, რომელიც საავტორო უფლებათა გადაცემას შეეხება, ადგენს, რომ მემკვიდრეებს აქვთ ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება. თუმცა კანონი ავტორის მემკვიდრეებს არ ანიჭებს რეპუტაციის პატივისცემის უფლებას ანუ უფლებას დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. კანონის 33-ე მუხლის თანახმად, რეპუტაციის პატივისცემის უფლებაც, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების მსგავსად, უვადო საავტორო უფლებადაა მიჩნეული და აღნიშნული უფლების უვადოდ დაცვა როგორც ავტორის, ასევე საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. მემკვიდრეებს უფლება უნდა პქონდეთ განახორციელონ არა მხოლოდ ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების

დაცვა, არამედ, რეპუტაციის პატივისცემის უფლებაც, კერძოდ, ავტორის უფლება, დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისა ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, დირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

• „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი განსხვავებით ავტორის სხვა პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან (მაგ. ავტორის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, ავტორის უფლება დაურთოს ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები) საეციალური ნორმით არ არეგულირებს გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლებაზე უფლებამონაცვლეობის საკითხესა და მოქმედების ვადებს. შესაბამისად, აღნიშნულ უფლებებზე მოქმედებს საავტორო უფლების ზოგადი ვადა: ავტორის სიცოცხლე და მისი გარდაცვალებიდან 70 წელი. გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლების ამგვარი რეგულირება ეწინააღმდეგება თავად უფლების არსეს, რომელიც ავტორთან მჭიდრო კავშირის და გადაუცემადი შინაარსის გამო უნდა მოქმედებდეს ავტორის სიცოცხლის ვადით, თუ ავტორმა სიცოცხლეში არ განსაზღვრა პირი, რომელიც განახორციელებს აღნიშნულ უფლებებს. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, მოქმედების ვადის მიხედვით, სამ კატეგორიად უნდა იყოს დაყოფილი - უვალო უფლებები, უფლებები მოქმედი ავტორის სიცოცხლის ვადით და უფლებები, რომლებიც მოქმედებს ავტორის ქონებრივი უფლებების ვადით, თუკი ავტორმა გამოავლინა ნება უფლებათა გადაცემის შესახებ. (მსგავს მიდგომას ითვალისწინებს ზოგიერთი ეკროპული ქვეყნის საავტორო სამართლი)

7) დასკვნა კანონმდებლობით პირადი არაქონებრივი უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით

• ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება უნდა შეიზღუდოს გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებთან დაკავშირებით, რაც გამომდინარეობს იმ ნივთის მესაკუთრის უფლებების დაცვის მიზნიდან, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები. გამოყენებითი ნაწარმოების შემთხვევაში თავად ნაწარმოების სამომხმარებლო/გამოყენებითი დანიშნულებიდან გამომდინარე მესაკუთრეს უნდა პქონდეს ნივთის როგორც მოდიფიცირების, ასევე მისი განადგურების სრული თავისუფლება.

• ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, განსხვავებით ავტორობისა და სახელის უფლებისაგან, არ არის შეუზღუდავი უფლება. იგი შეიძლება შეიზღუდოს, ნივთის მესაკუთრის, საზოგადოებრივი ინტერესების, ინფორმაციის თავისუფლების დაცვის მიზნიდან გამომდინარე. ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, ასევე, იზღუდება კოლექტიური ნაწარმოების და კომპიუტერული პროგრამების შემთხვევაშიც.

- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დაცული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება, დაურთოს ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა), რეალურად განუხორციელებელია სამსახურებრივ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ავტორის უფლებამონაცვლედ მისი დამსაქმებელი გვევლინება. აღნიშნული უფლება, გამოხმობის უფლების მსგავსად, უნდა იზღუდებოდეს სამსახურებრივ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლება მჭიდრო კავშირშია ქონებრივ უფლებებთან (ნაწარმოების რეპროდუცირების, საჯარო ჩვენების, საჯარო შესრულების უფლებასთან). შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს მისი გადაცემა ხელშეკრულების საფუძველზე.
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე იზღუდება გასაჯაროების უფლება, ვინაიდან არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე. უფლების შეზღუდვის მიზანია, ნაწარმოებზე სხვა ავტორთა უფლების დაცვა. ამავე მიზნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გასაჯაროების უფლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში შეიძლება დაუქვემდებაროს შეზღუდვას, მსგავსად გერმანული საავტორო სამართლისა.
- ნაწარმოების გასაჯაროებისა და გამოხმობის უფლება ეკროპული საავტორო სამართლის მიხედვით ერთი უფლების სხვადასხვა მხარედ არის მიჩნეული, ვინაიდან, ეს ორი უფლება ავტორის ერთ ინტერესს ემსახურება – გადაწყვიტოს ნაწარმოების ბედი, იხილოს თუ არა ნაწარმოები საზოგადოებამ. საქართველოს საავტორო სამართლის ნაწარმოების გამოხმობის უფლება მხოლოდ სამსახურებრივ ნაწარმოებზე იზღუდება. შეზღუდვის საფუძვლები უფრო ფართოა ეკროპულ საავტორო სამართალში. მაგალითად, გერმანიაში ნაწარმოების გამოხმობის უფლება იზღუდება აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებთან დაკავშირებით, საფრანგეთში ნაწარმოების გამოხმობის უფლება ეზღუდებათ კომპიუტერული პროგრამების ავტორებს, თუკი მათ სხვა პირს გადასცეს ეკონომიკური უფლებები. მიზანშეწონილია, საქართველოს საავტორო სამართალიც ითვალისწინებდეს ნაწარმოების გამოხმობის უფლების შეზღუდვის სხვა საფუძვლებს, რათა ნაწარმოების გამოხმობის უფლების განხორციელებამ არ გამოიწვიოს სხვა ავტორთა თუ მესამე პირთა კანონიერი ინტერესების შელახვა.

• ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების ზედმეტად მკაცრმა დაცვამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოებების ჩართვას სამოქალაქო ბრუნვაში და მათ მართლზომიერ გამოყენებას. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სამსახურებრივ ნაწარმოებზე მსგავსად ნაწარმოების გამოხმობის უფლებისა, იზდუდებოდეს ავტორის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა) (“საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ” საქართველოს კანონით, (მუხლი 17.1.”გ”) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული უფლების შეზღუდვა მედიაში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. საავტორო უფლებების ექსტრემალურად მკაცრმა დაცვამ ხელი არ უნდა შეუშალოს თავისუფალი მედიისა და ინფორმაციული საზოგადოებისათვის განვითარებას. ნაწარმოებებზე სხვა ნაწარმოებთა დართვა, მათ შორის კრიტიკული კომენტარის, წინასიტყვაობის, ბოლოსიტყვაობის, შარჟისა თუ სხვა ილუსტრაციის გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილი და ასევე მედია ინდუსტრიის განვითარების აუცილებელი წინაპირობა. აღნიშნული უფლება ასევე უნდა შეიზღუდოს შედგენილ ნაწარმოებებზე.

• ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიტიკური სიტყვა დაცულია საავტორო სამართლით. საავტორო უფლებებსა და ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის სამართლიანი ბალანსის დადგენისათვის პოლიტიკურ სიტყვაზე უნდა იზდუდებოდეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება დაცული ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა) და, ასევე, ნაწარმეობის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას ნაწარმოების სულისა და კონტექტის შეცვლით. ამ შემთხვევაში მესამე პირებს, საზოგადოებასა და მით უმეტეს მედიას უნდა პქონდეთ ქმედების მეტი თავისუფლება.

8) დასკვნა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით რეგულირებულ პიროვნულ უფლებებზე და აღნიშნული მუხლის გამოყენებაზე ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისათვის.

• აუცილებელია, უფრო ნათლად განისაზღვროს თუ რას მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული პირადი ხელშეუხებლობის უფლება-პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, თუ თავისუფლების ხელშეუგალობას? სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი

იცავს პირის უფლებებს დაკავშირებულს მის ინდივიდუალიზმთან და პიროვნულ ავტონომიურობაში ჩაურევლობასთან და არა ფიზიკურ ხელშეუხებლობასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესია სამოქალაქო კოდექსში მოცემული ტერმინები, პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი ხელშეუხებლობა გაერთიანდეს ერთი ტერმინის ქვეშ - „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“, რომელიც მოიცავს პირადი ცხოვრების საიდუმლოებასაც.

- მიზანშეწონილია, საქართველოს კანონმდებლობაშიც იყოს გაიზიარებული ევროპული სამართლის გამოცდილება და სამოქალაქო კოდექსით გამოსახულებაზე უფლებასთან ერთად, დაცული იყოს პირის უფლება საკუთარ ხმაზეც. პირის ხმაც და გამოსახულებაც მისი პიროვნულობის, პირადი ცხოვრების, ინდივიდუალიზმის შემადგენერაცია და კანონით უნდა იყოს დაცული, როგორც პიროვნული უფლება.
- ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათ და სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ პირად არაქონებრივ უფლებებს შორის არის რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება (წარმოშობის განსხვავებული საფუძველი, განსხვავებული სუბიექტები, განსხვავებული მოქმედების ვადები და უფლებათა გადაცემის განსხვავებული საფუძვლები), რის გამოც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ყოველთვის ვერ გამოდგება ავტორის პირად არაქონებრივ უფლებათა დასაცავად. მე-18 მუხლით მხოლოდ ავტორის სახელისა და რეპუტაციის დაცვის უფლება არის შესაძლებელი. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, ასევე, შესაძლოა, გამოყენებული იყოს ავტორის რეპუტაციის დაცვისათვის, თუმცა საავტორო სამართლით დაცული რეპუტაციის პატივისცემის უფლება იცავს ავტორის რეპუტაციას დაკავშირებულს კონკრეტულ ნაწარმოებთან, ხოლო ავტორის შემოქმედებითი რეპუტაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ნაწარმოებთან, შეიძლება დაცული იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ნორმატიული მასალა

საქართველოს კანონმდებლობა:

(ხელმისაწვდომია: <http://www.matsne.gov.ge/>)

საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 26 ივნისი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსი, 1984 წლის 15 დეკემბერი.

საქართველოს კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”, 1999 წლის 22 ივნისი.

საქართველოს კანონი “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ”, 2004 წლის 24 ივნისი.

საქართველოს კანონი “არქიტექტურული საქმიანობის შესახებ”, 1998 წლის 14 აპრილი.

საქართველოს კანონი “დიზაინის შესახებ”, 2010 წლის 4 მაისი.

საქართველოს საპატენტო კანონი, 1999 წლის 5 თებერვალი.

საქართველოს კანონი “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ” 1999 წლის 25 ივნისი.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები:

“ადამიანის უფლებათა საყოველთაო დექლარაცია”, მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს.

<<http://www.lexilogos.com/declaration/georgien.htm>>

“ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია”, მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს.

<http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf>

“ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი” მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს.

<<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CESCR.aspx>>

“ლიტერატურის, მეცნიერებისა და მხატვრული ნაწარმოების ავტორთა უფლებების საერთაშორისო ამერიკული კონვენცია”, მიღებულია 1946 წლის 22 ივნისს.

<http://www.wipo.int/edocs/trtdocs/en/iac/trt_iac.pdf>

საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება, მიღებულია 1196 წლის 20 დეკემბერს.

<http://www.wipo.int/treaties/en/ip/wct/trtdocs_wo033.html>

“ლიტერატურის, მეცნიერების და მხატვრული ნაწარმოებების ავტორთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ამერიკული კონვენცია”. მიღებულია 1946 წლის 22 ივნისს.

<http://www.wipo.int/edocs/trtdocs/en/iac/trt_iac.pdf>

შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასექტების შესახებ. მიღებულია 1994 წლის 15 აპრილს.

<http://www.wto.org/english/tratop_e/trips_e/t_agm0_e.htm>

ევროსაბჭოს № 93/98 დირექტივა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის ვადებთან დაკავშირებით.

<<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31993L0098:EN:HTM>>

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონდებლობა:

UK, Copyright, Designs and Patents Act, 1988.

<http://www.opsi.gov.uk/acts/acts1988/ukpga_19880048_en_1.htm>

(Urheberrechtsgesetz) Gesetz über Urheberrecht und verwandte Schutzrechte. 9 September, 1965.

<<http://transpatent.com/gesetze/urhg.html>>

USA Copyright Act, 4 March, 1909.

<http://en.wikisource.org/wiki/Copyright_Act_of_1909>

USA The Visual Artists Rights Act of 1990.
<http://www.law.cornell.edu/uscode/text/17/106A>

España, Texto Refundido de la Ley de Propiedad Intelectual (TRLPI) 1996.
http://www.mcu.es/propiedadInt/docs/RDLegislativo_1_1996.pdf

Brazil, on Copyright and Neighboring Rights, 19 February, 1998.
<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=514>

Canadian Copyright Act, 1985.
<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-42/FullText.html>

France, Code de la propriété intellectuelle, 3 juillet, 1992.
http://www.lexinter.net/ENGLISH/intellectual_property_code.htm

USA, The Privacy Act of 1974.
<http://www.justice.gov/opcl/privstat.htm>

UK, Defamation Act 1996.
<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1996/31/contents>

German Civil Code.
http://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p0043

France Civil Code.
http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html

Switzerland, Copyright and Neighbouring Rights, 9, October, 1992.
<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=5223>

Denmark, The consolidate act on Copyright, 27 February, 2010.
http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=191420

Luxembourg, Law on Copyright, Neighboring Rights and Databases, 18 April 2001.
<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=2932>

Belgium, Law on Copyright and Neighboring Rights, 30 June, 1994.
<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=403>

Italy, Law for protection of Copyright and Neighboring Rights, 2 February, 2001
http://www.wipo.int/wipolex/en/text.jsp?file_id=128286

Colombia, Law on Copyright, 28 january, 1982.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=872>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=872)

Costa Rica, Law on Copyright and Neighbouring Rights, February 2, 2000.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=880>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=880);

Dominican Republic Law on Copyright, 26 July, 2000.
o.b.: [<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=1191>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=1191)

Mexico, Federal Law on Copyright, April 30, 2003.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=3094>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=3094)

Peru, Copyright Law, 23 April, 1996.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=3412>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=3412)

Algeria, Law on Copyright and Related Rights, 5 November, 2003.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=1195>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=1195)

Benin, law relating to Copyright and Related Rights, 5 April, 2006.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=7585>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=7585);

Central African Republic, Decree No 85.006, 5 January, 1985.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=7557>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=7557)

Senegal, Copyright Act, 24 January, 1986.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=5761>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=5761)

Guatemala, Law on Copyright and Related Rights, 21 Jule 1998.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=2010>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=2010)

Netherland, Copyright Act, 1912.
[<http://www.ivir.nl/legislation/nl/copyrightact.html>](http://www.ivir.nl/legislation/nl/copyrightact.html)

Norway, Copyright relating to Copyright in Literary, Schientific and Artistic works, 1 July, 1961.
[<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=3232>](http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=3232)

Закон Российской Федерации "Об Авторском Праве и Смежных Правах", 9 Июля
[<http://www.internet-law.ru/law/avt/avt.htm>](http://www.internet-law.ru/law/avt/avt.htm)

სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე:

ახვლედიანი, ზურაბ/ზოიძე, ბესარიონი/ჭანტურია, ლადო/ჯორბენაძე, სერგო (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, თბილისი, 1999.

ახვლედიანი, ზურაბ/ზოიძე, ბესარიონი/ჭანტურია, ლადო/ჯორბენაძე, სერგო (რედ.), სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, სანივთო (ქონებრივი სამართალი) თბილისი, 1999.

გაბუნია, დავით/ თაქთაქიშვილი, გიორგი, საერთაშორისო საავტორო სამართალი, თბილისი, 2005.

გონაშვილი ვასილ, (რედ.), საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, თბილისი 2006.

კერესელიძე, დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009,

კობახიძე, ავთანდილ, სამოქალაქო სამართალი, I ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001.

კორკელია, კონსტანტინე, სტატიები პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტომი 7, № 1, 2004.

კუბლაშვილი, კონსტანტინე, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003.

სურგულაძე, ნუგზარ, რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბილისი, 2002.

ძამუკაშვილი, დავით/ შენგელია რომან/გაბუნია დავით/ ხრუსტალი ვალერი/ ჯორბენაძე სანდრო, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003.

ძამუკაშვილი, დავით, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2006.

ძამუკაშვილი, დავით, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006.

ძამუკაშვილი, დავით, ფოტოგრაფიული გამოსახულების დაცვა საქართველოში, თბილისი, 2008.

ჭანტურია, ლადო, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997.

ჭანტურია, ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

ჩიკვაშვილი, შალვა მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში. თბილისი, 1998.

სამეცნიერო ლიტერატურა უცხოურ ენებზე:

Adeney, Elizabeth, The Moral Rights of Authors and Performers, An international and comparative analysis, Oxford University press, USA, 2006.

Adusei, Poku, Modern challenges to moral rights protection under copyright law: the way forward, Edmonton, Alberta, 2005.

Armstrong, Mark/ Blakeney Michael/ Watterson Ray, Media law in Australia, Second edition, Oxford University press, New York, 1988.

Beverley-Smith, Huw/ Ohly, Angsgar/ Lucas-Schloetter, Agnes, Privacy, Property and Personality, Civil Law perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005.

Bloustein, Edward J, Privacy as an Aspect of Human Dignity: An Answer to Dean Prosser, New York, 1964.

Bogsch, Arpad, Guide to the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works (Paris Act, 1971), Geneva, 1978.

Bouchoux, Deborah, Intellectual property, The Law of Trademark, Copyright, Patent and Trade secrets, third edition, USA, 2009.

Bonnet, Code de la Propriété Intellectuelle, 4th ed, Paris, 2004.

Bradgate, Robert/White Fidelma, Legal Practice Course Guides Commercial law, Oxford, 2007.

Canovas, Diego Espin, Las Facultades del derecho moral de los autores y artistas. Madrid, Civitas, 1991.

Caron, Christopher, Abus de droit et d'auteur. Paris, 1998.

Chomecek, Milan/McCormack Stuart, World Intellectual Property Guidebook, Canada, 1991. Colson, Catherine/ Middleton, Kirsty, Modern Intellectual property Law, London, 2005.

Deazley, Ronan, Rethinking Copyright, history, theory, language, Cornwall, Bodmin, 2006.

Deazley,Ronan/ Kretschmer, Martin/ Bently,Lionel, Privilege and Property, Essays on the history of Copyright,Cambridge 2010.

Diets Adolf, Das Droit Moral des urheber im neuen Französischen und Deutsch Urheberrecht, Munich, 1968.

Diets Adolf, Copyright Law in the European Community, The Netherland, 1978.

Diets Adolf, The Artist's right of integrity under copyright Law- A comparative approach, IIC 02/1994.

Diets Adolf, Rapport general pour le Congres d'Anvers 1993 (Pays de droit civil) Le droit moral de l'auteur, The moral right of the author, ALAI, 1994.

Drahos, Peter, The Universality of IP Rights: origins and development, Intellectual Property and Human Rights. A Panel Discussion of Human Rights, WIPO publication No. 762(E) 1999.

Dulian, Frederic Pollaud, L'esprit de loeuvre et te droit moral de l'auteur, Revue Internationale du Droit D'auteur 215, Janvier 2008.

Dworkin, Gerald, The Moral Rights and English Copyright Law, IIC NO04/1981.

Dworkin, Gerald, General report (Common Law Countries) Le droit moral de l'auteur, The moral right of the author, ALAI, 1994.

Fishman, Stephen, The Copyright Handbook How to protect & Use Written works, 7th edition, USA, 2003.

Frédéric Pollaud-Dulian, l'esprit de livre et le droit moral de l'auteur, Revue Internationale du Droit Auteur, # 215 Janvier, 2008.

Friedrich, Wilhelm Engel, Protection of Personal Rights in scientific Discoveries, II 03/1984, Articles, 1995-2000 WILEY-VCh Verlag GmbH, D-69451, Weinheim, Germany, 2000.

Gautier, Pierre-Yves, Propriété littéraire et artistique, 4th edn. Prosses Unitiare de France. 2010

Gendreau, Ysolde, An emerging Intellectual property paradigm, Cornwall, 2008.

Chromecek, Milan/ McCormack, Stuart C., World Intellectual Property Guidebook Canada, Seattle, Washington, 1991.

Gierke, Otto, Deutches Privatrecht, Band I, 1895.

Godkin, Edwin Lawrence, The Rights of Citizen to his Own Reputation, Scribner's Magazine IV, 1890.

Goldgrab, Laurence, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995.

Goldstein, Paul, International Copyright: Principles, Law and Practice, New-York, 2001.

Goldstein Paul/ Bernt Hugenholtz, International Copyright, Principles, Law, Practice, Oxford 2013.

Gendreau, Ysolde, An emerging Intellectual property paradigm, Perspectives from Canada, Cornwall, 2008.

Goldstein, Paul, Copyright's Highway, Stanford, California, 2003.

Gunter, Poll, Germany, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995.

Götting, Horst-Peter, Die Vererblichkeit der vermögenswerten Bestandteile des Persönlichkeitsrechts- ein Meilenstein in der Rechtsprechung des BGB, NJW, 2001.

Guiseepina, D'agostino; Copyright, Contracts, Creators, New Media New Rules, Massachusetts, 2010.

Janssens, Marie-Christine, Belgium: The destruction of a work of art. Can moral rights come to the rescue?, Belgium, 2008.

Jeremy Phillips/Firth Alison, Introduction to Intellectual Property Law, New-York, 2005.

Kohler, Josef, Das Autorrecht, eine zivilistische Abhandlung: Zugleich ein Beitrag zur Lehre vom Eigenthum, vom Miteigenthum, vom Rechtsgeschäft und vom Individualrecht, Harvard University, 1880.

Kwall, Roberta Rosenthal, The Soul of Creativity: Forging a Moral Rights Law for the United States, Stanford, California, 2010.

Labunski, Richard, Libel and the first Amendment, New Jersey, 2009.

Larenz, Karl/Wolf, Manfred, At des Bürgerlichen Rechts, 2004, 8RdNr.45; Palandt/Sprau, BGB, 2008.

Lauvaux, Eric, Moral rights and obstacles to the exploitation of musical works, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995.

Leaffer, Marshall, Understanding Copyright Law, Fourth edition, LexisNexis Group, 2005.

Lindon, Raymond, La creation pretorienne en matiere de droits de la personnalite: Et son incidence sur la notion de famille (Manuel Dalloz de droit usuel), Dalloz, 1974.

Loughlan, Patricia, Moral rights (a view from the town square), Media and Art, Law review. Vol.5.No 1. March, 2000.

Lucas, André/Lucas Henri-Jacques,Traité de la propriété Littéraire et artistique, Paris, 2001.

Lyszyc, Delia, Copyright and Neighbouring Rights, UNESCO, 1999.

Marel, Arend Jan van der/ Schaap, Jacqueline, The Netherland, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Cannes. Netherland-Belgium. 1995.

Mazeh Yoav, Canadian Originality and The Tension Between the Commonwealth and the American Standards for Copyright Protection: The Myth of Tele-Direct, Jurn.,Intellectual Property Journal, №562-98, 2003 (3,16).

Merges, Robert P./ Ginsburg, Jane C., Foundations of Intellectual Property, New York, 2004.

Metzger, Rechtsgeschäfte über das Droit Moral im deutschen und Französischen Urheberrecht, Munchen, 2002.

Mondini, Giorgio, Italy, Moral Rights Reports presented at the meeting of the Internationla Assiciation of Entertainment Lawers MIDEM 1995, Cannes. Neterland-Belgium. 1995

Nèrisson, Sylvie, Le droit moral de l'auteur décédé en France et en Allemagne, Paris, 2003.

Nemschoff Louise,United States of America, A rose by any other Name the US. and Moral Rights, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Cannes, Netherland-Belgium, 1995.

Nimmer, Melville B., The right of publicity, 19 law and Contemporary problems, 1954.

Owen, H. Dean, Moral rights reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Netherland-Belgium, 1995.

Patterson, Lyman Ray/Lindberg,Stanley, The Nature of Copyright, A Law of users rights, Athens, Georgia, 1991.

Paul, E. Sanderson, Canada, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995.

Pombo, Fernando, The Netherland, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MIDEM 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995. Quadvleig, Antoon, Copyright's orbit round private Commercial and Economic Law- The copyright System and the Place of the Users. II C 04/ 1998, Articles. 1995-2000 WILEY-VCh Verlag GmbH, D-69451, Weinheim, Germany, 2000.

Reed, Christopher, The FCC'S Indecent Proposal: Copyright Implications of the Proposed "Record and Retention" Rule, Buffalo Intellectual Property law Journal, University at Buffalo School of law, 2006.

Roger, J. Sullivan, Immanuel Kant's Moral Theory, Cambridge, 2000.

Rolph, David, Reputation, Celebrity and Defamation Law, Burlington, 2008.

Rule, James/ Greenleaf, Graham, Global Privacy Protection, Cheltenham, 2008.

Sainsbury, Maree, Moral Rights and their Application in Australia, Marrickville, 2003.

Schricker, Gerhard, Die einwilligung des Urhebers in entstellende änderungen des werkes Frankfurt, 1985.

Schricker, Gerhard /Vogel, Martin, Urheberrecht: kommentar, 2nd edn, Munich, 1998.

Simon Stoke, Art an Copyright, Oregon, 2001.

Stoke, Simon, Art an Copyright, Belgium, 2011.

Stephen, James, Fitzjames, Liberty, Equality, Fraternity, Cambridge, 1873Sterling, Adrian, Creators Right and the Bridge Between Author's Right and Copyright, IIC 03/1998.

Strömholm, Stig, International encyclopedia of comparative Law, Volume 14, part 2 of International encyclopedia of comparative Law:Copyright and Industrial property, 1990.

Subbian, Adaikkalam, Intellectual property rights, Heritage Science and Society under International Treaties, New Delhi, 2007.

Takenaka, Toshiko, Intellectual Property in Common Law and Civil Law, UK, 2013.

Torremans, Paul, Holyoak and Torremans Intellectual Property Law, Fourth Edition, Oxford, 2005.

Torremans, Paul, Copyright Law, USA, 2007.

Ugugioni, Jessica, New Media and the Creative Industries' report: bias over balance in copyright reform?, Journal of Intellectual Property law & Practice, Volume 2, number 9 September, 2007.

Ulmer, Eugen, Urheber-und Verlagsrecht, 3rd edn, Berlin, 1980.

Vaver, David, Authors' moral rights in Canada, in IIC No 03/1983.

Vanbrabant, Bernard, Les conflits susceptibles de survenir entre l'auteur d'une oeuvre et le proprietaire du support. Revue de Droit Intellectuel: L'ingenier-Condeil, 2004.

Vischer, Fernand / Michaux, Benoit, Precis du droit d'auteur et des droits voisins, Brussels 2000.

Warren, Samuel/ Brandies, Louis, The right to privacy, Harvard Law review, vol. IV, December 15, 1890.

Werbner, Deborah, The Multimedia Environment: The Broadcasters Perspective, Moral Rights Reports presented at the meeting of the International Association of Entertainment Lawyers MDEM 1995, Cannes. Netherland-Belgium, 1995.

Wilcock, Neil/Basheer, Shamnad, Overlapping Intellectual Property Right, Oxford, 2012.

Yang Deli, Understanding and Profiting from Intellectual property Strategies across the borders, Great Britain, second edition, 2013.

Анисимов, Александр, Гражданко-правовая защита чести, достоинства и деловой репутации, Москва, 2001.

Близнец, Иван, Государственное регулирование интеллектуальной собственности в Российской Федерации, теоретико-правовое и сравнительное исследование, Москва, 2002.

Веинке, Вилли, Авторское право, Регламентация, основы, будущее, Москва, 1979.

Илларионова, Татьяна, Гражданское право, Москва, 1998.

Кабатов, Виталий, Советское авторское Право на произведения изобразительного искусства, Москва, 1954.

Макагонова, Надежда, О Некоторых Проблемах Законодательства по Авторскому праву, Москва, 1996.

Малеина, Марина, Личные Неимущественные права граждан, Москва, 2001.

Романович Александр.Н. Защита Чести и Достоинство гражданина(гражданско-правовые средства), Минск Беларусь, 1976.

Рясенцев, Владимир, Неимущественный интерес в советском гражданском праве, Москва, 1939. Сергеев Александр, ред., Гражданское право, том I, Вельба, 2009.

Слесарев Владимир, Обект и результат гражданского правонарушения, Томск, 1980.

Соловьев, Авторское Право, Москва, 2001.

Суховерхий, Владимир, Личные неимущественные права граждан в советском гражданском праве, Москва, 2001.

სხვადასხვა:

გვარჯალაძე, თამარ/გვარჯალაძე, ისიდორე, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, 1997. მაისურაძე/ნონიკაშვილი, თანამედროვე ლექსიკონი ინგლისურ-ქართული, ქართულ-ინგლისური, თბილისი, 2007.

International Encyclopedia of Comparative Law, Volume 11, Part 1, 1983.

Intellectual Property, Reading Materials, WIPO Publication No. 476 (E), WIPO, 1998.

WIPO Glossary of Terms of the law of Copyright and Neighboring Rights, WIPO Publication No. 827(EFR), 1981

Мюллер, Владíми, Англо-Русский Словарь. Москва. 1992